

ა. ციპარაძე

არაერთიანი  
ერებ  
კავკაციენი



De l'Acad.  
L'Académie des Sciences de l'Institut  
Georgien qui dirige la  
Deludis.  
L'Académie Georgienne qui dirige la

ავთანდილ ციბაქე



# „მხედრობათა შინა კარისძე“

(ქართული სცენარის ჩრონიკიზი)



გამოხვეულობა „საგვოთა საჭართველო“  
თბილისი — 1980

7A(c41) (09)

75 (2Γ) Γ

796 (47.922) (09) (0:8)

ც 581

მხატვრულ დოკუმენტურ ნარკევეში „მხედრობათა შინა კადნიერნი“ პოპულარულ ფორმებში გაღმოცემულია საქართველოში სპორტის განვითარების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე.

793  
7.92  
657  
V

60900—113

II ————— 264—80

M 601 (08)—80

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

## ვინათშა

ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს ქართველთა შესახებ: „ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი; შავ თვალ-წარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზნი, იშვით შავგრუმან და მოყვითან, იშვით თუალჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ... წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვით სქელნი, მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კაღნიერნი, მკვარცხლნი, მსწრაფლნი... სალაშკროთა შინა აზოვანნი, საჭურველთ მოყუარენი; ამაყნი, ლალნი, სახელის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქუეყანასა და მეფესა თვისსა, სტუმართა და უცხოთ გოყუარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი· არიან, არარა შეიძირვიან, უხუნი, არცა თვისსა და არც სხვისსა კრძალვენ; საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლემიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი... გარნა თუ სძლიან ვინმე მძლავრთაგანნი, არა დაემორჩილონ; არამედ კვალად იპყრონ თვისნივე წესნი და არა დაუტეგიან ღმერთნი და მეფე და ჩვეულებანი თვისნი“.

არა მგონია სულიერი და ფიზიკური თვისებების ჰარმონიული შეხამების უკეთესი სურათი დახატოს ვინმემ. ქართველობით არ მოსდის ეს ვახუშტის. აქ არაფერია გადაჭარბებული. თუ არა ასეთი ადამიანები, საქართველოს მარტო მაღალი მთები, გაუვალი ხევ-ხუვები და უსიერი ტყეები ვერ იხსნიდა ისტორიის საბედისწერო ქარტეხილებისაგან.

ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი პირობა, რა-

მაც ხელი შეუწყო ასეთი ადამიანების აღზრდას და ფიზიკური აღზრდის ერთიანი, რეგლამენტირებული სისტემა, რაც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ჩვენს ქვეყანაში. ეს სისტემა განამტკიცებდა მდიდარ სპორტულ ტრადიციებს, რომელიც დღესაც აღამაზებს ჩვენი ქვეყნის სპორტულ ცხოვრებას და ხელს უწყობს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური საბჭოთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას.

ქართული სპორტული კულტურის შესახებ ბევრი დაწერილა, ამდენად შესაძლოა ეს წიგნი არ დაწერილიყო, ამას წინათ საოცრად მიმზიდველი ორი წიგნი რომ არ წამეკითხა: ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკებზე“ და ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებზე“ მოგახსენებთ. რომელ ქართველს არ წაუკითხავს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები, ვინ არ ალელვებულა ჩვენი ქვეყნის ბედით, მაგრამ, ამის მიუხედავად, ავტორებმა მაინც გაბეჭდეს დაწერიათ ქართლის ცხოვრების ისტორია ისეთი ფორმითა და ხერხებით, რომ ჩვენი ისტორიის კარგი მცოდნე მკითხველიც სულმოსთქმელად ეწაფება ამ შესანიშნავ ნაწარმოებებს. აღარაფერს ვამბობ მკითხველთა ფართო წრეზე, ვისთვისაც ისინი სამაგიდო წიგნებად იქცნენ. მე ამით იმის თქმა მინდოდა, რომ თურმე ურთულეს მეცნიერულ ნაშრომსაც კი შეიძლება მოეძებნოს თხრობის ისეთი ფორმა, რაც მას ერთნაირად მისაწვდომისა და საინტერესოს გახდის ყველასათვის.

რაღა თქმა უნდა, ეს დებულება ალბათ ყველაზე მეტად ვრცელდება სპორტის ისტორიაზე, რომელიც თავისთავად ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთ ლამაზ და პოპულარულ დარგს წარმოადგენს.

თ ა ვ ი

## რომელია დევნიანი

(პირველყოფილი-თემური ხაზოგალოება)

ჩვენი ლამაზი დედამიწის იმ პატარა კუთხეში, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო საქართველოს უწოდებს, დიდი ხნის წინათ ისევე მოქუხდნენ პირზე ქაფმოდებული მდინარეები, ციმციმებდნენ ცისფერი ტბები, ზღვაური ძალუმად ელამუნებოდა ტყეებით მკერდდახატულ მთებს, როგორც დღეს. არ იყო მხოლოდ მშვენიერი ქალაქები და სოფლები, ასევე მშვენიერი არსებებით, რომლებმაც დროთა განმავლობაში ადამიანის სახელი დაიმსახურეს. არ იყო ის სილალე და სიცოცხლის სიხარული, რაც ესოდენ ალამაზებს დღეს ადამიანთა ცხოვრებას; ყოველივე ამის მისაღწევად ადამიანთა მოდგმას მილიონი წელი დასჭირდა. მილიონი წლის წინათ კი...

...ამ კუთხის ყველაზე დიდი მდინარის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ ერთი ხეობა მოეწონა ადამიანთა პატარა ჯგუფს; ეს ხეობა ნაყოფის მომცემი ხეებით იყო დაფარული, ბუნებრივი გამოქვაბულებაც შედარებით დაცული ჩანდა საშიში მხეცებისაგან, რომელთა ყურისწამდები ბლავილი შიშის ზარს სცემდა უმშეო ადამიანებს, ხეობაში მორაკრაკებდა ცივი და ანკარა ნაკადული, ერთი

სიტყვით, უკეთეს საცხოვრებელ ადგილს ვერც იძურ-  
რებდა მაშინდელი გონიერი არსება.

ხეობის ჩრდილოეთ ფლატეზე ყველაზე საიმედო გა-  
მოქვაბული მონახეს, საღამოჟამს ათიოდე ქალი და მამა-  
კაცი იქ გადასახლდა, მკლავლონიერმა მამაკაცებმა მძიმე  
ბრტყელი ლოდით გამოქვაბულის შესასვლელი ამოქო-  
ლეს და გულდამშვიდებული იმით, რომ გამძვინვარე-  
ბული ნადირისაგან თავი საიმედოდ დაიცვა, ჩვენი წი-  
ნაპრების პატარა ჯგუფი მშვიდ ძილს მიეცა.

დილით, აღმოსავლეთი მტრედისფრად შეიღება თუ  
არა, მძიმე ლოდი გრუხუნით დაეცა გამოქვაბულის ყელ-  
თან. ჯგუფის ყველაზე ლონიერი და მარდი მამაკაცები  
ფრთხილად გამოფოფხდნენ სადგომიდან, შეათვალიერეს  
გარემო, ჩასაფრებული მხეცის საკბილო არ გავხდეთო  
და, როდესაც საჭიფათო ვერაფერი შენიშნეს, მდინარეზე  
ჩაირბინეს, ცივ ნაკადულში ჩაყვეს თავი და ხარბად სეეს  
თოვლის ნაური, მერე, როცა მზემაც ამოანათა, სინათ-  
ლით გულმოცემულებმა ტყის გაღმა მინდორს მიაშურეს.  
გუშინ აქ ირმების ჭოვი დალანდეს და საზრდოც ამ აღ-  
გილებში უნდა ეძებნათ. ერთი მონალირე იქვე მდინა-  
რესთან, ტყის პირას ჩასაფრდა, მეორე ტყის შუაგული-  
საკენ გაეშურა, ხოლო მესამემ ტყის განაპირას ზედ ხე-  
ვის პირას მოიკალათ.

დიდი ცდა არ დასჭირვებიათ; ირმებშია ფრუტუნ-  
ფრუტუნით მიაშურეს მდინარეს, კარგახანს იგრილებდ-  
ენ გულყელს ცივი წყლით, შემდეგ ფრთხილად დაუხო-  
სეს ჰაერი სხვადასხვა მხარეს და კუნტრუშით მიაშურეს  
მდინარის მეორე ნაპირზე ატეხილ ჭალას. ერთი ჭორბუ-  
ლა არ იძროდა მხოლოდ, კარგახანს ჩასცეროდა ნაკა-

დულის სარქეს, თითქოს საკუთარი ლამაზი რქების ცენტრით ტებებაო, მერე ამაყად შეარხია თავი, იქვე ამოყლორტილი ბალახი უხალისოდ წაკიქნა, თავი ზეცისაკენ აღაპყრო და გაბმული ყვირილი სიყვარულის პიმნივით შეაფრქვია ცარგვალს.

სხვა დროს, როცა შიმშილი არ აწუხებდა იქვე ჩასაფრებულ აღამიანს, ხშირად მოუსმენია ირმების ეს ვაბმული ლალადი, იცოდა, გულისსწორს მოუხმობდა მარტოშთენილი, და რაღაცნაირად თითონაც აჩქროლებია გული, მაგრამ ახლა რომანტიკის დრო არ აიყო, შიმშილმა ჯერ კიდევ შუალამით შეაწუხა, არც მისი ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ მთლად დალხენილნი; რიყის ქვით დაჩეჩქვილი ირმის ხორცი წარმოიდგინა და პირი ნერწყვით გაევსო, გაიხსენა თავისი პატარა ჯგუფის ყველაზე უსუსური არსებები, რომლებიც ახლა, ალპათ, დედის ძუძუს არიან ჩაფრენილნი, იმ დედებს კი ჭამა უნდათ.

უეცრად მოწყდა ადგილს და მთელი სისწრაფით გაექანა ირმის მიმართულებით; ქორბუდა თითქოს ამ ხიფათს ელოდაო, უმალ შეიკუმშა, კამარა შეკრა და ტყეს მისცა თავი. მდევარი მის კვალს მიჰყვა. საქმე სწორედ ისე მიდიოდა, როგორც სამივე მონადირემ დაგეგმა. ირემი შეორე ამხანაგის საფარისაკენ მიქროდა. კარგა ხანს სდია, ზოგჯერ თითქოს კვალი ეკარგებოდა, მაგრამ ხის ხმელი ტოტები, რომლებსაც ირმის რქები ეხეთქებოდა, ლაწანით ცვიოდა დაბლა და მდევარიც ამ ხმაურის დახმარებით უმალ. სწორებდა გამრუდებულ გეზს. ერთი პირობა ფორთხვით იარა ბუჩქებ ქვეშ, რადგან მაყვლისა და კურკანტელის ბუჩქებზე ზემოდან გადასვლა არც

თუ ისე ადვილი და უმტკივნეულო იყო: ეს არაერთხელ  
განუცდია ადრე. შემდეგ ვიწრო ხევის პირას შეჩერება  
მოუხდა, თვალით გაზომა მანძილი, მოუმზადებლად მას-  
ზე გადახტომა შეუძლებლად მიიჩნია, უკან დაიხია, გა-  
მოქანდა, დაჰკრა ფეხი ხევის პირს და მეორე მხარეს ამო-  
სულ ქაცვის ტოტებს ჩააფრინდა. ირემი უკვე შორს  
იყო წასული, მაგრამ ეს არ აფიქრებდა მდევარს, ძენ-  
ძულით მიჰყვა ნაკვალევს, იცოდა ჩქარა მეორე ამხანავი  
წამოუხტებოდა დაღლილ ნადირს და დასვენების საშუა-  
ლებას არ მისცემდა.

მართლაც, ჯერ ამხანავის გაბმული კივილი შემოესმა,  
შემდეგ მისი შიშველი ტანი დალანდა. მეორე მდევარს  
უფრო გაშლილ ველზე მოუხდა რბენა, ამას ირმისათვის  
თითქოს უპირატესობა უნდა მიეცა, მაგრამ დაღლამ უკ-  
ვე თავი აგრძნობინა ქორბუდას, თანდათან მცირდებო-  
და მანძილი შათს შორის; მდევარმა უცებ წინ მეხდაკ-  
რული, გარდიგარდმო წაქცეული მუხა შენიშნა, რომე-  
ლიც ადამიანის სიმაღლის წინაღობას ქმნიდა. ირემ-  
მა ინსტინქტურად მას მიაშურა, უკანასკნელი ძალა მოი-  
კრიბა, მოუმატა სისწრაფეს და ძლიერი ბიძგით  
გადაევლო მუხას. თუ მეც ასევე სწრაფად ვერ გადავივ-  
ლე მუხას, ყველაფერი წყალში გადაგვეყრება, მესამე  
მდევრამდე ველარ მივდენი ირემს, — გაუელვა უმალ  
მეორე მდევარს, მუხლებში უკანასკნელი ძალა ჩაიღვა-  
რა. მუხის ტანს მიახლოებულმა მძლავრად იქნია ხე-  
ლები და ზედ ისე გადაევლო, ხელ-ფეხი არ დაუკარებია.  
ორიოდ წუთს კიდევ სდია არაქათგამოცლილ საკბილოს,  
ბოლოს, როცა მესამე მდევარი წამოუხტა ირემს, რბე-  
ნა შეანელა და ძუნძულზე გადავიდა.

მესამე მდევარს უფრო სერიოზული დავალება უნდა შეისრულებინა — საბოლოოდ დასწეოდა ირემს და და-  
ემორჩილებინა. პირველი ამოცანა სწრაფად გადაწყვე-  
ტა, რაღაც ორიოდ წუთის შემდეგ წამოეწია ირემს. აქ  
კი დევნილი და, ერთის შეხედვით უმწეო ოთხეხი შემ-  
ტევ და გააფთრებულ არსებად იქცა. ორცა შეატყო,  
რომ გაქცევით თავის ვეღარ უშველიდა, უცებ შედგა,  
შემოტრიალდა, თავი მიწასთან მიიტანა და მდევრის  
რქებზე წამოსაგებად გაემზადა. მდევარი, რომელსაც უკ-  
ვე არაერთგზის ჰქონდა გამოცდილი რქოსან მხეცებთან  
ამ ფინალური ორთაბრძოლის სირთულე, გვერდზე გახ-  
ტა და ვიდრე ირემი ხელახლა დაემუქრებოდა რქებით,  
ზურგს უკან მოექცა. ერთი ნახტომიც და კისერში ჩაა-  
რინდა მსხვერპლს. ოვალის დახამძამებაში ცელივით მო-  
იქნია მარჯვენა ფეხი და ირემს წინა ფეხებში ისე მძლავ-  
რად გამოჰკრა სარმა, რომ ცხოველი მკერდითა და მუც-  
ლით დაეხეთქა მიწას. ირემი არ ნებდებოდა, მაგრამ ამა-  
სობაში მეორე მდევარი მოვარდა და განწირულ ცხო-  
ველს ზემოდან ჩააფრინდა; ცოტა ხნის შემდეგ პირველი  
მდევარიც გამოჩნდა ხელში ქვისაგან დამზადებული ნა-  
ჯახით.

იმ დღეს გამოქვაბულთან დიდხანს ისმოდა ირმის  
ხორცით პირჩაგემრიელებული და ბედით კმაყოფილი  
ადამიანების მხიარული გნიასი...

გავა ასიათასობით წელი და იმ ნაკადულს, რომლის  
ნაპირებზეც ზემოთ აღწერილი ნადირობის სცენა გა-  
თამაშდა, ქართველი ხალხი კავთურას შეარქმევს, ხეო-  
რაც იმავე სახელწოდებას მიიღებს; აქ გაჩნდება სოფ-  
ლები საკურთხეისი, პარატისი, წინარეხი, კავთისხევი;

აშენდება საქვეყნოდ ცნობილი ქვათახევის ეკლესია.  
მაღალაპიტიანთ კოშკი, დავით აღმაშენებელი 1121 წელს გა-  
მარჯვებით დააგვირგვინებს გენერალურ ბრძოლას კა-  
თურას თავზე გადმომდგარ დიდგორის მთასთან, ერთ-  
სიტყვით, ეს ხეობა ისტორიას შემორჩება, მოიგონებენ  
აქ გადახდილი ბრძოლების გმირებს, ტაძოებისა და ცე-  
სესიმაგრეების აღმმართველებს, ლავრის მონასტრების  
პომხატავებს. მაგრამ ის პირველი მონადირენი, რომ ლე-  
მაც ფაქტიურად ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩაუყირეს  
საფუძველი გვაროვნულ საზოგადოებას, ისტორიის მაღ-  
მა რჩებიან. ჩვენმა უპრეტენზიო წინაპრებმა ხომ იმდე-  
ნი მატერიალური კულტურის ნიმუშები დაგვიტოვეს,  
რომ მისი შემსწავლელი მეცნიერების წარმომადგენლები  
დღეს ამოუწურავი სამუშაო გაუჩნდათ. ამ სამუშაოს ერ-  
თი ნაწილი ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტო-  
რიკოსების წილადაც მოდის. თავად განსაჭერ, ჩვენ  
შეიძლება წინაპრების მთელი შრომითი პროცესი ხომ  
ფიზიკური ვარჯიშობების მსგავსი მოძრაობების ერთიან  
კომპლექსს წარმოადგენდა?!

მოდით, ისევ ალვიდგინოთ კავთურას ხეობაში ირემზე  
ნადირობის სურათი და გავიხსენოთ — რა მოძრაობები  
შეასრულეს ჩვენმა წინაპრებმა. ესენია: ირმის დევნის  
დასაწყისში სწრაფი რბენა, დღეს რომ სპრინტერულ  
ვუწოდებთ, შემდეგ კი, როცა მომდევნო მდევარი აგრ-  
ძელებდა სპრინტერულ რბენას, წინა მდევარი გადადგი-  
და რბენაზე, რომელსაც დღეს სტაიერულს ვუწოდებთ.  
შესრულდა სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, კიდაობის  
მაგვარი ორთაბრძოლა, რაც ერთმა მონადირემ სარმითაც  
დააგვირგვინა.

ჩვენი ქვეყნის განსხვავებული ლანდშაფტი და მიმდებარები, ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელთა თავი-სებურება სხვადასხვა ადგილზე ერთმანეთისაგან განსხვავებული მოძრაობების. შესრულებას ითხოვდა. არავითარ შემთხვევაში ჩვენი ფანტაზია არ იქნება მოწყვეტილი რეალურ საფუძველს, თუ ასეთ სურათს წარმოვიდგენთ: კავკასიონის ერთ-ერთ პატარა ხეობაში, რომელსაც შემღებ ხალხი ილტოს ხეობად მონათლავს, ადამიანებმა გარეული ღორების ხელში ჩაგდების ახალ ხერხს მიაგნეს. დაამტკრიეს ხის სქელი ტოტები, ბოლოები წაუშევეტეს და ღრმა ორმო ამოთხარეს, შემდეგ, ღრმების მისატყუებლად, შიგ მუხიდან ჩამოკრეფილი რეო ჩაყარეს და ზემოდან ხის ტოტები წააფარეს. შუალაშისას მაღალ მუხაზე ჩასაფრებულ მონადირეებს გარეული ღორის (თუმცა მაშინ შინაური არც იყო) ავი ხრიალი შემოესმათ. მიზნის ერთი ნაწილი მიღწეული იყო, ღორი თავისი გოჭებით ორმოში მოექცა. დაელოდნენ გათენებას, ფრთხილად ჩამოვიდნენ მუხიდან, გადასწიეს ტოტები და სიამოვნებით გადახედეს ერთმანეთს. ორმოს კედლებს დედალ-მამალი ღორი და მათი თავამდე გოჭი აწყდებოდა. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ნახევარი იყო: ძონადირეებმა კარგად იცოდნენ, რას ნიშნავდა ტანის კაფთრება. ვინ იცის, რამდენი მათი თანამოძმე გაუფატრავს ბასრი ეშვებით. არ შეიძლებოდა დაშვებული შეცდომის გამოორება. ორმა მათგანმა მოიტანა მოზრდილი ქვები და შორიდან დაუშინეს ტახს. დანარჩენებმა ქვის ნაჯახებით გამოჩორქნილი სარები ტყორცნეს ზურგაგარას და სიცოცხლეს გამოასალმეს.

ალბათ ხვდებით, რომ იმ მომენტში ჩვენმა შინაპრებმა

დაახლოებით ის მოძრაობები შეასრულეს, რასაც შედგენ  
ბირთვის მკვრელი და შუბის მტყორცნელი ასრულებს.

• სწორედ იმ დროს, როცა კავთურასა და ილტოს ხე-  
ობაში მონადირენი ირმებსა და ტახებს უმართავდნენ  
ორთაბრძოლას, ქვეყნის შეგნით, დღევანდელი ზემომე-  
რეთის ტერიტორიაზე, ყვირილას ხეობაში, უზარმაზარი  
პანტის ხეს ორი ახალგაზრდა მისდგომოდა. პანტის ნა-  
ყოფი ყვითლად ღვიოდა. ქვით დაჩეჩქვილი ხორცის შემ-  
დეგ ყელის ჩაკოკლოზინება განუზრახავთ ამ ადგილის  
მკვიდრთ. ერთი მათგანი ცოცვით აჰყვა პანტის ტანს,  
მეორე კი უფრო სულწასული გამოდგა, პანტის ტოტს  
მასწვდა, ხელებზე აიწია, შემდეგ ფეხებით დაებჯინა  
ზედ და ტოტზე შემოჯდა. აქედან მეორე ტოტზე შეხტა,  
ისევ აიწია ხელებზე და იმავე ხერხის რამდენიმეჭერ გან-  
მეორებით უზარმაზარ ხეს კენჭეროზე მოექცა.

ამ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ისეთ მოძრაობებთან,  
რომლებსაც დღეს ხშირად ასრულებენ ჩვენი ტანმოვარ-  
ჯიშები ლატანზე და ტანვარჯიშულ ღერძზე; დიახ, ცო-  
ცვისა და ასწრაფის ტიპის ვარჯიშების დახმარებით შე-  
ძლეს ახალგაზრდებმა მწიფე პანტით პირის ჩაგემრიუ-  
ლება.

უფრო ქვემოთ, იმ ველ-მინდვრებზე, რომლებიც  
შემდეგში კოლხეთის სახელწოდებით გაიცნო მსოფლიომ,  
თევზის ჭერაში დახელოვნდნენ აღამიანები; ანკესი და ბა-  
დე ჯერ კიდევ არ ავსებდა თემური წყობილების აღა-  
მიანის იარაღის არსენალს, და კოლხთა წინაპრები მხო-  
ლოდ სწრაფ ცურვასა და ყვინთვაზე ამყარებდნენ  
იმედს (ამ შემთხვევაში ნუ დაგვათიქრებს საეჭვო კა-  
თხვა: განა ასე მასობრივად იცოდნენ ჩვენმა კოლხმა

წინაპრებმა ცურვა? სპორტის ამ რთული სახის დაუფლება ხომ გარკვეულ დროსა და სწავლების მეთოდების — და თუნდაც პრიმიტიულის — არსებობას მოითხოვს? ჩვენი დაეჭვება უმაღლ გაქრება, თუ გავიხსენებთ ერთ ჭეშმარიტებას: იშვიათია ჩვენს პლანეტაზე ისეთი ცხოველი, რომელიც დაბადებიდანვე, ან დაბადებიდან ცოტა ხნის შემდეგ არ ცურავდეს. დიახ, ცურვის ჩვევა მათ თითქოს დედის მუცლიდან დაპყვებათ ხოლმე. იგივე ჩვევა დღეს გააჩნიათ ადამიანებსაც, მაგრამ გასაკვირი ნუ იქნება თუ ვიტყვით, რომ მათ სწორედ ადამიანის დონემდე ამაღლება უშლით ხელს იმაში, რომ დაიწყონ ცურვა წყალში პირველი მოხვედრისთანავე, ყოყველგვარი სწავლების გარეშე. აქედან თავისთავად მომდინარეობს დასკვნა, რომ ადამიანი რაც უფრო ახლოს იდგა ცხოველურ მდგომარეობასთან, მით უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს წყლის სტიქიაში).

ცხადია, კავთურას, ილტოს, ყვირილას ხეობებისა და კოლხეთის მკვიდრთა მაგალითი არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ვილაპარაკოთ ამ ადგილებში რბენის, ხტომის, ტყორცნების, ცოცვის, ტანვარჯიშის, ცურვის, როგორც სპორტის სახეობების გავრცელებაზე. რბენა და ხტომები კავთურას ხეობაში, ტყორცნები ილტოს ნაპირებზე, ტანვარჯიშული მოძრაობა ყვირილას ხეობაში, ცურვა კოლხეთში სულაც არ შესრულებულა წმინდა სპორტული ინტერესით. ამ მოძრაობათა არცერთ შემსრულებელს მაშინ არც უფიქრია იმ სიკეთეზე, რასაც ფიზიკური ვარჯიშობა იძლევა, არცერთ მათგანს არ უოცნებია ფართო მხარ-ბეჭვზე, დაკუნთულ მკერდზე, ორგანიზმის ფუნქციონალური ძვრების მდგრადობაზე, არც

ერთ მათგანს არ უნატრია ყოფილიყო სხვაზე უფრო კარგი გი მორბენალი, მოხტუნავე მხოლოდ იმიტომ, არა ეს საქვეყნო სახელსა და დიდებას მოუხვეჭდა.

ფიზიკური ვარჯიშობა მხოლოდ დღევანდელი გაეხმარი წარმოადგენს წინასწარ გააზრებულ და დაგეგმილ მოქმედებას, რომელსაც უსახავენ. მრავალგვარ მიზანს — კან-მრთელობის განმტკიცების, სასარგებლო ფიზიკური თვისებების განვითარებისა და სპორტული ოსტატობის ამაღლების თვალსაზრისით.

ყოველგვარი მოძრაობა — რბენა იქნებოდა იგი, ტყორცნა თუ ცურვა, პირველ რიგში და უპირველეს ყოველისა იყო ფიზიკური შრომა, დედამიშის პირველყოფილი მკვიდრის შრომითი პროცესის განუყოფელი და მთავარი კომპონენტი. მაგრამ ჩვენი წინაპრების (ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყნის უძველესი მცხოვრებლების) მიერ შესრულებული მოძრაობები მიახლოებით მაინც იძლეოდნენ იმ თვისებებს — ძალას, სიმარჯვეს, მოქნილობას, სისწრაფეს, — რასაც სპორტული მოქმედება აძლევს დღევანდელ მოვარჯიშეს; ესე იგი, თუ პირველყოფილი ადამიანის მოძრაობებს მაინც ფიზიკურ ვარჯიშად ვნათლავთ, ეს ტერმინი რამდენადმე პირობითია.

მაგრამ გავა არც ისე დიდი დრო, და თემური საზოგადოების მკვიდრთა „ფიზკულტურულ მოძრაობაში“ მოხდება ისეთი ძვრები, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო თამამად დავასახელოთ ყველა ეს მოძრაობა, როგორც ფიზიკური ვარჯიშობა. საკითხის ნათელსაყოფად ისევ ძველ კოლხეთს ვერვიოთ. თუ ადრე რიონისა და ზღვის ნაპირებზე მცხოვრები წყალში გადაეშვებოდნენ უმთა-

ვრესად მაშინ, როცა თევზის შეამჩნევდნენ, ე. ი. ნადიროვანი  
ბას შეუდგებოდნენ ხოლმე ყოველგვარი წინასწარი მო-  
ნადების გარეშე, ახლა მათი მოქმედება უფრო გამიზ-  
ნული გახდა. ისინი მიხვდნენ (პირველ რიგში, ცხოვრე-  
ბისეული გამოცდილების ნიადაგზე), რომ თევზზე  
ნადირობა უფრო შედეგიანია იმ შემთხვევაში, თუ უფ-  
რო ხშირად მოუხდებათ წყალში ჩასვლა და ცურვა, მი-  
ხვდნენ, რომ უნდა იცურაონ არა მარტო მაშინ, როცა  
უშუალოდ დატელევნებიან საკბილოს, არამედ მაშინაც,  
როცა თევზი არსად ჩანს; დარწმუნდნენ, რომ რაც უფ-  
რო მეტჯერ ჩავლენ წყალში, იცურავებენ და გაიწაფე-  
ბიან, მით უფრო გაუადვილდებათ თევზის მოპოვება მო-  
მდევნო დღეებში და უფრო კმაყოფილი დარჩება ოჭახი,  
გვარი, სოფელი. იმავე დასკვნამდე მივიდნენ ის მონა-  
დირენი, რომლებიც ცხოველთა დასამორჩილებლად უმე-  
ტესად იყენებდნენ რბენას, ტყორცნებს, უშუალო თრ-  
თაბრძოლებს.

დროთა განმავლობაში ადამიანები ნადირობის წარმა-  
ტებით დაგვირგვინებისათვის კიდევ ერთ საშუალებას  
პოულობენ. მასობრივ და ჯგუფურ ნადირობას, ასევე  
მასობრივი და ჯგუფური ვარჯიშობა ესაჭიროებოდა.  
ვარჯიშობა-წვრთნის აუცილებლობა, როგორც უკვე აღ-  
ვნიშნეთ, თვით ცხოვრებამ დაანახვა ადამიანებს, მაგრამ  
მათ ისიც შეამჩნიეს, რომ ეს ვარჯიშობა იყო უსისტემო  
და ამდენად, ნაკლები შედეგის შომტანი. და აქაც ცხოვ-  
რებამ ასწავლა ადამიანებს — ჩაეტარებინათ ჯგუფური  
ვარჯიშობა დღის გარკვეულ დროს, გარკვეული ხანგრ-  
ძლივობით, ხოლო ამ ახალი საქმიანობით უფრო მეტად  
რომ დაეინტერესებინათ მცხოვრებნი, განსაკუთრებით

კი ახალგაზრდობა, წესად შემოიღეს შეჯიბრებები, მლებიც გამოავლენდნენ სოფელში თუ გვარში უკეთეს მორბენალს, მტყორცნელს, მოხტუნავეს, მოცურავეს, ე. ი. უკეთეს მონადირეს. ეს ყველაფერი (ვარჯიშობა და შეჯიბრებები, რაც უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა) უკვე თანამედროვე ფიზიკური კულტურისა და სპორტის საწყისებს წარმოადგენდა.

გადის კიდევ ღრო და დედამიწის სხვადასხვა კუთხე-ზი, და მასთან, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზეც, ადამიანები ქმნიან საბრძოლო იარაღს, რომელმაც თავისებური რევოლუცია მოახდინა საჭარმოო ძალთა განვითარებაში, და ამ რევოლუციის გამოძახილმა ფიზკულტურულ მოძრაობასაც უწია. ეს იყო მშვილდი და ისარი, რომელიც გვაროვნულ საზოგადოებაში შეიქმნა და თავისი მრავლისმეტყველი ეფექტურობის წყალობით მხოლოდ ახლახან, სულ რაღაც ორიოდ საუკუნის წინათ დაკარგა წამყვანი როლი საბრძოლო მოქმედებაში, ზოგიერთ ხალხებში კი დღესაც მთავარ მრისხანე იარაღიდ რჩება.

ძნელია მოიძებნოს მსოფლიოს ხალხებს შორის ძეთი, რომელსაც მშვილდისრის რაღაც თავისებური ვარიანტი არ გააჩნდეს. ყველა ხალხის ამ მოღერნიზებულ იარაღს პქონდა რაღაც თავისებური, რაც ამ ხალხის ცხოვრებისეული პირობებით, შესაძლებლობებითა და ტექნიკური აზროვნების დონით იყო განპირობებული. ის კი არა, ზოგ ქვეყანაში ცალკეულ კუთხეებსაც კამათების მისთვის დამახასიათებელი ვარიანტი გააჩნდა.

მრავალსახოვანი ყოფილა ქართველი ხალხის წინააღმდეგ  
პრეზიდენტის მიერ შექმნილი მშვილდი და ისარი. მათზე ღირს  
ორიოდ სიტყვის თქმა თუნდაც იმიტომ, რომ მშვილდ-  
ისართან მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული ხალ-  
ხური სპორტის ისეთი სახეობანი, როგორიცაა ნადირო-  
ბა, ყაბახი და თავად ისრის მიზანში ტყორცნა. ყველა-  
ფერს თავი რომ გავანებოთ, მშვილდისარი წარმოადგენ-  
და ქართველთა შეიარაღების ერთ-ერთ ძირითად კომ-  
პონენტს.

მოვუსმინოთ საბას. „ისარი, — განმარტავს იგი თავის ლექსიკონში, — ზოგადი სახელი არს ყოველთა ისართად. ხოლო განიყოფებიან სხუა და სხუად სახეობითა... ზომიერი ისარი, ფრთე მობრტყე და პირმობრტყე არს სარჩა. მისგან უგრძესი, პირ დიდი და ფრთე მაღალი არს ჭეიბური. ისარი სარჩის მსგავსი და პირგანპებული, მომცრო არს ჭიბურჯი. ისარი ჭეიბურის მსგავსი, პირ დიდი და განპებული არს ბორბალი. ისარი სარჩის ტოლი, სამ ფრთოსანი, უპირო, წვერმრგვალი, არს ჯოდალი. ყოდლისა უგრძესი წვერმწვეტი, ჯვარედინად ჩეირ დასმული არს ლრჯა. ფრთე მაღალი, გრძელი, გრძალ შემობმული არს სეფქა. უფრთო, უპირო ისარი არს გეზი. სამალი არს ლარი რკინისა სატყორცებელი და ისარი მტკაველზედ მეტი მის ლარით სასროლი, სხუანიც რამ ისარნი არიან, რომელსამე ბორბლად უწოდებენ და სხუასა და სხუასა. ხოლო ყრმათა ისარცუდასა — წინწკირელა“. საბა ყივჩალებისა და თურქების ისარსაც ახსენებს და მას საყალნოს უწოდებს. ჩნდება აგრეთვე კონკრეტული მოქმედების გამომხატველი სახელები — მშვილდვა („მშვილდის ხმარე-

## 2. o. Ծօծածց

K 65.793  
2

ბა“), მშვილდი („ისრის სატყორცებელი“), მშვილდისა, ნი („მშვილდ მქონებელი და მცოდნე მოისარი“).

ჰელავთ, რამდენნაირი ისარი ესაჭიროებოდა ქართველ კაცს? ბუნებრივია, ყველა ზემოჩამოთვლილ ისარი თავისი დანიშნულება გააჩნდა. ზოგი დიდ მხეცზე სანადიროდ მზადდებოდა, ზოგი უფრო ფრინველზე სატყორცნელად იყო მოსახერხებელი; ავთანდილს ალბათ სწორედ ასეთი ისარი გამოაღვა. ხომ გახსოვთ ერთი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“:

„მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გარდმოფრინდა; ყმამან ცხენით შეუტივა, გაამაყდა, არ შეშინდა, შესტყორცა და ჩამოაგდო, დაეცა და სისხლი სდინდა. გარდახდა და ფრთენი დააჭრა, წყნარად შეჭდა, არ აქშინდა“.

ალბათ ხვდებით რატომ დააჭრა ორბს ფრთები ავთანდილმა. ისინი ისევ ისრების დასამზადებლად დასჭირდებოდა. ღსრის დამზადება ყველა მებრძოლს უნდა სცოდნოდა. მათთვის ალბათ სავალდებულო იყო კარგად გარკვევა ისრის სხვადასხვა ვარიანტებში და მათი მარაგის შექმნა. მომმარაგებელი კი, პირველ ყოვლისა თვით უნდა ყოფილიყო; საძრახისი იყო სიზარმაცე, მოუხერხებლობა და უგერგილობა ამ საქმეში. „ისარი სხვილი და გრძელი, ხელთ არ დადება უბისა, ვისცა არა აქვა, უზრახვენ, სხვამან სხვას მიუუბნისა“, — ამბობს არჩილი ერთ დამრიგებლურ ნაწარმოებში და ხაზს უსვამს იგარემოებას, რომ ასეთი კაცის საქციელი სალაპარაკო გახდება, „სხვამან სხვას მიუუბნოსაო“. ხოლო თუ ასეთ უსიამოვნება თავიდან სურს აიცილოს, მან კარგად უნდიცოდეს

„ისრის თლა, სწორად გამართება, გაქლიბება, სეფქის გაწყობა, მშვილდის ჩაგდება, ყულუკი, ქარქაშის კარგად ჩაწყობა, არც შორი შორ და არც სულა ახლო ერთმანერთს მიწყობა“.

ამ მოთხოვნათა სიმკაცრე, პირველ ყოვლისა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ინტერესებით იყო ნაკარნახევი. თუ ფრინველებზე სანადიროდ დამზადებული ისარი შემოაკლდებოდა მონადირეს, ამით ქვეყანა არ დაიქცეოდა, მაგრამ ბრძოლაში ისრის შემოკლება საბედისწერო შედეგს მოიტანდა. მართალია, ზოგი ისტორიული ცნობის თანახმად ისარსა და სხვა საჭურველს სპეციალური საზიდრებით აწვდიდნენ მებრძოლებს (მაგალითად, 914 წელს არაბი დამპყრობლების სარდალმა აბულ-კასიმმა ცნობილი ყველის ციხის ალყის დროს 28 დღის განმავლობაში 100-აქლემი შუბი და ისარი დახარჯა), მაგრამ ამ შემთხვევაში უმთავრესად ყველა მებრძოლი თავის თავს პატრონობდა. ისინი წინასწარ ამზადებდნენ მომავალ ბრძოლებში გამოსაყენებელ მშვილდსა და ისრებს.

როგორი იყო წინათ ქართველური ტომების მშვილდისარი? ქსენოფონტე გვამცნობს: ქართველები (კონკრეტულად — კარდუხების ტომი, ა. ც.) „საუცხოო მშვილდოსნები იყვნენ; მათი მშვილდები სიგრძით თოთქმის სამ არშინს აღწევდა, ხოლო ისრები ორ არშინზე მეტი იყო. როდესაც ისინი ტყორცნიდნენ, საბელის მოკიმვისას მარცხენა ფეხს მშვილდის ქვედა ბოლოს აღგამდნენ. მათი ისრები ფარსა და ჭავშანს ხვრეტდა“. კითხულობ ამ ცნობას და რაღაცნაირად ყურს ესმის უკიდურესად დაჭიმული მშვილდიდან გატყორცნილი ისრის ზუილი და უღრიალი ფარ-შიმშერისა, რომელიც კარდუ-

ხის ისარმა შელეწა. თვალს სწყურია იხილოს ვინმეცად  
ველესი ჩანახატი ან ქვაზე ამოკვეთილი ბარელიეფი,  
სადაც აღბეჭდილი იქნებოდა კაცის ტანზე უმაღლესი  
შვილდი, მარცხენა ფეხით მიწაში ჩამაგრებული, რათა  
მიზანში უკეთ ამოეღოთ მომხდური. არ შემოგვინახა ის-  
ტორიამ ასეთი უნიკალური დოკუმენტი, თუმცა მოისარ-  
ნი და სხვადასხვა ვარიანტის მშვილდები მრავლად  
შვედება ძველ ჩანახატებში. ყველაზე უძველესი მათს  
შორის მაინც უნდა იყოს ჯავახეთის კლდეებზე პირველ-  
ყოფილი .ადამიანის მინახატი (პეტროგრაფი), რომ-  
ლებიც მშვილდისრით ნადირობის სცენასაც ასახა-  
ვენ, თრიალეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი ქამრის ბრინ-  
ჯაოს ბალთა, რომელზეც საქმაოდ ოსტატურადაა გამო-  
კვეთილი მშვილდისრით შეიარაღებული მონადირე და  
რამოდენიმე დამფრთხალი ირემი. ამ უნიკალური ნაპოვ-  
ნის ასაკი ორიათხისი წელია. მაგრამ მიუხედავად ამ ძვირ-  
ფასი მონაპოვრებისა, კაცს მაინც წყურია თავად შეეხოს  
ქართულ მშვილდს, რომელიც ჩვენს წინაპარს ეპყრა  
ხელთ. სამწუხარო ფაქტია, რომ იმ პერიოდის არცერთი  
მშვილდი და ისრის ლერო არ შემოგვრჩენია. მოვუსმი-  
ნოთ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს: „მაშინდელ იარაღ-  
თა შორის, რასაკვირველია, მთავარი ადგილი უნდა  
მშვილდ-ისარს სჭეროდა. საფლავებში არსად ეს იარა-  
ღი აღმოჩენილი არ არის, რადგან ხე დროთა განმავლო-  
ბაში ადვილად ფუტუროვდება და მტვრად იქცევა ხოლ-  
მე, მაგრამ მშვილდისარი და მშვილდოსანი გამოხატუ-  
ლია მაშინდელ ბრინჯაოს სარტყელზე და ამით მისი არ-  
სებობა აუცილებლად შტკიცდება. ისრებს ტალის ანა-  
ხეთქი და ლითონის წვერები ჰქონდა, რომლებიც

სამარეებში ბლომად მოიპოვება. მშვილდი იმდენად და დი უოფილა, რომ ადამიანის სიმაღლეს სჭარბობდა და სამად მოხრილი და კიდურებ გადახრილი მსხვილი მშვილდისაგან და შედარებით წვრილი საბელისაგან შეს-დგებოდა“.

და-ასე, მოყოლებული გვაროვნული საზოგადოებიდან ქართველ კაცს ხელიდან არ გაუშვია მშვილდისარი, ვარ-ჯიშობდა დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი (მოისარ და, საერთოდ, ფიზიკურ აღზრდაში კარგად გაწვრთნილ ქა-ლებზე ჩვენი ისტორია იმდენად დუმს, რომ თანამედროვე სპორტის ისტორიკოსთა ერთი ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას საქართველოში ქალთა ფიზიკური აღზრდის ერთიანი სისტემის არარსებობის შესახებ; ამორძალები, ეს საიდუმლოებით მოსილი არსებები, მათზე შეთხხული ლამაზი ლეგენდები შიგვანიშნებენ მხოლოდ თავგამოდებით, რომ მამაკაცთა მოძულე ქალთა ამ საზოგადოებაში მშვილდისარი საწინააღმდეგო სქესზე გაბატონების უპირველესი იარაღთაგანი იყო. უფრო მეტი. ლეგენდის მიხედვით, ამორძალები მშვილდოსნობაში დაოსტატებით იმდენად იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ცალ ძუძუსაც კი სწირავდნენ ამ საქმეს, ძირში იჭრიდნენ მას, რათა საბელის მძლავრად დაჭიმვისას ძუძუს ხელი არ შეეშალა, და უკეთ ამოელოთ მიზანში საძულველი მამაკაცები. საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ამორძალები, — და ეს ლეგენდაც იმიტომ გავიხსენე), სრულ სიბერემდე. აკი კითხულობს კიდეც მეფე-პოეტი არჩილი: „დაბერდი და თვალთ დაგაკლდა, მშვილდისარსა რად არ დასდებ?“ და თვითვე პასუხობს: „სიბრძნე არის სამუდამო, სიკვდილამდინ ვერ გააგდებ“. დახელოვ-

ნება მშვილდოსნობაში შემდგომში ყოველთვის ითვლება ბოდა. კარგული ზნედ, ქართველი მებრძოლის სამხედრო-ფიზიკური მომზადების საუკეთესო საშუალებად.

რადგან ქართულ მშვილდისარზეა საუბარი, მოდით, ცოტათი გადავცდეთ გვაროვნული წყობილების. საზღვრებს და გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი. საქართველოს ისტორიიდან, რომელიც კარგად მეტყველებს იმაზე, თუ გვაროვნული საზოგადოების წიაღში შექმნილი ეს იარაღი როგორ შემართეს ჩვენმა წინაპრებმა ისეთი მრის-სანე მტრის წინააღმდეგ, როგორიც რომალები იყვნენ.

...მისი სახელი დღეს უცნობია, მაშინ კი ყველა იცნობდა არაგვის ხეობაში. ჯერ წვერ-ულვაში არ დაემშვენებინა, თხუთმეტი წელი ის-ის იყო შეუსრულდა, მაგრამ ყველას აოცებდა სამამაცო ზნეთა საუკეთესო ცოდნით, იყო უბადლო ცხენოსანი, არაერთხელ გაუმარჯვნია დოლში, ფარიკაობაშიც არავის უდებდა ტოლს, მაგრამ მშვილდოსნობა მისი სამხედრო-ფიზიკური მომზადების გვირგვინს წარმოადგენდა. მისი ნატყორცნი ისარი წამში სიცოცხლეს ასალმებდა მკერდგაპობილ ნადირს. სჭრედ ნადირობის დროს შეატყობინეს — რომის თავხედი მბრძანებელი პომპეუსი შიდა ქართლს არ სჭერდება, არაგვზე გადასკვლას აპირებსო, და. სასწრაფოდ უხმეს ზაღენციხეში გამაგრებულ არტაგ მეფესთან. მოისარება რაზმის. წინამძღოლობა და არაგვგაღმა დარჩენილი ქართველი ჯარის ერთი ნაწილის დახმარება დაავალეს.

ღამით გადავიდნენ არაგვის მარჯვენა ნაპირზე, გადასვლისთანავე შეუდგნენ დავალების შესრულებას: მდინარის პირზე ატეხილ ტყეში უზარმაზარი მუხის ხეები შეარჩიეს და ზედ მოკალათდნენ ისე, რომ მიღამოს კარ-



გად ჭვრეტა შეძლებოდათ. უთენია შემოესმათ უცხო ლიტერატურა  
პარაკი. იოლ გამარჯვებებს მიჩვეული რომაელები თამა-  
მად მოედვნენ ტყეს და ყოველ ბუჩქს დაუწყეს ჩხრექა,  
როგორც ჩანს, არმიის ძირითადი დამკვრელი ძალისათ-  
ვის მდინარის გადასალახავ უხილათო პლაცდარმს ეძებ-  
დნენ. სწორედ ამ დროს გაისმა ქართველი ჭაბუკის ნიშა-  
ნი — ჭოტის კივილი, და დილის პაერი ასამდე ისრის  
ზრიალმა შეაურულა; ერთდროულად ამდენივე რომაე-  
ლი მოცელილივით ჩაიკეცა. მეორე ტყორცნამაც წარმა-  
ტება მოუტანა ქართველთა რაზმს. ახლა კი იკადრეს  
დამპყრობლებმა ტყის დატოვება. იქვე, ლართისკარის  
ხეობაში ჩასაფრებული ლეგიონი იხმეს და ტყეს ალყა  
შემოარტყეს.

სხვა გამოსავალი არ იყო, ტყეში სწრაფად უნდა შე-  
ვარდნილიყვნენ და შუბებით გასწორებოდნენ ხის ტო-  
ტებზე მოკალათებულ ქართველ მებრძოლებს. ამაო ალ-  
მოჩნდა მათი ცდა. ხშირ ტყეში არც ისე ადვილი გამოდ-  
გა გრძელი რომაული შუბის გამოყენება, მისი ტყორცნა  
ხის კენწეროებისაკენ. ამასთან, ქართველთა ისრები ხან  
აქ ჩააჩოქებდა რომაელ მებრძოლებს, ხან იქ. ამაყმა რო-  
მაელებმა მაინც არ იკადრეს ტყის დატოვება, უფრო  
სწორად, გაიანგარიშეს, რომ ხის კენწეროებზე არც ისე  
ბევრი მებრძოლის მოკალათება შეიძლებოდა. ამით გა-  
გულისებულებმა ნაჯახები მოიმარჯვეს და, სხვაფრივ  
რომ ვერაფერი მოუხერხეს ქვეყნის თავგანწირულ. დამ-  
ცველებს, ხეების მოჭრა და წამოქცევა გადაწყვიტეს.  
ადვილი წარმოსადგენია სურათი, რაც ამ დროს დატრი-  
ალდებოდა არაგვის პირზე ტყეში. რომაელები გამაღებუ-  
ლი მუშაობენ ნაჯახებით, თან ხის უზარმაზარ ტანს იყე-

წებენ საფარად, ქართველები კი ოოტიდან ოორუ  
გადადიან, რათა უკეთ ამოილონ ნიშანში ნაგახმოსა  
ჯვებული მტრები.

რიცხობრივმა სიჭარბემ თავისი გაიტანა; ხეები ეხე-  
თქებოდნენ მიწას, ქართველი მებრძოლები ან ხის ქვეშ  
ყვებოდნენ, ანდა ზემოდან დაცემულებს, დასახიჩრებულ-  
დაოსებულებს რომაელები უღებდნენ ბოლოს ნაგანე-  
ბითა და შუბებით.

და როდესაც მხოლოდ ერთი ხე-ლა დარჩათ ზედ  
მდგარი ქართველი მოისარით, რომაელთა რაზმის წი-  
ნამძღოლმა ბრძანება გასცა შეჩერებულიყვნენ. მან აშეა-  
რად შეამჩნია ხეზე შერჩენილი ქართველის პირისახე,  
ჯერ უულვაშო და უწვერული, თხუთმეტიოდე წლის თუ  
იქნებოდა ჭაბუკი. რომაელმა ქართველთა რაზმის ხელ-  
მძღვანელის ცოცხლად ხელში ჩაგდება და პომპეუსთან  
მიგვრა ბრძანა. უმალ გაჩნდა ხის გარშემო შეჯავშნულ  
ლეგიონერთა წრე. მუხის მაღალ ტოტზე კი იდგა ქართვე-  
ლი ჭაბუკი, მშვილდითა და ერთადერთი ისრით ხელში.  
სროლას აზრი აღარ ჰქონდა, რომელ ერთს გასწვდებო-  
და მისი ერთი ქეიიბური — საგანგებოდ დამზადებული  
ქართული ისარი?!

რომაელმა ქვემოდან შესძახა, ჩამოდი, სიცოცხლეს  
გაჩუქებთო. ქართველ მოისართა წინამძღოლმა მხოლოდ  
ოდნავი გალიმებით უპასუხა ამ ბრძანებას. შედარებით  
გულადმა მებრძოლებმა ხეზე ასვლა გადაწყვიტეს, მაგ-  
რამ წინამძღოლმა უარყო მათი განზრახვა, ეგ ისეთი ვინ-  
მე ჩანს, ცოცხლად ტყვედ ჩავარდნას სიკვდილს ამჯო-  
ბინებს და ხის კენწეროდან დაბლა გადმოეშვებაო. მცი-  
რე თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს მოეჭრათ ხე,



ოლონდ იმ მხარეს, საითაც ხის წაჭლევა იყო მოსალოდნელი, ნელი, სქლად მოაფინეს მინდვრიდან მოზიდული თივა. ამასთან, თითოეულმა მებრძოლმა მიიღო სასტიკი გაფრთხილება, რომ იმ შემთხვევაში თუ ქართველი ჭაბუკი ხიდან გადმოხტებოდა, მზად ყოფილიყვნენ და სიკვდილის უკანასკნელი შანსიც მოესპოთ მისთვის.

ისევ ამუშავდა ნაჯახები, ჩქარა მუხა ნელ-ნელა გადაიზნიქა ერთ მხარეს და თივის სქელ ფენაზე დაეცა. ჭაბუკი მშვიდობიანად დაეშვა, ეს იყო მხოლოდ, ძირს დაშვებისა დროს ისარი გაუსხლტა ხელიდან და მისგან ხუთიოდ ნაბიჯზე დაეცა. რომაელთა თავკაცმა ხელის აწევით ანიშნა დანარჩენებს, არ დაიძრათ, მისი დამორჩილება და გათოკვა მე უნდა დავაგვირგვინოო. აქ თავი იჩინა სამხედრო ცხოვრების ფსიქოლოგიის ერთმა დეტალმა, რაც არაერთხელ გამომეღავნებულა უმთავრესად დამპყრობლური არმიების ქედმალალ სარდალთა მოქმედებაში. რომაელმა გადაწყვიტა თავისი მებრძოლების თვალწინ ტანზე გაეხადა ამ პირტიტველა ბიჭუნასათვის და გაელასა ისე, როგორც მამა სცემს ხოლმე ჯოხით ცელქ და გაუგონარ შვილს. შორს იყო გამიზნული რომაელის მიერ დაგეგმილი ეს სცენა. ხედავთ, რა ხდება, — ეტყოდა იგი ამით რომაელ მებრძოლებს, — ძალაგამოლეულ ქართველებს ბავშვები-ლა გამოყავთ ბრძოლის ველზე, და გარდა ამისა, ჩვენ, რომაელები, რომლებიც მსოფლიოზე საბატონოდ ვართ მოწოდებულნი, აღმზრდელების როლშიც უნდა მოვევლინოთ კაცობრიობას. ამ პატარას წკეპლით ავუჭრელებ უკანალს და თავის მეფესთან გავგზავნი, დაე, უამბოს თავგადასავალი.

დინჯი ნაბიჯით გაეშურა ჭაბუკისაკენ, მაგრამ მიუ-

ახლოვდა თუ არა, ელდანაცემივით გვერდზე გახტა. ჭარ-  
თველის ხელში მზის სხივზე მოლაპლაპე ხანჯალია შეკ-  
ნიშნა. ხანჯალზე უფრო ქართველის გამოხედვამ დაა-  
ფრთხო რომაელი. ახლა კი იყადრა დამპყრობელმა შუ-  
ბის მომარჯვება. მან ჯერ ხელი უკან გაიტანა უარამდე,  
შემდეგ წინ გაიქნია და შუბის ტყორცნის იმიტაცია  
შექმნა. ჭაბუკი არც განძრეულა, მიხვდა — ახლა მისი  
ცოცხლად დამორჩილება ჰქონდა გადაწყვეტილი რომა-  
ელს და ასე აღვილად აღარ გაიმეტებდა. თვალი ისრისა-  
კენ გააპარა; ინანა, ძალზე შორს ეგდო. ამასობაში რო-  
მაელმა ისევ შეამცირა მანძილი ქართველ ჭაბუკამდე,  
შუბი კი ორივე ხელში ჰქონდა მომარჯვებული, რათა  
ხანჯლით შემოტევის შემთხვევაში ახლოს არ მოეშვა

### ტყვე.

სასოწარკვეთის დროს ფიქრი ელვასავით სწრაფი  
ხდება. ჭამში გაიხსენა ჭაბუკმა — მისი მასწავლებელი  
როგორ ასწავლიდა ორთაბრძოლების დროს შეტევისა და  
დაცვის ხერხებს. გაიხსენა როგორ ავარჯიშებდა მას ხე-  
ლიდან გავარდნილ ხმლამდე ნახტომის გაკეთებასა და  
ისევ საბრძოლო პოზის მიღებაში. მაგრამ არასოდეს  
შეუსრულებია იგივე მოძრაობა ისრის ხელში ჩასაგდე-  
ბად. ჭაბუკმა ისიც გაიაზრა, რომ ამ შემთხვევაში მოძ-  
რაობათა მთელი კომპლექსი იყო ზედწაბმულად შესას-  
რულებელი; პირველი — უნდა განეხორციელებინა ნახ-  
ტომი ისრამდე, მეორე — აელო იგი და მოერგო მშვილდ-  
ზე, მესამე — დაეჭიმა მშვილდი და ეტყორცნა ისარი  
გათავხედებული და დაცინუის ხასიათზე მოსული რომელის  
მიმართულებით. მოასწრებდა კი მთელ ამ მოძრაო-  
ბას, ვიდრე რომაელი შუბს გამოსტყორცნიდა?

ჭაბუკის გამჭრიახმა თვალმა შენიშნა, რომ რომაელი ვერ ამჩნევდა ბალახებში გალურსულ ისარს. სწორედ ამან მოაღუნა მისი სიფხიზლე, ქართველ ჭაბუკს კი გულში იმედის სხივი ჩაუსახა. გარეგნულად არაფერი შეიმჩნია, სხეულის შიგნით კი ყველა კუნთი და ნერვი უკიდურესად დაძაბა, ისკუპა მარჯვნივ, მარჯვენა ხელით ვე დასწრებდა ისარს, და ვიდრე თავგანწირული ჭაბუკის ქცევით გაოცებული რომაელი შუბის აღმართვას მოასწრებდა, ქართული ქეიბური ისარი ზედ გულის ფიცარზე მოერგო. რომაელი ერთ წამს ისევ ფეხზე დარჩა, ინსტინქტურად იტაცა ხელი ისრის ბოლოზე, რომლის წვერიც ზურგში გასულიყო, მერე თვალები შეანათა ამაყად მდგარ მშვილდმომარჯვებულ ქართველ ჭაბუკს და პირქვა დაემხო.

წამიერი გარინდება ჩქარა გაუქრათ რომაელებს, ვინენ ჭაბუკს, გათოკეს და ბაგინეთის ციხეში მდგარ პომპეუსს მიჰვარეს.

არავინ იცის რა ბედი ეწია მას. იქნებ არ აპარია გააეებულმა პომპეუსმა და ბრძანა ბაგინეთის კედლებიდან მისი გადმოგდება, აქნებ მოეწონა მისი თავგანწირვა, განსაკუთრებით კი — შესანიშნავი ტანდეგობა, და მისი გადაბირება და რომის არმიისათვის მომზადება გადაწყვიტა. ეს უკანასკნელი ვარაუდი საფუძველს არაა მოკლებული, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ბევრი ქართველი მებრძოლი ამშვენებდა რომისა და ბიზანტიის არმიებს და თავიანთი ვაჟკაცობისა და სამხედრო ნიჭის წყალობით ჯარის სარდლობამდეც კი ამაღლებულან. არავინ იცის საქართველოს რომელი კუთხიდან იყო ვინმე თეოდორე, რომელსაც აგათია სქოლასტიკოსის

ცნობით, „რომაელ სამხედრო მეთაურთა შორის, პირებული ადგილი ეკავა“. ასევე არავინ იცის რა ძნელი გზანვლო კოლხმა სუბარმახმა, მეფის ჩამომავალმა, რომელმაც რომის შუბოსანთა არმიის სარდლობას მიაღწია, და საყოველთაოდ ცნობილი იყო სროლაში უმაღლესი დახელოვნებით.

მეფის ჩამომავალი იყო რომის კარზე დაწინაურებული „შუბოსანი და მხედარი“ ამაზასპი; რომის არმიის ჯრთ-ერთი სარდლის პოსტზე იღვწოდა ბაკურ იბერიელი, „კაცი ყოვლად ღირსეული როგორც რწმენითა და სათნოებით, ისე სულიერი და ხორციელი სიკეთით. ვინც კი მის ახლოს მოხვდებოდა, ზოგს შუბით დაანარცხებდა, ზოგს ისრით განგმირავდა. მან გაარღვია მის წინ მჭიდროდ შეკრულ-შეერთებული მტრის წყებანი, მისგანვე შემდრკალ და უკუჩეცეულ მოპირდაპირის შუაგულში შეიჭრა, დახერგილ გვამებს ზედ გადაევლო და თვითონ უზურპატორს გულდაგულ მიეჭრა“.

სპარსელებს შიშის ზარს სცემდა ფარსმან კოლხი, რომლის „სახელის ხსენებაც აშინებდათ მათ, მისი საქმენი ანადგურებდა მათ და ასუსტებდა მათ რიცხვს, მის წინაშე ისინი ლაჩრულად გამოსჩანდნენ და მარცხდებოდნენ“. ბიზანტიის კარზე დაწინაურდა აგრეთვე გურგენ მეფის უფროსი ვაჟი ფირანი, რომელიც ველისარი შტაბში პირველ სარდლად ითვლებოდა.

\* \* \*

მაგრამ დავუბრუნდეთ გვაროვნულ საზოგადოებას. მშვილდოსნობასთან ერთად სწორედ ამ საზოგადოებაში

ეყრება საფუძველი სპორტის დღევანდელი სახეობების  
ერთ ნაწილს. ქართული ჭიდაობა, დღეს რომ ასე გამ-  
რავალფეროვნებული და გამდიდრებულია მომხიბლავი  
ფანდებით, თავის საწყისებს იმ შორეულ პერიოდში  
იღებს; მართალია, მაშინ სამონადირეო თუ სხვა ცხოვ-  
რებისეულ პრაქტიკაში ჯერ უმთავრესად ჭიდაობის  
ცალკეული ფანდები გამოიყენებოდა, მაგრამ შემდეგ  
ადამიანებმა ისწავლეს ამ ფანდებისა და ხერხების. ზედ-  
წაბმულად გამოყენება, შემდეგ დაიწყეს ვარჯიშობა მა-  
თი დახვეწისათვის, და ასე თანდათან, საუკუნეთა მან-  
ძილზე, მდიდრდებოდა და ქართველთა ყოფაში თავის  
ადგილს იკავებდა სპორტის ეს ულამაზესი სახეობა.

ეპვს არ იწვევს ქართული ჭიდაობის დიდი ასაკი.  
გაიხსენეთ ქართული ზღაპრები და თქმულებები, რომ-  
ლებსაც თავიანთი ფესვები საუკუნეთა იქით აქვთ გა-  
დგმული, და თუ აქამდე არ მიგიქცევიათ ყურადღება,  
ახლა დააკვირდით — რა დიდი ადგილი ეთმობა მათში  
ჭიდაობას. ხშირად ჭიდაობით წყდებოდა მოქმედ გმირ-  
თა ბედი, ზოგი თქმულება კი მსმენელებზე ემოციის  
მოსახლენად სწორედ ჭიდაობით იწყებს ამბავს. ჩვენი  
სიმბოლური წინაპარი, უტეხი ხასიათის გმირი ამირანი  
კარგ მოჭიდავედ გამოიყვანა ქართველმა ხალხმა. ხომ  
განსოვთ:

„ამირან დ, დევი შეიბნენ,  
მიწას გაჰქონდა გრიალი,  
ამირანშა დევი დასცა,  
ადგილი დახვდა ქვიანი,  
დასცა და ბეჭი შოსტეხა,  
დააწყებინა ღრიალი“.

თუ ლეგენდებიდან და თქმულებებიდან რეალურ  
ხელშესახები ფაქტების ქებნაზე გადავალთ, უპირველ  
ყოვლისა ალბათ ერთ ბრინჯაოს ქანდაკებას გავიხსენებთ  
რომელიც 4.600 წლის ასაკით იქცევს ჩვენს ყურადღე  
ბას. იგი აღმოჩენილ იქნა მესოპოტამიაში, შემერქნება  
ძველ ადგილსამყოფელში. ყყურებ ქანდაკებას, უფრო  
სწორად, სასმისს (ორ მოჭიდავეს ერთმანეთისათვის  
ქამრებში ჩაუვლიათ ხელები, თავზე კი მაღალი სურებ-  
ადგათ) და გვინდა საცაა მოჭიდავები გაცოცხლდების  
და თავდავიწყებით შეებმებიან ერთმანეთს. მიკერძო-  
ბად თუ არავინ ჩამითვლის, მკითხველს გავახსენებ, რო-  
იმ ტიპის ჭიდაობა, როგორზეც ეს ქანდაკება მივგვით-  
თებს, არაა დამოწმებული დღევანდელ აღმოსავლეთშ-  
და მათს შორის — მესოპოტამიაში. ეს ქანდაკება ყვე-  
ლაზე უფრო მეტად ქართული ჭიდაობის დაწყების მო-  
მენტს გვაგონებს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმასაც  
რომ უკანასკნელ ხანს სულ უფრო აშკარა ხდება ქართუ-  
ლებისა და შუმერების ისტორიული ნათესაობა, თავის-  
თავად იმარჯვებს აზრი ამ ქანდაკების შინაარსის ქართუ-  
ლი საწყისების შესახებ.

ალბათ, ქართული ჭიდაობის თანატოლია ცხენოსნო-  
ბაც, რომლის ნიადაგზეც შემდეგში წარმოიშვა ესოდე  
ლამაზი ქართული ცხენოსნური სპორტი თავისი მრავა-  
ლი სახეობით. მისი განვითარებისათვის კი ნამდვილა-  
დიდი საფუძველი არსებობდა თემური წყობილები  
რღვევისა და ტომობრივი გაერთიანებების გაჩენის პ-  
რიოდში. აღსანიშნავია, რომ ცხენი, როგორც შრომი-  
და ბრძოლის ცოცხალი იარაღი, დიდი პატივით სარგე-  
ლობდა მაშინ. ამაზე პირველყოვლისა მიუთითებს თვი-

ცხენთა სიმრავლე. იმ პერიოდის ერთ-ერთი სამხრეთელური მტრარვალი ტრაბახობდა ქართველური ტომების დარბევის თაობაზე, ამდენი და ამდენი ტყვე და პირუტყვი წამოვასხი; მათს შორის 4426 ცხენიო. ყოველწლიურად ქართველებს მისთვის 1000 ჯიშიანი ცხენი უნდა ეძლიათ. ჩვენს შორეულ წინაპრებსა და მათ მონათესავე ტომებს ჯირითის სახელმძღვანელოც კი გააჩნდათ თურმე, ზოგ ლურსმულ წარწერებში მარულაში გამარჯვებული ცხენების სახელებიცაა მოხსენიებული. ჩვენში ცხენის კულტი საკმაოდ ძლიერი იყო. ამ ორმოციოდე წლის წინ, როცა ჩვენმა მეცნიერებმა გახსნეს მცხეთის ერთ-ერთი აკლდამა, არ გაჰქვირვებიათ, შიგ ადამიანის ძვლებთან ერთად ცხენის ჩინჩხიც რომ ნახეს. ცხენის თავის ქალა ქართველ გლეხკაცთა ეზოების ღობეებზე ეკიდა როგორც მფარველი ავგაროზი, რომელიც სიკვდილის შემდეგაც თითქოს არ შორდებოდა ერთგულ პატრონს.


ასე, პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში შეიძლება ვეძებოთ სპორტის ზოგიერთი სხვა სახეობის საწყისიც. სწორედ ამ სახეობათა თანდათან დახვეწას, მასობრიობას, მათ მიმართ მოსახლეობის სიყვარულის ზრდას და, რაც მთავარია, ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ძლიერების საქმეში მათი როლის შეგნებულ გაგებას მოჰყვა დიდი შეჯიბრებებისა და სხვა სპორტული ღონისძიებების გაჩენა... თუმცა ეს ყველაფერი უფრო გამოკვეთილად მოჩანს საქართველოში ტომობრივი გაერთიანებების, ცალკეული სამეფოებისა და, საერთოდ, მონათმფლობელური საზოგადოების დამკვიდრების შემდეგ.

## „ეს იყო უძამაცხედი ხალხი!“

(მონათმფლობელური საზოგადოება)

ამ 2500-3000 წლის წინათ, როგორც ჩვენი ისტორიკოსები გვიდასტურებენ, საქართველოს ტერიტორიაზე უკვე მონათმფლობელური საზოგადოება არსებობდა. ფიზიკური კულტურაც ამ საზოგადოებას ჩაუყენეს სამსახურში.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ და დაობენ იმაზე, თუ იმ პერიოდში რა სოციალური ფუნქცია ეკისრებოდა ჩვენს კულტურას, კერძოდ კი, ფიზიკურ კულტურას, ირკვევენ, თუ რა ხერხებითა და საშუალებებით იყენებდა მას გაბატონებული კლასი დამონებულ ადამიანებზე ბატონობის განსამტკიცებლად. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ანგარიშგასაწევია მეორე გარემოებაც: საქართველო თავიდანვე ისე გამოკვეთილად მოექცა სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისა და წინა აზიის პოლიტიკური ორომტრიალის ცენტრში, რომ მისი ყოფნა-არყოფნა არაერთხელ დგებოდა ბედის სასწორზე. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ფიზიკური კულტურა ჩვენში თავიდანვე ეროვნულ ინტერესებს უფრო დაუქვემდებარეს, ვიდრე სოციალურს, თუმცა ეს მეორე გარემოება არასოდეს ამოვარდნილა დღის წესრიგიდან.



ჩვენ შემდეგ მოგვეცემა საშუალება ვიმსჯელოთ კართველოში ორი კულტურის და, მასთან, ორი ფიზი-კური კულტურის არსებობის შესახებ, ამჯერად კი დავუ-ბრუნდეთ მონათმფლობელურ საზოგადოებას და დავი-წყოთ მისი ფიზკულტურული მოძრაობის ისეთი შესანი-შნავი გამოვლინებით, როგორიც ე. წ. „მესხური თამა-შები“ იყო.

ამ თამაშობის შესახებ პირველად ჩა მოგეაწედინა ცნობილმა მესხმა ეთნოგრაფმა ივანე გვარამაძემ, რო-მელმაც „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა, მე-ტად საინტერესო და ბევრისმოქმედი წერილი გაზეთ „დროებაში“ 1882 წლის 17 ოქტომბერს (№ 217). ვინ-მე მესხი დაუინებით გვისაბუთებს, რომ მესხეთში ამ სამიათასი წლის წინათ, და მის შემდეგ იმართებოდა სრულიად მესხური თამაშები, რომელიც ნასაზრდოებია იმავე ძირიდან, რაც ბერძნულ ოლიმპიურ თამაშებს ასა-ზრდოებდა. თუ ამ ცნობას დავუჭერებთ (და როგორც ქვემოთ დავინახავთ, უფლება არა გვაქვს არ დავუჭე-როთ), მესხური თამაშების ორგანიზაცია, გამარჯვებულ-თა დაჭილდოების წესი და, რაც მთავარია, — თამაშე-ბის პროგრამა, თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების იმავე კომპონენ-ტებისაგან.

თავიდანვე ვიტყვი. ამ წერილში მოტანილი ცნობების უტყუარობის დასამტკიცებებლად უკვე საკმაო საბუთები რომ არ მოგვეპოვებოდეს, მასზე საუბარს ნაჩქარევ და მკრეხელურ საქმედ ჩავთვლიდით, მაგრამ უკვე დადგა დრო ამ თამაშებს თავისი კუთვნილი აღგილი მივუჩ-ნოთ ქართული სპორტის ისტორიაში.

გადავავლოთ თვალი მესხური თამაშების პროგრამა  
მისი ჩატარების წესებს. სამწუხაროდ, იმ ხანად არ აღ-  
მოჩენილა მემატიანე, რომელიც აგვიწერდა რომელიმე  
თამაშის საინტერესო პერიპეტიებს, ან იქნებ აღმოჩნდა  
კიდეც, მაგრამ მისი ჩანაწერი დაიკარგა ისევე, როგორც  
დაიკარგა სხვა მრავალი ძვირფასი დოკუმენტი. მაგრამ  
ფანტაზიის მოშველიების უფლება ხომ ყველა ჩვენგანს  
აქვს? ჩვენც გამოვიყენოთ ეს უფლება და „აღმოვაჩი-  
ნოთ“ რომელიმე მემატიანის ანგარიში ერთ-ერთი მეს-  
ხური თამაშების ჩატარების შესახებ, ამასთან, დავიტო-  
ვოთ იმის უფლებაც, რომ შიგადაშიგ ამ ანგარიშში ჩავ-  
რთოთ ავტორისეული კომენტარები; ერთდროულად,  
მკითხველს მივცეთ მტკიცე პირობა, რომ წამითაც არ  
გადავუხვევთ სინამდვილეს და ჩვენი ფანტაზია მხოლოდ  
რეალურად არსებული ფაქტებით იქნება ნასაზრდოები.

მაშ ასე, ანგარიში 2.600 წლით თარიღდება. გადავშა-  
ლოთ ეს უძველესი ქართული დოკუმენტი, ისევ მოვი-  
შველიოთ ფანტაზია და წავიკითხოთ იგი დღევანდელი  
ენით:

მემატიანი: „დღეს საღამოს დამთავრდა სამესხო  
საქართველოს თამაშები. პროგრამის უკანასკნელი სახე-  
ობა იყო ჭირითის ტყორცნა. გამარჯვებულს დაადგე-  
სეწნის გვირგვინი, შეასვეს მისთვის განკუთვნილი შარ-  
ბათი და გუნდმა შეასრულა გამარჯვებულისადმი მიძღ-  
ნილი ჰიმნი...“

...მაგრამ ვიდრე მსაჯები გამარჯვებულს აჯილდოე-  
ბენ, გავიხსენოთ ამ თამაშების ისტორია: ამ ექვსას-  
წლის წინ ჩვენი ქვეყნის დასავლეთით ზღვის სანაპირო  
არგონავოსანნი. მოადგნენ. კოლხიდაში იაზონის გმირე-

ბის სტუმრობის პერიოდში არაერთხელ გამართულა შეჯიბრება არგონავოსანთა მიერ მოტანილი პროგრამით. წავიდნენ ისინი, მაგრამ მათი ვარჯიშები, რომლებიც ჩვენში „არგიული“ ვარჯიშების სახელწოდებით გახდა ცნობილი, ძალზე მოეწონათ ჩვენს წინაპრებს; შემდეგ მათ ადგილობრივი ვარჯიშებიც დაუმატეს და შექმნეს თამაშები, რომლებიც ყველაზე საინტერესო ფორმით ჩვენმა მუსკთა ქვეყანამ შემოინახა. ჩვენმა მეზობელმა ბერძნებმა იგივე ვარჯიშები გამოიყენეს და მეფე იბიტოს (ავტორი: აქ მემატიანე მეფე იფიტს გულისხმობს) დროს სოფელ ოლიმპიაში დააწესეს თამაშები, რომლებიც ჩატარების ადგილმდებარეობის გამო ოლიმპიური თამაშების სახელწოდებას იღებენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ოლიმპიური და მესხური თამაშების პროგრამა, ვარჯიშები, დაჯილდოების წესები და მთელი რიგი სხვა მონაცემები წყლის ორი წვეთივით გვანან ერთმანეთს. წელს ამ თამაშებში ქვეყნის თითქმის ყველა კუთხემ მიიღო მონაწილეობა. წინა თამაშებიდან გავიდა თუ არა ოთხი წელი, ამ კუთხებში კვლავ დაიწყო ადგილობრივი თამაშების ჩატარება, რათა გამოვლინებულიყო ის თავგმირები, რომლებიც თავიანთი კუთხის სახელს დაიცავენ სამესხო თამაშებში (ავტორი: მიაქციეთ ყურადღება, რომ ბერძნული ოლიმპიური თამაშებიც ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ტარდებოდა; ამასთან, თამაშებში მონაწილეთა დასაშვებად გამოყენებული იყო არა წინაშესარჩევი თამაშები, როგორც ეს ჩვენში ხდებოდა, არამედ სრულიად სხვა წესი: ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მსურველს მსაჯთა კოლეგიისათვის უნდა წარედგინა დამადასტურებელი საბუთი იმი-

სა, რომ 10 თვის განმავლობაში იგი სისტემატურად ვარ ჯიშობდა და ემზადებოდა თამაშებისათვის, თამაშების დაწყებამდე ერთი თვით აღრე კი უნდა ჩამოსულიყო ოლიმპიაში და მსაჯების თვალშინ თავისი სპორტულ დახელოვნების ჩვენებით მოეპოვებინა თამაშებში მონაწილეობის უფლება).

ამ ერთი კვირის წინ ცხრაწყაროს ველობმა მიიღო ცალკეულ კუთხეებში გამარჯვებული გმირები. ლამაზი სანახვი იყო ამ დღეებში ცხრაწყაროს ვრცელი მინდორი. ასობით ფერად-ფერად კარვებში მოთავსდნენ თავ-გმირები, მათი წარმომადგენლები, საპატიო სტუმრები.

პირველი დღე რკენაობით დაიწყო (ავტორი: დღევანდელი ჭიდაობის გამოსახატად აღრე გაგვაჩნდა შესანიშნავი ტერმინი რკენა. საბა გვასწავლის: „ჭიდება არს მხეცი და კაცი რა შეიჭიდნენ, გინა მხეცი ანუ პირუტყვი და პირუტყვი; ხოლო კაცი კაცსა რა ეჭიდებოდეს, რკენა ეწოდების“. აქედან — მოჭიდავეც მორკინალად იწოდებოდა). მორკინალნი ქვეყნის 30-მა კუთხეშ გამოიყვანა. გამწკრივდნენ მსაჯულთა წინარე დარჩეული ვაჟკაცები; როგორც წესი მოითხოვდა, ყველას ტანზევით ქონი წაესვა, კარგად დაეზილათ სხეული და წმინდად გაცრილი ქვიშა შეეფრქვიათ (ავტორი: ბერძნულ ოლიმპიურ თამაშებზეც მოჭიდავენი ტანზე ქონს ისვამდნენ და იყრიდნენ ნილოსის ნაპირებიდან ჩამოტანილ გაცრილ ქვიშას, ოლონდ თუ ჩვენი მოჭიდავენი მხოლოდ წელს ზემოთ შიშვლდებოდნენ, ბერძნები არც წელს ქვემოთ იტოვებდნენ რაიმე ჩასაცმელს. შემდგომში, როგორც ჩანს, ქართველი კაცის ბუნებამ ვერ შეიგუა ტანზე ქონის წასმა და ზედ ქვიშის შეფრქვევა, და დროთა

განმავლობაში პრაქტიკაში დაინერგა სპეციალური ჩითით ჭიდაობა).

შორს წაგვიყვანდა ყველა ორთაბრძოლის აღწერა; თითქმის ყველა მორკინალმა გამოავლინა საუცხოო ნიჭი და ტაქტიკური აზროვნების უნარი; მაგრამ უკანასკნელი შეხვედრა მაინც დარჩება მესხური თამაშების ისტორიაში როგორც ადამიანური ძალისა და შემოქმედებითი აზროვნების ზეიმი. თორის წარმომადგენელი ზაქარია ამირანის აგებულებით ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ მისი ფეოქტებადი ძალისა და რენაობის ფანდების კასკადის წინაშე უძლური აღმოჩნდა ისეთი ცნობილი მორკინალიც კი, როგორიცაა უძლეველი ღამარ აფსარუდან. პირველ დღესვე შედგა გამარჯვებულის დაჯილდოება. ბორცვზე განლაგებულმა ქორომ წამოიწყო გალობა გამარჯვებულის პატივსაცემად, თორელ გმირს კი თავი დაუმშვენეს ძეწნისაგან დაწნული გვირგვინით.

დანანებით უნდა შევნიშნოთ, რომ ბერძნული ჩვეულება — ტანზე ქონის წასმა და ქვიშის შეყრა ისევ და ისევ აფუჭებს ჭიდაობის სანახაობითს მხარეს. ამ წესის შეცვლა კარგახანია მოითხოვა ხალხმა. დროა ტანის გაქონვას თავი დავანებოთ და შემოვილოთ ჩოხები, რაც უფრო მოსახერხებელია და ტანის ქონში ამოგანგვლის პროცედურასაც თავიდან აგვაცილებს. საჭიდაო ჩოხები და სპეციალური ქამრები უკვე დაინერგა ჰერეთის მრავალ სოფელში და დიდი მოწონებითაც სარგებლობს.

შეჯიბრების მეორე დღე მჯიღვით ბრძოლას დაეთმო (ავტორი: „მჯიღი — ხელთ თითნი მომუჭულნი“. საბა). ცხრაშვაროს არენაზე სულ 16 მჯიღვით მებრძოლი გამო-

გზავნა სხვადასხვა კუთხემ. ერთმანეთზე უკეთესები ჩანს  
დნენ მკლავმაგარი ვაჟეკაცები, მაგრამ მჯობნის მჯობნის  
რა დალევს, განსაკუთრებით გამოთიშვითი სისტემით შე-  
ჭიბრების ჩატარების დროს. 14-მა ჭაბუქმა გაიზიარა და  
მარცხებულის ბედი და ბოლოს ორი მოკრივის შერკა-  
ნებას უთვალთვალებდა სულგანაბული მაყურებელი.

მსაჭულებმა არენაზე ორი წყვილი ხელთათმანი და-  
აწყვეს (ავტორი: ეთნოგრაფი ივანე გვარამაძე, ჩამო-  
თვლის რა მესხური თამაშების პროგრამას, შემდეგ  
წერს: „მჯიღვით ბრძოლა. მაგარ ტყავის თათმანებს ჩაი-  
ცვამდნენ თითბრით მოჭედილს და ისე ურტყამდნენ  
ერთმანეთს თავ-პირში“. ერთის შეხედვით ეს ცნობა  
დაუჯერებელი ჩანდა, რადგან ქართველი მოკრივები,  
რომელთა შესახებ უმთავრესად გასული საუკუნის პრეს-  
გვაწოდებს მასალებს, არენაზე შიშველი ხელებით გამო-  
დიოდნენ და არავითარი ხელთათმანი, ისიც თითბრით  
მოჭედილი, მათვის ცნობილი არ იყო. მაგრამ, აი, ამ  
რამდენიმე წლის წინათ პროფესორმა ოთარ ლორთქითა-  
ნიძემ განაახლა დაბა ვანში ე. წ. ახვლედიანების გორა-  
ზე ძველი კოლხური ქალაქის გათხრა და სპორტის ისტო-  
რიკოსთა გულის გასახარად აღმოაჩინა თაბაშირისაგან  
დამზადებული ქართული კრივის ხელთათმნის მოდელი,  
რომელსაც შემოყოლებული ჰქონდა თითბრის ფირფიტა  
ე. ი. აღმოჩნდა ზუსტად ი. გვარამაძის მიერ აღწერილ  
ხელთათმანის მოდელი. საინტერესოა იმის გახსენებაც  
რომ ბერძნები კრივის დროს მუშტებზე ტყავის თასმებს  
იხვევდნენ და ზოგჯერ თასმებში რკინის ბურთულებსაც  
ატანდნენ). კენჭისყრის შემდეგ გაანაწილეს თითბერმო-  
ჭედილი ხელთათმანები და დაიწყო დაუნდობელი ორთა


ბრძოლა; დიდხანს იბრძოდნენ, მაგრამ გამარჯვებულის გამოვლინებას საშველი არ დაადგა. როგორც ცნობილია, ბრძოლა გრძელდება ერთ-ერთი მოკრივის დაქანცვამდე, გონის დაკარგვამდე ან დანებებამდე. ორივე მოკრივეს არაერთხელ ჰქონდა გადამწყვეტი დარტყმის მიყენების საშუალება, მაგრამ შიშობდნენ — ვაი თუ ძალა ვერ მოვზომოთ და მეტოქე შემოგვაკვდესო (ავტორი: ეს ჩვეულება — სპორტული ორთაბრძოლის დროს გარდაცვლილი სპორტსმენის ოჯახის სასარგებლოდ დიდი ჯარიმის გადახდა — საბერძნეთის გარდა, როგორც ჩანს, ჩვენშიც წესად ყოფილა. ამ ჩვეულების გარდმონაშთები ყველაზე გამოკვეთილად შემოგვინახა ხევსურულმა ფარიკაობამ, რომელშიც გამარჯვებულად ითვლებოდა. ის, ვინც მეტ მსუბუქ ჭრილობას მიაყენებდა მოწინააღმდეგეს: „ერვიან ერთმანეთში ხმლებითა და ხანჭლებით, მაგრამ საკვირველი და ყოჩალობა ის არის, რომ ძვირად მოკვდება ხოლმე მათში კაცი, თუმცა მრავალი კი დაიჭრება, მაგრამ მსუბუქად. ისე დაპრიავს ხმალს კაცი, რომ რამდენიც უნდა, იმდენა დააჭრევინოს! ოღონდ სისხლი კი გამოადინოს, ან როგორც თვითონ იტყვიან, დაკეჭნონ“. „დროება“. მაგრამ თუ ჭრილობა ლრმა აღმოჩნდებოდა, შსაჭულები იმდენი ცხვრის გადახდას დაუწესებდნენ დაშვრელს, რამდენი ქერის მარცვალიც ჩაეტეოდა მის მიერ შიყენებულ ჭრილობაში).

ორივეს ახსოვდა ოთხი წლის წინანდელი ამბავი, რომელიც შეემთხვა კოლხ მოკრივეს ფინალური ბრძოლის დროს. მან ხელთათმანი თითბრის მხრიდან ისე მძლავრად ამოსცხო ყბაში საცოდავ ლაზ მეტოქეს, რომ იგი მკვდარი გაიტანეს არენიდან. უნებურ მკვლელს კი

ოცდაათი ძროხის, ამდენივე ხარისა და 200 ცხვრის გადახდა დააკისრეს ლაზის დაობლებული ოჯახის სასარგებლოდ.

ბოლოს გამოცდილებამ თავისი გაიტანა და გამარჯვება 22 წლის ჭავახ მოქრივეს გუარამს ერგო.

მესამე დღე მთლიანად თამაშებს დაეთმო. დილით გხე არ დავერდა გაიმართა (ავტორი: ივანე გვარამაძე ასე განმარტავს თამაშების პროგრამის ამ ემოციურ სახეობას: „ორად გაიყოფებოდნენ ხელფეხ მარჯვე ვაჟნი; ერთი რიგი წრის შიგნით იყო, მეორე წრის გარეთ უკანასკნელნი ცდილობდნენ საშურად ჩაჩი მოეტაცათ შიგანაებისაგან და ისინიც მოოთხვით ერთსა და ერთ ფეხს გარდასცემდნენ, წრეს გარეთ, თუ მოერტყმით, ის მხარე გაჭრილად დაითვლებოდა; მაშინ გარენი წრეში შევიდოდნენ და შიგანაები გარეთ მოექცეოდნენ; როცა გარე რომელიმე ჩაჩი მოსტაცებდა შიგანს, გაცვინდებოდნენ გარენი ერთიან დანიშნულ დონამდის გასატანად, შიგანაებიც დაედევნებოდნენ; დონამდის თუ დაიჭერდნენ, ჩაუფუჭებდნენ გარეებს გამარჯვებას, თუ არა და გარენი თავისიას გაიტანდნენ“. როგორც ვხედავთ, მხარდავერდა დლევანდელი წრელახტის სრულიად განსხვავებული ვარიანტია, სადაც ჩართულია სისწრაფეზე სირბილიც). მხარდავერდაში ტოლი არ ჰყავდათ არტანუჯელ ჭაბუქებს. სამაგიეროდ იმავე არტანუჯელებმა ფინალურ ბრძოლაში ვერაფერი გააწყეს კოლხებთან ტურთაობაში. გახარებულმა კოლხებმა თავისი ჩვეულება არ მოიშალეს და თამაშის გამარჯვებით დაგვირგვინების შემდეგ იქვე ასპარეზთან მდგარი მოზრდილი ხე



წამოაქციეს, აიტაცეს გამართულ ხელებზე და სიმღერით შემოატარეს მოედნის გარშემო; შემდეგ ნაფოტებად დაამსხვრიეს და იქვე ხევში გადაყარეს (ავტორი: მართალია, ი. გვარამაძე თავის წერილში არ ასახე-ლებს რა სახის ბურთაობა ტარდებოდა ცხრაწყაროზე, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საქმე უნდა გვ-ქონდეს ლელობურთან, რომელშიც გასულ საუკუნეშიც აშკარად შეიმჩნეოდა წარმართული წეს-ჩვეულებების ნიშნები, რაც უეჭველად მის დიდ ასაკზე მეტყველებს. ლელობურთი ცხენბურთზე უძველესი უნდა იყოს. ლე-ლობურთისა და ცხენბურთის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვე-ქნება საუბარი).

მეოთხე დღე ცხენოსნურ სახეობებს დაეთმო. კარვი შთაბეჭდილება დატოვეს ეგრისელმა ცხენოსნებმა, რომ-ლებსაც ტოლი არ ყავდათ მარულაში. თამაშების ჩემპი-ონი უტა ეგრისელი სულ რაღაც 11 წლისაა. ეტლების რბოლაში კი პერეთიდან ჩამოსულმა ეტლოსნებმა განა-ცვიფრეს მაყურებლები.

ფინალში სწორედ მათი წარმომადგენლები გავიდნენ. შემთხვევითი არ იყო, რომ პირველ ადგილზე აღმოჩნდა ამ მხარეში სახელგანთქმული მებრძოლი გაგი, რომლის ეტლის მრისხანე ძალა დღესაც კარგად ახსოვთ ჩვენს სამხრეთელ უკეთურ, მეზობლებს.

მეხუთე უკანასკნელი დღის პროგრამაში შეტანილი იყო რბენა (ავტორი: „რბევა სარბიელზედ ქვეითად“. ი. გვარამაძე), ბადროს ტყორცნა (ავტორი: „ქვის სრო-ლა ფიქალისა“. ი. გვარამაძე), ლოდების აწევა-გადატანა, მშვილდოსნობა და შუბის ტყორცნა...“.

აქ დავამთავროთ მემატიანის ანგარიშის კითხვა, მაგ-

რამ დავიტოვოთ უფლება ზოგიერთი კომენტარი გავუ-  
კეთოთ მესხური თამაშების მეხუთე დღის პროგრამაში  
შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მესხური თამაშების  
პროგრამაში შეტანილია რბენა. მძლეოსნური სპორტის  
ეს მთავარი სახეობა ძველ და შუა საუკუნეების საქარ-  
თველოში სამხედრო-ფიზიკური მომზადების ერთ-ერთ  
მთავარ საშუალებას წარმოადგენდა. ჩვენში მალემსრ-  
ბოლთა მთელი ინსტიტუტიც კი ყოფილა (ამ საკითხზე  
მეტად საინტერესო გამოკვლევა ჩატარა ქუთაისელმა  
მეცნიერმა ვ. აფრიდონიძემ). საინტერესო ისაა, რომ  
მესხური თამაშების პროგრამაში შეტანილია ქალთა რბე-  
ნა. ი. გვარამაძე გვამცნობს: „ქალის გაქცევანი. ჩუმად  
აქეთა მხარე რაღაცა ნიშნიან მჩვარს დამალავდა... და  
რომელიც გაქცევაში ერთის დონითგან მეორე დონეზედ  
გაიტანდა, ის გაიმარჯვებდა“. როგორც ჩანს, ამ შემთხვე-  
ვაში საქმე გვაქვს შეჯიბრებასთან, რომელშიც ჩართუ-  
ლია რბენა და ემოციური განწყობის შემქმნელი ელე-  
მენტებიც. აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ, რომ ძველ-  
ბერძნულ ოლიმპიურ თამაშებში ქალი არა თუ დაიშვე-  
ბოდა შეჯიბრებაზე, მას აკრძალული ჰქონდა მაყურებ-  
ლის როლში გამოსვლაც კი. ამასთან დაკავშირებით ლა-  
მაზი ლეგენდა შემოინახა ბერძენმა ხალხმა: ელადელში  
ფერენიკამ ოლიმპიურ სტადიონზე შეპარვა განიზრა-  
მან იცოდა, რომ სტადიონზე ლამაზი სქესის წარმომად-  
გენლებს ადგილს არ უთმობდნენ, უფრო მეტი, სპეცია-  
ლური კანონის მიხედვით სტადიონზე შეპარულ ქალ  
სიკვდილით დასჭა ემუქრებოდა. ეს კანონი ხომ მამაკა-  
თა მოთხოვნით იქნა მიღებული იმასთან დაკავშირებით,  
რომ შეჯიბრებაზე მამაკაცები სრულიად შიშველნი გა-

მოდიოდნენ და ქალთა სქესის წარმომადგენელთა სიახლეების უოფენი მაინცადამაინც არ იყო სასიამოვნო. ეს უველაფერი კარგად იცოდა ფერენიკამ, მაგრამ იქ, ოლიმპიურ სარბიელზე ხომ მისი ვაჟი გამოდიოდა. გამარჯვების უამს მე ჩემი შვილის სიახლოვეს უნდა ვიყო, — მტკიცედ გადაწყვიტა დედამ, თმები ვაჟურად შეიკრიჭა, გადაიცვა მწვრთნელის მანტია და არენის სიახლოვეს სხვა მწვრთნელთა და მსაჭთა გვერდით გაჩერდა. მის ვაჟს იმ დღეს მართლაც ტოლი არ აღმოაჩნდა. მისი დაჯილდოების უამს დგრების გულმა მაინც თავისი გაიტანა; გახარებულმა იმით, რომ შვილმა არ დაარღვია ოჯახის ტრადიცია (ფერენიკას ქმარი, მამა და მამამთილი ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ ჸევადასხვა დროს), დედა შვილისაკენ გაიქცა; ის იყო უნდა ჩახვეოდა ოლიმპიელ შვილს, რომ ჩამოძვრა მწვრთნელის მანტია, და კრონისის ბორცვებზე მოკალათებულმა 50-ათასმა მაყურებელმა ერთხმად იქცა: „ქალია სტადიონზე!“ ამბობენ, ფერენიკას, როგორც ოლიმპიური ოჯახის წარმომადგენელს, აპატიეს დანაშაული, მაგრამ იმ დღიდან დიდ გასაჭირში ჩაცვივდნენ მსაჭები და მწვრთნელები. იმისათვის, რომ ქალები მათი ფორმის დახმარებით არ შეპარულიყვნენ სტადიონზე, მათაც დაევალათ სრულიად შიშვლად მოსვლა სტადიონზე ისე, როგორც ამას მონაწილენი სჩადიოდნენ.

მესხური თამაშების პროგრამაში, როგორც დავინახეთ, შეტანილი იყო სიმძიმეების აწევა. სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთი ვარიანტი დღესაც შემორჩენილია საჭართველოს მთიანეთში, განსაკუთრებით სვანეთშა და რაჭაში, და მას საჯილდაო ქვის აწევას უწოდებენ. მაგ-

რამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საჭილდაო ქვები  
პირობებში მთავარი იყო ქვის მიწიდან მოცილება და  
მისი ერთხელ აწევა გარკვეულ სიმაღლემდე, ხოლო  
მესხური თამაშების პროგრამაში ი. გვარამაძეს დასახე-  
ლებული აქვს „ლოდების აწევ-დაწევა“, უნდა ვირწმუ-  
ნოთ, რომ მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს შეჯიბრე-  
ბიასთან, სადაც გამარჯვების ბედს აწევ-დაწევის რაო-  
დენობა წყვეტდა.

დღევანდელ მესხეთში შემორჩენილი მთელი რიგი სა-  
ინტერესო სპორტული სახეობანი გვაფიქრებინებს, რომ  
ი. გვარამაძის მიერ მესხური თამაშების პროგრამის აღ-  
წერა სრულყოფილი არ უნდა იყოს; შეუძლებელია მეს-  
ხებს თავიანთი ძალების გამოსაცდელად არ გამოეყენე-  
ბინოთ ისეთი სახეობები, როგორიცაა ხტომა სიმაღლეზე  
მთიდან ციგებით გუნდური დაშვება, რაც დღევანდელ  
ბობსლეის უახლოვდება, და სხვანი. სიმაღლეზე ხტომი-  
სას მესხები იყენებდნენ არა ორ სვეტს შუა გაბმულ თა-  
ბასას, არამედ თვით ადამიანებს. სამი-ოთხი კაცი მიჭ-  
რით შექმნიდა ბარიერს, ყველა მათგანი თავზე დაიდებდა  
მაღალ ბოხოხის ქუდს. მხტომელის მოვალეობა იყო ისე  
გადავლებოდა ცოცხალ ბარიერს, რომ ქუდები ძირს არ  
გადმოეგდო. შემდგომ ცდებზე ბარიერის შესაქმნელად  
გამოჰყავდათ უფრო ტანმაღალი ადამიანები და ა. შ.

რაც შეეხება გრძელი ციგებით გუნდურ დაშვებას,  
მისი ჩატარება ზაფხულშიც შესაძლებელია მაღალმთიან  
ცხრაწყაროს პირობებში. როგორც აღგილობრივი ხან-  
დაზმული ადამიანები გვამცნობენ, ციგაზე 5-8 კაცი თავ-  
დებოდა, ისინი დიდი სისწრაფით ეშვებოდნენ წინაშეან  
გავლებულ ტრასაზე; დიდი პასუხისმგებლობა ეკისრა

შესაჭეს. ამ შეჯიბრებას, ისე როგორც სხვა სახეობებში ჩატარებულ ღონისძიებებს, სპეციალურად გამოყოფილი მსაჯთა ბრიგადა სჭიდა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მესხური თამაშები, რომელიც თავისი შინაარსით ძველბერძნულ ოლიმპიურ თამაშებს გვაგონებს, მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტში იხსენიება, და ამდენად შეიძლება ზოგიერთი სკეპტიკოსის ეჭვიც გამოიწვიოს — მართლა არსებობდა ძველ საქართველოში ასეთი მასობრივი, მრავალი სპორტის სახეობებით დაპროგრამირებული კომპლექსური შეჯიბრებები?

არსებობდა! ჩაიხედეთ თუნდაც მოსე ხონელის „ამირანდარეჭანიანში“. „დავყავით მრავალნი დღენი, — ვკითხეულობთ ნაწარმოებში, — ვასპარეზობდით, ვიმღერდით, ვნადირობდით და სიხარული იყვის დიდი; მშვილდოსანსა ყველასა მზეჭაბუკი სჭობდა, ოროლითა მომღერალსა ყველასა დორათ დილამი სჭობდა, მონადირესა უველასა მოსარ ნასარის-ძე სჭობდა, მოჭადრაკესა ყველასა ამირ იამანელი სჭობდა, მცურავსა ყველასა ღამარ ღაზნელი სჭობდა. ეს მე თვით მინახავს ღამარ ღაზნელისაგან, რომელ რაზომცა დიდი წყალი იყვის, შეკაზმული კაცი ღლიასა შემოიგდის და იმიერათ გაიტანის და ჭაბუკად რომელი სჭობდეს — აწ სცანით“. განა ეს ადგილი კომპლექსური ღონისძიების, მრავალ სახეობაში ჩატარებული ერთი საერთო შეჯიბრების შესახებ არ მოგვითხობს? უფრო მეტი. ავტორი თითოეულ სახეობაში გამარჯვებულის ვინაობასაც გვამცნობს. თუ ანგარიშში ჩავაგდებთ იმას, რომ „ამირანდარეჭანიანის“, ისე როგორც მე-12 საუკუნის სხვა ცნობილი ნაწარმოებების ავტორები, იმ პერიოდის სინამდვილიდან იღებდნენ უმ-

თავრესად ტიპიურ და ფართოდ ცნობილ ფაქტებს, გასუ-  
გები უნდა გახდეს, რომ დიდი კომპლექსური სპორტული  
ლონისძიებანი უცხო არ იყო ჩვენი ქვეყნის სპორტის ის-  
ტორიისათვის, მაგრამ ამ კარგი ტრადიციის შემუშავე-  
ბაც არ შეიძლებოდა უცაბედად, თუნდაც 3-5 და მეტი  
საუკუნის განმავლობაში, მას უთუოდ საფუძველი შო-  
რეულ წარსულში აქვს ჩაყრილი.

სისტემატური წვრთნა სამხედრო საქმეში, მის ამო-  
ცანებთან შეთანხმებული ფიზიკური მომზადების მთელ-  
სისტემა, საბრძოლო იარაღის სისტემატური სრულყოფ-  
და მისი მრისხანების გაძლიერება, გამუდმებული ზრუნ-  
ვა მებრძოლთა სულიერი თვისებების ამაღლებისათვის,—  
წარმოადგენდა იმ მყარ საძირკველს, რომელზე აშენებუ-  
ლი ქვეყნის დანგრევაც პრაქტიკულად შეუძლებელი გახ-  
და ჩვენი მტრებისათვის. მოქიშპე მეზობელი ქვეყნები  
წარმომადგენლები ხომ ხელის კანკალით წერენ და ივო-  
ნებენ ქართველურ ტომებთან შეხვედრის მწარე დღეებს.  
ახასიათებენ ამ ტომების წარმომადგენლების მაღალ ფი-  
ზიკურ და სულიერ თვისებებს, შეიარაღებას. ნიმუშად  
მოვიტანთ ზოგიერთი მათგანის ჩანაწერს:

ასურეთის მეფე სარგონი (721-705 წწ.): „ვერც ერთ  
მეფეს ჩემზე წინ მუსკები ვერ დაემარცხებინა და ჩემ-  
წინ არავის არ ემორჩილებოდნენ“.

ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (480-425 წწ.)  
„მოსხებს თავზე ეხურათ ხის მუზარადები, ხოლო იარა-  
ღად ხმარობდნენ პატარა ფარებსა და შუბებს. შუბის პა-  
რები გრძელი იყო. ტიბარენები, მაკრონები და მოსინ-  
კები გამოდიოდნენ სალაშქროდ ისეთივე შეიარაღებით“

როგორითაც მოსხები. მარები ატარებდნენ ადგილობრივ მოქსოვილ მუზარადებს და შეიარაღებული იყვნენ ტყა-ვის პატარა ფარებითა და ხელშუბებით. კოლხები თავზე იხურავდნენ ხის მუზარადებს და ატარებდნენ მოუქნელი ტყავის პატარა ფარებს, მოკლე შუბებსა და საბრძოლო დანებს“.

ქსენოფონტე (431-354 წწ.): „ეს იყო უმამაცესი ხალ-ხი ყველა მათ შორის (ნაგულისხმევია ხალიბები, ა. ც.), ვისთანაც კი ელინებს საქმე ჰქონდათ თავისი ლაშქრო-ბის დროს. უკანასკნელებს მოუხდათ მათთან ხელჩართუ-ლი ბრძოლა. ხალიბები ატარებდნენ სელის ჯავშანს. ამ ჯავშნის ქვედა ნაწილი შედგებოდა სქლად მოქსოვილი ზონრებისაგან. მათ ჰქონდათ აგრეთვე ანქერი და მუზა-რადი; ქამრებზე მათ ჩამოყიდებული ჰქონდათ ხმლები, დაახლოებით ისეთივე მოცულობისა, როგორც სპარტა-ნული მახვილი. ამ ხმლებით ისინი ყველას ჰკლავდნენ, ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდათ. ისინი თავებსაც კი ჰკვეთავდნენ, მიჰქონდათ თან და მიდიოდნენ წინ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ იმ დროს, როდესაც მტრებს შეეძლოთ მათი დანახვა. მათი შუბების სიგრძე 15 ბერძნულ არშინს აღწევდა და ერთ მხარეზე გამახვილებული რკინა ჰქონდა. ისინი თავიანთ ადვი-ლებზე ცხოვრობდნენ, ხოლო როდესაც ელინები მახლო-ბლად გაივლიდნენ, დაედევნებოდნენ მათ და ებრძოდ-ნენ“.

იგივე ქსენოფონტე: „დადეს რა ფიცი ელინებთან, მოსინიკები წავიდნენ და მეორე დღეს გამოცხადდნენ 300 ნავით. თითო ნავში სამ-სამი კაცი იკდა, რომელთა-გან ორი ამოვიდა ნაპირზე, ხოლო ერთი დარჩა ნავში.

ეს უკანასკნელი ნავებით უკან გაბრუნდნენ, დანარჩენები კი შემდეგი წესით მოეწყვენენ: დალაგდნენ ასეულებად, ერთმანეთის პირისპირ, გუნდების მსგავსად; ყველას ჰქონდა ფოთლის მოყვანილობის დაწნული ფარი, შემოჭიმული ხარის თეთრი ტყავით. მარჯვენა ხელში ეჭირათ ექვსი ნიღაყვის სიგრძის ხელშუბი, რომელსაც წინ მახვილი პირი ჰქონდა, ხოლო უკან — მომრგვალებული ბოლო. მათ ეცვათ პერანგები, რომლებიც მუხლაში დე ვერ სწვდებოდათ, ისეთი სქელი ქსოვილისაგან, როგორიც ტილოს ტომრებია, ხოლო თავზე პაფლაგონიელთა მსგავსი მუზარადი ეხურათ.... გარდა ამისა, მათ ჰქონდათ რკინის საომარი ცულები. ამის შემდეგ ერთმა მათ განმა სიმღერა დაიწყო და დანარჩენებმაც სიმღერით დაიწყეს სიარული (ტაქტში), გაიარეს ელინთა ჯარების რიგთა შორის, ერთბაშად გაემართნენ მტრის წინააღმდეგ იმ სიმაგრისაკენ, რომელიც მათ უფრო მისაწედომად მიაჩნდათ...“.

„... დრილები ცხოვრობდნენ ძნელად მისადგომ მთებში და პონტოს ყველაზე უფრო მეომარ ხალხს წარმოადგენდნენ“.

სტრაბონი (ძვ. წ. ა. 61-ას. წ. ა. 24 წ.): „სოანები... თავისი სიმამაცითა და სამხედრო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხებზე უფრო სახელოვანი არიან. ისინი ცხოვრობენ კავკასიონის მაღლობზე, დიოსკურიის ზემოთ... მათ ჰყავთ მეფე და სამასთა საბჭო, ხოლო ომიანობის დროს, როგორც ამბობენ, 200.000-მდე კაცი გამოჰყავთ“.

აგათია სქოლასტიკოსი (დაახლ. 536-582 წწ.): „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა

ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმალლობენ, შე-  
საძლოა არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის,  
რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ  
მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და  
მორჭმული, როგორც თავის სიმდიდრით, ისე ქვეშევრ-  
დომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბითა და  
მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვი-  
ტით“.

არიანე (100-160 წწ.): „ხალხები, რომელთა ქვეყნები  
ჩვენ გავიარეთ, შემდეგია: ტრაპიზონდელების მოსაზღვ-  
რე კოლხები, როგორც ამბობს ქსენოფონტე; მეორე  
ხალხს კი, მეტად მეომარს და ტრაპიზონდელების მიმართ  
მტრულად განწყობილს, ქსენოფონტე დრილებს უწო-  
დებს. მე კი მგონია ეს სანებია, რადგან ისინი დღემდი-  
საც მეტად მეომარი და ტრაპიზონდელებისადმი ძლიერ  
მტრულად განწყობილი არიან. ეს ხალხი მიუდგომელ ად-  
გილებში ცხოვრობს და მეფეები არა ჰყავს“.

ვგონებ, საკმარისია. მიაქციეთ ყურადღება რამდენი  
საინტერესო და მრავლისმთქმელი ცნობებია გაბნეული  
უცხოელთა ამ ჩანაწერებში. სხვა უამრავ მასალას თავი  
რომ გავანებოთ, მარტო აქ მოტანილი ნაწყვეტ-ნაწყვე-  
ტი ცნობებიც კი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ  
დაწერილიყო მთელი ისტორია ძველი საქართველოს მკვი-  
დრთა შეიარაღების, სამხედრო-ფიზიკური და მორალუ-  
რი მომზადების საკითხებზე. ანდა რამდენ რამეს ეუბნე-  
ბა მკითხველს ბერძენი მოღვაწეების მიერ ქართველური  
ტომის ხალიბების მოხსენიება. სწორედ ამ ტომმა შექმნა  
ფოლადის უნიკალური სახეობა, რომლისაგან დამზადებუ-  
ლი იარაღიც ყველივით ჭრიდა მტარვალთა მახვილებს.

შეუძლებელი იყო ამ იარაღების ხმარებაში დახელოვნებისათვის იმავე ხალიბებსა და მათს მონათესავე ტომებს არ შეექმნათ ფიზიკური მომზადების მწყობრი სისტემა, რისი პრაქტიკული გამოყენებაც გაუადვილებდა მათ ფოლადის იარაღის ხმარებას საბრძოლო პირობებში. სწორედ ამ იარაღის არსებობამ განაპირობა სხვა სახეობებს. თან ერთად ფარიკაობის განვითარებაც.

ალბათ მკითხველმა ყურადღება მიაქცია ჩვენს ვიქ მოტანილ მასალებში ერთ საინტერესო ფაქტს, რაც მეტყველებს ჩვენს ქვეყანაში არა მარტო სპორტული, არა მედ მუსიკალური კულტურის მაღალ დონეზეც. ნახუროვორაა გამოყენებული მუსიკა სამხედრო-სპორტულ საქმიანობაში. მუსიკა, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მთავარ ფუნქციას ასრულებდა: იგი თამაშობდა სახედრო თუ სპორტული მომზადების რთულ და მძიმე საქმიანობაში გარკვეული ემოციის შემტანის როლს, მებრძოლთა სულიერი ამაღლების მასტიმულირებლის როლს. ამასთან ერთად მუსიკას გააჩნდა დიდი მნიშვნელობა მებრძოლთა სამწყობრო მომზადების საქმეშიც შეწყობილი სიარული, მიბრუნ-მობრუნება, უცაბედი შეჩერება და ასევე უცაბედი მოწყვეტა ადგილიდან და ერთი ტემპით წინსვლა, მუსიკის დახმარებით ხომ ერთორად იხვეწებოდა, და ამასთან, ადვილდებოდა კიდევ გახსოვთ რას ამბობს ქსენოფონტე?! ხალიბები ბრძოლის დროს ცეკვავდნენ და მღეროდნენ მაშინაც კი, რომ მტერი ახლოს იყო. ეს ხომ პირდაპირი მინიშნებაა ჩვენი ძველ საბრძოლო ცეკვებზე — ხორუმზე, ფერხულსა და სხვებზე. ანდა იგივე ქსენოფონტე რა შესანიშნავ ფაქტზე მოგვითხრობს! ნაოსან მოსინიკებს შორის ერთ-ერთ-

სიმღერა წამოიწყო, დანარჩენებიც აყვნენ და სიმღერის  
ტაქტს ააყოლეს ფეხი, შემდეგ მოწყდნენ ადგილს და  
მტერს ეკვეთნენ. განა ეჭვი უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ  
ეს არის ჩვენი ცნობილი სალაშქრო სიმღერების ერთ-  
ერთი წინაპარი? მოვუსმინოთ, იმავე ფაქტის სხვა ვარი-  
ანტს როგორ გადმოგვცემს ქსენოფონტე: „მეომარი მო-  
სინიკები ასეულებად დაეწყვნენ და დადგნენ ერთმანე-  
ოის პირისპირ, როგორც ქოროები... შემდეგ ერთი მათ-  
განი იწყებდა, ხოლო ყველა დანარჩენი მღერით რიტმუ-  
ლად მიაბიჯებდა“... მათ „მოკლულთ“ თავები დასჭრეს  
და თავისი მტრების და ბერძნების დასანახად აღმართეს,  
თან ცეკვავდნენ და მღეროდნენ რომელილაც სრულიად  
თავისებურ ჰანგზე“. ო, როგორ გინდა ხორცი შეისხას  
ფანტასტი მწერლების ოცნებამ, რომლებიც განსაკუთ-  
რებული აპარატის დახმარებით აცოცხლებენ ყველა  
დროსა და ეპოქაში წარმოთქმულ ბგერებსა და სიმღე-  
რებს და თანამედროვე ადამიანს საშუალებას აძლევენ  
მოისმინოს წინაპართა მიკარგული სიმღერები. თუ ამ  
აპარატს მივმართავდით და დავიჭირდით ზუსტად იმ  
დროს, როდესაც მომღერალმა მოსინიკებმა მებრძოლთა  
რიგებს ჩაუარეს, ალბათ მოვისმენდით რაღაც მსგავსს  
ისეთი სიმღერებისას, როგორიცაა ჩვენი „მუმლი მუხა-  
სა“, „არავო უყარაულე“, „გაფრინდი, შავო მერცხა-  
ლო“ და საბრძოლო სულის აღმგზნები სხვა პიმნები.

მუსიკა სპორტის ზოგიერთი სახეობის აუცილებელი  
თანმხელები ატრიბუტი გახდა. პირველ რიგში ეს ქართულ  
ჭიდაობაზე ითქმის. დღეს რომ ზურნა ახმოვანებს ჩვენს  
საჭიდაო დარბაზებსა და არენებს, აღრე მოჭიდავეთა გა-  
სამხნევებლად რამოდენიმე კაცისაგან შემდგარი გუნდი

მღეროდა, გასაგებია, რომ ამ სიმღერის ტექსტიც ასე  
მოჰვიდავეთა საბრძოლო უინის გალვივებას მოემსახურე.  
ბოდა. ზოგჯერ მომღერლებს სალამური და გუდასტვირი  
ენაცვლებოდა. ამ უკანასკნელთა არსებობა დამოწმებუ-  
ლია დღევანდელ მესხეთში.

ბერძენ მოღვაწეთა ცნობები ქართველურ ტომებზე  
უხვად შეიცავს ამ უკანასკნელთა მაღალი სულიერი თვი-  
სებების, პირველ რიგში კი, შეუპოვრობის, სამშობლო-  
სათვის თავდადების, ხასიათის სიმტკიცის, გამარჯვები-  
სადმი სწრაფვის დახასიათებას. ამ თვისებების განვითა-  
რება კი წარმოუდგენელია ასევე ძვირფას ფიზიკურ თვი-  
სებებთან (სიმარჯვე, ძალა, ამტანობა, გამძლეობა, მოქნი-  
ლობა) კავშირის გარეშე. სწორედ ამ სულიერ და ფი-  
ზიკურ თვისებათა პარმონიულმა შერწყმა-შეთანხმებამ  
ითამაშა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი იმაში, რომ ქარ-  
თველობა, ზოგიერთი ხალხის დაგვარად, არ აღიგავა პი-  
რისაგან მიწისა. მეტად ცნოვრებისეული პირობები,  
მძიმე შრომითი პროცესი, გამუდმებული ბრძოლები,  
სისტემატური ფიზიკური ვარგიშობა განაპირობებდა იმ  
ხასიათს, რაც ოდითგან ჩამოუყალიბდა ქართველ კაცს,  
და რაც ბევრი საინტერესო ნიუანსით გამოიჩინდა.

ამ გაებით ჩვენთვის მეტად ძვირფასია, მაგალითად,  
ჩვენს ერამდე მე-4 საუკუნეში მოღვაწე ბერძენი ისტო-  
რიკოსის ეფორეს ცნობა ტიბარენებზე, რომლებიც თურ-  
მე „გატაცებულნი არიან თამაშით და სიცილით და ამას  
თვლიან უდიდეს ბედნიერებად“. აქ უსათუოდ პირველ  
რიგში ნაგულისხმევია ამ ქართველური ტომის მისწრა-  
ფება თეატრალური ხელოვნებისადმი, კომედიური სან-  
ხაობისადმი, აღბათ სპორტული თამაშებისადმიც; მაგრავ

ამ ცნობაში, გარდა ამისა, იგრძნობა ხასიათის სიფაქიზე და გულწრფელი, ჯანსაღი სიცილი, რაც ასევე ჯანსაღი სხეულის თვისებასაც წარმოადგენს.

მაღალი სულიერი და ფიზიკური თვისებების იდეალად ქართველმა ხალხმა მრავალი რეალური თუ თავისი ფანტაზიით შექმნილი პიროვნება დაგვიხატა, მაგრამ მათს შორის მაინც პირველ ადგილს ისაკუთრებს თქმულება ამირანზე. ამირანი იყო იდეალი ყველა ქართველისა, იდეალი სულიერი, ზნეობრივი და ფიზიკური სრულყოფისა.

ლმერთთან მებრძოლი ამირანი! რა შორი მიზანი ამოილ ნიშანში ქართველმა ხალხმა, როცა მის მიერ დახატულ გმირს ლმერთების წინააღმდეგაც კი აღამართვინა ხელი! ვერ ხვდებით რა ქვეტექსტი გააქეთა მან გმირთა-გმირის ამ მოქმედებაზე ყურადღების გამახვილებით? ეს ხომ იყო გაფრთხილება და შეძახილი ჩვენი მტრებისადმი: „თქვენ ეი, ათასი ჯურის მტარვალებო, კარგად მოისმინეთ ამბავი ამირანისა. ამირანი — ეს ქართველი ხალხის უტეხი ბუნების, ქედუხრელობის, შეუპოვრობისა და უდრეკობის განსახიერებაა. ამირანს ყველა ქართველის რაღაც თვისება გააჩნია. იგი ლმერთებსაც კი შეებრძოლა. ჰო-და, ფრთხილად იყავით, თქვენ საქმე გაქვთ ადამიანებთან, რომლებიც სამართლიანობის გულისათვის თვით ლმერთებსაც არ დაზოგავენ. თქვენ კი, ჩვეულებრივ მოკვდავთ, არაფერი გამოგივათ, ამაო იქნება თქვენი ყოველი ცდა. თქვენ შეიძლება ჩვენზე მოიპოვოთ დროებითი წარმატება, საბოლოო გამარჯვებასა და ჩვენს დამონებას კი ვერ მოესწრებით!“

სიამაყის გრძნობა გიპყრობს, როცა გაიხსენებ, რომ

თქმულება ამირანზე 4000 წლისაა, რომ პიროვნების სრულყოფილი გონიერები, ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება ქართველთა იდეალს წარმოადგენდა ჯერ კიდევ მეორე ათასწლეულის დასაწყისში ჩვენს ერამდე.

პიროვნებები, რომლებიც სწორედ ასეთი თვისებებით იყვნენ განთქმული ძველ საქართველოში, მრავლადაა ცნობილი, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული კოლორიტულობითა და საოცარი ფიზიკური მომზადებით მაინც გამოირჩეოდა ზოგიერთი, პირველ რიგში კი ეს ითქმის ქართველთა მეფე ფარსმან მეორეზე, რომელიც ისტორიაში ფარსმან ქველის სახელით შევიდა. ფარსმან მეორის გასაოცარი სამხედრო-ფიზიკური მომზადების შესახებ საქმის კურსში ჩადგა მაშინდელი მსოფლიო ყველაზე ძლიერი სახელმწიფო რომის იმპერიაც კი. ეს მოხდა 138 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით, მაგრამ მანავდე მოკლედ თვით ფარსმანის შესახებ...

„ქართლის ცხოვრების“ ავტორი ასე ახასიათებს ფარსმან მეორეს: „ხოლო ფარსმან ქუელი იყო კაცი კეთილ და უხუად მომნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუანიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უხორცო და ყოველითავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართვლისათა, რომელნი გარდაცვალებულ იყვნეს უწინარეს მისსა.“

მრავალ ბრძოლებში უსახელებია მას თავი, განსაკუთრებით კი პონტოს მაღაგასსნილი მბრძანებლის მითრადატეს წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩნდა მისი საბრძოლო მზადყოფნა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, როდესაც მითრიდატემ სპარსელთა ურიცხვი ჯარი მოიშველია და გამოემართა საქართველოსაკენ, ფარსმანმა ბუმბერაზო

ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა და ერთ ბრძოლაში  
 ჩვილმეტი ბუმბერაზი დახოცა. უცებ ძნელია გაიაზრო  
 რას ნიშნავს ორთაბრძოლებში 17 გამოჩენილი ვაჟკაცის  
 დამორჩილება. ბუმბერაზობა ჯერ რიგით მებრძოლებს  
 შორის იმართებოდა, ცხადია, ამ სამკვდრო-სასიცოცხლო  
 შერქინებაში მონაწილეობას მხოლოდ რჩეულთა შორის  
 რჩეულები ბედავდნენ. მაგრამ როდესაც რომელიმე მხა-  
 რის ბუმბერაზი ზედიზედ დაალაგებდა საწინააღმდეგო  
 მხრიდან მასთან ორთაბრძოლაში გამოსულ ბუმბერა-  
 ზებს, მაშინ მეფე ერეოდა საქმეში და თვით გადიოდა  
 გამარჯვებებით გათავსედებული და გაამაყებული გო-  
 ლიათის წინააღმდეგ. ხომ ხედავთ, რა გამოდის? მეფეს  
 უხდებოდა შერქინება მხოლოდ ძლიერთა შორის ძლი-  
 ერთა წინააღმდეგ, ისეთ დახელოვნებულ მებრძოლებთან,  
 რომლებსაც ვერაფერს დააკლებდა დღედაღამ ფიზიკურ  
 მომზადებაში ჩაბმული და კარგად დახელოვნებული,  
 სხვებზე უკეთესი ფიზიკური მონაცემების მქონე ათეუ-  
 ლობით ბუმბერაზი. აქედან თავისთავად უნდა ვიგულის-  
 ხმოთ, რა ბრწყინვალე ფიზიკური მომზადება უნდა ჰქო-  
 ნოდა მეფეს, თავი რომ არ შეერცხვინა და ქვეყანა არ  
 დაეღუპა თავისი დამარცხებით. ფარსმანმა კი იმ დღეს  
 ერთი კი არა, 17 გოლიათი გამოასალმა სიცოცხლეს.  
 ერთ-ერთი მათგანი იყო სპარსი გოლიათი, რაღაც უსა-  
 შველო ძალის პატრონი ჯუმბერი. იგი „ლომსა ხელით  
 შეიპყრობდაო“, — გვამცნობს მემატიანე. ჯუმბერს თვით  
 მოუთხოვია ფარსმანთან ბრძოლა; ფარსმანმა სიხარუ-  
 ლით მიიღო ეს გამოწვევა. „და აღიზახნეს ორთავე ხმი-  
 თა სასტიკითა და მიეტევნენ ურთიერთას და იწყეს ბრძო-  
 ლად ხრმლითა. და ხმა ბრძოლისა მათისა ემსგავსა ხმასა

ქუხილისა და ტეხისასა“. ფარსმანმა იმარჯვა, კუმბეჭ  
ცხენიდან ჩამოაგდო და სხვა დახოცილი გოლიათების  
გზას გაუყენა.

სწორედ ეს ფარსმანი მიიწვია რომის იმპერატორმა,  
ადრიანემ, მაგრამ ამაყმა ფარსმანმა არც ისე ადვილად  
გაუყადრა თავი რომაელთა მბრძანებელს, იგი მხოლოდ  
რამოდენიმე მოწვევის შემდეგ წავიდა და ისიც მაშინ,  
როცა ადრიანე აღარ იყო ცოცხალი და მის საქმეს ახალი  
იმპერატორი ანტონინუს პიუსი აგრძელებდა.

მოდით, ჩვენც კვალდაკვალ ავედევნოთ საქართველოს  
ანტერესებისათვის ცხრამთას იქით მიმავალ მეფეს, ვი-  
ნილოთ გზად მისი სახილველი და ვისმინოთ მისი სასმე-  
ნი, მოვიშველიოთ ფანტაზია და მის ნაფიქრალსაც ჩა-  
წვდეთ. ფარსმანის ეს მოგზაურობა და მასთან დაკავში-  
რებული პერიპეტიები ჰეშმარიტად ლირს მოგონებად,  
რამდენადაც ქართული და მსოფლიო სპორტული მოძრა-  
ობის ზოგიერთი საინტერესო დეტალი მასთან მჭიდრო-  
დაა დაკავშირებული.

მაშ ასე, ფარსმანი ცოლშვილითა და დიდი ამალით  
გაეშურა რომისაკენ. ამალაში რჩეული ათლეტების შე-  
ყვანა არც უფიქრია. მისი ვიზიტი რომაელებთან სახელ-  
მწიფოებრივი ურთიერთობის მოგვარებას ითვალისწი-  
ნებდა და იგი სამართლიანად ფიქრობდა, რომ რომაე-  
ლებს ზარზეიმისა და მის ათლეტებს კი სპორტული ოს-  
ტატობის ჩვენებისათვის არ ეცალათ. მაგრამ ფარსმანის  
მაღალი ორატორული ნიჭის წყალობით მდგომარეობა  
შეიცვალა. „იქ, — გადმოგვცემს რომაელი მწერალი  
დიონ კასიოს კოკეირონი, — მან ისეთი წარმატებით  
დაიცვა თავი იმპერატორისა და სენატის წინაშე, რომ

სრულიად გამართლებულ იქნა, ხოლო იმპერატორმა შას  
 სამფლობელოები გაუფართოვა და თვით მასაც შეუღ-  
 ლითურთ არაჩვეულებრივი პატივი მიაგო: ნება დართო  
 კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა და ცხენოსანი ფარს-  
 მანის ქანდაკება მარსის მინდორზე დადგა“. იმავე მწერ-  
 ლის ცნობით, იმპერატორმა დიდი ყურადღებით ინახუ-  
 ლა „სამხედრო ვარჯიშობანი ფარსმანისა, მისი ვაჟისა და  
 სხვა წარჩინებული ივერიელებისა“. როგორც გითხარით,  
 ფარსმანს რომში ჰყავდა სახელმწიფო დანიშნულების  
 ამაღლა და არა სამხედრო-ფიზიკურ ვარჯიშობებში გაწვრ-  
 თნილ მეომართა ჭგუფი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს  
 „წარჩინებული ივერიელები“ აკვირვებენ რომს. ალბათ  
 ხვდებით რა საინტერესო დასკვნის გაქვთების საშუალე-  
 ბას გვაძლევს ეს ფაქტი: ვარჯიშობა სამხედრო-ფიზიკურ  
 სახეობებში ერთნაირად იყო სავალდებულო ყველასა-  
 თვის, წარჩინებული იქნებოდა იგი თუ მდაბიო. წარჩი-  
 ნებულ ივერიელებს აზრადაც არ მოსვლიათ ალბათ, რომ  
 მოუწევდათ სპორტული ოსტატობის ჩვენება იმ პერიო-  
 დისათვის ისეთი კომპეტენტური მაყურებლის წინაშე,  
 როგორც რომაელები იყვნენ.

რომაელი მაყურებლის ზნესა და ინტერესებს კი უკვე  
 კარგად იცნობდა ფარსმანი. მესამე დღეა ეპატიუებიან  
 მას და მის ამაღლას გლადიატორთა სისხლიან ბრძოლებზე  
 კოლიზეუმში, მაგრამ მან კარგად იცოდა რასაც წარმო-  
 ადგენდა გლადიატორთა ბრძოლები, და ყველა მიწვევა-  
 ზე თავაზიანი უარი განაცხადა, ბოლოს თვით ანტონი-  
 ნუს პიუსის მიწვევა მიიღო, ვაჟიშვილის — ადამის და-  
 უინებულ თხოვნაზეც ვეღარ თქვა უარი და მთელი ამა-  
 ლითა და ცოლშვილით კოლიზეუმს ეწვია. ფარსმანი,

მისი მეულლე ღადანა და ვაჟიშვილი პიუსმა საკუთარო  
ლოუაში მიიწვია, ღანარჩენი დიდებულები კი მეზობელ  
ლოუებში მოთავსდნენ.


ფარსმანს არ გაჰქვირვებია მაყურებელთა აუიოტაერ  
და გადაჭარბებული ტემპერამენტი; ეს თვისებები არც  
საქართველოში აკლდა სპორტულ შეჯიბრებაზე მოსულ  
მაყურებელს, მაგრამ ვერ ფარავდა გაკვირვებას იმის  
გამო, რომ მაყურებელთა დიდი ნაწილი საკმაოდ მთვრა-  
ლი იყო. დროდადრო რომელიმე შეზარხოშებული მაყუ-  
რებელი წამოდგებოდა, აღმართავდა ხელს და ხმამალლა  
დაიძახებდა: „გაუმარჯოს იულიუსს, ჩვენს მრისხანე და  
კეთილ მასპინძელს!“ ფარსმანმა თხოვა პიუსის ერთ-ერთ  
მხლებელს აეხსნა ამ წამოძახილების შინაარსი. მხლებელ-  
მა განმარტა: „ასეთი სანახაობები ჩვენში ხშირად იმარ-  
თება. ამჟამად ერთ წელიწადში მარტო კოლიზეუმი  
ასამდე შეჯიბრებასა და გლადიატორთა ბრძოლას მარ-  
თავს. თითოეული სანახაობის მოწყობა ერთ რომელიმე  
დიდებულს ევალება, მათ ჩვენში ედილებს უწოდებენ  
მათ ევალებათ გამოიყვანონ გლადიატორები საკუთარი  
კარცერებიდან, ამასთან, სანახაობის დაწყების წინ მან  
უნდა მოზიდოს იმდენი ღვინო და ხორავი, რომ ყველა  
დამსწრეს გასწვდეს. კოლიზეუმში კი (მთხრობელმა თვა-  
ლი მოავლო დარბაზის ტრიბუნებს) 90 ათასი კაცი ეტა-  
ვა. არ გაგიკვირდეთ, ედილებს არ უჭირთ აუ მსხვერ-  
ლის გალება. დღევანდელი სანახაობის მომწყობ იულიუსს  
დაკეთში იმხელა ვენახები აქვს, ერთ თვეს ვერ შემოივ-  
ლი ფეხით“.

ტრიბუნებზე მენაღარენი გადმოდგნენ და დამსწრეთ  
ამცნეს საინტერესო სანახაობის დაწყება. პირველად გა-

იმართა შეჯიბრება შუბის მიზანში ტყორცნაზე, თავიანთი ძალები გამოსცადეს მშვილდოსნებმაც. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ მშვიდობიან შესავალს გავდა. მაყურებელიც ინდიფერენტულად შეხვდა ამ სანახაობას. ხალხი გლადიატორთა ბრძოლის მოლოდინში იყო და სისხლიან ინსტინქტებს მოწყურებულ მაყურებელს, ცხადია, შუბის მიზანში ტყორცნა ვერ დააკმაყოფილებდა.

გამოაცხადეს თუ არა გლადიატორთა ბრძოლების დაწყება, ტრიბუნებზე ისეთი ღრიალი ატყდა, ფარსმანი სახტად დარჩა. ხოლო როცა არენაზე გლადიატორები გამწერივდნენ და ერთმანეთისაკენ დაიძრნენ, დარბაზში ყოფნა თითქმის შეუძლებელი გახდა. ყველა, უკლებლივ ყველა, რაღაცას გაჰყვიროდა, ამხნევებდა მის რჩეულ გლადიატორს, აქეზებდა მას; პიუსს კისერი გაეშეშებანა და მხოლოდ თვალების მოძრაობაზე შეამჩნევდით, არენის რომელ მხარეს უთვალთვალებდა. ფარსმანმა შენიშნა, რომ პიუსი რამდენადმე უხერხულად გრძნობდა თავს. მართლაც და, ასეთი მაყურებელი არამც და არამც არ შეეფერებოდა ისეთი დიდი კულტურის ქვეყანას, როგორიც რომის იმპერია იყო.

გლადიატორთა ორივე გუნდში 20-20 კაცი შედიოდა. ერთი გუნდი ლურჯ ტრუსებში იყო გამოწყობილი, მეორე კი წითელში. ეს სისხლიანი თამაშები უკვე ორი საუკუნეა კვებავდა რომაელთა ინტერესებს, ამ ხნის მანძილზე მის ორგანიზატორებს გამომგონებლობის საოცარი ნიჭი გამოუვლინებიათ და ბრძოლის ათასნაირი გარიანტები შემოუღიათ. აი, ახლაც, ერთი გუნდის ყველა წევრი წელზევით შიშველი იყო, ხელში კი გრძელი, წა-




მახვილებული ორკაპები ჩაებლუჯათ; მეორე გუნდში  
წევრებს კი ლურჯი ტრუსების ზევით რეინის ჭავშან,  
ჩაეცვათ და ხელში მოკლე ბებუთები მოემარჯვებინათ.

არენაზე საშინელი სცენები დატრიალდა. ფარსმანები  
მალულად გადახედა მეუღლეს და სიამოვნებით შენიშვნა  
რომ საქართველოს დედოფალი დიდი შინაგანი და.  
ბულობის ფასად, მაინც ვაჟკაცურად იყავებდა თავს, არ  
იმჩნევდა აღელვებას.

გლადიატორები მთელ არენაზე გაიშალნენ; ერთ  
წყვილი ბრძოლით ზედ პიუსის ლოჟას მოადგა. ორკაპი.  
ანმა მებრძოლმა მეტოქე კედელთან მიიმწყვდია და ის  
იყო ორივე წაწვეტებული მახვილი ყელში უნდა გაეუკრა,  
რა, რომ ვერ გამოიჩინა სათანადო სისწრაფე, ჭავშან  
ჩაცმულმა მოასწრო გვერდზე გახტომა და მეტოქის  
გრძელი იარაღი კედელს შეემსხვრა, ამასობაში დანამო-  
მარჯვებულმა გლადიატორმა ელვის სისწრაფით ისკუს  
და უშედეგო შეტევით გაწმილებულს მუცელი გაუფატ-  
რა ბებუთით. გულშეღონებული მებრძოლი იატყვზე და-  
ენარცხა, ცოტა ხანს უგონოდ იწვა, მერე თვალები გა-  
ახილა, იმპერატორისაკენ გაიხედა და მისკენ გაიშვის  
მარჯვენა ხელი. ფარსმანს აუხსნეს: ამ მოქმედებით იყა  
იმპერატორს თხოვს სიცოცხლის შენარჩუნებასო.

იმპერატორმა დინჯად მოატარა მზერა ტრიბუნებზე.  
კარგად დაზვერა — მაყურებელთა ცერა თითები ზემოთ  
უფრო მეტია აშვერილი თუ ქვემოთო. როდესაც ის  
დარწმუნდა — მაყურებელთა დიდი ნაწილი ცერებს და-  
ბლა უშვებსო, თვითონაც საზეიმოდ აღმართა ხელი, გა-  
მართა ცერი და ისე მკვეთრად გადმოაბრუნა მიწისაკენ,  
თითქოს შიგ სარივით ჩასობას უპირებსო. უმალ კულ-



სებიდან გამოვარდა ორი შეიარაღებული მამაკაცი, მე-  
ვიდნენ დაჭრილთან, ერთმა მათგანმა ამოაბრუნა მკერ-  
ლით ზევით, მეორემ კი მკერლში ჩასცა მახვილი. შემდეგ  
კაუჭი გამოსდეს და ისევ კულისებისაკენ გაათრიეს.  
თურმე ცერები ზემოთ რომ აეშვირათ, საბრალო დაჭ-  
რილისათვის ეს სიცოცხლის შენარჩუნების დასტური  
იქნებოდა; ხოლო თუ უმრავლესობამ დაბლა დაუშვა  
ცერები, ეს იმიტომ, რომ დაჭრილ მეომარში ვერავინ  
შენიშნა ვაჟკაცური სულის მებრძოლი.

ახლა კი გატყდა ქართველი დედოფალი, თვალებზე  
ხელები აიფარა, წამოდგა და რამდენიმე მხლებლითურთ  
კოლიზეუმის ერთ-ერთ კომფორტულ მოსაცდელ ოთახ-  
ში შევიდა. ფარსმანი კი კვლავ ანტონინუს პიუსის ლოეა-  
ში დარჩა. ხასიათი წაუხდა ფარსმანს. ახლა მისი მზერა,  
მართალია, არენისაკენ იყო მიმართული, მაგრამ მთელი  
მისი არსება მშობლიურ ივერიას დაუბრუნდა. არა, ასეთი  
სისასტიკე და სისხლის წყურევილი სრულიად უცხო იყო  
მისი ქვეყნის სპორტული სარბიელებისათვის. კარგად  
ახსოვს — ქართველთა მეფის ქორწილის დღეს სასახლის  
წინ გადაშლილ დიდ მინდორზე გამართული ყაბახი. ახალ-  
გაზრდა დედოფალი მასთან ერთად გამობრძანდა მკლავ-  
ფიცხელ ჭაბუქთა ოსტატობის საჭვრეტლად. ზომაზე მა-  
ღალი იყო ყაბახი; ნორმალურ ყაბახზე თითქმის ყველა  
აუცდენლად ესროდა. იმ დღეს, ამაღლებულ სვეტზე შე-  
მოდებულ ოქროს თასს პირველ წყებაზე ვერც ერთმა ყა-  
ბახისანმა ვერ მოახვედრა ისარი. მაშინ თეთრ ტაიჭიზე  
ამხედრებული ჭაბუქი წამოვიდა ჭენებით, შემართა  
მშვილდი და სტყორცნა თასს ისარი. ოქროს ჭურჭელშა  
უღრიალი მოიღო და მიწისაკენ დაეშვა, მაგრამ მხედარ-

მა ცხენდაცხენ მოასწრო და ჰაერშივე დაიჭირა. შემდე  
შემოაბრუნა ტაიჭი, მოხდენილად ჩამოხტა, მიუახლო  
და დედოფალს და მოწიწებით გადასცა ოქროს თასი. ე  
ყველაფერი ისე ლამაზად და უნაკლოდ შესრულდა, რო  
ირგვლივ ვაშამ იქცა. დედოფალმა მაღლობა გადაუხად  
ჭაბუქს, შემდეგ უზომოდ ბედნიერმა ხელი ხელში ჩაუდა  
ფარსმანს და ღიმილით გაებადრა სახე. არა, — გამოფხი-  
ზლდა ფარსმანი, — ასპარეზობის ხილვა თვალს უნდა  
ახარებდეს, გულს ახალი საგმირო საქმეების ჩასადენად  
აქეზებდეს, სილამაზისადმი სიყვარულის წმინდა გრძნო-  
ბას უნერგავდეს ადამიანს. ეს კი რა ნახა, რა საშინელე-  
ბი იხილა მისმა თვალებმა. ნუთუ ასე შეიძლება გაირჩ-  
ვნას ადამიანის გემოვნება და სინდისი?!

არენაზე გლადიატორთა ახალი გუნდი გამოიყვანეს  
მებრძოლებს მხოლოდ ტრუსები ეცვათ და ხელთ რომ-  
ული მოკლე მახვილი ეპყრათ. მოპირდაპირე მხარეს გა-  
იღო კარი და არენაზე ღრიალით შემოვარდნენ გარეულ  
ჯალლები. და ავაზები. წინასწარ დამშეული მხეცებ-  
შიშველი გლადიატორებისაკენ გაქანდნენ. ისევ გაიმარ-  
თა გააფთრებული ბრძოლა. ოცდაათი გლადიატორიდან  
მხოლოდ ორნიღა დარჩენენ, რომლებმაც ბოლო მოუღე-  
უკანასკნელ ავაზას და დაღლილი და ბედნიერნი შე-  
მობრუნდნენ იმპერატორისაკენ. პიუსმა მათ თავისუფ-  
ლება აჩუქა. არა, ეს კეთილი უესტი ვეღარ გაამთელებდა  
გატეხილ შთაბეჭდილებას, რაც ქართველ მეფეს შეეჭ-  
ნა ენით აუწერელი საშინელი „თამაშების“ ხილვის შე-  
დეგ. მაგრამ ის, რაც მან იხილა, ჩქარა ისეთმა სანახაო-  
ბამ შეცვალა, რომ გლადიატორთა ბრძოლები მასთან შე-  
დარებით მშვიდობიან ურთიერთმიალერსებად მოეჩვენა-

ბოდა კაცს: არენაზე ათი შიშველი ქალი შემოიყვანეს. — თოკით მიაბეს სვეტებზე, ტანი ზეთით გაუპოხეს და ჩი- რალდნის შეხებით ცეცხლის ალში გახვიეს ათივე. რაღაც ახალი რელიგიური მიმართულება — ქრისტიანობა გაჩნ- და და მისი ქადაგებისათვის დასაჯეს ეს ქალებიო, აუხს- ნა ფარსმანს თვით ანტონინუსმა და თან თხოვა, დავტო- ვოთ აქაურობაო.

ხასიათწმხდარნი გამოვიდნენ ქართველი დიდებუ- ლები კოლიზეუმიდან; მთელი პროგრამა, რითაც იმ სა- ლამოს გაართეს რომაელები, მართალია, შემაძრწუნებე- ლი იყო თავისი სისასტიკით, მაგრამ პროგრამის ბოლო ნაწილმა მაინც ვული ჩაუკლა ივერიელებს. კიდევ კარ- გი, იმპერატორმა დაგვატოვებინა არენა, თორემ ამ სას- ტიკი სცენის ყურებაც კი ცხოველთა ღონემდე დასვლა- სა და გრძნობების გარყვნა-გადაგვარებას უდრისო, — ფიქრობდა ფარსმანი. გლადიატორთა შეჯიბრების ნახვამ სხვა მხრივაც შეაშფოთა იგი: მეორე დღეს მარსის მოე- დანზე ანტონინუს პიუსის თხოვნით მან, მისმა ვაჟმა და სხვა ივერიელებმა სამხედრო ვარჯიშობანი უნდა უჩე- ნონ და, რაც არ უნდა მოხდენილი და საინტერესო გამო- ვიდეს მათი ვარჯიშობანი, ამ გრძნობაგადაგვარებულ მაყურებელს მოხიბლავს კი მათი ხელოვნება, რომელიც არც სისხლის ღვრასა და არც სხვა რამ სისასტიკეს არ ითვალისწინებს და მხოლოდ დიდ ფიზიკურ გაწვრთნი- ლობაზეა დამყარებული? ვაი თუ ამ სისხლს მოწყურე- ბულმა მაყურებელმა აუგი წამოძახილებითა და სხვა შეურაცხმყოფელი მოქმედებით დაამციროს იგი და მისი ამაღლის წარჩინებული პირები?

მეორე დღეს დილიდანვე აივსო მარსის დიდი მოე-

დანი. ქართველთა გამოსვლები მხოლოდ შუადღის შე  
დეგ უნდა დაწყებულიყო, ათასობით რომაელი კი და-  
ლიდანვე მოთმინებით ელოდა სანახაობის დაწყებას. ეს  
კარგად ენიშნა ფარსმანს.

მზე გადაიხარა თუ არა, საყვირების გაბმული ჭყვიტი.  
ნით დამსწრეთ ამცნეს უცხო სტუმრების გამოსვლების  
დაწყება. ცხენზე ამხედრებული ქართველების კოლონა  
მოედნისაკენ დაიძრა, წინ იარაღში ჩამჯდარი ფარსმანი  
მიდიოდა. ქართველი დედოფალი იმპერატორის გვერ-  
დით იჯდა და გულისფანცქალით ელოდა თამაშების  
დაწყებას, უფრო მეტად მას, ისე როგორც ყველ  
ქართველს, მაყურებელთა რეაქცია აინტერესებდა. სა-  
სიხარულო განცდამ თავიდანვე არ დააყოვნა; ქარ-  
თველთა კოლონა შემოვიდა თუ არა მოედანზე, ირგვლი-  
ოვაცია ატყდა და დევგმირებივით ცხენებზე ამხედრე-  
ბული ივერიელები მქუხარე ტაშით გააცილეს მოედნის  
ბოლომდე.

ჯერ ჩოგნით თამაში — გადრი გაიმართა, რომელიც  
ორგანული გაგრძელებით ჩოგანბურთის მეორე ნაირსა-  
ხეობამ რაღრაბაგანმა შეცვალა. ეს წინასწარ მოფიქრე-  
ბული ჰქონდა ფარსმანს. ერთ ეფექტს მეორე უფრო  
ძლიერი ეფექტი შეცვლიდა. საქმე ის იყო, რომ გადრის  
თამაშის დროს შეიძლებოდა სისწრაფის, მხედრული ხე-  
ლოვნების, ბურთის გადაცემის სიზუსტის, ჩოგნის მო-  
ღვნილად ხმარების ჩვენება, მაგრამ ცხენზე ურთულესა-  
შობრაობების შესრულება უფრო რაღრაბაგანის თამაშის  
დროს იყო შესაძლებელი.

როდესაც მარსის მინდორზე ქართველმა ჩოგანბურ-  
თელებმა ნამდვილი ბრძოლის ცეცხლი დაანთეს და ერთ-

გა მხარემ მაყას იქით ბურთი გაიტანა, მოედანზე გაშარ-  
თულმა ოვაციამ ირგვლივ მდგარი სასახლეები შეაჩან-  
ზარა. შემდეგ ჩოგანბურთელებმა ერთ ადგილზე მოიყა-  
რეს თავი და თვითეულმა რათვანმა მოედნის ცენტრში  
ჩოგნის ხმარების ოსტატობის ჩვენება დაიწყო. პირვე-  
ლად რამოდენიმე ქართველმა დიდებულმა მოხიბლა რო-  
მაელები, მაგრამ როდესაც გამოაცხადეს, რომ არენაზე  
ჯერ კიდევ უწვერული ქართველი უფლისწული გამოდი-  
სო, ხმაური უეცრად შეწყდა და ათიათასობით მაყურე-  
ბელი რაღაც უფრო ლამაზი და ახალგაზრდული შემარ-  
თებით შეზავებული სანახაობის მოლოდინში გაინაბა.

უფლისწული მოედნის ცენტრში დადგა, ჩამოხტა  
ცხენიდან, თავი მდაბლად დაუკრა იმპერატორს და ისევ  
ამხელრდა. ჯერ თითქოს მთელი სხეული მოადუნა, თავი  
ასწია, გახედა ცის ტატნობს, შემდეგ ელვის სისწრაფით  
მოიქნია ჩოგანი და ბურთი ცას შესტყორცნა, თვალით  
მოზომა ბურთის დამიწების ადგილი, ცხენი იქით დაძრა  
და ძირს ტყვიასავით წამოსულ ბურთს ისეთი სწრაფი  
უკუჭნევით შეაგება ჩოგანი, რომ ბურთი დამფრთხალი  
ფრინველივით გაილურსა ჩოგნის ბადეში. მაყურებელმა  
არველივე ამის განცდა ვერც კი მოასწრო, რომ უფლის-  
წულმა ისევ ასტყორცნა ბურთი, და მის ჩამოვარდნამდე  
მოასწრო ჩოგნის ჰაერში რამოდენიმეჯერ შეტრიალება,  
ცხენის მუცელქვეშ ჩაძვრომა და მეორე მხრიდან ისევ  
უზანგებზე შედგომა, შემდეგ ომახიანად შესძახა „ჰეი,  
ჰეი“ და ბურთი ისევ ბადეში მოაქცია.

წალხის აღტაცება, მამის სიხარული, დედის ლიმილი  
და იმპერატორის კმაყოფილი გამოხედვა ერთად დაიმ-  
სახურა უფლისწულმა.

შემდეგ გაიმართა შეჯიბრება შუბის ტყორცნაში,  
ყოვლის მნახველ რომაელებს შუბის ტყორცნით, ცხ.  
დია, ვერავინ გააკვირვებდა, ეს კარგად იცოდა ფარსმან.  
მა, და ამიტომ გადაწყვიტა ეჩევენებინა მისი ერთი ქა-  
თული ნაირსახეობა. მისი თხოვნით აქეთ-იქით აღმარ-  
თულ სვეტებზე, ასე 20 მეტრის სიმაღლეზე, თოვი უ-  
აბეს. მთელი სისწრაფით წამოსული ქართველი მხედრუ-  
ბი შეტყორცნიდნენ შუბს, გადააცილებდნენ თოვს ზე-  
მოდან, შემდეგ ჭენებით გაემართებოდნენ შუბის ფრენის  
მიმართულებით და ჰაერშივე იჭერდნენ მას. ნუთუ არ-  
ერთ მხედარს არ გაუვარდება შუბი, — ფიქრობდა სანა-  
ხაობით განცვითრებული ანტონინუს პიუსი, და როდესაც  
ყველა ქართველმა, დაწყებული მეფიდან, დამთავრებუ-  
ლი უფლისწულით, უნაკლოდ შეასრულა ეს ვარჯიში.  
მან ვეღარ დაფარა აღტაცება და ფეხზე ამდგარი მიესალ-  
მა ქართველ მხედრებს.

ბოლოს გაიმართა საჩევნებელი გამოსვლა ჩეხეგაში.  
ფარსმანს აქაც მოუშველიებია ფანტაზია და საჩენ საუ-  
ნებად, ხის ტოტების ნაცვლად, როგორც ეს მიღებული  
იყო საქართველოში, სანახაობრივი თვალსაზრისით ემ-  
ციის გამაძლიერებელი გრძელი გოგრების მოტანა უბრ-  
ძანებია. ერთმანეთისაგან ხუთიოდე მეტრის მოშორებით  
მდგარი ოცამდე სარი ვიწრო დერეფანს ჭმნიდა, სარეზე-  
ზე ჩამოცმული იყო გოგრები, რომლებსაც ხმლებით  
კუთდნენ დერეფანში ჭენებით წამოსული ქართველ  
მხედრები. ბუმბერაზებთან ორთაბრძოლებში დახელოვ-  
ნებულმა ფარსმანმა გადაწყვიტა თავისი გამოსელი  
დაეგვირგვინებინა ეს საინტერესო სანახაობაც. ფარსმა-  
ნის ხმალი ელვასავით სწრაფად ხაზავდა ჰაერში წრეს

და შხუილით კვეთდა სარებზე დამაგრებულ გოგრებს. გავიდა ქართველი მეფე ბოლოში და ამაყად ვადახედა მაყურებლებს, რომელიც არაფრით გამოხატავდა თავის აღტაცებას. საქმე ის იყო, რომ ყველა გოგრა ისევ მთელი იყო და უძრავად იყო დამაგრებული სარებზე. ქართველთა მეფეს არც გაჰკვირვებია მაყურებლის ეს ღუმილი. ერთმა ქართველმა დიდებულმა, რომელიც მიხვდა ამ ღუმილის მიზეზს, ჩამოუარა გოგრებს და ყოველ მათგანს სათითაოდ ააცალა ზედა ნახევარი; ფარსმანის ხმალს ისე გაეკვეთა ყველა გოგრა, რომ ძირს არცერთი ნაწილი არ გადმოვარდნილიყო და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გოგრებს ქართველი მეფის ხმალი არც შეხებია. ახლა კი ისევ იქუჩა მაყურებელმა. ოვაცია არ შეწყვეტილა ვიდრე ქართველთა მხედრობამ არ დატოვა არენა.

ნასიამოვნები ჩანდა ფარსმანი. გლადიატორთა სანახაობაზე მოსული გრძნობაჩლუნგი მაყურებლის შემდეგ მან ფაქტიურად აღმოაჩინა მეორე რომი, რომელიც პატივს სცემდა და აფასებდა ჭეშმარიტ სამხედრო და სპორტულ ხელოვნებას. თავისი სასახლისაკენ მიმავალი ანტონინუს პიუსი კი ხმადაბლა უზიარებდა აზრს სენატის ერთ წევრს: „ღმერთის ძალა უნდა გქონდეს, ეს ხალხი რომ დაამარცხო; იმიტომაც ვერაფერი დააკლეს ივერიის ჩემმა დიდმა წინაპრებმა. არა, ამათთან ყოველთვის მჟიდრო კავშირის დამყარებაა საჭირო. ივერიის სახით ყოველთვის გვეყოლება მძლავრი ბარიერი, რომელსაც ვერასოდეს გადმოაბიჯებს მრისხანე სპარსეთი. ხვალვე გაეცით ბრძანება სასწრაფოდ დაამზადონ ივერთა მეფის

ქანდაკება სათანადო წარწერით, მე ვამაყობ ასეთი მომავალი შირით!“

მდიდრული ძლვენით დასაჩუქრებული ფარსმან, რომაული სამხედრო გალერებით დაბრუნდა სამშობლოში. გზად, ვინ იცის, რამდენი რამ გადახდა, რამდენი რამ ნახა და გააანალიზა ქველმა მეფემ. იქნებ თან მემკონიანეც ახლდა, მაგრამ ჩვენს დრომდე ვეღარ მოაღწია, მისმა ჩანაწერებმა. მაგრამ ამ დოკუმენტების არასასუბობობის შემთხვევაშიც კი ჩვენთვის აშკარაა, რომ სამხედრო და ფიზიკური ვარჯიშობებში გამოწრობილი, სპორტის დიდი მოყვარული მეფე საბერძნეთის ნაპირებთან ჩავლისას აუცილებლად გაიხსენებდა. ამ ქვეყნის კულტურული ცხოვრების ისეთ საუკეთესო მონაბოვარს, როგორიც ოლიმპიური თამაშები იყო. ფარსმანმა ეს მოზაურობა 138 წელს განახორციელა, ე. ი. იმ დროს, როდესაც წინა ოლიმპიური თამაშებიდან 2 წელი იყო გასული და მომავალ თამაშებამდეც ამდენივე დრო იყო დარჩენილი. ფარსმანი გაიხსენებდა იმ ათლეტებს შეკრისპირეთიდან, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში. საქართველოში ხომ კარგად იცნობდნენ ამ ღონისძიებას, რომელიც ჩვენი ისტორიკოსების ნაწერებში მონათლულია როგორც „თამაშელენთა“. ბრძენ ფარსმანს არც კუნძულ კრეტის სიახლოვეს გავლისას დაავიწყდებოდა ამ ძველბერძნულ კუთხისათვის დამახასიათებელი „ხარებთან თამაში“, რომელსაც ორი ათასწლეულის წინ იცნობდნენ კრეტილები ჭერ კიდევ ფარსმანამდე. ფარსმანს გაახსენდებოდა მხილველთა მონათხობი, თუ როგორ „ეთამაშებოდ-

ნენ“ ეს უძველესი ტორეადორები გააფთრებულ  
 ჩებს. ტორეადორიო, ვამბობთ, თორემ მაშინდელა ხა-  
 რებთან მოთამაშე ათწილად უფრო განწირული იყო  
 დღევანდელ ტორეადორზე. წითელფორმაჩაცმული მო-  
 თამაშენი ჩადგებოდნენ მწერივში არენის ერთ მხარეს,  
 მეორე მხრიდან კი გამოუშვებდნენ სიბნელეში ნამყოფ.  
 გაავებულ ხარებს. ერთი მოთამაშე გაეშურებოდა ხარისა-  
 ჯენ, შეუვარდებოდა ფეხებქვეშ და ქვემოდან რქებში ჩა-  
 ვლებდა ხელებს. იგრძნობდა რა სიმძიმეს რქებზე, ხრა  
 ტვირთის მოსაშორებლად ძალუმად აიქნევდა თავს ზე-  
 მოთ, ამ მომენტით სარგებლობდა მოთამაშე, აჰყებოდა  
 ხარის, ქედის მოძრაობას, მოექცეოდა ხარს ზურგზე, გაა-  
 კეთებდა სალტოს და ჩამოხტებოდა ხარის უკანა ფეხებ-  
 თან. ახლა მეორე მოთამაშე სცდიდა ძალებს და ასე შემ-  
 დეგ. ვინ იცის რამდენ ტორეადორს ვერ განუსაზღვ-  
 რავს მოძრაობის სიზუსტე და ხარის რქებზე წამოვებუ-  
 ლა. ეს, როგორც ჩანს, იმდენად ხშირი შემთხვევა იყო,  
 რომ მარცხიანი გამოსვლების ამსახველი მრავალი სუ-  
 რათია დღესდღეობით შემორჩენილი. ქველი ფარსმახი  
 ალბათ გაიხსენებდა იმასაც, რომ ხარებთან თამაში არც  
 საქართველოსათვის იყო უცხო. ჩვენში ხომ ხარის კულ-  
 ტი უხსოვარი დროიდან არსებობს. სწორედ მასთან და-  
 კავშირებით შეიქმნა ხარებთან ორთაბრძოლის მრავალი  
 ვარიანტი. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერ-  
 ტი უფრო გვიან დაწერს, რომ დასავლეთ საქართველო-  
 ში ილორის გიორგობის დღესასწაულზე მეთვრამეტე  
 საუკუნეშიც კი იყო შემორჩენილი ხარების დამორჩი-  
 ლების ჩვეულება. აფხაზეთში მიცვალებულის სულის  
 მოსახსენიებლად ჯერ იმორჩილებდნენ მოზვერს, შემდევ

კი კლავდინენ. რაღაც მსგავსი ჩვეულება შემორჩენილია შიც. ხოლო რაც შეეხება სვანეთს, ამ კუთხეში შექნალი მზის საგალობლის, სწორუპოვარ „ლილეოს“ ტექსტში კარგად ჩანს ხარებთან ორთაბრძოლის ნიშნები. ას სიმღერაში არის ასეთი სტრიქონები: „შენი ხარები ნაბულრავები მოედანი გადაფხეკილი გქონდა“.

სამშობლოსაკენ მობრუნებული ფარსმანი დიდებულებთან საუბრით ირთობდა თავს. საუბრის თემა მათუ უნებურად ხშირად უბრუნდებოდა რომს, მის სანახობებს, გლადიატორთა სისხლიან ბრძოლებს.

— რომის ესოდენ აღზევებას ალბათ მათმა რთული სავარჯიშო თანწყობამაც შეუწყო ხელი, ქველო ბატონი! — დაარღვია სიჩუმე ერთმა დიდებულმა.

— სწორედ რომ ასეა! — დინჯად მისცა მეფემ დატური, — განა ჩვენშიც იგივე არ კეთდება, იმ „საშენელი გლადიატორული ბრძოლების გარდა?!

ფარსმანის მხლეჭლებმა უმალ გაიხსენეს ათლეტური ივისებებით სახელგანთქმული თანამემამულენი, რათ ფაქტებით ნათელეყოთ თავიანთი მბრძანებლის სიტყვები.

— განა აია-კუტაიში გმირების მოსაგონებლად გამართულ შეჯიბრებებზე ცოტა ქართველმა ისახელა თავი? — ჩაერთო საუბარში ერთი მხლებელთაგანი და შემდეგ კანაგრძო: ჯერ კიდევ ამ ოთხასი წლის წინ ამ ქალაქში კუმოწრობილმა ძმებმა ბლასტოსმა და კრიტინომ არავი დაუთმეს. პირველობა გრძელ მანძილზე რბენაში, რომელსაც ბერძნები დოლიხოდრომს უწოდებენ. ქალა გორგიბიას (ახლანდელი ანაპა, ა. ც.) თავკაცებმა დაუნის გვირგვინით დაუმშვენეს თავი ორივეს. არ დაგვარწე-

დეთ, რომ მაშინ კუტატიონელების გარდა ამ შეჯიბრების ბაში. მონაწილეობდნენ სახელგანთქმული ბერძნები, ელინიზირებული სინდები და ფეხმარდი სკვითები. ბევრმა ქართულმა ქალაქმა გაითქვა სახელი უცხო ათლეტებთან ბრძოლაში.

— სრული სიმართლეა, — კვერი დაუკრა მეორე დიდებულმა და განაგრძო, — იმ ხანად საუკეთესო ათლეტები მისცა ჩვენს ქვეყანას ქალაქმა სინოპმა, საღაც უმთავრესად ქართველები სახლობდნენ. ამ ქალაქის მკვიდრი ვალერი ეკლეკტა გამოსულა ოლიმპოს, დელფოს, არგოს, ათენის და რომის სარბიელზე. სწორუპვარა გამარჯვებების აღსანიშნავად იგი მრავალი ქალაქის საპატიო მოქალაქედ იყო არჩეული. 50 დიდ შეჯიბრებაში წარმატებით მიუღია მონაწილეობა ამ ქალაქში აღზრდილ მოქრივეს მარციანე რუფუსს. ძნელი. დასაჯერებელია, მგრძანებელო, მაგრამ მას 150-ჯერ მოუპოვებია გამარჯვება რომში, ნეაპოლში, ისტმიაში, დელფოსში, ოლიმპიაში, ათენში, აგრეთვე აზიის, პონტოს, გალატიის, კაპადოკიის, მაკედონიისა და ანტიოქიის ქვეყნებში გამართულ შეჯიბრებებში.

— მე იმას დავუმატებდი, — მთხრობელს მდაბლად ჩამოართვა სიტყვა. სხვა დიდებულმა, — რომ სანოპში დახელოვნებულ გიმნასტებს ხშირად სხვა ქვეყნებშიც კა იწვევდნენ მასწავლებლებად. მე წამიკითხავს ეპიტაფია ქალაქ პონტიკაპეას სასაფლაოზე, სადაც დაკრძალულია სინოპიდან მიწვეული გიმნასტი ფარნაკი. მოგანსენებო ამ ეპიტაფიის შინაარსს: „მშვიდობით ფარნაკ ფარნაკის ძევ! — ეწერა მარმარილოს ფილაზე, — მოგზაურო, შეხედე ფარნაკის ძეგლს, რომელიც მოსტეხა აიდას სიმძი-

მემ. ბედშავი ყმაწვილი გაახვია თავის ბადეში, საკუთრივ ნობით გიმნასტიკის მასწავლებელი, ასაკით ახალგაზრდა თავისი თავდადებით სამშობლო სინოპიდან დასავლეთში წამოსული. მის ურნას ინახავს ბოსფორის მიწა, გიმნა სიაში მდუმარე ცრემლებით ყველა დასტირის; ხამიტონმა, მამობილმა მშობლიურ მამას გადაჭარბა მის სიავარულში, სამარეზე ქვის ძეგლი დაუდგა“.

— მიაქციეთ ყურადღება, — ჩაერია საუბარში ფარს ჟანი, — რა დიდი სიყვარული დაუმსახურებია ფარნაკი უკახო ქალაქში. ამ სიყვარულს, პირველ ყოვლისა, იუკარგი აღმზრდელის ხელოვნებით დაიმსახურებდა. გარდა ასისა, ეს კარგი მასწავლებელი სიჭაბუკეში უთუოდ დიდი გიმნასტი იქნებოდა.

როცა დარწმუნდა, მეფემ მოათავა სათქმელიო, ერთმა დრდებულმა დაამატა:

— არა მარტო ბოსფორის სამეფოში, ქართველი ათლარტები სხვა უცხო ქალაქებშიც ჩანან. მე. წამიკითხაუ არისტოტელე, რომელიც ამტკიცებს, რომ ათენელთა შეჯიბრებებში ხშირად მონაწილეობდნენ ფაზისელი ათლეტები.

განა არაფერს გეუბნებათ ის ფაქტი, რომ ვანის ერთ-ერთ მუზეუმში დიდხანს ინახებოდა ნიკეას ქანდაკება? — იკითხა ფარსმანმა და ოვითონვე განმარტა, — ამ ქანდაკებით ხომ საბერძნეთში გამარჯვებულ ათლეტებს აჯილდოებდნენ? ვინ იცის, იქნებ ეს ქანდაკება ეკუთვნოდა რომელიმე ჩვენთვის უცნობ ათლეტს, რომელსაც იყვამარჯვებისათვის დაუმსახურებია და თავის მშობლიურ ქალაქ ვანში ჩამოუტანია.

— წელან, — თქვა მეფის ერთ-ერთმა მხლებელმა, —



იქ აღნიშნეს, რომ ქართველი გიმნასტები სხვა ქადაგებ-შიც მუშაობდნენო; ეს არცაა გასაკვირი თუ გავიხსენებთ, რომ ქართველი შუბოსნებიც მასობრივად გამოდიოდნენ სხვადასხვა არმიების რიგებში, როგორც დაქირავებული შებრძოლები. პლუტარქე წერს, რომ ლუკულუსის წინა-აღმდეგ ბრძოლაში სომხეთის მეფის ტიგრანის მხარეზე იბრძოდა მრავალი ივერიელი შუბოსანი. პლუტარქე არძანებს: ტიგრანი მათზე „ამყარებდა იმედს, ვინემ რო-მელიმე სხვა მოქირავნეებზე, რადგან ისინი თავიანთი გ-წვრთნილობით გამოირჩეოდნენ სხვებისაგანო“.

— მაგრამ საინტერესო ისაა, — ჩაერია საუბარში მეფე, — რომ ჩვენი ათლეტების ხელოვნებას თვით ჩვერ-ში სამტროდ მოსული იმპერატორებიც ეცნობოდნენ. ღმერთმა იცის, რა მიზანი ამოძრავებდათ მათ, მაგრამ ეცნობოდნენ და, როგორც ჩანს, გადატანასაც ცდილობ-ჟნენ. რომაელმა პომპეუსმა განა საგანგებოდ არ დააბა-რებინა მოფარიკავეები ფშავ-ხევსურეთიდან, რათა მათი ხელოვნება თავად ეხილა? მოსწონებია დიდად ჩვენი ფა-რიკაობის სირთულე და მოხდენილობა (აუტორი: ამ უაქტოან დაკავშირებით მემატიანე გადმოგვცემს: პომ-პეუსი დაინტერესდა „თუ ვითარ ხმარობდნენ იგინი სა-ჭურველთა საომართა და პყვეს მათ ვარჯიში ხმლითა და კითარს სახითა ჯერ არს ბრძოლასა და შინა ხმარება პმლისა და ფარისა... დამოსნა ისინი პომპეიმ რომაელთა შესამოსლებითა და ფრიად სცნო სიმხნე და მამაცობანი შათნი“). განა შენ თვითონ არ მიუძღვით. საურმაგ, ხევსურ მოფარიკავეებს შარშანწინ გამართულ ერთ-ერთ ბრძოლაში?

საურმაგს თვალები გაუბრწყინა ამ ამბის გახსენებამ.

— საოცარი ხელოვნებაა ხევსურთა ფარიკული და დაიწყო საურმაგმა, — სატევარიცა და ფარიც ორივე ერთდღროულად შესატევი იარაღიცაა და თავდასაცავი ქახსოვს რაზმში ერთი ხევსური იყო, თორლვა ერქვეს სახელად. ერთ პონტოელთან ორთაბრძოლაში სატევარი გაუვარდა ხელიდან, მაგრამ ფარით ისე მოხერხებული იცავდა თავს, მერე ისე მოხდენილად შეუტია და სულ დაუჩეჩქვა მეტოქეს ფარით, რომ წუთით გავჭევდი და თვალი ვერ მოვაშორე ჸის მაღალ ოსტატობას. ფარიკული აბაში ხევსურები პატარაობიდანვე იწრობიან. საოცარია, რომ მშეიდობიდნი ორთაბრძოლების დროს ხევსულები ერთმანეთს აყენებენ ოდნავ შესამჩნევ ჭრილობა და ამ ჭრილობების სიმრავლით აღგენენ გამარჯვებულ მძიმე ჭრილობის მიყენება სამარცხვინოცა და საშიში (ავტორი: ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ღრმა ჭრილობის მიყენების შემთხვევაში ხევსურს დიდ ჯარიმას მიაწერდნენ), დარტყმის მოზომვა და მოწინააღმდეგისათვის უმნიშვნელო ჭრილობების მიყენება — აი, რა არის მთავარი ხევსურული ფარიკაობისათვის. არავინ იცის ამ ჩვეულების დანიშნულება. თუ გახსოვთ, იგივე პრინციპი ბატონობს კრივშიც. ვინ იცის, იქნებ ბრძოლის დროს მოწინააღმდეგის მსუბუქად დაჭრასა და მისი ტყველ წამოყვანაში დახელოვნებას ითვალისწინებს ეს ჩვეულება!?

ასეთ საუბარში დაილია გზა. ჩვენც დავემშვიდობოთ სამშობლოს საზღვრებამდე უხილვათოდ მოღწეულ ივერიალ დიდებულთა რაზმს და ისევ მივმართოთ ზოგიერთ ყაჭტს, რაც მონათფმლობელური საქართველოს მაღალ სპორტულ კულტურაზე მეტყველებს.



ალბათ-დადგა დრო იყითხოს მკითხველმა: სად იღებ-  
ლნენ ოსტატობას ჩვენი წინაპრები, რა სპორტული ზა-  
ჟები ემსახურებოდა მათს დახელოვნებას. მმ კითხვაზე  
უფრო დაწვრილებით მაშინ გავცემთ პასუხს, როდესაც  
ფეოდალური საქართველოს სპორტულ მოძრაობაზე  
გვექნება საუბარი, რამდენადაც ეს ეპოქა უფრო სრულ  
ცნობებს გვაწვდის ქართულ სპორტულ ნაგებობებზე;  
მაგრამ მონათმფლობელურ ეპოქაშიც საქართველოს  
სპორტული ბაზები თავისი მდიდრული შემკულობითა და  
მასშტაბებით იპყრობდა მაშინდელი მოგზაურების ყუ-  
რადლებას.

ჯერ კიდევ „არგონავტების“ ავტორი აპოლონიოს რო-  
დოსელი გვარწმუნებს, რომ კოლხეთის დედაქალაქში  
გალავნით შემორაგული ფართო ასპარეზი იყო, საღაც  
რბენაში და სხვა სამხედრო სახეობებში იმართებოდა  
შეჯიბრებებიო. სამხედრო სახეობების ქვეშ ავტორი უ-  
კველად გულისხმობს ცხენოსნობასა და მასთან დაკავ-  
შირებულ სახეობებს, მაგრამ რაც შეეხება რბენას, უნდა  
ვივარაუდოთ, რომ მძლეოსნური სპორტის ამ მთავარი  
სახეობისათვის გაკეთებული იქნებოდა სპეციალური ბი-  
ლიკი, შესაძლოა, ბერძნების წაბაძვით ბილიკზე ქვიშის  
სქელ ფენას აგებდნენ იმ მიზნით, რომ მორბენლებს  
ტერფები არ დაზიანებოდათ.

უცხოელები მიუთითებენ სპორტული ბაზების არსე-  
ბობაზე ფოთში და შავიზღვისპირეთის ზოგიერთ ქალაქ-  
ში: იპოდრომი, როგორც წესი, სპორტული კომპლექსის  
ცენტრალური და მთავარი ნაგებობა ყოფილა. ამასთან  
დაკავშირებით ჩვენ მეტად საინტერესოდ გვეჩვენება  
პროკოფი კესარიელის შემდეგი ცნობა: „ეს ქალაქი (ავ-  
ტორი) გულისხმობს ქველ კოლხურ ქალაქ აფსარტს, ანუ

აფსარეს, რომელიც ისტორიკოსთა მტკიცებით, დღეს დელი სარფის ადგილზე მდებარეობდა, ა. ც.) ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლია. მრგვალი კედელი, ამშვენებდა თეატრი და იპოდრომი მრავალი სხვა ლირსშესანიშნაობაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ, ქალაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამაც აქედან სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა შენობათა საძირკვლებისა“. მიაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ პროკოფი კესარიელი ჩვენი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში ცხოვრობდა, და უკვე მის დროს ქალაქი აფსარე მხოლოდ საძირკვლებითლა იყო წარმოდგენილი. მაგრა როდინტელი უნდა ყოფილიყო ეს ქალაქი, ის იპოდრომი, რომელიც ამკობდა ქალაქს?

თუ გვაიხსენებთ ი. გვარამაძისეულ ცნობას იმის შესახებ, რომ ცხრაწყაროში ჯერ კიდევ ჩენებს წელთაღრიცხვამდე იმართებოდა დიდი მასობრივი შეჯიბრებები, რომლის პროგრამაშიც შედიოდა ეტლების რბოლა და ცხენოსნობა, გასაგები გახდება, რომ მესხები იპოდრომის გარეშე ვერ ჩაატარებდნენ შეჯიბრებებს სპორტის ასახეობებში. დიდი ივანე ჯავახიშვილი გვარწმუნებს, რომ რპოდრომი და ასპარეზი სხვადასხვა ნაგებობებია. მართლაც. იპოდრომი ალბათ უფრო მდიდრულად შემკულ ტრიბუნებით გამოირჩეოდა, ასპარეზი კი, როგორც ჩანს, ცხენოსანთა სავარჯიშო მინდორია, უფრო მოკრძალებული შემკულობით. ალბათ სწორედ ამიტომაა, რომ სულხან-საბა იპოდრომს განმარტავს, როგორც ცხენოსანიელს, ხოლო ასპარეზს — როგორც მინდორსა და მოკლანს.

გასაგებია, რომ ყველა ქართულ სოფელს ამკობდა

საჭიდაო მოედანი, სადაც, იპოდრომზე მორბედი მაღალია  
წრის წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, სოფლის  
ლარიბობა სცდიდა მკლავისა და მუხლის ძალას. მაგრამ  
ერთი ნაგებობა განსაკუთრებით უნდა გამოიყოს, რო-  
გორც ძველი საქართველოს მეტად საინტერესო დაწესე-  
ბულება. გიმნაზიაზე მოგახსენებთ! ბერძენი და რომაე-  
ლი მოგზაურები თუ ისტორიკოსები მიუთითებენ კოლ-  
ხეთში სასწავლო დაწესებულება — გიმნასიონის არსე-  
ბობაზე. გიმნაზია, როგორც ცნობილია, ახლაც და გასულ  
საუკუნეშიც ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო სა-  
სწავლებლად იყო და არის მიჩნეული. მაგრამ ანტიკურ  
ხანაში ასე როდი იყო. ძველბერძნული გიმნაზია, სადაც  
14-18 წლის ჭაბუკები სწავლობდნენ, ძირითადად სპორ-  
ტული დაწესებულება იყო. აქ ისწავლებოდა ბერძნული  
გიმნასტიკა (ალბათ მართალნი იყვნენ ბერძნები, რომ-  
ლებიც 14-16 წლამდე სავალდებულოდ თვლიდნენ ბავ-  
შვთა გონებრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას, რის-  
თვისაც შექმნილი იყო გრამატიკული, მუსიკალური და  
გიმნასტიკური სასწავლებლები, ე. ი. ბერძნები ახალგა-  
ზრდას აძლევდნენ საერთო აღზრდა-ვანათლების გთავარ  
საფუძველს, მაგრამ, როგორც აუცილებელსა და საჭი-  
როს, შემდგომ წლებში სავალდებულოდ უტოვებდნენ  
ფიზიკურ აღზრდას; ხოლო თუ ვინმეს სურდა მეტი განა-  
თლების შილება, იგი მიმართავდა ბიბლიოთეკებს, მუზე-  
უმებს, ფილოსოფიურ თუ რიტორიკულ სკოლებს და  
ა. შ.). მიაქციეთ ყურადღება იმასაც, რომ ორივე სიტყ-  
ვა — გიმნასტიკაც და გიმნაზიაც ნაწარმოებია ბერძნუ-  
ლი სიტყვიდან — „გიმნოს“, რაც შიშველს ნიშნავს.  
ცნობილია, რომ ბერძნები როგორც ვარჯიშობაზე, ისე

შეჯიბრებაზე სავსებით შიშველნი გამოდიოდნენ და თუ  
თა განმავლობაში ტანის სიშიშვლე ვარჯიშობის სინონ-  
მად. იქცა. გიმნასტიკამ — ტიტველთა ვარჯიშის, ხოლ  
ვიმნაზიამ — ტიტველთა სავარჯიშო სახლის გაგება მიიღო

და როდესაც ბერძენი ისტორიკოსები გიმნაზიად ნათ-  
ლავენ ზოგიერთ კოლხურ სასწავლო დაწესებულებებს,  
როგორდაც არ გასვენებს ფიქრი — კოლხურ გიმნაზიებს.  
ში, ბერძნული გიმნაზიების მსგავსად, წამყვან აღგილ  
ფიზიკური აღზრდა ხომ არ იყავებდა? ისეთი ფაქტები,  
როგორიცაა სხვა სახელმწიფოებში კოლხი გიმნასტები  
მიწვევა გიმნასტიკის მასწავლებლებად, აგრეთვე, დასა-  
ლეთ საქართველოს დიდი სპორტული ტრადიციები  
ზრდის სასიამოვნო ეჭვს, რომ ქართული გიმნაზიები  
დიდ კულტურულ საქმიანობასთან ერთად ჩვენი ქვეყნი.  
სპორტული კულტურის გამდიდრებასაც უწყობდნე  
ხელს.

და ასე, სპეციალურად გაწყობილ სპორტულ სარბი-  
ელებზე თუ სახელდახელოდ გამართულ სოფლის არ-  
ნებზე თანდათან ყალიბდებოდა ის ძვირფასი ფიზიკური  
თვისებები, რომლებიც ისე სჭირდებოდა ყოველ ქართ-  
ველს, როგორც თევზს წყალი. ძალა, მოქნილობა, სი-  
წრაფე, სიმარჯვე, ამტანობა, გამძლეობა ბრძოლაში ისევ  
საჭირო და აუცილებელი იყო, როგორც ხმალი და ჯაშ-  
ნი. და ეს ყველაფერი, — კარგი ფიზიკური მომზადება  
და შეიარაღების მაღალი კულტურა — ორგანულად უნდ-  
ულფილიყო შეხამებული მაღალ სულიერ თვისებებთან.  
დიდი ილიას თქმისა არ იყოს, სამწუხაროდ, ჩვენმა ის-  
ტორიამ ნაკლებად შემოგვინახა ცნობები მშრომელ ხა-  
ლხზე, ჩვენს გლეხობაზე, რომელიც ბრძოლასა: თუ მრო-

გაში ძირითად ძალას წარმოადგენდა; ამდენად ვარკა  
ვეულ სითამამეში ჩამოგვერტმევა, თუ კი ქართველ  
გლეხთა მაღალი ფიზიკური მომზადების აბსოლუტურ  
მასობრიობაზე გავაძამთ ლაპარაკს, საერთოდ კი, სათა-  
ნალო მასალა გვექნება თუ არა, ამას იმდენი მნიშვნელო-  
ბა აღარ აქვს, როცა, როგორც იტყვიან, ფაქტი სახეზე.  
ფაქტი კი ის გახლავთ, რომ ქვეყანა, რომელმაც ასობით  
სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გადაიხადა და მუსულმანურ  
ოჯეანეში სხვა კუნძულებივთ არ ჩაიძირა, დღეს არსე-  
ბობს თავისი მშვენიერი ენით, ჩვეულებებით, მთითა და  
ბარით. მისი არსებობა კი; პირველ ყოვლისა, ხალხთა მა-  
სების სისხლის ფასად იქნა შენარჩუნებული.

მაგრამ დავუბრუნდეთ სათქმელს. ჩვენი ისტორია  
მეფეთა ისტორიააო, დანანებით ამბობდა ილია. ჩვენც  
სხვა რა ძალა გვაქვს, ჩავიხედოთ მეფეთა ცხოვრების .  
ამსახველ ამ ფოლიანტებში და აქედან გამომდინარე,  
ვიმსჯელოთ ქართველთა ფიზიკური თვისებების საოცრად  
მაღალ დონეზე. ნიმუშად მოვიტანოთ ზოგიერთი ქართ-  
ველი მეფისა და დიდებულის ფიზიკური თვისებების და-  
ხასიათება.

კორნელიუს ტაციტუსი იბერიის მეფის ფარსმან პირ-  
ველის (I საუკ. პირვ. ნახევარი ჩვ. წ. ა.-ით) შვილის რა-  
დამისტის შესახებ ამბობს: „ფარსმანს ყავდა შვილი რა-  
დამისტი, იშვიათი ფიზიკური ძალის მქონე, ახოვანი, რო-  
მელიც ფლობდა ყოველივე იმ ხელოვნებას და მეცნიე-  
რებას, რომელთაც ასწავლიან მის სამშობლოში და გან-  
საკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მეზობელ  
ქვეყნებში“. ამ ცნობაში ყურადსალებია ის ფაქტი, რომ  
ფიზიკური ძალა, ახოვნება, და სხვა სახის თვისებება,

მეცნიერულ ცოდნასთან ერთად რადამისტს მიღებულ  
აქვს ოფიციალურად არსებულ სასწავლო დაწესებულ-  
ბებში.

ჩვენ ასევე ვიცით როგორ ახასიათებენ ფარსმან შე-  
ორეს, მის მაღალ ფიზიკურ თვისებებს, ამიტომ მასში  
ალარ შევჩერდებით; არ შევჩერდებით თუნდაც იმიტომ,  
რომ ჩვენ გვაქვს სალაპარაკო ძველი საქართველოს ისეთ  
კოლორიტულ ფიგურაზე, როგორიც სწორუპოვარი ვა-  
ტანგ გორგასალი იყო; ვახტანგის ისტორიის მთხრობელი  
ჯუანშერი გვაუწყებს: „იგი იყო უმაღლეს კაცთა მის ქამი-  
სათა, და უმშვენიერეს სახითა და ძლიერი ძალითა, რამე-  
თუ სიმაღლე იყო მისი ათორმეტი ბრჭალი კაცისა (ე. ა.  
2 მეტრი და ოცი სანტიმეტრი, ა. ც.) და იყო საზარელ და  
გოლიათი და განთქმულ ყოველსა ქვეყანასა, რომელ ჭერ-  
ვილი ქვეითი ირემს მიეწიოს, უპყრის რქა და დაიჭიროს,  
ცხენი ჭურვილი ალილის მხართა ზედა და მცხეთით აღვ-  
დის ციხესა არმაზისასა“. თამარის პირველი ისტორიისიც  
გვამცნობს, რომ ვახტანგმა უფარმა აავო, „რომელთა  
შინა აღესრულა ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლი-  
თთა“.


ვახტანგ მეფეს დავაუკაცებაც არ აცალა პოლიტიკურ-  
მა სიტუაციამ და ჯერ კიდევ 15—16 წლისას მოუხდა  
ბუმბერაზთა ორთაბრძოლებში მონაწილეობა. ეს იყო  
439 წლის ბოლოს. ქართველთა ლაშქარი დარიალის ხეთ-  
ბით ოსეთის ტერიტორიაზე გადავიდა. აქ ქართველები  
ირანელი და ოსი მებრძოლებით გაძლიერებული ჰუნ-  
ბის უზარმაზარი ლაშქრის პირისპირ დადგნენ. 7 დღი  
შემდეგ ბუმბერაზთა ორთაბრძოლები გაიმართა. პირვე-  
ლად ჰუნებმა მთასავით ამართულ თარხანს დაუთმეს არ-

ნა; მის პირისპირ დადგა ფარსმან ფარუხი. ეს მრისხანე შერკინება თარხანის გამარჯვებით დამთავრდა. მან მეტოქეს „განუპო თავი, ვიდრე ბეჭთამდე“. თარხანმა რამდენიმე გოლიათი იმსხვერპლა ქართველთა მხრიდან. დაროცა კიდევ ერთმა ქართველმა დააპირა მასთან ორთაბრძოლაში ჩაბმა, ვახტანგი წინ გადაუდგა, ასე უსასრულოდ როდემდე უნდა გვიხოცოს გოლიათები ამ ბინძურმაო, და თვით გაეშურა ბუმბერაზისკენ. ბევრი უშალეს პირტიტველ მეფეს, შენ რომ დაიღუპო, „სრულიად წარწყდეს ქუეყანა. რამეთუ ნაცვლად შენი არა არს ქუეყანასა ზედა“. მაგრამ მან არ დაიშალა, მიუხტა თარხანს, კრა შუბი და ცხენიდან ძირს დასცა.

მეორე დღეს სხვა გოლიათმა გამოიწვია ვახტანგი. „იყო სიგრძე მშვილდის მისისა თორმეტი მტკაველი და ისარი მისი ექუსი მტკაველი“. ეს იყო ოსი ბუმბერაზი ბაყათარი. ვახტანგი „აღჭდა ტაქტს შექურვილსა ჯავშნითა და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰქონდეთდა მახვილი“. ბაყათარმა რამოდენიმე ისრის ტყორცნა მოასწრო, მაგრამ ვახტანგმა ელვის სისწრაფით შეასრულა მკვეთრი მოძრაობა და ყველა ისარი აიცილა, ბოლო ისარმა ცხენი მოუკლა სწორედ მაშინ, როდესაც ვახტანგი ხმლის მოქნევის მანძილზე მიუახლოვდა ბაყათარს; მისი ცხენი ჭერ წაქცეულიც არ იყო, რომ ვახტანგის მახვილმა შუაზე გაჰქვეთა ოსი გოლიათი, მერე თვალის დახამხამებაში მოახტა ბაყათარის ბეღაურს და თავის ლაშქარს დაუბრუნდა.

მეშატიანეს არ მოუწოდებია ჩვენთვის ამ ორთაბრძოლის პერიპეტიები, რაც უფრო მეტად, მთელი სისრულით განგვაცლევინებდა ჭერ კიდევ უწვერული მეფი-

სა და გამოცდილი დევგმირის ბაყათარის ფიზიკური თემა  
სებების აღზევებას. მაგრამ არის მეორე შასალა, რომელიც,  
მართალია, სპარსეთის მეფე არშაკ მეორისა და  
ქართველთა მეფის ადერკის ორთაბრძოლას აღწერს, მაგ-  
რამ, როგორც ჩანს, იგი ტიპიურია იმ პერიოდის ბუმბე-  
რაზთა ორთაბრძოლებისათვის. „ალიზანეს ორთავე ხი-  
თა სასტიკთა, — თავიდანვე როლში შევყავართ მემატია-  
ნეს, — და მიეტევნეს ურთიერთსა, და იწყეს ორთავე გუ-  
ემად ოროლითა და ვერ ჰქვეთდეს საჭურველთა ერთმანე-  
თისა. და ბრძოლისა სიგრძისა შინა გაუტყდათ ოროლები;  
ამოიღეს ჩუგლუგები და იწყეს ბრძოლა ჩუგლუგებითა;  
ოდეს უხეთქნიათ ჩუგლუგი იგი საჭურველსა მათსა ზედა,  
მსგავს იყვის ხმასა უროსასა, რომელ იცემის მჭედლისა-  
გან გურდემლსა ზედა, და ხმა ზახილისა მათისა მსგავს  
იყო ქუხილისა. მაშინ ვერა სძლეს ერთმანეთი. დაშვრეს  
და უკუგდეს ამიერ და იმიერ. შელამდა დღე იგი და გან-  
სვენეს ორთავე და დილეულ კვლავ გამოვიდის, ალიღტ  
მშვილდები, იწყეს რბევად და სისრად ერთმანეთისა  
ჰკრა ისარი ადერკი მკერდსა არშაკისასა, ვერა უფარა სი-  
მაგრემან საჭურველისამან, განვლო ზურგით და ჩამოვ-  
რდა არშაკ ცხენისაგან“. ახლა თავად განსაჯეთ რა მკაც-  
რი გამოცდა მოუწყო ბედმა ვახტანგ გორგასალს, რო-  
მელსაც რამოდენიმეჯერ მოუხდა მსგავსი ორთაბრძო-  
ლის გამართვა იმდროინდელ გიგანტებთან. მხოლოდ  
ზეადამიანური ფიზიკური მონაცემების მქონე ჭაბუტ  
შეძლებდა ასეთი უმკაცრესი ორთაბრძოლის გამარჯვებით  
დაგვირგვინებას, ისიც მრავალგზის, ჩვენ უკვე ვთქვით.  
რომ ზოგიერთ ქართველ მეფეს ერთ ბრძოლაში (ერთ  
დღეს!) ოცამდე ბუმბერაზი შემოჰკვდომია. და მიუხედ-



ვად იმისა, რომ ზოგჯერ მათ შეუსვენებლივ ამდენი დარწეული ვაჟკაცის წინააღმდეგ უხდებოდათ ორთაბრძოლა, მაინც ისტორიაში ცნობილია, რომ არც ერთი ქართველი მეფე ბუმბერაზთა ორთაბრძოლებში არ დაღუპულა. აქედან თავისთვად გააკეთეთ დასკვნა იმის შესახებ, თუ რა საუკეთესო შედეგებს იძლეოდა სამხედრო — ფიზიკური მომზადების სისტემა, რომელიც ოდითგანვე შექმნილა საქართველოში.

სახელმწიფოს გაუჭირდებოდა ასეთი შედეგების მიღება მხოლოდ რეგლამენტირებულ ფიზიკური აღზრდის სისტემაზე დაყრდნობით, კარგი საფუძველი რომ არ ჰქონდა საოჯახო ფიზიკური აღზრდის სახით, უფრო ზუსტად, — იმ მოძრავი თამაშების უშრეტი არსენალის სახით, რომელიც თვით ბავშვთა ფანტაზიის შედეგად იქმნებოდა და შემდეგ ისევ ბავშვთა „წამოჩიტებასა“ და წრთობას ემსახურებოდა. მაგრამ ეს ფანტაზია რეალურ საფუძველს როდი იყო მოკლებული. თვით ცხოვრება იყო ბავშვთა შემოქმედებითი ფანტაზიის მკვებავი. ვის არ უთამაშნია ბავშვობაში „ქორობია“, რომლის მთავარი მოქმედი გმირებია ქორი, კრუხი და წიწილები. ბავშვები, რომლებიც ყოველდღიურად აკვირდებოდნენ ქორის შემოტევისას კრუხისა და წიწილების ქცევას, თავადაც ბაძავდნენ მათ და ქმნიდნენ თამაშს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

ახლა ჩვენ მათი ჩამოთვლის საშუალებაც არ გაგვაჩნია, იმდენად მრავლად გვაქვს ისინი, მაგრამ ორი თამაში მაინც უნდა გავიხსენოთ. პირველი მათგანი ლახტი გახლავთ. ზოგან იგი წრელახტად, თულოწრედ და ა. შ. მოიხსენიება. მკითხველისაგან ფანტაზიის მოშველიების

უფლებას ვითხოვ. სხვაგვარად უკეთ ვერ ახსნი ჭულა  
ქართველოში ამ ყველაზე მასობრივი საბავშვო თამაში,  
წარმოშობის ისტორიას (საბავშვოაო, ვამბობთ, თუ  
ბევრჯერ იგი არანაკლები გატაცებით უთამაშიათ უფრ  
სებსაც)...

...გიორგი და ლიპარიტი ლოგინიდან წამოყალი  
სოფელს მტერი მოადგა და სასწრაფოდ ციხესიმაგრეს  
უნდა გადავბარგდეთო. ღილაადრიან ციხესიმაგრე ხა  
სით აივსო. ბავშვები ციხის მოედნის შუაგულში მო  
თავსეს. მამაკაცებმა — ქონგურებთან დაიკავეს ადგილ  
და საბრძოლველად მოემზადნენ: ქალებიდან ზოგი ბა  
შეებთან დარჩა, ზოგი კი მამაკაცებს ამოუდგა გვერდ  
ში — დაჭრილებს დახმარება, მებრძოლებს ისრებისა  
სხვა საკურველის მიწოდება დასჭირდებათ.

შუადლისას მტერი ციხეს მოადგა. მისი პირველ  
იერიში უშედეგო გამოდგა. ქონგურებიდან გიორგისა  
ლიპარიტის მამებმა და ბიძებმა, აგრეთვე შათმა მხლე  
ლებმა მტერს სეტყვასავით დაუშინეს ისრები, ერთ  
ადგილზე შტერმა კიბის მოდგმაც მოახერხა, მაგრამ ერთ  
მა ქართველმა შუბის წვერი კიბის ბოლო საფეხური  
მოარგო და იმ დროს, როცა ხუთიოდ ყიზილბაში კიბი  
ბოლომდე ამობობდა, ჰერა შუბი კიბეს და ციხის აღ  
ბის მსურველნი კიბესთან ერთად ძირს დაენარცხნენ  
მტერი დროებით უკუიქცა. გიორგი და ლიპარიტი გაფა  
ციცებით ადევნებდნენ თეალს ბრძოლის მსელელობა  
უფროსების მოქმედებას, მათ თავგანწირვას.

ღილით მტერმა ახალი ძალებით შემოუტია ციხე  
ბრძოლა კარგახანს გაგრძელდა, მაგრამ ციხის დამცველ  
თა წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. ჯერ ილაყაფი შემო

გრიეს მომხდურებმა, შემდეგ ირგვლივ უთვალავი კიბე-  
ები აღმართეს; ქართველ მეციხოენეთა მცირე რაზმი ხან  
ერთ კიბეს ეცემოდა, ხან მეორეს, მაგრამ კალიასავით  
რიცხვჭარპი მტრის შეკავება მათ ძალას აღემატებოდა.  
ციხე დაეცა; გაავებულმა მტარვალებმა ციხის შუაგულ-  
ში აღმართეს სახრჩობელები და ზედ ციხის დამცველთა  
თავკაცები ჩამოჰკიდეს. დანარჩენები, ქალები და ბავ-  
შვები, მათს შორის გიორგი და ლიპარიტი სპარსეთის  
გზას გაუყენეს, მაგრამ, საქართველოს მეფის მდევართა  
რაზმა იხსნა ტყვეები.

გავიდა ხანი. შედარებით დაწყნარდა ქვეყანა, გიორ-  
გისა და ლიპარიტს მიეცათ თამაშისა და გართობის ხასია-  
თი და საშუალება. და აი, ერთ დღეს ლიპარიტი თხოვს  
ამხანაგებს გათამაშონ ციხის დაცვა-აღების სცენა, ე. ი.  
თამაშში გადაიტანონ ის, რაც ნახეს და ასე სულმწარედ  
განიცადეს პატარებმა. გიორგიმ მიწაზე დიდი წრე წე-  
მოხაზა და, ეს ციხის გალავანი იყოსო — თქვა. სხეულსაც  
მოეწონათ ეს აწრი. წრეში, ზედ ხაზის პირზე თუთის  
ტოტის ტყავისაგან დამზადებული მსხვილი ლეველები  
დაალაგეს. მოდით, ეს კიდევ ალაყაფებს ნიშნავდესო, —  
წამოიძახა ლიპარიტმა. ახლა საჭირო იყო ბავშვების  
ორად გაყოფა. ერთნი ციხის დამცველთა როლში აღმოჩ-  
ნდნენ, მეორეთ კი სპარსელების როლის გათამაშება დაე-  
კისრათ.

არავის ახსოვს, როგორი იყო ციხის დაცვა-აღების  
ინსცენირების პირველი ვარიანტი, მაგრამ როგორი სახე  
მიიღო მან მრავალჯერადი დახვეწისა და განვითარების  
შემდეგ, ეს ყველამ იცის. ლახტის წესებში აშკარად ჩანს  
ციხის აღების და დაცვის ზუსტი ინსცენირება. წრეს (ცი-

ხის გალავანს) ერთი გუნდის წევრები (მტრები) უტრებენ გარშემო, მეორე გუნდი (ციხის დამცველება) ფხიზლობს. თუ შემტევმა გუნდმა წაიღო ერთი ქამარი (ე. ი. გაიღო ერთი ალაყაფი), მას ეძლევა მეტი შანსი სხვ. ქამრების (სხვა კარებების) ასაღებად, და როცა ყველა ქამარი აღებულია (ე. ი. ყველა ალაყაფი გაღებულია), იწყება წრეში მყოფთა ფეხების „გახურება“ ქამრებით (ეს უკავი ციხეში მყოფთა აწიოკებას ნიშნავს). ალბათ ახსნის გარე შეც ცხადია, რომ მოწინააღმდეგის ჩაჭრა მტერზე გაღა. წყვეტ დარტყმასა და მის დამარცხებას მოასწავენ. საინტერესოა, რომ დღეს ლახტის ზოგი ვარიანტი ითვალისწინებს მიწაზე ორი წრის დახაზვას (დიდ წრეში ის ზება მეორე პატარა წრე). ლახტის ასეთი ვარიანტი ორ გოდოლიანი ციხის დაცემა-აღებას წარმოადგენს.

დიახ, ლახტი ჩვენი ვირნახული ქვეყნის განსაკულტოვად სავსე დღეების ერთ-ერთი ყველაზე დრამატულ ეპიზოდის ფოტოსასლია, ბავშვთა თამაშების - სამყაროში გადატანილი. ცამდე მართალია დიდი ვაჟა-ფშაველა, რომელიც ამბობს: „მთელი სათამაშოები, რომლითაც დღე ბალები ერთობიან, წარსულ კაცობრიობის სურათებია მომეტებული ნაწილი მოგვაგონებს ომიანობას, ძარცვას, გატაცებას, ტყვედ შეპყრობას და სხვადასხვა, რომელთაც წინა დროში ცხოველი ძალა პქონდათ, დღეს კი მხოლოდ ჩრდილს წარმოადგენს იმისას, რაც მაშინ სცოცხლობდა, რითაც ცხოვრება სულს იდგამდა. დღეს ერთ დროს ცხოველი მოვლენა სათამაშოდ გადაჭრეულა და იქ, საცა ქვითინი ისმოდა. სისხლი და ცრემლი იღვრებოდა, უზრუნველი სიცილ-ხარხარი გაისმის“.

ქართული მოძრავი თამაშები იმითაც იყო შესანიშნა-

ვი, რომ იგი ფიზიკურ წრთობასთან ერთად ბავშვის გო-  
ნებრივი პორიზონტის განვითარებასაც უწყობდა ხელს.  
იგი ცხოვრებას ასწავლიდა პატარებს. ნიმუში? რამდე-  
ნიც გნებავთ!

თამაში, რომელზეც მსურს ვესაუბრო მკითხველს,  
შედარებით გვიანდელია, მაგრამ მეტად ტიპიურია და  
ამდენად ძველი საქართველოს მოძრავი თამაშების მიზან-  
დანიშნულებაზეც გვიქმნის წარმოდგენას:

ბავშვების გუნდი ზის მდელოზე. ერთი მათგანი ლექ-  
სად სვამს კითხვას და დანარჩენები ასევე ლექსად ერთ-  
ხმად პასუხობენ.

კითხვა: ვის უნახავს, გაზაფხულზე  
როგორ სოესავენ სიმინდს?  
პასუხი: გვინახავს და კიდეც ვიცით  
როგორ სოესავენ სიმინდს!  
— მერე როდესაც ამოვა,  
როგორ მარგლავენ სიმინდს?  
— თოხებით ჩამწკრივდებიან,  
ასე მარგლავენ სიმინდს!.....

პასუხის დროს ბავშვები ერთდროულად სხეულითა  
და ხელებით ასრულებენ შესაფერის მოძრაობებს. ლექსი  
საკმაოდ გრძელია და კითხვა-პასუხით მასში ასახულია  
მთელი სურათი სიმინდის მოყვანისა — დათესვიდან  
დაფქვამდე და გამოცხობამდე. ეს თამაში პირველ რიგში  
ბავშვს ცხოვრებისათვის ამზადებს, ხელს უწყობს მის  
შრომითს აღზრდას, გონებრივი პორიზონტის განვითა-  
რებას. მაგრამ ამასთან ერთად, იგი მოთამაშე ბავშვთა  
ფიზიკურ განვითარებასაც ემსახურება. ჩვენ დავითვა-  
ლეთ ამ ვრცელ ლექსში არსებული ის მოძრაობები, რი-

სი შესრულებაც უხდებათ ბავშვებს. აი, ისინიც: როგორ ხელის მოძრაობა ქვემოდან ზევით, წინ დახრა, ხელები დაქნევა ზემოდან ქვევით, მარჯვენის წინმკლავი და მარჯვენითვე მკვეთრი დაქნევი ზემოდან ქვემოთ (ეს მოძრაობა, მაგალითად, სრულდება ლექსის შემდეგ ადგილზე კითხვა — „როდესაც კარგად გახმება, რას უშერების სიმინდს?“ პასუხი — „გრძელ უროებს დაუშენენ, ასე დაფუშვნიან სიმინდს!“), მარცხენის წინშვერი და მარჯვენის ჰორიზონტალური მოძრაობა, მარცხენა ხელის მოძრა და ბრუნი მარცხნივ, ორივე ხელის შეერთება და მკეთრი გაშვება, ხელების მკვეთრი ზეაქნევი, მათი მკვეთრი დაშვება ზემოდან ქვემოთ, წინ დახრა და წელის ბრუნება, სხვადასხვა მიმართულებით, ადგილზე სიარული ხელების მხრებზე შემოწყობით, წინშვერიდან ხელების გაქნება მარცხნივ, მაჯების მოძრაობა და ბრუნი.

ვგონებ არ უნდა იყოს კარგ დილის ტანკარჯიშზე ნაკლები. ხომ ასეა?

აი, ასეთი მოძრავი თამაშებით შემზადებული ბავშვებშებოდა შემდგომში გონებრივი და ფიზიკური აღმზრდის სისტემაში, და ამ უკანასკნელსაც სწორედ აშიტომაც მოჰქონდა მასობრივი დადებითი შედეგი.

მაგრამ ფიზიკური აღმზრდის ქართულ სისტემაში, ისე როგორც მთლიანად ქართულ კულტურაში, თანდათა გაჩნდა ორი ძირითადი მიმართულება (თუმცა ეს მოვლენა აღრეც შეიძჩნეოდა), რაც უმთავრესად საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის გალრმავებით იყო გამოწვეული. ჩნდება მდიდართა და ღარიბთა კულტურა, მდიდართა და ღარიბთა ფიზიკური კულტურა. ამ პრიცესმა უფრო გამოკვეთილად ფეოდალურ ეპოქაში იჩინ თავი.

### თავი III

„ცელა მარჯვედ სცხმლეს ჩოგანსა!“


(ფეოდალური საზოგადოება)

ფეოდალური საზოგადოების გაჩენას საქართველოში მოჰყვა ფიზიკური აღზრდის სისტემის უფრო მეტი დახურულა და განვითარება. ფიზიკური კულტურა ხდება უფრო მასობრივი, მდიდრდება მისი საშუალებების არსენალი. ვარჯიშობა სამხედრო-ფიზიკურ სახეობებში ხდება სავალდებულო მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის. ფიზიკური კულტურის აძგვარ „მოქცევას“ მრავალი მიზეზი გააჩნდა. რომელთა ახსნა-დახასიათებას ამ შემთხვევაში არ ვთვლით აუცილებელ საქმედ; ერთი მიზეზის შესახებ კი ორიოდ სიტყვით მაინც უნდა შევახსენო მკითხველს:

როგორც ცნობილია, ქართული სახელმწიფოს ისტორიაში ზოგჯერ იყო პერიოდი, როცა ქვეყნის უსაფრთხოების ბედი ასე თუ ისე დამოკიდებული იყო ე. წ. მუდმივი ლაშქრის არსებობაზე; ე. ი. შემოსეული მტრის დახვედრის მთელი სიმძიმე გადადიოდა მუდმივი, დაქირავებული ლაშქრის კისერზე. მაგრამ ეს მეტად იშვიათ ხდებოდა და ქვეყნის ბედი დამოკიდებული იყო იმ ლაშქარზე, რომელიც იყრიბებოდა ქვეყნის ძნელბედობის უამს, მეფის დაძახილზე.

ჯერ გავარკვიოთ, რა საერთო სიტუაცია იქმნებოდა  
მაშინ, როცა „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ დაქირავებულ  
მუდმივ ლაშქარს ემყარებოდნენ. ყველაზე ნათელ მაგა-  
ლითად ამ შემთხვევაში გამოგვადგებოდა კიევის რუს-  
თის დაქირავებული ლაშქრის არსებობის ფაქტი. ცნობი-  
ლია, რომ კიევის რუსეთის შთავრის კარზე სისტემატუ-  
რად იმყოფებოდა 40-50 ათასი შოლაშქრე, რომელნიც  
წარმოადგენდნენ ამ პირველი რუსული სახელმწიფოს მთ-  
ვარ დამკვრელ სამხედრო ძალას. ასეთ ვითარებაში  
ბუნებრივია, კიევის მმართველები უმთავრეს ყურადღე-  
ბას ამ ლაშქრის სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას უთმო-  
ბდნენ, მოსახლეობა კი, ძალაუნებურად ამ ყურადღების  
გარეშე რჩებოდა. მართალია, ამ ქვეყნის მოსახლეობაში  
არსებობდა ფიზიკური ვარჯიშებისა და თამაშობის გა-  
კვეული პრაქტიკა, მაგრამ იგი მოკლებული იყო სისტემა-  
ტურობასა და მიზნის გლობალურობას ისევ იმავე მიზა-  
ნის გამო: მთავრობას არ ეცალა მისთვის, არ ეცალა ხალ-  
ხისათვის, რამდენადაც ომის პირობებში იგი არც ითვა-  
ლისწინებდა ხალხის ძალის გამოყენებას; მას გააჩნდა  
გამზადებული ლაშქარი, ემყარებოდა მის ძლიერებას და  
აქედან გამომდინარე, სისტემატურად ზრუნავდა სწორედ  
ამ ლაშქრის სამხედრო და ფიზიკური პოტენციალის გა-  
ლიერებისათვის. ასე რომ, დაქირავებული ლაშქრის არ-  
სებობამ თავისთავად გამოიწვია ფიზიკური კულტურის  
მასობრიობის მკვეთრი დაცემა, მოსახლეობის ფიზი-  
კური მომზადების საკითხთა ბედის ანაბარა მიტო-  
ვება.

ახლა კი, მოდით, გადმოვინაცვლოთ ფეოდალურ სა-  
ქართველოში და ვნახოთ როგორ იმოქმედა სპორტი



მასობრიობაზე ზემოხსენებული დაქირავებული, შუდმივა  
ჯარის არარსებობამ.

ვთქვათ, საქართველოს სამხრეთით, რომელიდაც სათ-  
ვალთვალო კოშკში აგიზგიზდა ცეცხლი, შემდეგ თანმიმ-  
დევრობით იგივე გააკეთეს ამბის გადამცემ სხვა კოშკებ-  
ზე მეთვალყურეებმა - და სულ რაღაც ნახევარ საათში  
ქართველთა მეფემდე უკვე შისული იყო მტრის შემოსე-  
ვის ამბავი. მეფე იბარებს შალემსრბოლებს და უბრძა-  
ნებს: „შეატყობინეთ საბატონოებს, სასწრაფოდ შეკრი-  
ბონ ქულზე კაცი და ხვალ დილისათვის გამზადებული  
რაზმებით თბილისს მოაშურონ“, — მალემსრბოლები მი-  
კვრიან დავალების შესასრულებლად. აი, ერთი მათ-  
განი ქსნის ხეობაში, სოფელ იყოთის თავზე გადმომდგარ  
სასახლესთან მიაგდებს გაოფლილ ცხენს. ქსნის ერისთავი  
ისმენს თუ არა ცუდ ამბავს, თავისთან იხმობს საჭირო  
პირებს, აძლევს დავალებას და იმავე ღამეს ათასხუთას-  
კაციანი ლაშქრით თბილისისაკენ მიემართება. ღმერთმა  
უწყის რამდენჯერ ჩატარებულა ასეთი სახელდახელო  
მობილიზაცია საქართველოში, ვინ გაიხსენებს ახლა  
ყოველ მათგანს, ისინი ერთნაირი ორგანიზაციით ტარ-  
დებოდა ყველგან; მოვარდებოდა მალემსრბოლი, შედ-  
გებოდა სასწრაფო თათბირი, შეიკრიბებოდა ლაშქარი,  
რომელიც მზად იყო ქვეყნის გადასარჩენად სამკვდრო-  
სასიცოცხლო ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.  
მხედველობაში იქონიეთ ის ფაქტი, რომ ქსნის ხეობის  
ლაშქარი შედგა სულ რაღაც რამოდენიმე საათში, მიაქ-  
ციეთ ყურადღება იმასაც, რომ ქსნის ერისთავი არც  
კითხულობს აქვს თუ არა იარაღი გლეხობას, არის თუ  
არა თითოეული მათგანი მომზადებული ბრძოლისათვის,

შეთვისებული აქვს თუ არა იარაღით შეტევისა და დაცვის რთული ხერხები, შეძლებს თუ არა ფინანსურულ გაუძლოს ბრძოლის სიმძიმეს. რომელიც მებრძოლისა და მოითხოვს დიდ ძალას, ამტანობასა და გამძლეობას. ბოლოს, ერისთავს არ გაუფრთხილებია თავისი კაცები, რომ არავრს აერიდებინა თავი მობილიზაციისათვის. ნამდვილად საჭირო არ იყო. დეზერტირობა მაშინ იმდენად იშვიათი ცხოვრებისებული რეციდივი იყო, რომ მილიონში გამორეულ ერთ დეზერტირზე გამჭილულექსებიც კი იწერებოდა (გაიხსენეთ ვაჟას „ბახტრიონი“, რას ამბობენ დეზერტირ წიწოლაზე: „წიწოლამ ღაფური გავთხიფა, გაგვექცა სირბილიანი, ნეტა სად დაიმაღება სიცოცხლით სიკვდილიანი“. წიწოლა ვერ უძლებს ხალხის წყევლას და თავს იხრჩობს).

მაშ, გავიმეოროთ კითხვა: რატომ არ იყითხა ეს კულატერი ქსნის ერისთავმა? არ იყითხა იმიტომ, რომ კიდევ გუშინ, მიუხედავად იმისა, რომ ომისა არაფერი ისმოდა, მან საჯაროდ შეამოწმა თავისი ყმების შეიარება, სპეციალურად ჩატარა შეჯიბრება და კიდევ ერთხელ დარწმუნდა მათი იარაღის ხმარების მაღალ ტექნიკში. სამი დღის წინ მკაცრად დასაჭა ერთი აზნაური, რომ ლის სოფელშიც ეს ერთი კვირად არ ჩატარებულა შეკრება ვიდაობაში, მეორე აზნაურს პასუხი მოსთხოვა იმასთვის, რომ მისი ყმები ცუდად იყვნენ გაშვერთნილი შშვილდოსნობაში, რაც სათავადოს მასშტაბით ჩატარებულ პირველობაზე გამოვლინდა, ახალი ხალათით დაჯილდოვა პატრონი მეზობელი სოფლისა, რომლის მკეთრიც გამოირჩეოდნენ სანიმუშო ფიზიკური და სამხედრო მომზადებით. ერთი სიტყვით, ქსნის ერისთავმა იცოდა

რომ დღეს თუ არა, ხვალ შეიქმნებოდა ფიცხელი ომი და  
ამ საბედისწერო ორომტრიიალში მოუმზადებელი მოყმის  
გაშვება სახელმწიფო დანაშაულს გაუთანაბრდებოდა.  
სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი სისტემატურად ამოწ-  
მებდა მისი მრევლის სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას,  
ახალისებდა საუკეთესოებს, ტუქსავდა ჩამორჩენილებს.  
გართლაც და, ხომ არ შეიძლებოდა სასწრაფო მობილი-  
ზაციის უამს ვინმეს თავი ემართლებინა: „ბატონო, მე  
ცხენზე ჯდომა არ ვიცი და ერ წამოვალ ბრძოლაშიო“.  
ეს ხომ ანეგდოტივით მოედებოდა მთელ ქვეყანას და  
სასაცილოდ აიგდებდნენ იმ ყმასა და მის ბატონსაც.  
ბუნებრივია, იყვნენ ისეთი თავადებიც, რომლებსაც ასე-  
თი დიდი სამუშაოს ჩატარებას ღროსტარება და ფუქსაე-  
ტობა ერჩიათ, მაგრამ იმის შიშით, რომ მათ აუცილებ-  
ლად მოუწევდათ პასუხისმება მეფის წინაშე თავიანთი  
რაზმის მომზადებულობის გამო, იძულებულნი იყვნენ  
ამ უკანასკნელის სამხედრო და ფიზიკურ მომზადებაზე  
ეზრუნათ.

ალბათ, უკვე გვაქვს უფლება გაუაკეთოთ დასკვნა იმის  
თაობაზე, რომ დაქირავებული შუდმივი ლაშქრის არარ-  
სებობამ, უნდოდათ თუ არა ეს ქვეყნის მართველებს,  
ძალაუნებურად ყურადღება შიძულევინა მათ მოსახლეო-  
ბის მასობრივ-ფიზიკური აღზრდისა და სამხედრო მომზა-  
დების საკითხთა მოგვარებაზე.

ფიზიკური კულტურა არც ფერდალურ ეპოქაში ვი-  
თარდებოდა უმტკივნეულოდ, მკვეთრი კლასობრივი  
წინააღმდეგობების გარეშე. თანდათან გამოიკვეთა ფიზი-  
კური კულტურის ორი სოციალური შიმდინარეობა —  
უდიდართა და ღარიბთა. ამაში მოსახლეობის ეკონომიკურ-

მა დიფერენციალ ითამაშა გადამწყვეტი როლი. უკან განსაჯეთ, სად ქონდა მიწაზე მიჯაჭვულ გლეხობას ან დიდრულ და „ძვირ“ სახეობაში მონაწილეობის სულება, როგორიც იყო ჩოგანბურთი. ანდა გლეხობას ბიუწვდებოდა ხელი ისეთი ნადირობისათვის, როგორ ცხენზე ამხედრებული და ათობით სანადირო ძაღლი: ატრონი თავადი მართავდა! ჩვენი გლეხობა თავისთვის ხელმისაწვდომ სახეობებს დასჭერდა და მათგან შექმნის ისეთი სავარჯიშო სისტემა, რომელიც არაფრით არ ჩამოავარდებოდა დიდებულთა ფიზიკურ კულტურას.

დავიწყოთ მდიდართა ფიზიკური კულტურის ერთობული კომპლექსური სახეობით, რომელიც, სამწერლო, დღემდვ ჩრდილში რჩებოდა და არ ჰქონდა მიზანი ნილი თავისი კუთვნილი ადგილი მსოფლიო სპორტულ მოძრაობის ისტორიაში. სპორტის ამ სახეობას პირი ბითად „ქართული ორგანიზაციი“ ვუწოდოთ. უნდა გავიხსნოთ ის ფაქტი, რომ მრავალჭიდების არსებობა ყოველ თვის დიდებით მოსავდა ამა თუ იმ ქვეყნის სპორტის ისტორიას. ბერძნები, მაგალითად ვერ ფარავენ სიამურავ რამდენობას იმის გამო, რომ მათ გააჩნდათ სპორტული ხელი, ანუ როგორც ძველი ბერძნები უწოდებდნენ – „პენტათლონი“ (რბენა, ხტომა სიგრძეზე, ბადროსა და შუბის ტყორცნა, ჭიდაობა). პენტათლონი ბერძნების თლიმპიური თამაშების პროგრამაშიც შეიტანეს. შესაუკუნეების რაინდებმა თავიანთი ფიზიკური აღზრუნოვანის სისტემის ქვაკუთხედად აქციეს მეტად თავისებულ შვიდჭიდი (ცხენოსნობა, ფარიკაობა, მშვილდოსნობა, ნიდირობა, ცურვა, ჭადრაკი, ლექსების თხზვა). ახალგაზრდა

დის რაინდთა რიგებში ჩარიცხვა დაშოკიდებული იყო ამ შივილივე „სარაინდო ხელოვნებაში“ გაწვრტნილობის დონეზე. შუა საუკუნეების ევროპის ქალაქების სპორტულ ცხოვრებაში გაძატონდა ორჭიდი (ფარიკაობა, ჭიდაობა) და ა. შ. აღმოჩნდა, რომ ასეთი მრავალჭიდების სამშობლო ყოფილა საქართველოც, რომლის ორჭიდიც თავისი სირთულით, საინტერესო შინაარსითა და მიზნის კეთილშობილებით არცერთ ზემოთდასახელებულ მრავალჭიდს არ ჩამოუვარდებოდა.

რა სპორტული სახეობების სინთეზით იქმნებოდა ქართული ორჭიდი? ესენი იყო ნადირობა და ბურთობა (ჩოგანბურთი). იმისათვის, რომ უფრო ცხადად წარმოვიდგინოთ ამ ორჭიდის შექმნის მიზანი და მისი შინაარსი, მოგვიწევს ცალ-ცალკე აღვწეროთ ნადირობა და ჩოგანბურთი, გავარკვიოთ მათი ადგილი ქართველი ხალას, პირველ ყოვლისა კი, მდიდართა ყოფაცხოვრებაში.

ნადირობის შესახებ მკითხველისათვის ბევრი რამაც ცნობილი; მან უკვე იცის, რომ პირველყოფილ თემურ წყობილებაში თითქმის ყველა ფიზიკური ვარჯიში ნადირობის თავისებურ ელემენტს წარმოადგენდა; ჩეენი 4000 წლის თქმულება ამირანზე ნადირობას გმირთა ერთ-ერთ მთავარ ცხოვრებისეულ საქმედ წარმოვიდგენს; ალბათ გახსოვთ: „სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი, მთას ირემი აპფრენია, ცასა სწვდება რქანი მისნი“. ძველ საქართველოში მისტერიებიც, კი იქმნებოდა, რომელთა თემაც ნადირობა იყო. სვანეთში, მაგალითად, მთელი რიგი მისტერიები, თავისი პოემისებური ტექსტით, ფერხულის ცეკვის დროსაც გამოიყე-

ნებოდა. ერთ-ერთი ასეთი მისტერია „მეთხვარემანი“ („მონადირე“). ცეკვის პროცესში ხალხი მღეროდა:

„ო, ბედნიერო მონადირე!  
სანადიროდ მიდიხარ ბნელ ხევში,  
მხარზე გედგა კუთხვა თოფი,  
წინ შემოვხვდა ვარეწარი მგელი,  
მგელს ჩვილი კბილებში იქვს“....

მონადირემ თოფი დაახალა, წაართვა ბავშვი. რომ ლიც ნადირობის ქალლმერთის პირმშო ყოფილა. მონადირემ დაამშვიდა დალი და ბავშვი გადასცა. გახარებული ქალლმერთმა თავის საბრძანებელში წაიყვანა მონადირე ღვთაება აფსათმა ადამიანის სუნი იგრძნო. დალიმ იუსტი ყველაფერი და მადლიერმა ღვთაებამ მონადირე და ჭილდოვა იმით, რომ შეკვირდა ყოველ სექტემბერს ხევის რქას (ალბათ გასაგებია, რომ ამ მისტერიაში თოფი როგორც სანადირო იარაღი, შემდეგ შევიდა). ზუსტი იგივე შეიძლება ითქვას მეორე მისტერიაზე — „ხომ მეთხვიარ ჩორლაი“ („კარგი მონადირე ჩორლა“), „ამ რანის ფერხულზე“ და სხვ. ქართველმა ხალხმა შექმნადირობის ღმერთები, მონადირეთა - დამხმარე ხატები „ნადირთ მწყემსო ოჩოპინტრე, — ნათქვამია ერთ ლიცაში, — შენ გეხვეწები, მომეცი ჭიხვის თავი, მომ კლეიე! სულნი ხო შენია ნადირთანი?“

ქველ და შუა საუკუნეების ცნობილ პიროვნებებს შორის. რომლებზეც კი შემონახულია რაიმე ცნობები, თუ თქმის ყველა კარგი მონადირეა. „ესე ფარნავაზ იყო ცი გონიერი, მხედარი შემმართებელი და მონადირე ხელოვანი“, — მოგვითხრობს მემატიანე ქართველთა უის შესახებ. კარგი მონადირის თვისებები იმდენად

ლლებდა ადამიანს სხვების თვალში, რომ ზოგჯერ იგი ზომაზე მეტ პატივსაც იღებდა. ამ მხრივ მეტად საინტერესოდ გვეჩვენება ქართლის ცხოვრების ავტორის ცნობა, რომ ახალგაზრდა ფარნაოზი მაკედონელის მიერ საქართველოს მმართველად დატოვებულმა უმკაცრესმა აზოვმა „შეიყვარა მონადირეობისათვის“. ამ გარემოებამ, როგორც ჩანს, ბევრი ხიფათი ააცილა ფარნაოზს. ერთ-ერთი უამთა აღმწერლის ცნობით თამარის შვილიშვილი დავითი ყოფილა „მონადირე რჩეული და კეთილად მსვრელი ნადირთა“. ყოველ თავადსა თუ შეძლებულ აზნაურს თავისი სპეციალური სანადირო ადგილები გააჩნდა, დაგამდა შიგ სანადიმო სახლებს და ა. შ. ლიტერატურულმა წყაროებმა შემოგვინახა ცნობა იმის შესახებ, თუ სამცხის ერთ-ერთმა პატრონმა ჩორჩანელმა, როგორი თხოვნით მიმართა ბერებს, რომლებმაც მის მამულში ეკლესიის აშენება გადაწყვიტეს. ეს ჩემი საუკეთესო სანადირო ადგილია, რომელი ადგილიც გინდათ მთხოვთ, მას კი ვერ შევალევიო. და გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ყოველ მცხოვრებს შეეძლო მოემარჯვებინა უმვილდ-ისარი და ენადირა ნადირ-ფრინველზე; ისე რომ, ნადირობა ერთ-ერთ ყველაზე მასობრივ სპორტად ითვლებოდა შეუა საუკუნეების საქართველოში.

ნადირობის შესახებ არსებული ეს ფაქტები, არ ასახავენ იმ ნადირობას, რომელიც ქართულ ორჭიდში იყო შეტანილი. ქართულ ორჭიდში ვერც ორგანიზაციულად და ვერც შინაარსით ვერ „ჩაჯდებოდა“ ჩვეულებრივი ნადირობა კურდლელსა თუ მწყერზე. ეს იყო ნადირობა გრანდიოზული შინაარსით, წინასწარ ორგანიზებული და რაც მთავარია, იგი ეწყობოდა არა როგორც ნადირის

ხორცის მოპოვების საშუალება, არამედ როგორც თველი დიდებულებისა და მათი მებრძოლების მიზნები მიერი ფიზიკური მომზადების საშუალება. ვაჟკაცები თვისებების აღზრდას ითვალისწინებდა იგი, და ას ფრინველ-ნადირის ხორცით ოჯახის მომარაგებას (თუმცა სპორტულ ნადირობას მაინც მოსდევდა ნადირო მსხვერპლი და ნადირობის შემდეგ სუფრას ყოველთვის ამშვენებდა ნანადირევი).

იმის საჩვენებლად, თუ როგორი ნადირობა იყო შეტანილი ქართულ ორჭიდში, მრავალი მაგალითის ქვეშ, აღარაა საჭირო, რადგან ჩვენ ხელთ გვაქვს ამგვარ ნადირობის ტიპიური მაგალითი ისეთ სწორუპოვარ წარმოებში, როგორიც „ვეფხისტყაოსანია“. ახლა რო როსტევანისა და ავთანდილის ნადირობის სცენის აღწერას მოვყვეთ, ალბათ მკითხველი შეურაცხყოფად მიღებს, და სწორიც იქნება. დღეს ვის არა აქვს წაკითხული შოთას ეს უკვდავი პოემა, განსაკუთრებით მის დასწყისშივე ეფექტურად აღწერილი ნადირობა. მხოლოდ შემდეგ მომენტებზე ვითხოვ ყურადღების გამახვილებას ეს ნადირობა სპეციალურად იგეგმება, ინიშნებიან მსაჭიბი, მარეკები დილიდანვე შეუდგებიან გარკვეულ სანალორო ადგილებისაკენ ნადირის მორეკვას. სანადიროდ ასზადებენ სპეციალურად ვაწვრითნილ ძალლებს, იარაღი ცხენებს, და რაც მთავარია, მიზანი ამ ნადირობისა არა ძლიერი მონადირის გამოვლინება:

„უბრძანა: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა, მშვიდდსა ფიცხელსა მოგვცემდით, ისარსა მოგვაროთმიდითა, ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა“

ე. ი. გამარჯვებულად ჩაითვლებოდა ის, ვინც მეტ  
ნადირს დახოცავდა უფრო ნაკლები სროლით, ვისი ნას-  
როლიც უფრო ზუსტი იქნებოდა.

საორჟიდო ნადირობა ძალზე იყო მიახლოებული (და  
ეს სპეციალურად კეთდებოდა) ბრძოლის სურათთან.  
არჩილი ამბობს:

„რაზმის გაწყობა კარგვარად, აგრეთვე ნადირობისა,  
სადავე პირ-ჩვილს სხვა უნდა და სხვა გამზადრობისა,  
მოხშიროს ტყისა ეწრისა და კიდევ მინდორობისა,  
ყოველთა უკეთესია, ვან, ცოდნა ერთპირობისა“

ნადირობას არჩილი ადამიანთა კარგ ზნეობად თვლის.  
მასვე მიაჩნია, რომ მონადირემ, თუ კი სურს მისი ნადი-  
რობა შედეგიანი იყოს, უნდა იცოდეს ფრინველისა თუ  
ნადირის მიკვლევა, ძახილი მათ ხმაზე, მეძებრის გაწ-  
ვრთნა.

ამ საქმეში დახელოვნებას თვით მეფეებიც არ თა-  
კილობენ, რადგან მათის ნებასურვილით ხშირად ეწყო-  
ბა ნადირობა ორჟიდის პროგრამით. ნადირობა იმდენად  
მრავალსახოვანი ყოფილა. რომ მეფე-პოეტი თეიმურაზი  
თავის ერთ-ერთ პოემაში ნადირობის თითოეულ სახეო-  
ბას ცალკე თავს უთმობს: „აქა ისრით ნადირობის თქმა“,  
„აქა ყვირილობის ამბავი“, „აქა ქნავილობის ამბავი“, „აქა  
ვეძაზე ნადირობა“, „აქა გავაზისა და შევარდნის ნადი-  
რობის ამბავი“, „აქა ქორისა და მიმინოს ნადირობის  
ამბავი“. „აქა კურდლლის ნადირობის ამბავი“, „აქა თევ-  
ზის ნადირობის ამბავი“, და ა. შ.

მაგრამ, ბუნებრივია, დაიბადება ასეთი კითხვა:  
წვრთნა საორჟიდო ნადირობაში თუ ასეთ დიდ ორგა-  
ნიზაციასა და საშუალებებს მოითხოვდა, ეს გარემოება

არ აფერხებდა მისი ჩატარების სიხშირეს? მერე, იყო იმდენი ფრინველ-ნადირი, რომ ყოველი საბატონო ლაშქარს, მეფის დასსა და სხვა სავარჯიშო ჯგუფს გაწვდომოდა? ცხადია, ეს ყველაფერი გათვალისწინებულ იყო, და ხშირად, როცა არ იყო ნადირობის გამართვის საშუალება, მას ცვლიდა მისი მონათესავე სახეობა - სროლა ყაბახზე. იმერეთის მეფის კარზე, როგორც ერთ წყარო გვიდასტურებს, „იყო ყოველ დილაობით სროლ ყაბახზე, სალამოს ჯირითი. პირველი ყაბახის გაგზავნის მოვალე იყო მეფე; აგზავნიდა ბრტყლად გაჭედილ ვერცხლს. ამის ჩამოგდების შემდეგ დასვამდნენ ყაბახუ ქაშანურს; ყოველი ოჯახიდან იყო მოტანილი ვერცხლი ჰურჭელი, ე. ი. აზარფეშა, თასი და ვერცხლის ჭიქების სახელზეც ყაბახი დაისმებოდა, მისი მიტანილი ვერცხლეულობაც იქვე ხის ძირში იდვა, ვინც ყაბახის ქანურს გასტეხდა, ვერცხლიც მისი იყო“. უფრო ვრცლად და სრულყოფილად კი ყაბახი აგვიწერა თეიმურაზ ბერებ, რომელიც ალბათ მრავალჯერ უშუალოდ ხელმძღვანელობდა მის ჩატარებას ჩოგანბურთის დაწყებით; იგი წერს:

„როდის იქნება ქორწილი, ან სხვა დღეობა კარგიო, ყაბახზედ ოქროს ვაშლს შესმენ ძვირფასის იყოს ვარგიო, კარგა დაკაზმულს ცხენს ისხდნენ, ზედ არ ეკიდოს ბარგიო, კურტაკიანთა ვაეთა თქვან: „სროლაში მელავი მარგიო“. ცხენს ისხდნენ კარგსა დაკაზმულს, რახტითა, უნაგრითაო, მძიმეს ნაკერის ორთუქით, ბუშტით და ყუთაზითაო, ვაეკაცთა ეცვათ კურტაკი ბრტყელისა ზორტებითაო, დაუწყონ სროლა ყაბახსა მათ ცხენის ვენებითაო. ვინც ჩამოაგდებს ოქროს ვაშლს, მიართმევს მეფეს წინაღა ფიცხლავ ჩააცმევს ხალათსა თავიდან ფეხამდინადა“.

ქართული ორჟიდის მომდევნო სახეობა, როგორც  
 ვთქვით, იყო ჩოგანბურთი, ანუ უბრალოდ—ბურთაობა.  
 თვით ეს თამაში თავის მხრივ ორ სახეობად იყოფოდა.  
 ესენია გადრი და რაღრაბაგანი. გადრის დროს მოთამა-  
 შენი 12-12 კაციან ორ გუნდად იყოფოდა (შეიძლებოდა  
 მოთამაშეთა რაოდენობა უფრო მცირეც ყოფილიყო—  
 ალექსანდრე ჯამბაკურ ორბელიანის ცნობით კი ერეკლე  
 მეორის მიერ მოწყობილ ერთ თამაშში 2000-მდე მხედა-  
 რი მონაწილეობდა). მსახი მოედნის შუაგულში შეაგდებ-  
 და ბურთს და მოთამაშენი ცდილობდნენ გატანათ ბურ-  
 თი მაყას (დღევანდელი გაგებით — კარს) იქით. თამაში  
 ზოგჯერ ბურთის პირველ გატანისთანავე თავდებოდა,  
 ზოგჯერ უფრო დიდხანს გრძელდებოდა. ბურთის გა-  
 დაწოდება, გადაცემა, ჩოგნით ამოკვრა და სხვა ტაქტი-  
 კური ხერხები უხვად იყო გამოყენებული გადრის თამა-  
 შის დროს. გამარჯვებულ გუნდს ჭრელი ფარჩებით ჯილ-  
 დოებდნენ, ასმევდნენ შარბათს და ა. შ.

რაღრაბაგანი უფრო ჩოგანბურთელის პირადი თვი-  
 სებების დემონსტრაციას ემსახურებოდა. 3—4 ცხენო-  
 სანი ჩოგნებით ათამაშებდნენ ბურთს და ერთდროულად  
 რთულ მოძრაობებს ასრულებდნენ ცხენზე, გაკრული  
 ბურთის დამიწებამდე მრავალგვარად ატრიალებდნენ  
 ხელში ჩოგანს და ა. შ. როგორც გადრი ისე რაღრაბაგანი  
 სპორტის მეტად რთულ სახეობას წარმოადგენდა. ჩოგნის  
 ხმარება, ბურთის გაკვრა, წაღება და სხვა მოძრაობა  
 სრულდებოდა ცხენზე, რაც თავისთავად მოითხოვდა  
 ცხენისნობის მაღალ დონეზე დაუფლებას. წარმოდგენა  
 რომ ვიქონიოთ ჩოგანბურთელთა ტექნიკის სირთულეზე,  
 უბრალოდ ჩამოვთვლი იმ ტერმინებს, რაც ძველ წყარ-



როებში გვხვდება მასთან დაკავშირებით. აი მანი ფხურად გაქანება ცხენდაცხენ, ხელების მარჯვედ რება, ხელფიცხობა, ძლიერი კვრით ბურთის გახეობა ან ჩოგანი „ქნას მტვრეული“, მალ შეტევა, ნავარდობა სიმკვირცხლე, სიჩაუქე, სიცქვიტე, სიმხნე, სიმარტკისკასად ქცევა, მოჭირვებით ბურთობა, ცხენდალი ქიჩილოვიას ქმნა, ჩოგანის ხელში ბრუნება, ქათაღალაყი მიწაზე ბურთის ჩამობრუნებამდე, ბურთის მოტნა, ხელუკულმა შემოკვრა, ხელგარდაყოფით შემოკვრა ხელრადით შეტყორცნა, ცხენიდან გადახრა მიწამულეშრების ქმნა, ჩოგანის ამოკვრა და ა. შ. ქ.  
თველ ჩოგანბურთელთა ოსტატობა არც უცხოა მოგზაურებს დარჩენიათ შეუნიშნავი. მე-17 საუკუნი იტალიელი მოგზაური დიონიქო კარლი წერს: „თამაში დროს ისინი ისე დაბლა იხრებიან, რომ ბევრჯერ ფიქრე ესაა გადმოვარდებიან და მიწაზე ზღართანს მოდენენ მეთქი. ამ ხალხის ამგვარ ვარჯიშობაში ნახე არაფერი სჯობია. პირდაპირ განმაცვითებელია მათ ერ ცხენის ოსტატური, ერთმანეთზე დაუჯახებლად მათ თვა, მიწიდან ბურთის აღება... სპარსელები, რომელნი ყოველთვის ესწრებიან ქართველთა მსგავსსა და სხვ ვაჟკაცურ გართობა-თამაშობებს, ისეთნაირად აღწერებ მათ, რომ ზოგჯერ დაუჯერებელიც არის. ამით ისი პატივით მოსავენ ქართველთა მეომრულ ღირსებას“.

ჩოგანბურთის ნაირსახეობანი არც თუ ისე მცირებ მოიპოვება აღმოსავლეთის ქვეყნებში, აგრეთვე ევროპი ზოგიერთ ქვეყანაშიც. მაგრამ ბევრის მნახელი მოგზურები გვარწმუნებენ, რომ ქართული ჩოგანბურთის სრულიად ორიგინალურია; ქართული ცხენოსნური თ-

გაშებიდან „ზოგი საკუთრივ სამეგრელოში და საქორთველოშია გავრცელებული და სხვაგან არსად“ (იტალიური მისიონერი არქანჯელო ლამბერტი).

ჩოგანბურთის სათამაშოდ სპეციალურად იწვერთნებოდა ის ცხენი, რომელზეც პატრონს მოუწევდა ამხედრება ბრძოლის დროს. „საუკეთესო ცხენს, თუ არ ლაშქრობაში, არ დაღალავენ“ (ა. ლამბერტი). ჩოგანბურთის თამაშის დროს ჩოგნის ხმარება, მისი ქნევა მარჯვნივ და მარცხნივ, ხმლის ხმარების იდენტური იყო; ცხენი ჭერკილებითამაშის დროს ეჩვეოდა პატრონის მოქმედებას, რეაგირებას ახდენდა მისი ჩოგნის მოქნევაზე, ჩოგნის მარცხნივ მოქნევისას თავს მარჯვნივ გადახრიდა, რათა აეცილებინა ჩოგნის მოსალოდნელი მოხვედრა, და ამდენად გაენთავისუფლებინა პატრონი ცხენის მართვის ამ ზედმეტი ელემენტისაგან. ჩოგანბურთში გამოწონბილი ცხენი იმასვე იმეორებდა ბრძოლის დროს. მხედარი და ცხენი, ერთი მთლიანი მოქმედებით შეერთებული, ქვეყნისათვის მძიმე დღეებში ერთად ავლენდნენ იმ ოსტატობას. რასაც მშვიდობიან დღეებში ჩოგანბურთის თამაშის დროს დაეუფლებოდნენ: ყოველივე ამის შემდეგ გასაგები გახდება მეფე-პოეტ არჩილის საყვედური იმათ მიმართ, ვინც არ შეეცდებოდა ასეთი გაწვრთნილი ცხენის ყოლას: „ქვეითი ხარ, ცხენი არ გყავს, რით იგადრებ ან ირადებ?“

ჩოგანბურთელებს ბურთის დამზადებაც უნდა სცოდნოდათ. ისინი იღებდნენ სმოგვის ტყავს, რომელსაც აქვს თვისება დასველების შემდეგ შეკუმშვისა. იყენებდნენ რა ამ თვისებას, იღებდნენ წინასწარ დაგუნდავებულ მრგვალ მატყლს, ადულებდნენ კარგა ხანს, აშრობდნენ,

სევ აგუნდავებდნენ და როდესაც კარგად გამკვრივდა, ბოდა, დებდნენ სველ ტყავში. და კერავდნენ ბურთ გაშრობის პროცესში ტყავი მჭიდროდ ეკვრებოდა მა ტყლს და ბავშვის თავის ოდენა ბურთი იძენდა მხტომელობის კარგ თვისებას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბავშვებმა, რომელ ბსაც, ცხადია, არ ჰქონდათ ჩოგანბურთში მონაწილეობის საშუალება, უფროსების წაბაძვით შექმნეს ჩოგნით თამაშის საბავშვო ვარიანტები — ღორობია, ღორბურთი, კომბლაობა, კოშლაობა, ორმობია, კარჯოხობა, ჭავუნა ეს უკანასკნელი ძალზე გვაგონებს დღევანდელ ბალახის ჰოკეის.

ქართველი ჩოგანბურთელების მაღალი ოსტატობის შესახებ კარგად იცოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში; თამარის კარზე ე. წ. საერთაშორისო შეხვედრაც კი გამართულა ამ სახეობაში..

ეს მოხდა 1191 წლის ერთ ზაფხულის დღეს. თამარის კარს შირვანისა და რანის წარმომადგენლები ეწვივნენ, შინა დინასტიურ დავას მარტომ ვერაფერი მოვუხერხეთ და ოქვენი დახმარება გვჭირდებაო („წარმოავლინეს მოციქულნი ძლუენითა ურიცხუითა“, რადგან თამარის გარდა, „არავინ იხილეს მხსნელი და მაცხოვარი მათი“.)

მოციქულები, რომელთა შორისაც იყო სულთანის ქმიშვილი და ფახლავადდრნის შვილი ამირ-მირმანი, მისი სიმამრი აღსართანი თავისი დიდებულებითა და მონებით, დააწყნარეს, დახმარება აღუთქვეს და რამოდენიმე დღეს თამარის კარზე დატოვეს.

ერთ დილით ამირ მირმანი ნადიმზე მიიწვიეს. ნა-

დიმის შემდეგ სუფრის წინ გაშლილ მოედანზე ქართველი ველმა მხედრებმა სამხედრო ვარჯიშობა გამართეს, და რაღა თქმა უნდა, ჩოგანბურთის რთული ხელოვნებაც უჩვენეს სტუმრებს.

ამირ-მირმანი ნასიამოვნები დარჩა ნანახით, მაგრამ დიდი ალტაცება არ გამოუხატავს. ამის მიზეზი ჩქარა გამოთქვა აღსართანმა. მან ივანე მსახურთუხუცესისაკენ გადაინაცვლა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თქვენ უნდა ნახოთ ჩემი სიძე ამირ-მირმანი და მისი ამალის წევრები როგორ თამაშობენ ჩოგანბურთს. ამირ-მირმანს შემოვლილი აქვს. მთელი აღმოსავლეთი და მისებრი მობურთალი არსად მინახავსო!

ივანეს გულმა არ მოუთმინა და ერთ-ერთი თათბირის შემდეგ თამარს უთხრა: თქვენი აღმოსავლეთელი სტუმრები ჩოგანბურთის ბრწყინვალე თამაშს იკვენიან და დაგვრთე ნება — ხვალ მათთან გამოვცადოთ ძალაო.

თამარი ერთხანს დადუმდა. მერე მსახურთუხუცესს შეანათა თაფლისფერი -თვალები და დინჯად მიუგო:

— ჩემო ივანე, ეგენი ჩვენთან თხოვნით არიან მოსულნი, ფეხქვეშ გვეგებიან და ჩვენ, მათი ქვეყნების მხსნელებს, არა გვაქვს უფლება პირშერცხვენილი გამოვიდეთ ამ შეჯიბრებაში.

ივანე ერთ ხანს შეაკრთო თამარის ფრთხილმა სიტყვამ, მაგრამ შემდეგ. როცა გაიაზრა ვინ გამოვიდოდა ისლამი ჩოგანბურთელების წინააღმდეგ, მტკიცედ მიუგო:

— შიში წუ გაქვთ, მბრძანებელო, ისინი ვერაფერს დაგვაკლებენ!

— ვის დავალებთ ამ საქმეს? — იყითხა თამარმა  
— ამირსპასალარი ზაქარა სწორუპოვარია ამ საჭ.  
მეში, ჩვენს კარზე სტუმრადაა ჰერეთის ერისთავი გრ.  
გოლი, მეც მათ ამოვუდგები გვერდში, გამოვლენ აფ.  
რეთვე...

— თხოვეთ დავითსაც, — ბრძანა თამარმა თავის  
მეუღლის შესახებ, და ამით ერთდროულად ამ „საერთა-  
შორისო“ შეხვედრის ჩატარების დასტურიც მისცა.

საღამოს მოედანზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ  
ქართველი და ირანელი ჩოგანბურთელები. ირანელები  
ამირ-მირმანი მეთაურობდა. ქართველებს კი დავით სო.  
ლანი.

მოედნის ერთ მხარეს ცალკედელ ჩამოხსნილი კა.  
ვები გაეშალათ; ერთ-ერთ მათგანში თამარი და რამოდე.  
ნიმე სეფექალი მოთავსდა. სხვა კარვებშიც დაიკავ.  
ადგილები. მოედნის დანარჩენ სამ მხარეს კი ნემის  
ჩასავარდნი ადგილიც არ იყო დარჩენილი. ამ შეხვედ.  
რის შესახებ მთელ თბილისს გაეგო და ყველას გამოუ.  
წევია დიდი სპორტული ორთაბრძოლის სახილელად.

პირობა ასეთი იყო: დამთავრებულიყო თამაში პირვე.  
ლი ბურთის გატანისთანავე, და სწორედ ამ პირობის  
გამო დარჩა უკმაყოფილო მაყურებელი. თამაშმა სუ.  
რალაც რამდენიმე წუთს გასტანა.

შეაგდეს თუ არა ბურთი ჰაერში, ამირ-მირმანი მოწე.  
და ადგილს, ჰენებით ჩაუქროლა მიწაზე დაცემით  
ბურთს, უმალ ჩოგნის ბადეში მოაქცია იგი და ისეთ  
სისწრაფით წავიდა ქართველთა მაყისაკენ, მისი ცხენი.  
ფაფარი ბაირალივით აფრიალდა.

ზაქარია მხარგრძელმა იმარჯვა, თავი დაუარა დაგა.

გადაუქეტა ირანელსკ შემდეგ ჩოგანი ჩოგანში ამოპერა  
 და ბურთი გააგდებინა. იქვე გაჩნდა ივანე და მეტოქის მა-  
 ჟისაუენ დასძრა ცხენი. მაყამდე რამდენიმე მეტრი იყო  
 დარჩენილი, რომ ამირმირმანის დიდებული წამოეწია, გა-  
 დასწრო და მოუქნია ჩოგანი. ივანემ უცებ შეატრიალა  
 ცხენი და მოწინაალმდეგის ჩოგნის ბადემ მისი ცხენის  
 გავაზე მოიღო ტყაპანი, ამასობაში კი ივანემ ხელუკულ-  
 მა მოიქნია ჩოგანი და მოედნის მაყის მარჯვენა მხარეს  
 მდგარ გრიგოლს გადააწოდა ბურთი, გრიგოლმა ბურთს  
 ჰაერშივე დაახვედრა ჩოგანი და რამდენჯერმე აკენწლა,  
 თან მოწინაალმდეგის მაყის წინ შემოსულ ქართველ  
 შხედარს უთვალთვალებდა. ბურთის მესამედ აკენწლის  
 ღროს შან შეამჩნია, რომ დავით მეფე ელვის სისწრა-  
 ფით გაიჭრა მაყის წინა მოედნისაკენ, არ დააყონა და  
 სურთი მისი მიმართულებით ტყორცნა. ბურთი ბალახზე  
 გაგორდა და შეჩერდა, დავითი ჭენებაშივე დაიხარა მი-  
 წამდე, ჩოგნის კავი გამოსდო ბურთს და წინ გაიჭრა.  
 უცებ მის წინ აღიმართა ამირ-მირმანი და ორი მისი დი-  
 დებული. ირანელებმა დავითის შეტევა მოგერიებულად  
 ჩათვალეს, და ახლა სხვა მეტოქეს უთვალთვალებდნენ,  
 რომელსაც შეიძლებოდა მიეღო გადაცემა დავითისაგან.  
 დავითმა ისარგებლა ამ მომენტით, გააკეთა ცრუ მოძრა-  
 ობა, თითქო ბურთის გადააწოდებას აპირებდა, მაგრამ  
 უცაბედად შემოატრიალა ცხენი, ტანით გააკეთა ნახევარ-  
 წრიული მოძრაობა გვერდით და ცხენის მუცელქვეშ  
 ჩახრილმა ისეთი სიმძლავრით მოიქნია ჩოგანი, რომ  
 ბურთი შხუილით გაძვრა მეტოქის ცხენების ფეხებქვეშ  
 და მაყის უკან გადავარდა.

ამ გამარჯვების შემდეგ თამარის პირველი ისტორი-

კოსის მატიანეში გაჩნდება შემდეგი სიტყვები: „უკანას განა მეფემან მეფეთამან ამირსპასალარსა მისსა ზექა რიას და მსახურთა უხუცესსა ივანეს, ჰერეთის ურის თავს გრიგოლს და სხუათა მოყმეთა და . ჩავიდის მოედანს. და მუნით ჩამოვიდა ამირმირმანი მისითა და დებულითა და მონითა, და თვით თამარ საჭურეტლა პირითა მით ბრწყინვალითა და ნათელმფენითა. ისლენი, დაჯერებულნი თავისა მეცადინეობისანი, და მძღება ძოლნი, მსწრაფლ იძლივნეს დავით მეფისა და მისთ მოყმეთაგან და შეიქცეს ძლეულნი და მჰვუნვებულნი“.

ამის შემდეგ უკვე არავის გაუკვირდება, რომ, რომ დავით სოსლანმა და მსახურთუხუცესმა ივანემ ილაშვილეს ირანზე, „ონავარ მქნელისა სპარსი ბაზარისათვის სულტნის მოედანსა შინა ხელყვეს სიხარულად და მაპარეზობად, რომელი ესეცა არასოდეს ვისგან ქმნილიყო“.

ასპარეზობა დამარცხებული მტრის მოედანზე! გამარჯვებული ქვეყნის სპორტული კულტურის ჩვენება უცხუთის ტერიტორიაზე! მართლაც, ჯერ ასეთი კუთხითა და ასეთი განსაკუთრებული მიზეზიონ არავის გაუმართავს საჩვენებელი სპორტული გამოსვლები მაშინ. ლაშა გორგის არ დაურღვევია მამისეული ტრადიცია და იუვა გაუკეთებია, როცა კარნუ ქალაქელები მორჩილება დაპირდნენ. იგი „ჩადგა ბასიანს და მუნ ითამაშეს“.

მაშ, ასე, სპორტის ამ ორი სახეს — ნაღირობისა და ჩოგანბურთის ბაზაზე საქართველოში იქმნება ორჭილი როგორც მებრძოლთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. მოღით, პირშეადგი რომ არ დავრჩეთ არც მკითხველისა და არც სპორტის



ისტორიოგრაფიის წინაშე, მოვიყვანოთ რამოდენიმე არ-  
გუმენტი, რაც უტყუარად მიუთითებს შუასაუკუნეების  
საქართველოში ამ საოცრად რთული სპორტული ორ-  
ჭიდის არსებობაზე. როგორც არსებული მასალა გვი-  
ჩვენებს, ამ ორჭიდის ორი სახეობიდან, როგორც წესი,  
კერ ნაღირობა (ზოგ შემთხვევაში — ყაბახი) ტარდებო-  
და, ხოლო მას ზედწაბმულად, შესვენების გარეშე მოს-  
დევდა ჩოგანბურთი. მასალები, რომელთა მოტანასაც  
აქ ვაპირებთ იმდენად გარკვევით და მკაფიოდ მიუთითე-  
ბენ ნაღირობა-ბურთაობის მჭიდრო ურთიერთკავშირის  
შესახებ, რომ კომენტარების გაკეთება უბრალოდ მკი-  
თხველის გადაღლად ჩაგვეთვლება. მოვიტანთ ზოგიერთ  
მათგანს:

„ჰქონდათ დღე ყოველ სიხარული და მათგან ძლვნობა  
და ამათგან ბოძება, ნაღირობა და ბურთაობა“ („ქართ-  
ლის ცხოვრება“), „ქართველთა ლაშქარნი განისვენებდ-  
ნენ ნაღირობითა და ბურთაობითა“ („ქართლის ცხოვ-  
რება“), „მამასავე ხელთა მიმცეს რა შევიქმენ ამა ზომსა;  
ვბურთობდი და ვნაღირობდი, ვით კატასა ვხოცდი  
ლომსა“, „მოსრნის მხეცნი და ნაღირნი ისარმან ჩემგან  
სრეულმან, მერმე ვიბურთი მოედანს მინდორით შემო-  
ქცეულმან“, „ოდეს გნახავ მხიარულსა, ნაღირობით შე-  
მოსრულსა, ვეღარ გიშვრეტ ნაბურთალსა...“, („ვეფხის-  
ტყაოსანი“), „ხელმწიფეთა შვილთა ანაღირებდნენ, აბუ-  
რთავებდნენ და ასწავლიდნენ სახელმწიფოთა ზნეთა“  
(„რუსუდანიანი“), „ყაბახსა და ბურთობასა, იქმენ  
ცხენთა დენასაო“ („შაჰნამეს“ ქართული ვერსია), „და-  
უწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა  
და რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისცენ თასი იგი,

შემდგომად ამისა შექმნიან ბურთაობა“ (ვახუშტი), „დღით შევსხდით, ვინალირით, შუადღისას შემოვიქცით, მუნ საძილედ არ გავიქცით ბურთობას ხელი მივყვით, მუნ საძილედ არ გავიქცით (არჩილი), „ესე იყო სწავლა მისი, ბურთაობა, ნადირობა“ („შაპენავაზიანი“), „ვინც ჩამოაგდებს ოქროს ვაშლი, მიართმევს მეფეს წინადა, ფიცხლავ ჩაცმევს ხალათსა თავიდან ფეხამდინადა, დაამზადებენ საბურთლად ვაკაცებს ჩოგანითა და, ცხენს კაცსა შეადარებენ წილისა მიღებითა-და“, „როდის იყო, თუ არ დღისით, ვაჯვაც ცხენზე ზნეობანი? გითხრა სროლა ყაბახისა, მოჭირებით ბურთობანი“ (თეიმურაზ II), „აქა ყაბახის სროლისა და ბურთაობის ამბავი“ („სარკე თქმულთას“ ერთ ქვეთავის სათაური); საკმარისია, რადგან ასე დაუსრულებლად შეიძლება მსგავსი ადგილების ჩამოთვლა.

საკითხავია, რატომ მაინცდამაინც ნადირობა და ჩოგანბურთი იქნა აღებული ორჭიდის შესაქმნელად?

გავიხსენოთ, რა მოძრაობების შესრულება უხდებოდა მოვარჯიშის ამ ორ სახეობაში ვარჯიშობის დროს და პასუხი თავისთავად გაცემულად ჩაითვლება: ცხენის ჭენება სრული სისწრაფით, გაჭენებული ცხენიდან მშვილდისა და შუბის ხმარება, მათი მიზანში მოხვედრება (ნადირობის დროს), ცხენის მართვა მხედართა ჯგუფში, ჩოგნის ხმარება და ქნევა ზუსტად ისე, როგორც ხმლისა ბრძოლის დროს (აღმოჩნდა, რომ ქართული ჩოგანისა და ხმლის სიგრძე ერთმანეთს ემთხვევა. ესეც დავიხსომოთ!) როგორც ვხედავთ, ნადირობისა და ჩოგანბურთის დროს ადამიანს უხდებოდა ზუსტად ნამდვილ ბრძოლაში საჭირო მოძრაობების შესრულება. ე. ი. თუ კაცი დახუ-

ლოვნებული იყო ნადირობასა და ჩოგანბურთში, ყოველგვარი დაფიქტების გარეშე შეიძლებოდა მისი გაგზავნა ბრძოლაში, როგორც ცხენოსანი მებრძოლისა. მაში, გამოდის, რომ ნადირობა და ჩოგანბურთი წარმოადგენდა გვილდოსნობაში, შებოსნობაში, ცხენოსნობასა და ხმლით ხელჩართულ ბრძოლაში აღამიანთა მომზადების სკეციალურად ორგანიზებულ ემოციურ ფორმას.

აი, რატომ შეაჩერეს ქართველებმა ყურადღება ნადირობასა და ბურთაობაზე და რატომ შექმნეს მათგან სპორტული ორჟიდი, რომელიც ნამდვილად ერთ-ერთ უმაღლეს ადგილს იკავებდა იმ პერიოდის სპორტულ გრავალჭიდებს შორის.

მაღალი წრის წარმომადგენელთა ფიზიკური აღზრდის საშუალებათა არსენალში მრავალი ვარჯიშობა იყო ჩართული; ყველა მათგანზე შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ ერთის შესახებ მაინც უნდა ვისაუბროთ, რადგან ჩვენი ისტორიული წყაროები მას დიდ ადგილს უთმობენ, რაც მის მასობრივ გავრცელებაზე მიუთითებს. ეს სახეობა მუშაითობა გახლავთ. „მუშაითი — საბეჭიდ მოთამაშე“, — განმარტავს საბა. დიახ, მუშაითობა ძალზე უახლოვდება დღევანდელი ჯამბაზის ხელოვნებას, მაგრამ მათს შორის გარკვეული სხვაობაც იყო. საქმე ისაა, რომ მუშაითობამ თავისი განვითარების ორი ეტაპი განვლო. იყო პერიოდი, როცა მუშაითობა მაღალი კლასის წარმომადგენელთა ფიზიკური მომზადების საქმეს ემსახურებოდა, მაგრამ შემდეგ წინა პლანზე წამოიწია მისი სანახაობითი მხარე და ბოლოს (გვიანი ფეოდალიზმის პერიოდში) თითქმის მთლიანად შეაქცია ზურგი ფი-

ზიქურ ალზრბას, და იგი თვალისსასეირო საქმედ  
ღაიქცა.

მუშაითობის თავდაპირველი დანიშნულების შე-  
სახებ ბევრს გვეუბნება შოთას „ვეფხისტყაოსანი“. გა-  
ხსენეთ პოემის ფინალი. სამი გმირი მიადგა ქაჯეთის კუ-  
ხეს. გაიმართა თათბირი ციხის აღების თაობაზე. აეთან-  
დილმა და ტარიელმა თავიანთი გეგმები წარმოადგინეს,  
ცურიდონმა კი შემდეგი წინადადება წამოაყენა: ციხი  
ქონგურს თოკს ვტყორცნი, კარგად დავამაგრებ საბეჭ-  
მისი დახმარებით გავალ ამ ლრმა ხეობას, შევალ ციხეში,  
გავალებ კარებს და მერე დავერიოთ მტერსო. ტარიელ  
დაეჭვდა, შეგნიშნავენ და თოკს გადაჭრიან, და თუნდა  
ვერ შეგნიშნონ, ფეხი დაგისხლტება და უფსკრულში  
ჩაიკარგებიო. შიში ნუ გაქვთო, ამშვიდებს მას ფრიდონ  
და ამის საბუთად ამბობს:

„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,  
მასწავლნეს მათნი საქმენი, მახტუნებდიან, მწვრთიდიან,  
აგრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომქიდიან,  
ვინცა მცვრეტლიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან“.

აქ ორი აზრი არ არსებობს: მუშაითობა მომავალი მე-  
ფის ფიზიკური ალზრდის ერს-ერთი საშუალებათაგანია  
მაგრამ იმავე „ვეფხისტყაოსანში“ უკვე ვხვდებით მე-  
შაითობას, როგორც საცირკო ხელოვნების დარგს. 119-  
სტროფში ვკითხულობთ:

„ესა თქვა და სიხარულით თამაშობა აღიადა,  
მგოსანი და მუშაითი უხმეს, პოვეს რაცა სადა“.

რაც დრო გადის, მუშაითის ხელოვნება სულ უფრ-  
რთულდება, იხვეწება და გართობა-სანახაობათა შორი-

ერთ-ერთ მთავარ ადგილს იკავებს. ისტორიულ და ტერიტორიულ წყაროებში ჩნდება ასეთი გართულებული გუშაითობის დახასიათება.

„რა შეიქმნება ლხინი და ლვინისა მომეტებანი, მუშაითაგან კერანი და სხვა ტკბილი ამღერებანი, თქვან მუნასიბი ლექსები, ყმისა და ქალის ქებანი,“ —

მბობს თეიმურაზ მეორე და მიგვანიშნებს იმაზე, რომ მუშაითის მოვალეობა იყო თოკზე სიარულშივე ლექსების თქმა და დაკვრა-სიმღერა. მეფე-პოეტი არჩილი კი მუშაითს უწოდებს ადამიანს, რომელიც თავთან დაიდებს ხანგალს, წამოწვება მის გვერდით, „ანაზღაუ ახტის პირდაღმივ“, გადაევლება ხანგალს და მაინც უვნებელი რჩება. „ქილილა და დამანაში“ სპილოებზე მოთამაშე კაციც „სპილოებით მოჯამბაზედ“ არის მონათლული. მე-17 საუკუნის პოემა „სიბილიანში“ მუშაითი ეწოდება მოვარჯიშებს, რომლებიც ქუსლთან დაიდებენ ბეჭედს, უკან გაიღრიკებიან და წამწამით აიღებენ მას, ჭიმავენ ყირას, „ხელით დარბიან“ და ა. შ. არჩილის გაგებით მუშაითია ის უცნაური ადამიანიც, რომელიც ინდოეთიდან ჩამოსულა და იოგების განსაცვიფრებელ ვარჯიშებს ასრულებს, ხეს, რომელსაც ექვსი კაცი ძლიეს ძრავს, იგი კბილით იჭერს; ქვეშ ხანჯლებს ამაგრებდა, მათს მახვილ პირებზე წამოწვებოდა და მაინც უვნებელი რჩებოდა.

მუშაითები უმთავრესად მეფის კარისა და სხვა დიდებულთა ოჯახების ხშირი სტუმრები გახდნენ; როცა დავითმა და თამარმა იქორწინეს, „მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა, და მუნ ქმნეს ქოჩ-ბ. ა. ციბაძე

წილი... იყო ზმაი მგოსანთაი და მუშაითთა სახეობა  
ჭურეტანი, — გვამცნობს თამარის პირველი ისტორია  
კოსი. „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა“ აგრეთვე 114.  
წელს, როცა თამარს ეწვია აღსართან მეორე.

მუშაითობა მეტად რთულ და სახიფათო ხელოვნება  
იქცა. სხვაგვარად მუშაითები ქებას ვეღარ იმსახურებდნენ. ისინი „საბელზედ გავლენ კისკასად, სიფიცინ  
ფერხ-მალებითა“, მუშაითი უნდა იყოს ცქვიტი, „ხვარ-  
თქალა“ („ქილილა და დამანა“), მას დიდი ჯაფა ადგი  
„წელში წნეხითა“ (მამუკა გურამიშვილი), მასში დახუ-  
ლოვნება დიდ ჯაფასა და მოთმინებას მოითხოვდა. „უ-  
მთხვევითი არ უნდა იყოს, რომ დავით გურამიშვილ  
მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საკითხებს ჯამბაზი  
წვრთნის სირთულესა და სიმძიმესთან აკავშირებს. „გან-  
სწავლენით ჯამბაზებრ წარეთ, რომ არ ჩასცვივდეთ, და  
წვათ მწარედო“, — ამბობს პოეტი.

მიუხედავად ამისა, მუშაითობას ბევრი ეტანებოდა  
მე შვილი მინდოდა, „თორემ ფილორცსა შიგან მუშაით-  
ნი ბევრნი ყრიან და იარებიანო“, — ამბობს „თიმსარი-  
ნის“ ერთი განაწყენებული გმირი. ნოდარ ციციშვილი  
„შვიდი მთიების“ მიხედვით კი მეფეს „მუშაითთა და  
მგოსანთა ჯარი წინ მიუძღვებოდეს; უცხოთა რაოდ  
მოქმედნი წინ სხვანი დაუხვდებოდეს“. ბუნებრივია, გა-  
კვეული სტიმულის როლს თამაშობდა დიდი ჯილდო  
რომელიც მეფისა და სხვა დიდებულებისაგან ელოდთ  
მუშაითებს. „მუშაითს მისცენ ხალათი, ზედ წამოასხმე  
აბანოს“ (თეიმურაზ მეორე).

ახლა კი დადგა დრო გავარკვიოთ ერთი საკითხი  
რა ასაკი ექვემდებარებოდა საქართველოში ფიზიკი

აღზრდას? როდის იწყებოდა ბავშვის ოფიციალური ფი-  
ზიკური აღზრდა და როდის თავდებოდა იგი? სწავლა  
სიბერემდეო, — უთქვამს ქართველ ხალხს, და ეს მო-  
თხოვნა ფიზიკურ აღზრდაზეც ვრცელდებოდა, ვარჯი-  
შობდა კაცი, ვიდრე ხმლის ხელში აღება შეეძლო, მაგ-  
რამ მაინც იყო პერიოდი, როცა ფიზიკური აღზრდის  
გარევეული რეგლამენტირებული კურსი უნდა გაევლო  
ახალგაზრდას. მაგრამ მანამდე, მოდით გავიხსენოთ, სხვა-  
გან როგორ იყო საქმე: ძველი სპარტელები ფიზიკურ  
აღზრდას 7 წლიდან იწყებდნენ და 30 წლამდე არ ეშვე-  
ბოდნენ მომავალ მებრძოლებს, ათენელებიც 7 წლიდან  
იწყებდნენ, ოლონდ მათი სწავლების კურსი 18 წელზე  
თავდებოდა, შეუა საუკუნეების რაინდთა აღზრდა, რო-  
მელიც ძირითადად ფიზიკური იყო, 7 წლიდან იწყებოდა  
და 21 წელზე თავდებოდა. ქართველი ბავშვის სწავლა-  
განათლებაც, როგორც ისტორიული წყაროები გვიდას-  
ტურებენ, 7 წლიდან იწყებოდა, მაგრამ ფიზიკური აღ-  
ზრდის ოფიციალური კურსი რამდენადმე წინ უსწრებდა  
და 5 წლამდეც კი ჩამოდიოდა. არცერთ ქვეყანაში არ  
იწყებოდა ბავშვის ფიზიკური აღზრდა ასე ადრე, ეს გა-  
რემოება მკაცრად იყო განპირობებული ჩვენი ქვეყნის  
პოლიტიკური მდგომარეობით. ძნელია დაასახელო ისე-  
თუ წელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რომ მას დიდი  
თუ მცირე ომი მაინც არ გადაეხადოს. ყველა ომი თავ-  
დაცვითი იყო. მაჰმადიანური სამყაროს ყურადღების  
ცენტრში მოქცეულ ქვეყანას ხან ერთი დამპყრობელი  
შემოესეოდა, ხან მეორე და ხან მესამე. უბედურება ის  
იყო, რომ ეს ომები თითქმის ყოველთვის უთანასწორო  
იყო, ერთ ქართველზე 3—5 მტერი მოდიოდა, იცლებო-

და ქვეყანა სისხლისაგან, წყდებოდა ხალხი, მას კი სიტემატური შევსება ესაჭიროებოდა. ყოველივე ამან იძულებული გაგვხადა დაგვეშვა საერთო ნორმიდან ისეთი გადახრა, როგორიც იყო გოგონების გათხოვება საქმიოდ ადრეულ ასაკში. როგორც წესი, ყველა ოჯახი მრავალ შვილიანი უნდა ყოფილიყო, ეს ტრადიციაც ზემოხსენებულმა სიტუაციამ დაგვანერგინა; ქართველ ბავშვები ფაქტიურად დაკარგული ჰქონდა ბავშვობა. დიახ, იმ დროს, როცა ხუთი წლის ბიჭუკელა ჯერ ისევ სათამაშოებზე იყო მიჯაჭვული და წმინდა ბავშვური იდეალები ასულდგმულებდა, მას ხელში პატარა ხმალსა და მშვილდისარს აძლევდნენ და სამხედრო-ფიზიკური აღზრდის მექაცი პროცესში აბამდნენ. სხვაგვარად ქვეყანა ვერ შეძლებდა არსებობის გაგრძელებას. ამას მოითხოვდა ერთს გადარჩენის ინტერესები.

თავის შესანიშნავ წიგნში „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ ვახტანგ ჭელიძე ამბობს გორგასალის შესახებ: „შვილი წლისა იყო ვახტანგი, როცა ამ ტახტზე ავიდა, უზრუნველი ბავშვობის ფერადოვან ოცნებაში მოცურავეს, ჯერ კიდევ არ გაეხადა იგი სანუკვარი იდეალად, ცხოვრების ულმობელმა სიმწარემ ერთბაშად აუხილა თვალი, ნამდვილი ფერებით დაანახა ცხოვრება, და შეიდი წლის ბიჭი ერთბაშად დაავაუკაცა... ამას ხელი შეუწყო საუკუნის საერთო სიმკაცრემაც“. იგივე ვახტანგი 15 წელს ახალი გადაცილებული იყო, როცა ჯერ კიდევ „ასაკითა უსრულო“ პირველად გაუძლვა ჯარს და პირველი შერკინება მტრის ბუმბერაზთან გამარჯვებით დააგვირგვინა. მართალია, ვახტანგი 7 წლისა გამეფდა, მაგრამ 5 წლიდან ვარჯიშობაში ჩაბმის წესი, ცხადია, მას-

ზეც გავრცელდებოდა, და მეფედ კურთხევის დროს ფიზიური ვარჯიშობა მისთვის უცხო ხილი აღარ იქნებოდა. 5-დან 15 წლამდე ასაკი, აი, რა წლები უნდა მივიჩნიოთ გორგასალის ოფიციალური ფიზიკური აღზრდის ძირითად ეტაპად, და ეს პრინციპი, როგორც ჩანს, ტარდებოდა ყველა ქართველი ჭაბუქის მიმართ. ჩავიხედოთ არქანჯელო ლამბერტის წიგნში „სამეგრელოს აღწერა“. „მეგრელები, — გვაწვდის ცნობას იტალიელი მისიონერი, — როგორც ქვეყნიერების დანარჩენი ერნი, ჩვეულნი არიან ომსა, იმდენად ჩვეულნი, რომ მშობლებს სულ პატარები დაჰყავთ ლაშქრობაში და არ არიდებენ ამ გაჭირვებას, რომელიც იქ უნდა გადახდეთ. ავშვები ისე ატარებენ იარაღს, უკავიათ ხელში ფარი და ხმარობენ მშვილდსა, თითქოს დაბადებიდან შეჩვეულნი იყვნენ ბრძოლას“. ეს ადგილი, განსაკუთრებით მისი ბოლო წინადადება, სწორედ 5 წელს, ან უფრო დაბალ ასაკს გულისხმობს ვარჯიშობაში ჩაბმის წლად.

ფეხანგი ფაშვიბარტყაძის „შაპნავაზიანში“ ვახტანგ V-ის ფიზიკური აღზრდის პროცესის დაწყების ასაკად 5 წელია მიჩნეული („ცოტა იყო ხუთი წლისა, ასწავლიდნენ გმირთა ზნეთა“). 5-დან 15 წლამდე ასაკი ოფიციალური ფიზიკური აღზრდის (რომელსაც ცოტა უფრო გვიან გონიერივი აღზრდაც უერთდება) ეტაპადაა მიჩნეული „ვეფხისტყაოსანშიც“.

„ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი ვარდისა შლილისა, ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკლვა, მართ ვითა სირისა“.

ამბობს ტარიელი. თხუთმეტი წლისა იგი ისევ მეფესთან იზრდება, „დღისით ვიყვი მის წინაშე, გამიშვებდის არ-

ცა ძილსა: ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰებუნ  
დი ედემს ზრდილსა, სროლასა და ასპარეზსა აქებდია  
ჩემგან ქმნილსა“. რუსთაველი 15 წლის ასაკში წყვეტ  
ტარიელის აღზრდას და მას უკვე ამირბარად ირჩება  
15 წლის ტარიელს ნადიმის მოწყობის უფლებასაც ა  
აძლევენ და დასრულებულ პიროვნებად თვლიან.

„ვეფხისტყაოსანი“ წმინდა ქართული სინამდვილ-  
დან იყვებებოდა და ყოველგვარი დაეჭვების გარეშე უ-  
და ვენდოთ მას. მით უმეტეს, რომ საქართველოს სა-  
ხელრო-ფიზიკური მომზადების მაშინდელი პრაქტიკ  
გადმონაშთები ახლაც შემორჩენილია ზოგიერთ კუთხ-  
ში. საქართველოს ცოცხალ მუზეუმს — ხევსურეთს თუ  
ეწვევით და იკითხავთ — მათი ჭაბუკების ფიზიკურ-  
აღზრდის ოფიციალური ხალხური კურსის დაწყების  
და დასასრულის წლებს, გიპასუსებენ, რომ ბავშვი 5—  
წლიდან იწყებს ვარჯიშს და უკვე 15 წლისა დასრულ-  
ბულ ვაჟკაცად მიაჩნიათ. არც ის ფაქტი უნდა მივა-  
ნიოთ შემთხვევითად, რომ ქართველი მეფეებისა დასა-  
დლების ერთი ნაწილი ბრძოლაში 15 წლიდან იღვი-  
მონაწილეობას. საბრძოლო პრაქტიკაში ამაზე უფრ-  
ახალგაზრდების მონაწილეობა დამოწმებული არ ახა-  
სწავლა-აღზრდის პროცესში დროზე ადრე ჩაბმა და ა-  
რე დავაჟკაცება, რაც ზედმიწევნით ემსგავსება „ვეფხი-  
ტყაოსნის“ გმირების აღზრდის პროცესს, მრავლად ჩი-  
თვით რუსთაველის ეპოქის ისტორიულ წყაროებშიც  
„ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ ჭაბუკი დავა-  
სოსლანის შესახებ: „ესე დავით წელიწადის მოქცევა-  
დის ესრეთ წაემჯობინა ყოველთა მშვილდოსანსა, ცე-  
ნოსანსა და მკვირცხელსა და მოასპარეზესა, მწიგნობა-

სა და ყოველთა ნასწავლთა ხელთა სიკეთეთა, ვითა დღეს ჩანს, რომელ შინათ ვინ ყოფილა ამისი მასწავლებელი და მოსწავლე და თუ გარეთთა ქვეყანათა მოსრულა, ვერავინ გამოჩენილა მისებრი“. ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და სარკესავით თვალწინ დგება ტარიელის აღზრდის სურათი; უმჭველია, დავით სოსლანისა და სხვა ისტორიულ პიროვნებათა აღზრდის პროცესი მოხდენილად გამოუყენებია რუსთაველს თავისი გმირების აღზრდის დასასურათებლად.

გასაგებია, რომ ამ ჭაბუკების წვრთნა უნდა ყოფილიყო მტკიცედ რეგლამენტირებული, სისტემატური, მკაცრი, წინააღმდეგ შემთხვევაში 15 წლის ჯერ უწვერული ჭაბუკიდან დასრულებული მებრძოლის აღზრდა არც ისე იოლი საქმე იქნებოდა. სპეციალური ფიზიკური აღზრდის კურსი სავალდებულო იყო შუა საუკუნეების საქართველოს ბევრ სკოლაში; აյ, როგორც ძველი ხელთნაწერები გვამცნობენ, „არს ჩვეულებად ყრმათა ველად განსვლა მღერად და განცხრომად“ („მღერა-თამაშობაში ნახე“, — გვეუბნება საბა, — ხოლო თამაშობა ქართულად მღერა შექცევათა სახელიაო, — განმარტავს იგი. „მამათა სწავლაში“ არის ასეთი გამოთქმები: „ყრმანილა იმღერიედ ნიგუზითა“, რაც კაკლებით თამაშია, „ყმანი რაი იმღერიედ ბურთითა მიმოგდებით“, რაც ბურთის ერთმანეთისათვის გადაგდებას ნიშნავს. რაც შეეხება განცხრომას, იგი საბას მიერ განიმარტება, როგორც თამაშობა, ხუმრობა, ლხინი). იგივე ხელნაწერები გვამცნობენ, რომ გიორგი ათონელი „იზრდებოდა ხორციელისა თანა ჰასაკისა სულიერითაცა ჰასაკითა“, ე. ი. ფიზიკური აღზრდა საერთო აღზრდის ორგანულ ნაწილად ითვლებოდა.

ბავშვთა კერძო აღზრდის პრაქტიკაში ჩვენ ვხვდეთ  
აღმზრდელებს — „მამამძუძეებს“, რომლებსაც ევალ-  
ბათ მისცენ ბავშვს როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური  
და ზნეობრივი აღზრდა. სულხან-საბა გვამცნობს, რო-  
ბავშვობაში მას ჰყავდა სპეციალურად დაქირავებული  
მასწავლებლები. „მწვრთიდა მცხეთელი ზედგენიძე  
სახლის ძე ბერუკა და სიმღერის სრულობას მწვრთიდა  
იაშვილი გიორგი“. „სიმღერის სრულობა“, — ადვილი მა-  
სახვედრია, ფიზიკური აღზრდის ერთიან კურსს უნდა  
ნიშნავდეს.

დავით რექტორის ნაწარმოებში „ცხოვრება ლეონ ბა-  
ტონიშვილისა“ მთავარი გმირის აღზრდის პროცესის გა-  
მოსახატავად ნახმარია ზიტყვა „სეფური“, რაც საბას გი-  
ერ ასე განიმარტება: „ესე იგი არს მრავალჯერ ქნა-  
საქმე გაიადვილოს რაი ენების საქნელად. გინა სწავლად“.  
ეს ხომ იგივეა რაც სისტემატური ვარჯიშობა! ანდა, „რუ-  
სულანიანის“ ერთ-ერთი გმირი გოსტამი ამბობს: „დევი-  
ხმალი მეკიდა და ვარჯიშს ვიქმოდი მისი ხმარებისათვე-  
სო“. ზოგიერთ წყაროში ჩანს მასწავლებელი სპორტის  
ცალკეული სახეობების მიხედვითაც. ასე მაგალითად  
„ფირმალიანის“ ქართულ .თარგმანში აღნიშნულია, რო-  
მეფისწულებს ჰყავდათ ბურთაობის მასწავლებლები.

ჩვენს ჭაბუქებს, თავიანთი უშუალო მასწავლებ-  
ლების გარდა, ხელთ ჰქონდათ რჩევა-დარიგებანი, რომ-  
ლებსაც ამ საქმეში კარგად ჩახედული პირები აღვენდ-  
ნენ. ასეთი ხასიათის ნაწარმოებთა შორის ტიპიურია მუ-  
ფე-პოეტის არჩილის დამრიგებლობითი პოემა „საქა-  
თველოს ზნეობანი“; ეს არის მთელი პედაგოგიური  
ტრაქტატი იმის შესახებ, თუ გონებრივი, ზნეობრივი და



განსაკუთრებით, ფიზიკური აღზრდის რა კურსი უნდა  
გაიაროს ახალგაზრდამ, რომ მან ჩაინერგოს ყველა სა-  
ჭირო თვისება („ზნე“) და გახდეს სასარგებლო კაცი თა-  
ვისი თავისა და ქვეყნისათვის. ეს ნაწარმოები თავისუ-  
ფლად შეიძლება მივიჩნიოთ გვიანი ფეოდალიზმის პე-  
რიოდის საუკეთესო სახელმძღვანელოდ ჭაბუკთა ფიზი-  
კური აღზრდის დარგშიც. ამდენად, არჩილს სრული  
უფლება ჰქონდა განეცხადებინა პოემის დასასრულს:

„ბევრი კაცი იმიზეზებს: არა მყონდა მომვლელიო,  
ზნეობა რომ დამესწავლა ხარისხ-ხარისხ ამვლელიო,  
ახლა რაღა პასუხი გაქვსთ, აი თქვენი მსწავლელიო!  
ვინ არ იწვროთნა, მალმც მოჰკვდები, ნუ ხარ ხანის წამელელიო“.

მოდით, მოვიკრიბოთ მოთმინება და ჩამოვთვალოთ  
ის სარაინდო ზნეობანი, ის საგნები, თუ შეიძლება ასე  
ვუწოდოთ მათ, რაც ქართველ ახალგაზრდას უნდა შეე-  
თვისებინა 5-დან 15 წლამდე. ამ შემთხვევაში სწავლე-  
ბის ეს პროგრამა სრულყოფილადაა მოცემული არჩი-  
ლის „საქართველოს ზნეობანში“, აგრეთვე თეომურაზ  
მეორის „დღისა და ღამის გაბაასებაში“. აი, ისინიც: მო-  
რეკილი ნადირისათვის ალყის დარტყმა, ყვირილობაში  
ირემზე ნადირობა, ღამით ნადირობა ტახზე, ისრით ნა-  
დირობა, თოფით ნადირობა, ვეძაზე ნადირობა, გავაზით,  
შევარდნით, ქორით, მიმინოთი და მწევრით ნადირობა,  
კურდღლელზე ნადირობა, ფრინველზე ნადირობა: ჩოგან-  
ბურთი — როგორც გადრი, ისე რაღრაბაგანი, ყაბახი,  
ცხენოსნობა თავისი მრავალი ქვესახეობებით, მშვილდ-  
ოსნობა, თოფის სროლა, შუბის ტყორცნა, ფარიკაობა.  
რბენა, ცურვა, ნავის ხმარება, მუშაითობა, ჭაღრაკის, ნარ-  
დის, ყუმარის, ხარდიორდას, ჩალიჩის, განჯაფის თამაში,

ხტომა, ქვის გდება, ჭიდაობა, თევზაობა, ბარის საწილა  
ლახტის თამაში, მათრახის ხმარება; ისრისა და მშვერულ  
დამზადება, ჩოგნისა და ბურთის დამზადება და სხვა.

მაგრამ საქმე ისაა, რომ მეფე-პოეტები არა მართ  
ჩამოთვლიან ამ სავალდებულო საგნებს, არამედ იძლე  
ვიან გათი სწავლების საკმაოდ სრულ მეთოდის. გ  
გალითისათვის გამოგვადგებოდა თეიმურაზ მეორის  
რიგება იმის თაობაზე, თუ რა მოძრაობებში და როგო  
უნდა დახელოვნდეს ყაბახოსანი. თეიმურაზი უჩინ  
მათ:

„ასე უნდა მას დღეს კაცმან ამ გზით სროლას ეცადოს,  
მკლავზე მშვილდი შემოიცვას, წელს ყოდალი გაირკოს,  
ცხენი შეძრას, პირველ მშვილდას ხელით ფეშრი მან უყინ,  
მერმე ყოდალს ხელი მიჰყოს, კილოს მაგრად დაზიდოს.

უნდა მშვილდი დაზიდული ცოტა ხანი გაატაროს,  
ჩქარად მოდგეს ყაბახზედა, ცხენი ალარ დააზაროს,  
ყაბახს მუხლი გააცილოს, მაშინ უნდა გარდიხაროს,  
ესროლოს, თუ ჩამოაგდოს, თავის გული გააზაროს.

ასე უთქვამთ: „მისვლა სჯობსო უფრო ჩამოგდებისაგან“,  
თუ ორივ სჭირს, ხომ ისი სჯობს, უფრო იქოს ბევრისაგან,  
სანამდინ არ ჩამოაგდონ, არ მოეშვან სროლისაგან,  
მას დღეს ღმერთი ვისაც მისცემს, მოხვდეს მისის ხელისაგან.

ჰქედავთ, რამდენი რამ უნდა მოესწრო ქართველ კ  
ბუქს? ხოლო თუ ყოველივე ამას დავუმატებთ გონი  
რივი და ზნეობრივი აღზრდის კურსს, თავისთავად ც  
თელი გახდება, რა მძიმე და რთული სკოლის გავლა დ  
დებოდა ქართველ ახალგაზრდობას, ვიდრე იგი ქვეწ  
დამცველთა რიგებში ჩადგომის უფლებას მოიპოვებ

და ასეთ სიტუაციაში, როდესაც მეფის კარი, თუ

დის კარი, ყოველი ქართული ოჯახი ფიზიკურად მომზად, დებული მომავალი მებრძოლების აღზრდის კერას წარმოადგენდა, შეუძლებელი იყო მთელი საქართველო მოფენილი არ ყოფილიყო სპორტული ბაზებით, სხვაგვარად როგორ დაკმაყოფილდებოდა ასეთი გაზრდილი მოთხოვნილება სპორტზე? შუა საუკუნეების საქართველოში ჩანს დარბაზები (უმთავრესად სანადირო სპორტისათვის. „შევეკაზმე, დარბაზს მივე, დამხვდა ჭარი ავაზისა, შევარდენით სავსე იყო სრულად არე დარბაზისა“, „ვეფხისტყაოსანი“). ი. ჭავახიშვილის მტკიცებით, გეგუთის ცნობილი სასახლეც სანადირო სახლს წარმოადგენდა, რომელიც გამოყენებული იყო მეფისა და დიდებულების სანადირო ბაზად), იპოდრომები (თამარის სასახლეს ამშვენებდა „იპოდრომისა განხმულობანი“. შავთელი), მოედნები („მერმე ვიბურთი მოედანს, მინდობით შემოქცეულმან“). „ვეფხისტყაოსანი“), ასპარეზი („რიტორი ბრძენნი, მეფეთა ძენი, ასპარეზსა ზედ მსპარაზობელნი“. შავთელი), ცხენთასარბიელი და სხვანი. ჩანს აგრეთვე მეტად საინტერესო სპორტული ნაგებობა „სათამაშო სახლები“. ეს იყო ე. წ. „სამორინე“, რაც საბას განმარტებით არის „სახლი მენარდეთა“. გასაგებია, რომ ასეთი სახლები მარტო მენარდეთათვის არ იქნებოდა განკუთვნილი, მისი მუდმივი სტუმრები იყვნენ სხვა სამაგიდო თამაშების მოტრფიალენიც. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ სახლებში გარკვეულ მომენტებში თეატრალური სანახაობებიც იმართებოდა.

დროთა განმავლობაში ეს სპორტული ბაზები, ისე როგორც სხვა მრავალი ნაგებობა, თანდათან აღიგავა პირისაგან მიწისა, და დღეს მხოლოდ ისტორიულ წყაროებ-

ში გვიხდება მათი ძებნა. ერეკლეს ვაჟი ვახტანგი იყო. ნებს, რომ მეფის სასახლესთან იყო მოედანი, თავსა და ბოლოში აღმართული ოთხი მაღალი ქვით, „რომელსაც ეწოდების მაყალ და იყო ქვასა ამათ ზედა გარდაფარუბული ფარჩანი ოქროქსოვილი მრავალნი“. პლატონის ისახლიანის ცნობით კი, თბილისის კედლის ჩრდილოეთით მეფე იესეს სასახლის პირდაპირ იყო მოედანი საც. ტედრო ვარჯიშებისათვის, ადრე მას ასპარეზს უწოდებდნენ, შემდეგ კი ყაბახსო. მოედნის სიგრძე 250 ს. ეენი ყოფილა, სიგანე კი — 120 საუენი. განთქმული იყო მოედანი ქუთაისში „ოქროს ჩარდახის“ სასახლის წინ, და საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტებში. „ეხლანდელს ვერის ხიდის გაღმით, — გვატყობინებს გასული საუკუნის გაზეთი „დროება“, — მცხეთა-ტყილის გზა-ტკეცილის მარცხნივ, გადაშლილია მინდორი საბურთალო. ადრე აქ იმართებოდა ბურთაობა, რომელსაც ჰქონდა ხასიათი მხედრულ ვარჯიშობისა. საქართველოს მეფენიც კი იღებდნენ მონაწილეობას ამ თამაშში და გამარჯვებულს მიერთმეოდა ოქროს ვაშლი — მოოქრული მეტალის ბურთი“. დღეს ამაოდ დაუწყებთ ძებნა მათ ნიშნებს. თუმცა რაღაც სათამაშო სახლის მაგვარი ნაგებობა ჩანს უფლისციხეში, სავაჭრო და სპორტული მოედნის გალავანი მესხეთში, ცენტრალური მაცხოვილი, ციკლოპური ქვით შემორაგული მოედანი სამშენებლებში, და ასე შემდეგ, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდითვალს სურს მათ აღგილზე სპორტული ბაზები დაინახო. ასე გაგვინადგურა ისტორიის ქარტეხილმა ჩვენი დღი სპორტული კულტურის ეს ნაშთებიც.

მდიდართა ფიზიკური კულტურა, როგორც ვთქვთ,

შედარებით მიუწვდომელი იყო ხალხთა მასებისათვის. ამ უკანასკნელთა ფიზკულტურული მოძრაობის საშუალებათა არსენალს უფრო ხელმისაწვდომი და ნაკლები ხარჯების მქონე ვარჯიშები ივსებდა. იგი, რაღა თქმა უნდა, გამოირჩეოდა თავისი მასობრიობითაც. ყველა მათგანზე, ცხადია, ვერ შევჩერდებით. ჩვენ მხოლოდ ხალხური სპორტის ორ წამყვან სახეზე ვისაუბრებთ. ერთი მათგანი უფრო აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში გავრცელდა, მეორეს კი დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი უფრო ეტანებოდნენ; თუმცა ხშირად დასავლეთი საქართველო არ ამბობდა უარს აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ამ სახეობებზე, და პირი-კით. ალბათ, ხვდებით, — ქართულ ჭიდაობასა და ლელოზე გვსურს შეჩერება.

მოღით, ვესტუმროთ შიდა ქართლის ერთ-ერთ სოფელს და დავესწროთ ერთ ზაფხულის კვირაძალს გამართულ ჭიდაობას...

...სოფლის მამასახლისმა გაოფლილი ბედაური ბატონის სასახლესთან შეაჩერა, ცხენი მეჯინიბეს ჩააბარა, ტანისამოსი შეისწორა და ბატონს ეახლა.

— ჩემო თოთიკა, უთხრა ბატონმა, — ხვალ ძვირფასი სტუმრები მეყოლება, ერთი მათგანი რუსთ ხელმწიფის ელჩი იქნება, საღამოს კარგი ჭიდაობა უნდა გამართო. მოუხმე სოფლის ყველა ფალავანს. მეზურნეების გაფრთხილებაც არ დაგავიწყდეს!

თოთიკამ იმ დღესვე დაუარა სოფლის ფალავნებს, მერე ახალგაზრდები საჭიდაოზე ჩაიყვანა, ნახერხი გამოაცვლევინა, სტუმრებისა და ხალხისათვის დასაჯდომი სკამები გაამაგრებინა. მერე კი ახლო წარსულში განთქმულ ფალავანს მათეს მიაკითხა.

— ხვალ კვირაძალია, ჭიდაობა ისედაც გაიმართება  
მოედანზე, მაგრამ ეხლა ისე უნდა ჩამატარებინო, ის  
უცხო სტუმარი გაკვირვებული წავიდესო, — უთხა მა-  
თეს და ამ ღონისძიების მთელი ორგანიზაცია დავალა.

მათემ სოფლის ძველი ფალავნები იხმო. ითაბირებ-  
და გადაწყვიტეს პირველად ნორჩი მოჭიდავეები გამო-  
ეყვანათ, რომლებიც მაყურებელში ჭიდაობის აზარტი  
დაანთებდნენ, მერე კი ცნობილი ფალავნებისათვის და-  
თმოთ არენა. წინასწარ ცალკეული ფალავნების შერჩე-  
ვისაგან თავი შეიკავეს, ვინც მოისურვებს, დაე, იმან იქ-  
დაოს, ასე უფრო ბუნებრივი გამოვაო.

მეორე დღეს ხალხი აღრე დაბრუნდა ველ-მინდვრე-  
ბილან, ყველას სურდა საჭიდაოზე მოხერხებული ადგა-  
ლის დაკავება. მზე გადაიხარა თუ არა, ზურნამ საჭირა-  
ოსაკენ უხმო მაყურებელს. მათეს მოეფიქრებინა და მო-  
ედანზე სოფლის რამდენიმე კარგი მომლერალიც მო-  
წვია, ხანდახან, როცა ზურნის ჭყვიტინით ყურები დაილ-  
ლება, შეცვალეთ იგი და თქვენებური ვაჟკაცური სიმლე-  
რებით გაამხნევეთ ფალავნებიო.

ყველაზე გვიან ბატონი ჩამობრძანდა თეთრწვერო-  
სანი რუსი სტუმრითა და რამდენიმე მხლებლით; ხალხი  
ფეხზე წამოდგა და მიესალმა სტუმარს. სტუმარმა ოთ-  
ხივე მხარეს მდაბლად დაუკრა ხალხს თავი და მისთვის  
მიჩენილ სავარძელში მოთავსდა. ბატონმა მის გვერდზე  
დაიკავა ადგილი. მათ მოპირდაპირე მხარეს მსაჯები,  
რომლებსაც მათე ხელმძღვანელობდა, პატარა მაგიდა  
მისხდომოდნენ.

მათე დინჯად წამოდგა და გამოაცხადა ნორჩი მოქა-  
დავეების ვინაობა; მედოლემ ძალუმად დასცხო წკირები

დოლს, ზურნაც აშევიტინდა და ორი პატარა ფალავანი ერთმანეთს ეკვეთა. დიდხანს არ გაგრძელებულა მათი ჭიდაობა. ერთმა მათგანმა მეტოქის მარჯვენა მკლავი ორივე ხელით ჩაბლუჭა, სწრაფად შეტრიალდა, ჩაიჩოქა და ზურგიდან წამოლებული მოწინააღმდეგე მიწაზე გააკრა.

რუსეთის ელჩი გაოცებული დარჩა ნორჩი ფალავნების მოხერხებულობით; ხოლო როცა ბოლო ნორჩმა წყვილმაც იჭიდავა და შერქინების დამთავრების შემდეგ ცეკვა გამართეს, თარჯიმნისაკენ მოტრიალდა და ჰყითხა, ცეკვა რაღა საჭიროა. თარჯიმანმა თავის მხრივ ბატონს დაუსვა იგივე კითხვა.

— უთხარი ელჩს კარგად დააკვირდეს დამარცხებული ბიჭის ცრემლებით სავსე თვალებს, აქედან ისიც განსაჯოს რა ცეცხლი ტრიალებს მის გულში. ცეკვაც ამ ცეცხლის განელებისათვისაა საჭირო. გაუსვგამოუსვამს ფეხებს, შეეთამაშება მეტოქეს, ცოტა გულს დაიმშვიდებს, ბოლოს გადაპყოცნის დამმარცხებელს და ბოლმაც გაუქრება. აბა სხვაგვარად როგორ იქნება. თუ ყოველი ჭიდაობის შემდეგ იმატა ერთმანეთს შორის შურმა და მტრობამ და ამ უთვალავ მტერს შეგობრულად შეკრული სოფელი არ შევაგებეთ, დავიღუპებითო!

ბატონს ისიც უნდოდა ეთქვა, თქვენი დაპირებული ჯარი ღმერთმა უწყის როდის მოგვეშველება, ისევ ჩვენ უნდა ვუპატრონოთ თავსო, მაგრამ სტუმარს გული აღარ ატკინა.

სტუმარმა კი თავისი ქვეყნის მუშტიკრივი გაიხსენა, რომელსაც „კედელი კედელზე“ ეწოდებოდა. მთელი სოფელი გამოდიოდა მუშტიკრივში მონაწილეობის მისაღე-

ბად. ჯერ ბავშვები იშყებდნენ ბრძოლას, მერე უცოდა  
ბი, შემდეგ ცოლიანები აგრძელებდნენ ჩხუბს, მთ წერ  
შიშესულები ცვლიდნენ, ბოლოს კი კრივს მოხუცება  
თავრებდნენ. იქაც კრივის შემდეგ ჩვეულებად იყო შე-  
მოლებული ნადიმის გამართვა, რათა კრივის დროს წარ-  
მოშობილი ჯავრი გულიდან გადაჰყორდათ.

მათემ სოფლის ფალავანი მიხა კოპიტაშვილი იხმ-  
ხალხი გაინაბა მისი მეტოქის გამოცხადების მოღოდინში,  
მაგრამ მათე აგვიანებდა. ბოლოს თვალი მოავლო ხალ-  
და დინჯად განაცხადა:

— კოპიტაანთ მიხა თქვენ გელოდებათ. ვისაც გულ-  
და მკლავი გერჩით, ჰა ბურთი და ჰა მოედანი!

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. მიხასთან შერქინებაში  
აღრე ბევრს უჭამია სირცხვილი და, ახლა, ამ უცხ-  
სტუმრის წინაშე ვის მოუწევს ბეჭებით ნახერხის აკრ-  
ფა? კარგა ხანს ვერავინ გაბედა არენაზე გადასვლა. ბა-  
ტონი შეშინდა, ვაი თუ ამით დამთავრდეს ყველაფერი  
და სტუმრის სასაცილოდ შევიქნეთო. მამასახლისი თო-  
თიკა მათეს მიუტრიალდა, ამ წესის შემოლება რაღა ა-  
რუსის სტუმრობის დროს მოინდომეო, მაგრამ მათე ა-  
ღელავდა, მან იცოდა თავისი სოფლის ფალავნების ა-  
ბავი, ასე ადვილად არ ჭამდნენ სირცხვილს. ცოტაც და  
მუხიაანთ გელამ გაარღვია ხალხი, ტანზევით გაიხადა და  
ჩოხა მოითხოვა. ზურნამ გააყრუა იქაურობა. ორი და-  
კუნთული ფალავანი ერთმანეთისაკენ დაიძრა. გულ-  
იცოდა მიხას ძირითადი ფანდები და ფრთხილად იყა-  
მას არაერთხელ ენახა მიხასეული გრძელი მოგვერდა  
რომლის მსხვერპლი ერთხელ თითონაც გახდა. მისი  
სწრაფად აუღო ალღო მეტოქის ჩანაფიქრს და ელუ-

სისწრაფით სრულიად სხვა ხერხი იხმარა. მან ისეთი გა-  
მოქროლი სარმა შეასრულა, რომ გელამ გონზე მოსვლაც  
ვერ მოასწრო. სხვა რა ძალა ჰქონდა, ხელი ჩამოართვა,  
გადაჰკოცნა და მიატოვა მოედანი.

მიხამ ისევ მოედნის კუთხეში დაიკავა აღგილი.

მათემ გამოაცხადა:

— მიხა კოპიტაშვილი მოედანს მანამ არ დასტოვებს,  
სანამ რომელიმე თქვენგანი ვერ შეძლებს მის დამარ-  
ცხებას!

ახლა მამასახლის თოთიკას ვაემა ისკუპა. კარგა  
ხანს გაუძლო მიხას ფანდების კასკადს, მამამისსაც იმედი  
მიეცა — იქნებ იმარჯვოს ჩემმა ბიჭმა და სტუმრისა და  
ბატონის წინაშე მასახელოსო, მაგრამ მიხა სხვაგვარად  
ფიქრობდა. მან შეარჩია მომენტი და ოჯახური მოგვერ-  
დით თოთიკას ბიჭიც გელას გზას გაუყენა.

ახლა კი თვით მათეც ჩაფიქრდა. ვაი, თუ აღარავინ  
ისურვოს მასთან თავის შერცხვენაო. ხალხს გადახედა  
და ისევ გამოაცხადა, მიხა გელოდებათო, მაგრამ ხალხის  
მხრიდან არცერთი ფალავანი პასუხს აღარ იძლეოდა. მა-  
თემ ხალხში თავისი ვაეი გოგია მოძებნა თვალით; ჯერ  
სულ ნორჩია, თორემ მის დაუკითხავად გამოვაცხადებ,  
მერე რა ძალა აქვს არ გადმოვიდესო, ფიქრობდა მათე.  
გოგიას გულში კი ამ დროს სხვა ცეცხლი ტრიალებდა.  
მისი მზერა მოეტაცნა ერთ ჯეირანივით გოგოს, რომელ-  
საც მეგობარ გოგონებთან ერთად დაექავებინა აღგილი  
მოედნის ერთ კუთხეში და ვერ ფარავდა სიხარულს იმის  
გამო, რომ მის ძმას ტოლი არ ჰყავდა სოფელში, დიახ,  
ეს გოგონა მელანო, მიხას და იყო, ძმასავით აშოლტილი  
და ლამაზი. მათეს გოგიას ფეხები ექვეთებოდა მის და-  
9. ა. ციბაძე

ნახვაზე, არც მელანო იყო მთლად გულფივი მის მიმართ  
გოგიას რა ხანია სურს ჩაიდინოს რაღაც ისეთი, რა კი  
მისი ყურადღება მიიპყროს და ქება დაიმსახუროს. გა  
ჯიბრზე, ეს ერთი წელია; რაც მელანოზე ფიქრი არ ასევ-  
ნებს, ომიც არ ამტყდარა, რომ სახელმოხვეჭილი და  
რუნდეს, უფრო მეტად გახდეს მისი სიყვარულის ღირს.  
და აი, ახლა, როცა მიხას მეტოქებს უხმობენ, შეუძლია  
სცადოს ბედი. მაგრამ მისთვის გამარჯვებაც და დამარც-  
ხებაც ერთნაირად არახელსაყრელია. მისი გამარჯვება  
მელანოს გაანაწყენებს როგორც მეტოქის დას, დამარც-  
ხება კი ალბათ გულს აუყრის გულისსწორზე. უნებურად  
მამისკენ გაიხედა. გაოცდა, მამა დაუინებით უცემერდა მას.  
შიხვდა, მამა მისგან ითხოვდა ამ ორთაბრძოლაში ძალების  
გამოცდას. მამას, როგორც ძველ ფალავანს, არაერთხელ  
გამოუცდია იგი არენაზე, აუარება საჭიდაო ფანდები და  
კონტრფანდები უსწავლებია, და ახლა რადგანაც მისკა  
არენაზე გადასვლას ითხოვს, ესე იგი უკვე სჯერა მისი,  
ზრდადასრულებულ მოჭიდავედ მიაჩნია შვილი.

— მათემ წამით მოაშორა შვილს თვალი და ისევ გამო-  
აცხადა:

— მაშ, თუ მსურველი არავინაა, მივულოცოთ მისა  
მორიგი ფალავნობა და...

— მოიცა! — შეაწყვეტინა მამას გოგიამ, — მომეულ  
ჩოხა.

ხალხი ისევ ახმაურდა. „ჯერ ბავშვია, ნუ გაუშვებთ“  
„ცოდვაა ჯერ მაგისი ჭიდაობა“, — ისმოდა აქეთ-იქიდან,  
მაგრამ მათემ მათ ყური არ ათხოვა და ჩოხა გაუწიოდა  
შვილს. მიხა უკვე იცნობდა სოფლის ძველი ფალავნის  
ვაჟს, ბევრჯერ დასწრებია მის ვარჯიშობას, მოსწონდა

მისი სიჩაუქე, მაგრამ თუ ახლა მის წინააღმდეგ გამოსვა-  
ლას გაბედავდა, ეს აღარ ეგონა. მაგრამ განა თვითონაც იგივე არ გააკეთა ამ თორმეტი წლის წინ, როცა სულ  
ახალგაზრდამ დღევანდელი შეჯიბრების მსაჭი მათე ვა-  
მოიწვია და დაამარცხა?! ნუთუ სამაგიეროს გადახდას  
ფიქრობს ჭაბუქი! — გაიფიქრა მიხამ და საჭიდაოდ მო-  
ემზადა.

ახლა მეზურნეთა ადგილზე ხუთკაციანი გუნდი დამ-  
ღარიყო.

„ქალამანი ამოვისხი დეკაულა, ფერთხელაო,  
ჟენთან ჭიდაობა მინდა, ვერ გაგშინჯე ერთხელაო“.

— მღეროდა იგი და გულზე ცეცხლს უკიდებდა  
ორივე მეტოქეს.

დაიწყო ჭიდაობა. კარგა ხანს ზვერავდნენ ერთმანეთს.  
მათესაგან გოგიაშ სოფლის ყველა ფალავნის ასავალ-და-  
სავალი იცოდა. ხშირად უთქვამს შვილისათვის: მიხა  
კოპიტაშვილი დღეს-დღეობით სწორუპოვარია. მას მერე,  
რაც მე ბეჭებზე დამცა, მისი წამქცევი არ გამოჩენილა,  
განსაკუთრებული მოხერხებით ასრულებს მოგვერდებსა  
და მის მონათესავე ღოჯურებსო.

გოგია ფრთხილობდა, მაგრამ შეტევაზეც ხომ უნდა  
ეფიქრა. და ერთ მომენტში, როცა მიხამ მარცხენა ფეხი  
წინ წადგა, გოგიამ მარჯვენა ფეხით ცერული გაუკეთა  
და ჩააჩიქა.

ხალხმა იგრიალა, ყველა ერთად წამოდგა ფეხზე, მაგ-  
რამ როცა ნახეს სერიოზული არაფერი მომხდარა, უბრა-  
ლოდ ჩაიჩიქა ფალავანმა, ისევ დაწყნარდნენ. მიხასა-  
თვის კი ეს ჩაჩიქება დიდ რამედ ღირდა. შერცხვა, ამ  
პირტიტველა ბიჭმა როგორ მომასწრო ფანდის გაკე-

თებაო. მეტოქის ჩოხა მარჯვედ ჩაბლუჭა, დაიქნა, და  
ამოპერა თეძო, ხალხს ეგონა ჰერებში შეტრიკულებულ  
ნორჩი მორკინალი ძირს დაენარცხებაო, მაგრამ გოგი  
მაშინვე საწინააღმდეგო ფანდი იხმარა. ამან ოდნავ ანელა  
მიხას წამოწყებული ფანდის ეფექტი.

ჭაბუკი მოჭიდავე ბეჭებზე არ წაქცეულა, მაგ  
ცხვირპირით წაერჭო ნახერხში. მსაჯმა ბალდადი ამოვი  
და სახე გაუწმინდა ჭაბუკს. გოგიამ თვალი მელანოსა  
გააპარა. მელანო გაფითრებული ეჩვენა. ესიამოვნა,  
ბათ ჩემმა დროებითმა წარუმატებლობამ იმოქმედა მ.  
ზეო.

განახლდა ჭიდაობა. ახლა კი არენაზე ჭართული  
დაობის ხერხების — შეტევისა და დაცვის ფანდების  
რიანტელი დადგა. ჯერ იყო და, მიხამ რამდენჯერ  
ამოქმედა სარმა; მისი მარცხენა ფეხით ამოსმულ  
მას ძნელად თუ ვინმე გაუძლებდა, გოგიამ იცოდა ეს  
ყოველი სარმის დროს მოხერხებულად შეხტებოდა ხოლ  
მე ზევით, იცილებდა სარმის ძალას. მერე გოგიამ აუ  
ინიციატივა და რამდენიმეჯერ მხარკისრულით დაუჭი  
გადმოლება.

ბოლოს, როგორც ჩანს, გამოცდილებამ თავისი გა  
ტანა, მიხამ მარცხენა ხელი გოგიას კისერს უკან, ბე  
ჭებისაკენ გააპარა, ჩაბლუჭა ჩოხის საზურგე, მერე მას  
ცხენა ფეხი ვაზივით შემოახვია მის მარჯვენა ფეხს და  
იყო შუაკაურით უნდა გადმოეტანა ჭაბუკი, რომ ხე  
ხიდან ქალის ხმამაღალი შეძახილი გაისმა:

— გააშველეთ, გააშველეთ, ნუ დააჩაგვრინებთ ეს  
მანეთს!

მიხამ დის ხმა იცნო, უმალ მოაშორა ფეხი მეტოვა

გოგიამაც შეწყვიტა წინააღმდეგობა. მერე მიხამ ორივე ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა ჭაბუკი, ტუჩები ყურთან შიუტანა და ჩასჩურჩულა:

— ხომ იცანი, ვისი ხმა იყო? არ ვიცოდი თუ ასე უყვარდი, დამილოცნიხართ, ძმაო!

გოგია ჯერ ელდანაცემივით გახევდა, მერე გონს მოეგო, ეცა მიხას, მაგრად გადაჰქოცნა და სირბილით გამოვარდა არენიდან.

იმ ღამეს ალბათ არ დაეძინებოდა ჩვენს გმირს. ალბათ მეორე დღესვე გაუტყდა მამას, მერე კაცები მიუგზავნა მიხას და შეიქმნა კიდევ ერთი პატარა ქართული ოჯახი. გაჩნდებოდნენ გოგიასავით კირკიტა ბიჭები, მელანოსავით ნაზი და გამრჯე გოგონები და საქართველო უფრო გაიმართებოდა წელში. გავიდოდა კიდევ რამდენიმე წელი და ახლა მათი ვაჟები დადგებოდნენ საჭიდაო არენაზე, და ასე, დაუსრულებლად, ჭიდაობითა და სხვა ვარჯიშებით ნაწრთობი ბიჭები ბურჯად დაუდგებოდნენ ქვეყნის ძლიერებას...

როგორც ვთქვით, დასავლეთ საქართველოს მკვიდრიც მისდევდნენ ჭიდაობას, მაგრამ მათი ფიზკულტურული მოძრაობის ქვაკუთხედს მაინც ლელო-ბურთი წარმოადგენდა. ვეწვიოთ კოლხეთს, მის რომელიმე სოფელს, ვოქვათ, — ბაშს, და ვნახოთ, როგორ ტარდებოდა ეს თამაში, რომელიც, თავის საწყისებს ჯერ კიდევ წარმართული სარწმუნოებიდან იღებს.

ლელობურთის აღწერისას ჩვენ საკუთარ თავს არ მივცემთ იმის უფლებას, რომ მოვიტანოთ ისეთი ფაქტები, რომლებიც სხვადასხვა დროს რომელიმე დოკუმენტში არ იყოს დამოწმებული.

...სოფელი ბაში კოლხეთის შუაგულში მდებარეობს  
გაზაფხულზე, როცა მდინარის პირებზე ტირიფი მწვრ.  
დება, სოფელში იმართებოდა რელიგიური დღესასწაული  
„ტილიფობა“. ამ დღესასწაულის პროგრამის სპორტულ  
ნაწილს ძირითადად ლელობურთი ავსებდა-ხოლმე. ამ  
დღესაც, „ტილიფობის“ წინ სათათბიროდ თავი მოყავის,  
სოფლის ლელობურთელებმა, რათა განესაჯათ ხვალო.  
დელი ლელობურთის ამბები.

— ხვალ საყულიელები გვესტუმრებიან, — თქვა ს.  
ფლის ძველმა ლელობურთელმა საულია ნუცუბიძემ, —  
მე უკვე მოველაპარაკე ზოსიმე-მღვდელს, იგი იმსაჯებს.  
აბა, თქვენ იცით, ამაღამ არ დათვრეთ, თავი შეინახეთ,  
საყულიელებთან ყოველთვის გვიჭირდა თამაში, ძლიერ  
და ეშმაკი მოთამაშები არიან. მოთამაშეთა რაოდენობაც  
უნდა გავზარდოთ, უნდა გამოვიყვანოთ სოფლის ყველ  
მამაკაცი, ვისაც კი სიარული და რბენა შეუძლია.

— მოხუცებიც? — იყითხა ვიღაცამ.

— მოხუცებიც დაგვჭირდება და ბავშვებიც! — თქვა  
საულიამ, — მათთვისაც გამოინახება საქმე.

— ცხენები გვყავს ცოტა! — თქვა ერთმა ლელო  
ბურთელმა.

— მაგას მოევლება, — უპასუხა საულიამ, — სამა-  
გიეროდ ფეხმარდი ბიჭები გვყავს ბევრი.

დიდხანს ისაუბრეს მეორე დღის მატჩის აკარგუ-  
ყველა მოთამაშემ თავისი დავალება მიიღო და დაიშალ-  
ნენ.

მეორე დღეს, წირვა მოთავდა თუ არა, ხალხი ნუცუ-  
ბიძეების მინდვრისაკენ გაეშურა. სწორედ იქ მიეცემოდა  
სტარტი ლელობურთელთა შეჯიბრებას. მოთამაშებით

აივსო მთელი მინდორი. ზოსიმე მღვდელი ძელქვის პი-  
რას დაგდებულ უზარმაზარ ლოდზე შედგა და მიმართა  
მოთამაშებს:

— შვილნო ჩემნო, გწყალობდეთ „ტილიფობის“ წმინ-  
და გიორგი. დავიწყოთ ჩვენი მანათობელი მზისადმი მი-  
ძლვნილი ეს თამაში. გაგახსენებთ, რომ ჩხუბი და ბილ-  
წი სიტყვები არ დავინახო და არ გავიგონო. პატიოსანი  
ბრძოლით მოიპოვეთ გამარჯვება. საყულიელების ლელო  
დამინიშნია თვით ტილიფობის ეკლესიასთან, ბაშელების  
ლელო კი რიონის პირზე მდგარი უქთამურის ეკლესია  
იქნება. დამილოციხართ, შვილებო!

მღვდელმა მთელი ძალით ისროლა ბურთი მოთამა-  
შეთა შორის. ერთმა საყულიელმა იმარჯვა, ჩაბლუჭა  
ბურთი და გაქანდა ტილიფობის ეკლესიისაკენ. დანარ-  
ჩენებიც აედევნენ. ბაშელები წამოეწივნენ, ეცნენ, წა-  
აქციეს ბურთიანი მოთამაშე, მაგრამ მან მოასწრო გა-  
დაცემა და ახლა მისი ამხანაგი გაქანდა წინ დიდი სის-  
წრაფით. როცა ნახეს ფეხდაფეხ მისი დაწევა არ შეიძ-  
ლებაო, სამშა ბაშელმა გზისპირა ლობე გადაქელა, თომა  
ნაცვლაშვილის ეზო გადაჭრა და თავი დაუარა საყული-  
ელებს. გადაუხტნენ წინ, ეცნენ და გამოჰველიშეს ხელი-  
დან ბურთი, და ვიდრე მოწინააღმდეგის ძირითადი ჯარი  
მოვიდოდა, მდინარე სარეჩხელაში ისროლეს. სარეჩხე-  
ლას თხმელით დაფარულ ნაპირთან ათიოდე ბაშელი იც-  
დიდა. დასტაცეს ბურთს ხელი და წყალდაწყალ გაქა-  
ნეს. საყულიელებმა ნახეს, რომ წყლის კალაპოტით მათი  
დევნა არ ივარგებდა, სწრაფად უკან დაბრუნდნენ, მიუ-  
ახლოვდნენ თუ არა თავიანთ მთავარ ძალას, შესძახეს;

— არიქა, ბაშელებმა მდინარით გაიტაცეს ბურთი,

მართალია, უქთამურის ეკლესიამდე სამი კილომეტრზე  
მაგრამ თუ ახლავე ცხენოსნებმა თავი არ დაუარეს, შერე  
გვიან იქნება!

ოცდაათი ცხენოსანი გაფრინდა მთავარი გზით, მაგ  
იცოდნენ, რომ მდინარე სწორედ ამ გზაზე გამოდიოდა  
ზედ ათათიების ეზოსთან. მიუახლოვდნენ დანიშნულ ად-  
გილს თუ არა, წყალში ამოლუმპული სამი ბაშელიც  
გამოჩნდა. როცა ნახეს თავისიანები ახლო-მახლო ან  
იყვნენ, რათა ბურთი გადაეწოდებინათ, მათ ისევ უკა  
დააპირეს მდინარის კალაპოტით გაპარვა, მაგრამ გვიან  
იყო, ცხენოსანმა საყულიელებმა ცხენები მიაგდეს ნა-  
პირზე და ბურთი ხელიდან აჰგლიჭეს.

— ახლა კი მომყევით, ციბაძეების შუკაში ჩვენი მა-  
ლული რაზმია და ისინი გაპარებენ ბურთს ჩვენი ლე-  
ლოსაკენ.

თურმე საყულიელებს სამოცამდე კაცი ერთ შუკაში  
დაებანაკებინათ და დაუვალებიათ, როცა მოწინააღმდე-  
გე დაიღლება, თქვენი ფეხმარდობით უნდა უშეელო  
საქმესო.

სამმა ბაშელმა, რომლებსაც ის-ის იყო აართვეს ბურ-  
თი, კარგად გაიგონა ეს სიტყვები. ბაშელები სასწრა-  
ფოდ დაბრუნდნენ უკან გზით და ჩქარა მათი რაზბიცა-  
მოჩნდა.

— არიქა, ნოე, — შესძახა ერთმა ბაშელმა, — საყუ-  
ლიელმა ცხენოსნებმა მოიტაცეს ბურთი. ცხენოსნები ი-  
ეკალბარდებით მართალია ვერ ივლიან, მაგრამ იქ სა-  
მოცი კაცი დაუმალავთ და მათ დაავალებენ ბურთის წა-  
ღებასო.

ნოე ასეთ საქმეში გამოცდილი იყო. მთელი რაზმი

კობახიძეების შუკისაკენ დასძრა, გადასჭრეს მდინარე უარეჩხელა და ე. წ. „შიგნითა გზით“ წიფლის ტყეში შევიღნენ, სწორედ აქ უნდა გამოევლო საყულიელების სამარქაფო რაზმს. დიდი ცდა არ დასჭირვებიათ. ერთ საყულიელს მოჰკრეს თვალი. დიდი ბურთი მკერდზე მიეხურებინა და ქურდივით აქეთ-იქით იცქირებოდა — ბაშელები ხომ არსად ჩანანო. დანარჩენებიც უკან მოყვებოდნენ.

— ჰაიტ, თქვე ტურებო! — იყვირა ნოემ და თავისი რაზმით საყულიელებს დაესია. გაიმართა კრივი, ჭიდაობა, გაწევ-გამოწევა; ბაშელებმა ხელთ იგდეს ბურთი, მაგრამ მარტო ეს არ შედიოდა მათ გეგმაში. ხუთიოდე კაცმა გააქანა ბურთი უქთამურის ეკლესიისაკენ, დანარჩენებმა კი დაატყვევეს საყულიელთა რაზმი და მხოლოდ მაშინ გაუშვეს, როცა ხუთი ბაშელი თავიანთი ბურთით უკვე შორს იყო.

ამასობაში საყულიელთა ცხენოსანი რაზმიც გამოჩნდა. გაიგეს თუ არა რაც მოხდა, ცხენდაცხენ დაედევნენ ხუთ ბაშელს, ბაშელთა დიდი რაზმიც დაიძრა თანაგუნდელთა დასახმარებლად.

ძირითადი ამბები მდინარე ლელვიას მიდამოებში დატრიალდა. მინდორი ნამდვილ ბრძოლის ველს დაემსგავსა. ბაშელებმა იმარჯვეს და ცხენოსნების დახმარებით შარაზე გაიჭრნენ. აი, გამოჩნდა უქთამურის ეკლესიაც; საყულიელმა ცხენოსნებმა უკანასკნელი ლონე მოიკრიბეს, წამოეწივნენ ბაშელებს, ბურთის წართმევა კი მოახერხეს, მაგრამ უკან გამობრუნება უკვე შეუძლებელი იყო. ბაშელები ტალღასავით მიაწვნენ მათ. როცა ნახეს, რომ ბაშელები ცხენიან-კაციან-ბურთიანად მაყას იქით

გადარეკავდნენ მათ, საყულიელებიდან ერთ-ერთშა ჩანჭები  
ლი იძრო, დასწვდა ბურთს და ნაკუჭებად აქცია. ეს იყო  
თამაშის ჩაშლისა და დამარცხების თავიდან აცილების  
ერთადერთი შანსი. მაგრამ თურმე ესეც გაუთვალისწინებია  
ზოსიმე მღვდელს. ხუთიოდე წუთის შემდეგ მოაჭერა  
ცხენი, დატუქსა საყულიელები — შარშანაც ამ სამარ-  
ცხვინო ხერხს მიმართეთ, არც ახლა იშლით თქვენსასო, —  
შემდეგ ანაფორის ქვემოდან ახალი ბურთი ამოაძრინა  
და თამაში განახლდა. გულმოცემულმა ბაშელებმა ისევ  
იმარჯვეს და ბურთი უქთამურის ეკლესიის ეზოში გადა-  
აგდეს.

ამ გამარჯვების აღსანიშნავად ბაშელები მიცვიდნენ  
გზის პირს მდგარ მაჟალო ვაშლის ხეს, მოჭრეს, აიტაცეს  
გამართულ ხელებზე და სიმღერით აუარ-ჩაუარეს რომ.  
ნის ნაპირებს, შემდეგ ხე ნაფოტებად აქციეს და რიონში  
გადააგდეს.

საყულიელებიც ჩქარა შეურიგდნენ დამარცხებას,  
ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა, დაეშეი-  
დობნენ ბაშელებს და სიმღერით გაუყვნენ თავიანთი  
სოფლის გზას...

არ უნდა გაგვიკვირდეს ბაშის ტერიტორიაზე ჩატარე-  
ბული ლელობურთის მასშტაბები. მრავალი ისტორიული  
დოკუმენტი გვიმოწმებს მათ რეალურობას. ცნობილია  
დასავლეთ საქართველოს მრავალი სპორტული ცენტრები,  
სადაც ლელობურთის ჩატარება ეროვნული დღე-  
სასწაულის ხასიათს იღებდა. ამ მხრივ გამოიჩინდა ბა-  
თუმი, ფოთი, ქუთაისი, სენაკი, ზუგდიდი, კულაში, ყუ-  
რილა, ოფშევითი, ბანდა, ხონი და სხვა ქალაქები და  
სოფლები, სადაც „ბურთაობას დაიწყებენ თუ არა, და-

დით პატარამდის სულ ერთად იმაში არიან გარეულნი“<sup>11</sup>  
 (“დროება”).

გათუმში, ფოთში და სხვა ქალაქებში ლელოს ბურ-  
თის სახელოსნოებიც კი არსებობდა.

მონაწილეთა რაოდენობა, ისე როგორც ეს სოფელ  
გაშში ხდებოდა, არ იყო განსაზღვრული. ერთი ცნობის  
მიხედვით, სოფ. კულაშში ჩატარებულ შეჯიბრებაში მო-  
ნაწილეობდა 1500 ქვეითი და 500 ცხენოსანი ლელო-  
ბურთელი. სწორედ ასეთ მასობრიობაში გამოიხატებოდა  
ლელობურთის უმთავრესი მიზანი. სპორტის ამ სახეობა-  
ში გაწაფული უნდა ყოფილიყო უქლებლივ ყველა, ვისაც  
კი ქვეყნის თავდაცვით ომებში მონაწილეობა მოუწევდა.  
შეჯიბრება ლელობურთში, რომლის მოკლე აღწერაც ჩევნ  
ეცადეთ ბაშის მაგალითზე, თავიდან ბოლომდე იყო ფეხო-  
სანი (ზოგჯერ კი ცხენოსანი) ჯარის საბრძოლო მოქმე-  
დების ზუსტი იმიტაცია. ესაა, რომ ისარსა და შუბებს არ  
ახლიდნენ ერთმანეთს, თორემ სხვა არაფრით განსხვავ-  
დებოდა ნამდვილი ომისაგან, აქ, როგორც დავინახეთ,  
იყო ფეხოსანი და ცხენოსანი რაზმების ურთიერთმოქმე-  
დება, ფლანგებიდან შეტევა, მალული რაზმების გამოყე-  
ნება, მტრის ბანაკისკენ წინსვლა, გაუვალი ხევ-ხუცებითა  
და მდინარის კალაპოტითაც კი, პირდაპირი შეტაკება  
წტერთან, საღაც საჭირო იყო ჭიდაობაც, კრივიც და სხვა  
ძალისმიერი მოძრაობებიც. ერთი სიტყვით, თუ მაღალი  
ჭრის წარმომადგენლებს ნაღირობა, ჩოგანბურთი, ყაბა-  
ხი და სხვა სახეობები აწვდიდა საჭირო საბრძოლო ჩვე-  
ვებს, ღარიბთათვის, რომლებიც უმთავრესად ფეხოსან  
ჯარს ქმნიდნენ, ლელობურთი იყო ამ ძვირფასი ჩვევე-  
ბის ჩამნერგავი. თუ ლელობურთის ამ მიზანს ვიქონი-

ებთ მხედველობაში, აღარ გაგვიკვირდება, რომ ერთ შეხვედრაში, ერთ სოფელში 1500 ფეხოსანი და 500 ცხენოსანიც კი გამოსულა. ლელობურთელთა გუნდების (ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით) გაჩენა უფრო გვიანდელი პერიოდის მოვლენაა, როცა ამა თუ იმ სო-ფელს გამოჰყავდა მხოლოდ რამდენიმე ათეული კარვა ლელობურთელი და ამ ადამიანთა მცირე ჭგუფით იხევჭდა სახელს; ადრე ლელობურთელთა გუნდი იყო მთელი სოფელი, რომლისთვისაც ეს თამაშობა სამხედრო-ფიზიკური მომზადების უმთავრეს საშუალებას წარმოადგენდა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლელობურთში აშენად იგრძნობა წარმართული რელიგიის ნიშნები, რაც ამ თა-მაშის დიდ ასაკზე მიუთითებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას ითხოვს ერთი გარემოება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული შუა საუკუნეების საქართველოს ფიზკულტურულ მოძრაობასთან. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი სპორტული სახეობანი და შეჯიბრებები თავიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და, კერძოდ, მიცვალებულის კულტს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეჯიბრებები იმდენად მასშტაბურია და მასობრივი, რომ უბრალოდ არც კი გჯერა, რომ მას რომელიღაც რელიგიური რწმენა ასულდგმულებდა. ასე მაგალითად, მთელი სპორტული მოვლენა იყო შუასაუკუნეების თუშეთში ყაბახობა, რაც მიცვალებულის პატივსაცემად ტარდებოდა. მშვილდოსნობასთან ერთად იქ იმართებოდა შეჯიბრება ჩბენაში, ცხენოსნობასა და სხვა სახეობებში. სამეგრელოს ზოგიერთ სოფელში გარდაცვალებული მამაკაცის წლისთავზე იმართებოდა

გრანდიოზული დოლი, ყაბახი, თარჩია, შეჯიბრება  
გშვილდოსნობაში. ხევსურეთში, ასევე მიცვალებულის  
სულის მოსახსენებლად იმართებოდა დოლი, რომელიც  
„ცხენნის“ სახელწოდებითაა ცნობილი; ყოველგვარი გა-  
დაჭარბების გარეშე უნდა განვაცხადო, რომ ხევსურუ-  
ლი დოლი — „ცხენნი“, ანუ მთიდან უბელო ცხენებით  
დაშვება სპორტის სრულიად თავისებური და ორიგინა-  
ლური სახეობაა. იგი დაამშვენებდა რომელიც გნებავთ  
ქვეყნის ფიზიკური აღზრდის სისტემას. როგორ ტარდე-  
ბოდა ეს საოცარი დოლი? ასე სულმოუთქმელად ძნელია  
მასზე წერა; თუ გვსურს მთელი არსებით შევიგრძნოთ  
მისი საკვირველი კოლორიტულობა და გრანდიოზულო-  
ბა, თვით ხევსურეთს უნდა ვეწვიოთ, მაგრამ არა ახლან-  
დელს, როცა ნამდვილი „ცხენნი“, თვით მოხუც ხევსურ-  
თა მოგონებაშიც კი ტკბილი სიზმარივით დარჩა, არამედ  
უნდა ვეწვიოთ შუა საუკუნეების, თუნდაც გვიანი ფეო-  
დალიზმის პერიოდის ხევსურეთს, რომელიც საქართვე-  
ლოს სხვა კუთხეებთან ერთად მჭიდროდ იყო დასახლე-  
ბული და შიშის ზარს სცემდა საქართველოს მტრებს.

...ბარისახოში სამმა ხევსურმა შემოაჭენა ცხენები.  
ერთი ოჯახის წინ შეჩერდნენ და მასპინძელი იხმეს.  
ცუდი ამბავი მოუტანეს მასპინძელს: „ჩალხია ჭინჭარა-  
ულის პაპა გივარგი გარდაიცვალა. კვირას ვასაფლავებთ  
არხოტში. მიცვალებულის სულის გასაპატიოსნებლად  
ცხენნი გაიმართება. გვეწვიე და ანუგეშე ჭირის პატრო-  
ნი, — თავაზიანად თქვა ერთმა ხევსურმა და მერე ბოდი-  
ში მოიხადა, — უნდა გვაპატიო, ვერ დავრჩებით, მთე-  
ლი პირაქეთა ხევსურეთი გასაფრთხილებელი გვყავსო“.

ჩალხიას, პაპა გივარგის შვილიშვილს, მთელი ხევსუ-

რეთი იცნობდა როგორც საუცხოო ვაჟკაცს; ბევრი ჰყავდა ძმადნაფიცები; სწორედ ამ ახალგაზრდების მიმდევ ჰქონდა ჩალხიას, მათგან უფრო გაბედულნი დოლში აუცილებლად მონაწილეობას მიიღებენ.

დასაფლავების დღეს სხვა მოტირლებს შორის, ჩალხიას სამი ძმადნაფიცი დილიდანვე ცხენებით გაუყვა გზას და სოფელ არხოტს მიადგა. მიუსამძიმრეს ჩალხიასა და სხვა ჭირისუფლებს, დაიტირეს კეთილი მოხუცი და ეზოში გამოვიდნენ. ჩალხიამ მომენტი შეარჩია, ძმადნაფიცებთან გამოვიდა და ხმადაბლა გააფრთხილა სამივე:

— მზის გადახრის უამს ცხენნი გაიმართება; თქვენი იმედი მაქვს, უნდა მასახელოთ!

ძმადნაფიცებმა ჯერ კიდევ ეზოში შემოსვლისთანავე შენიშნეს, რომ დოლისათვის გამალებული სამზადისი იყო გაჩაღებული. თხუთმეტიოდე ცხენოსანი თავს დასტრიალებდა ბეღაურებს, ერთნი ცხენზე ამოსაკრავ ლევდებს ასწორებდნენ, მეორენი ხელისგულით ქერს აჭმევდნენ თვალებბრიალა რაშებს. მესამენი ქამარ-ხანჭალი ირგებდნენ ტანზე.

— თქვენ იცით, — მიმართა მათ ჩალხიამ, — მოაზადეთ ცხენები! დამილოცნიხართ, ძმებო!

მზე გადაიხარა თუ არა, სახლის ბანზე ჭირისუფალი, გარდაცვალებულის შვილი და ჩალხიას მამა — ხეთისო გადმოდგა. მისი მითითების თანახმად დოლში მონაწილეებმა ეზოს იმ მხარეს დაიკავეს აღგილი, სადაც სტარტი უნდა შისცემოდა დოლის ამ ერთ-ერთ ურთულეს და ხითათით სავსე სახეობას.

— სმენა იყოს და გაგონება! — დაიძახა ხეთისომ,

და როცა ხალხი დაწყნარდა, განაგრძო, — მხედრებო,  
ღოლი გარდაცვლილი გივარგის ეზოდან დაიწყება და  
აქვე დასრულდება. მე გზას გაძლევთ აჭერაისას, აჭერას  
ტაბლა გექნებისთ, ტაბლა აქვს მიხას; იქით გადაივლით,  
ახოსას ტაბლა გექნებისთ მინდიასთან, იქით დაბრუნდე-  
ბით პირთავევე, გაივლით გელაისას, ქვაბულოსას წა-  
ხოლო, და მიხოლო აკუშოს, ტაბლა გექნებისთ აკმიას-  
თან, იქით წამოხვალო, გამაივლით აკუშას ლელეს, გზა  
ბუჩქურთისას გექნებისთ, გუდულაის ხიდზე მანამ  
არ მიხოლო, გამოქცევის ნებას არავის გაძლევთ, თუ ვინ  
გამაიქცევით, ჩემთან ნუ მოხოლო!

ამ გარემოებას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ხეთი-  
სომ, რადგანაც ზოგჯერ მხედრის სულსწრაფობას ჩაშ-  
ლამდე მიუყვანია დოლი. საქმე ისაა, რომ „ცხენის“  
ტრასა რამოდენიმე ეტაპად იყოფა, წინა ეტაპებზე არა-  
ვითარ გაჯიბრებას არ აქვს ადგილი, მხედრები მხოლოდ  
შედიან ჭირისუფლის ნათესავებთან, რომლებზეც ჭირი-  
სუფალი — ეს თავისებური მსაჭი , — მიუთითებს, და  
მსუბუქად საუზმობენ. ნამდვილი შეჯიბრება მხოლოდ  
ბოლო ეტაპზე იმართება, სწორედ ეს ეტაპი არქვევს  
დოლში გამარჯვებულს:

— მაშ, ეგრე, ამისთანა მხედარი ჩემთან ნუ მოვა, —  
გაიმეორა ხეთისომ და მონაწილეთა შორის ერთ-ერთს  
გაუსწორა თვალი, ეტყობა იგი შემჩნეული ყავდა წე-  
სის დარღვევაში და წინასწარ გააფრთხილა.

— გამარჯვებულისათვის, — გააგრძელა ხეთისომ, —  
დოლვი მიგვირთმევია: გარდაცვალებულის ძროხაი, ცხე-  
ნუნაგირი, ცხორი, ქამარხანჯალი და ტალავარი. მე

ისეთს არაფერს დავაყენებ დოლვად, რო სახლში  
გქონდესთ!“

ხეთისოს დამთავრებული არც ჰქონდა სიტყვა, რო  
მხედრებმა ადგილს მოსწყვიტეს ცხენები. მართალია,  
პირველი ეტაპი გამარჯვებულს არ ავლენდა, მაგრამ მო-  
ნაწილეებს დამსწრეთა თვალშინ ცხენების შეთამაშება  
და მხედრული შემართების დემონსტრირება სურდათ,  
ესეც ჭირისუფლის პატივისცემის გრძნობით იყო ნაკა-  
ნახევი, ჰქონდავთ, რა ჩაუქი მხედრები მოსულან მიეკ-  
ლებულის სულის გასაპატიოსნებლად, — იტყოდა სანა-  
ხაობით მოხიბლული ხალხი.

— გზაში ფრთხილად იდინეთ, — სიტყვა დაწია მათ  
ხეთისომ, — არავინ დაზიანდეთ, თქვენ იცით როგორ  
კარგად იდენთ, უამკარს არ ამირევთ!

მხედრები ვიწრო ხეობაში შევიდნენ, მოხდენილა  
ძლევენ, დაბრკოლებებს, ერთი პირობა სწორ ბილიკ  
გაჰყვნენ, შემდეგ აღმართი დაიწყო და ჩქარა ჭირისუფ-  
ლის პირველი ნათესავის ბინაც გამოჩნდა. მხედრებმა ეზო-  
ში შეაგელვეს ცხენები. მასპინძელი ტაბლა-სუფრით და-  
წვდა მხედრებს. დოლის მონაწილენი ჩამოხტნენ ცხენები-  
დან, თავაზიანად მიესალმნენ მასპინძელს, თითო მორჩი-  
ლი ყანწით არაყი გადაჰკრეს, ცოტა საჭმელიც მიაყ-  
ლეს, მოახტნენ ცხენებს, დაემშვიდობნენ მასპინძელს  
და გზა გააგრძელეს.

სოფელმა ლოცვა-კურთხევით გააცილა მხედრები.  
მათი გზა ისევ აღმართზე მიღიოდა. თვალშეუწვდენი  
კლდეების ქიმზე ისინი წერტილებივით მოჩანდნენ. ცო-  
ტაც და გამოჩნდა ჭირისუფლის მეორე ნათესავის ბინ-  
გაშლილ ტაბლაზე პური, ყველი, ერბო და კარაქი და-



ლაგებინა მასპინძელს. მხედრებმა აქაც „გატეხეს პური“ და გზა განაგრძეს.

დაიწყო მესამე, ე. ი. ბოლოსწინა ურთულესი ეტაპი. მხედრები ისევ აღმართს შეუყვნენ; დაბლა თვალუწვდენელ ნაპრალებს გველეშაპებივით დაელოთ ხახა. ძლიეს-ლა მოჩანდა ძირს მოფენილი სოფლები, მათ გარშემო კრელებული საყანეები; ჩქარა ყველაფერი შორეულ ნისლში ჩაიძირა. სწორედ ამ თავბრუდამხვევი სიმაღლი-დან უნდა დაეშვან უდიდესი სისწრაფით. ეს, როგორც იტყვიან, პრესტიუს ეტაპი იყო. გამარჯვებულს იგი არ ავლენდა, მაგრამ მხედრები ერთმანეთის თვალში ცდილობდნენ საკუთარი ავტორიტეტის ამაღლებას.

დაიწყო დაშვება. ცხენები პირქვე დაქანდნენ, მხედრები გაწვნენ ცხენის ზურგზე, მარჯვენა ხელი კი ცხენის მუცულზე შემოხვეულ ღვედს ჩაავლეს, რათა ცხენის კისრისაკენ არ ჩაცურებულიყვნენ და საბედისწერო უფსკრულში არ გადაფრენილიყვნენ მერცხლებივით. მხედრებმა ერთი-ერთმანეთზე მიყოლებით დაძლიეს დაღმართი. ციცაბო კლდეებიდან ხრიალით ეშვებოდა დაბლა ცხენთა ფლოჭვებიდან ასხლეტილი ქვა-ლორლი.

მართლაც, რა საოცარი მომზადება და გამბედაობა უნდა გააჩნდეს მხედარს, რომ უბელო ცხენით ასეთი ფლატეების ჩათავება გადაწყვიტოს, ისიც დიდ სისწრაფეში.

ბოლო ეტაპის წინ მხედრები აღარ ჩამოქვეითებულან, ალბათ იმიტომ, რომ გახურებული ცხენები არ დაეხუთათ. ახლა წყდებოდა გამარჯვებულის ბედი. მართალია ჯილდოს იღებს ყველა მონაწილე, მაგრამ პირველ მისულისათვის ხომ მაინც უკეთესი და ძვირფასი ჯილ-

დოა გამზადებული. გარდა ამისა, სახელი? ჟება-და  
დება?

მხედრებმა ყანწებით შესვეს მსუბუქი არაუი, და-  
მშვიდობნენ მასპინძელს, გამწკრივდნენ გუდულს და-  
ლეზე გადებულ ხილთან და ელვასავით მოწყვიტეს ჩა-  
შები.

გზად ავარდნილმა ბოლმა დაფარა მხედრები. მტკი-  
ში აქა-იქ გაიელვებდა ხოლმე მხედართა დაძაბული სა-  
ხეები, ჰაერში შემართული მათრახები, ცხენთა ფლო-  
ვები და ფაფარი....

ჭირისუფლის ეზოში ჩოჩქოლი ატყდა. ხალხმა შეა-  
ჩნია შორს ავარდნილი მტვერი. ხვთისო ბანზე შემოტ-  
გა, რათა უკეთ გაერჩია გამარჯვებული. ცოტაც და  
ეზოში ჩალხიას ერთი ძმაღნაფიცი შემოგრიალდა, შე-  
ეზოში ყალყზე შეაყენა ცხენი და ადგილზე გაჭვარა.  
მას სხვა მხედრები მოჰყვნენ.

ხვთისომ დოლის მშვიდობით დამთავრება მიულო  
მხედრებს და ყველას სათანადო ჭილდო გადასცა.

აი, ასე ტარდებოდა „ცხენნად“ წოდებული ხევსუ-  
რული დოლი არხოტში, შენაქოში, შატილში, მუცოში,  
ლებაისკარში და უკლებლივ ხევსურეთის ყველა სო-  
ფელში.

ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსი სამართლიანად შენიშ-  
ნავს, რომ ხევსურული დოლი ალბათ ჭირისუფლის მწუ-  
ხარების შესამსუბუქებლად იქნა შემოღებულიო. „ჩეკე-  
შენთანა ვართ, ჭირის პატრონო, არაფერს გაგიჭირებთ,  
ხომ ხედავ როგორი მხედრები იზიარებენ შენს მწუხა-  
რებას“, — ეს მანუგეშებელი სიტყვები უნდა ამოეკითხა  
ჭირისუფალს დოლში მონაწილეთა მოქმედებაში. ეს

ცხადია, სწორი მოსაზრებაა, მაგრამ არც ის იქნება უსა-  
მართლო, თუ ვიტყვით, რომ ხევსურული დოლი უფრო  
დიდ მიზანს ექვემდებარებოდა. ხალხმა! ხელიდან არ გა-  
უშვა ეს ხელსაყრელი მომენტიც, როცა მხედრები იყ-  
რიდნენ თავს ერთ ადგილზე (ამ შემთხვევაში — ჭირი-  
სუფლის ბინაზე) და ისიც მხედართა მომზადების შესა-  
მოწმებლად გამოიყენა.

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ სპორტის მთელი  
რიგი სახეობები გარკვეულად დაკავშირებულნი იყვნენ  
რელიგიასთან, საკულტო წეს-ჩვეულებებთან. ამასთან  
დაკავშირებით აუცილებელი ხდება ერთი მეტად საინ-  
ტერესო საკითხის გარკვევაც, კერძოდ, მკითხველთა  
ფართო წრემ უნდა იცოდეს, რა დამოკიდებულებაში  
იყო ქრისტიანული რელიგია ფიზიკური კულტურის მი-  
მართ. შუა საუკუნეების საქართველოში. მანამდე კი უნ-  
და გავიხსენოთ რა ურთიერთობა დაამყარა ქრისტია-  
ნულმა ეკლესიამ ფიზიკურ კულტურასთან ზოგიერთ მა-  
შინდელ განვითარებულ ქვეყნებში. ჯერ იყო და, ქრის-  
ტიანობაში იმსხვერპლა ისეთი გრანდიოზული სპორტუ-  
ლი ლონისძიება, როგორიც ძველბერძნული ოლიმპიური  
თამაშები იყო. მან ვერ მოითმინა ის, რომ მისი ბატო-  
ნობის დროს სადღაც, პელოპონესის ნახევარკუნძულზე,  
ტარდება თამაშები, რომელიც ქრისტემდელ ღმერთებს  
აქებს და ადიდებს. თავად ამ თამაშის აკრძალვისათვის  
სათანადო უფლებები არ გააჩნდა, მაგრამ თავისი ნება-  
სურვილი ქრისტიანობის დიდ პატივისმცემელს იმპერა-  
ტორ თეოდოსე მეორეს მოაყვანინა სისრულეში; ქრის-  
ტიანობის კარნახით თეოდოსე მეორემ 394 წელს ჩვენი  
წელთაღრიცხვით აკრძალა ოლიმპიური თამაშები და რო-

მის დამწველ პეროსტრატესი არ იყოს, ამ სამარტინო  
აქტით დატოვა თავისი თავი ისტორიაში. მერე იყო და,  
რომის პაპმა სასტიკად შეუტია შუა საუკუნეების ევროპის  
რაინდების ტურნირებს, რომლებზეც იმართებოდა შე-  
ჯიბრებები ცხენოსნობაში, შუბითა და მახვილებით ფა-  
რიკაობაში, მშვილდოსნობაში და სხვა სახეობებში. რო-  
მის პაპი ვერ ეგუებოდა შემდეგ ფაქტს: ყოველ ტურ-  
ნირზე, განსაკუთრებით შუბებით ფარიკაობის დროს,  
მრავალი რაინდი იხოცებოდა, ეს უკანასკნელნი კი ყო-  
ველთვის წარმოადგენდნენ რომის პაპის სამხედრო ძლი-  
ერების დასაყრდენს. ამ მოსაზრებით რომის პაპმა რამო-  
დენიმეჯერ აკრძალა რაინდთა ტურნირები. ქრისტიანო-  
ბა არც რუსეთში არ ინდობდა ხალხურ ფიზიკურ ვარჯი-  
შებსა და თამაშებს. წარმართების თამაშებია ისინი  
და ერთი-ორჯერ მეფესაც კი გამოაცემინა კანონი მათი  
აკრძალვის მიზნით.

ახლა კი გადმოვინაცვლოთ საქართველოში. ცნობილი  
ფაქტია, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე, ქარ-  
თული ქრისტიანული ეკლესია ხელმძღვანელობდა ქრის-  
ტიანული რელიგიის საერთო კანონებით, მსოფლიო VI  
საეკლესიო კრების დადგენილებებით, ცნობილი საეკ-  
ლესიო მოღვაწეების აზრებით. ეს ყველაფერი ნათარგმ-  
ნი ლიტერატურა იყო, მაგრამ, როგორც ვთქვეთ, ქარ-  
თული ეკლესია ვალდებული იყო ამ დოკუმენტების  
მრწამსით ეცხოვრა. ახლა ვნახოთ ამ ლიტერატურაში  
რა დამოკიდებულება ჩანს ფიზიკური კულტურისადმი.  
მათში ზოგჯერ შეგვხვდება სიტყვა მემლერი, რაც მოვა-  
ჯიშესა და თეატრის მოღვაწეს ნიშნავს, შეგვხვდება  
სიტყვა თეატრი, სადაც ანტიურ ქვეყნებში სპორტული



სანახაობებიც იმართებოდა. აი, ბასილ დიდისა და იმანანე ექტროპირის აზრები: „უმჯობესი არს წვირითა დასვრა პირისა, ვიღრე მისვლა თეატრონთა და ხილვა და სმენა საძაგელთა საქმეთა“, „განიშორენით მემღერნი, მოკიცვარნი და ხუმარანი და მგოსანნი და მროვვალნი, ვითარცა ეშმაკი“, „ვსწყევლიდეთ მას, რომელმან თეატრონი აღაშენა ქალაქსა შინა და სახიობანი შეამზადა“, ისინი სწყევლიან „დედათა მროვვალთა აღრეულთა მამათა თანა, რომელთა განამდიან სირცხვილი და იმღერდიან და როკვიდიან ფერხითა შეგინებულითა“.

„დიდი სჯულის კანონი“ უტევს ყველას, ვინც არის „რაინდი ანუ მარტოდმებრძოლი, ანუ სტადიონმორბედი ანუ მემწყობრე, ანუ მოღლერლობისა მაჩუენებელი“.

ქრისტიანული ეკლესია, ცხადია, ასეთ ასპარეზობებზე დასწრებას, პირველ რიგში, სამღვდელო პირებს აუკრძალავდა. მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში, რომელიც VII საუკუნეს განეკუთვნება, ვკითხულობთ: „არავის ხელეწიფების მღუდლობისა ანუ მონოზნებისა წესსა შინა მყოფსა ცხენთსარბიელსა მისვლად, რომელსა ეწოდების იპოდრომი, ანუ მგოსანთა და მსახიობელთა სიმღერისა სმენად“, იმასვე იმეორებს პატრიარქ ფოტის „დიდი სჯულის კანონი“. კანონის დამრღვევს, როგორ მე-6 კრება ადგენს, კარგი დღე, არ დაადგებოდა. კანონში ვკითხულობთ: „სახიობად მზუელობითად ხუმრობად სახელდებულთა მათ და სახილველთა მათთა ხილვათასა, ნადირობასა და როკვასა მგოსანთასა არა უხმს ხილვაი, ხოლო უკეთუ ვინმე უწინდელი ესე კანონი შეურაცხოს, უკეთუ მოყვასი იყოს, განიკერთოს, ხოლო უკეთუ ერისკაცი, უზიარებელ იქმნეს!“

მე-6 კრებამ განსაკუთრებით შეუტია ქალებს, რომ  
მელთა გადარწმუნება უფრო შესაძლებლად მიაჩნდა.  
„ეგრეთვე განქიქებულად როკვანი დედათანი ნულარგც  
იქმნებიან და რომელი იგი დათვთა მემღერნი ვლენ საუ-  
ნებლად მრავალთა, ესე ყოველი საოცრებაი მოისპენ“, —  
ვკითხულობთ კრების აქტში.

მაგრამ იმავე საეკლესიო დოკუმენტებში იგრძნობა  
ეკლესიის პოზიციის სისუსტეც. ქრისტიანული ეკლესია  
ხვდება, რომ მრავალ მიზეზთა გამო ყველა მოვარჯიშეს  
ვერ დასჭის. ამიტომ მიდის ასეთ დათმობაზე: თუ ისინი  
ქრისტიანობას მიიღებენ, მერე რამდენიც უნდათ ივაჩ-  
კიშონო. ეკლესია უკვე იმაზეც მიდის, რომ მოითხოვს,  
რელიგიურ დღესასწაულებზე მაინც მოეშვით ამ გიურ-  
თამაშებსო: „ნულა აღესრულების ამა დღეთა შინა ნუ-  
ლა თეატროი იპოდრომისაი, ნუცა სახიობაი რაიმე სა-  
ხილველთა და განსაცხრომელთაგან“, აღდგომის დღე-  
სასწაულებში „ნუმცა იქმნებიან ყოვლადვე ცხენთა სარ-  
ბიელნი, რომელ არს იპოდრომი, ანუ სხვაი რაიმე სიმ-  
ლერანი და სახიობანი, რამეთუ დღენი არიან სულიე-  
რისა დღესასწაულისანი!“ ამ ზომის მიღება აუცილებე-  
ლი იყო, რადგანაც საეკლესიო დღესასწაულებზე, მაგა-  
ლითად, კვირიკეს დღესასწაულზე „უფროისთა რომელ  
რვათა დღეთა წმიდისა აღვსებისათა ცხენთსარბიელსა  
მიმართ უფროსს, ვიდრელა ეკლესიისა შემოკრბებიან  
ერთნი“; ამაზე კართაგენის კრების აქტები შენიშნავენ.  
მართლაც ჰქონდა დასაფიქრებელი ეკლესიას, რადგან,  
როგორც ეს აქტი მიუთითებს, რელიგიური დღესასწაუ-  
ლების დღეებშიც კი ცხენთსარბიელზე უფრო მეტი  
ხალხი დადიოდა, ვიდრე ეკლესიაში.

და მიაგნო ეკლესიამ გამოსავალს: ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელს მეფეს მიმართა და მისი ძალის გამოყენება სცადა, „რათა მოისპენ სრულიად თამაშობა უსმურობანი ხადილობა, ელენთა თამაშობა... ამისაცა ჯერ არს გამოთხოვებაი ქრისტიანეთა მეფეთაგან, ვინაიდგან გარეშე საღმრთოსა ბრძანებათასა მრავალთა აღგილთა შინა იქმნებიან საწარმართოსა საცთურისა შედგომილთაგან ესევითარი თამაშობა-მოსმურობანი, რამეთუ ქრისტიანენიცა ფარულად შეკრძებოდიან ელენთა თამაშობათა აღსრულებისათვის“.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ მეფები. რა ექნათ, მართლა აეკრძალათ ყოველგვარი ვარჯიშობა და ამით გაეწირათ ქვეყანა მტრის საჭირებიად, თუ მტრად მოეკიდებინათ სულიერი მამები? როგორც ჩანს, ქართველმა მეფეებმა ნახეს გამოსავალი. ნაწილობრივ, მოჩვენებითად სცეს პატივი ეკლესიის ამ მოთხოვნას. ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, რომ როდესაც მეფესთან გაიმართებოდა დიდი ნადიმი, სხვადასხვა სანახაობებით, „კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ვიდრემდის იყვნენ მუნ, არა იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ გალობანი; ხოლო შემდგომად წასვლისა მათისა იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობათა ცემანი“.

განა კათალიკოსმა არ იცოდა, რომ მისი წამოსვლის შემდეგ სუფრაზე ისევ იმართებოდა ამქვეყნიური გართობა-სანახაობანი? იცოდა, როგორ არა, მაგრამ იმითაც კმაყოფილი იყო, რომ მისი დასწრების მომენტში მაინც უწევდნენ ანგარიშს. ანალოგიური ამბავი მოხდა რუსეთშიც. ეკლესიის დაუინებული თხოვნის შედეგად პეტრე პირველმა ხელი მოაწერა, ბრძანებას, რომლის მი-

ხედვითაც იქრძალებოდა ყოველგვარი ხალხური ვარი.  
შობანი, „ელინური სიგიუ“, „ცოფიანთა თამაშები“.  
ხელი კი მოაწერა, მაგრამ მის შესრულებაზე პეტრეს  
არც უფიქრია. ფიზიკური აღზრდის მოტრფიალე პეტრე  
რომ ასე მოჰქცეოდა, ეს ეკლესიამაც კარგად იცოდა,  
მაგრამ იგი მაინც კმაყოფილი დარჩა მეფის ამ ექსტიო,  
მან მოიხადა ვალი ღვთის წინაშე, შექმნა დოკუმენტი,  
იქ კი ხალხი ითამაშებდა თუ არა, არც შეუწუხებია თა-  
ვი ამ საქმის შემოწმებით.

ჩვენ წელან ვახუშტის ცნობა რომ მოვიყვანეთ, იგი  
დავით აღმაშენებლის პერიოდს, ე. ი. XI—XII საუკუ-  
ნეებს ეხება. თუ ამ პერიოდში ქართული ეკლესია უკვე  
მოეშვა ფიზიკური ვარჯიშობის აშკარა დევნის, ამისათ-  
ვის შას სამი ძირითადი მიზეზი გააჩნდა. პირველი: მსოფ-  
ლიო ქრისტიანული ეკლესიის VI კრების კანონის მიღები-  
დან უკვე 5 საუკუნე იყო გასული და ამ კანონის ცხოველ-  
მყოფელობა რამდენადმე შესუსტდა; მეორე: წარმარ-  
თობა თითქმის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვაჭ-  
რა და ამდენად წარმართული პერიოდის ვარჯიშები და  
თამაშები იმდენად ვეღარ შელახავდნენ ქრისტიანობის  
ავტორიტეტს, და მესამე: ეკლესია კარგად ხედავდა,  
რომ ამ უზარმაზარ მაპმაღიანურ სამყაროში დარჩენილ  
საქართველოს, სხვა მრავალ პირობასთან ერთად, ხალ-  
ხის ფიზიკური გამოწროვობა თუ გადაარჩენდა.

მართლაც და, მივაქციოთ ყურადღება ერთ ფაქტს:  
თუ რუსეთის ეკლესია აგერ მე-18 საუკუნეშიც არ ინ-  
დობს მოვარჯიშებს, მას, როგორც იტყვიან, „თავი  
ქუდში აქვს“. რუსეთის წინააღმდეგ სხვადასხვა დროს  
გამოილაშქრეს გერმანელებმა, პოლონელებმა, შვედებ-

ეს, ფრანგებმა, ე. ი. ქრისტიანულმა სახელმწიფოებმა. ეს ფაქტი რუსეთის ეკლესიის მსახურს ამშვიდებდა — იმ გაგებით, რომ მტრის გამარჯვების შემთხვევაშიც პირადად მას ფიზიკური განადგურება არ ელოდა.

მაგრამ სულ სხვა რამ ხდებოდა საქართველოში. ეკლესიის მსახურებმა მრავალი ბრძოლების მაგალითშე დაინახეს, რომ მუსულმანური ჯარის სარდლობა სხვა მნიშვნელოვან ობიექტებთან ერთად, პირველ რიგში დარტყმას აყენებს ეკლესიას, როგორც ქვეყნის იდეოლოგიური ცხოვრების ერთ-ერთ ცენტრსა და ხელმძღვანელს. ვინ იცის, შორიდან რამდენჯერ დაუნახიათ გრის სარდლებს მაცხოვრის ჯვრით ხელაბყრობილი მღვდლები, რომლებიც ლოცავდნენ ქართველ ჯარს და ქრისტეს სახელით მოუწოდებდნენ მტრის ალაგმვას; შემოსეული მტერი არ ინდობდა ეკლესიის მსახურებსაც. ყოველივე ეს, ბუნებრივია, ეკლესიის მსახურებს ჩაუნერგავდა აზრს იმის შესახებ, რომ ხელი აეღოთ ხალხის ფიზიკური წრთობის საშუალებათა დევნაზე, რათა გაძლიერებულიყო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და ქვეყანასთან ერთად საკუთარი ტყავიც გადაერჩინათ.

და აი, ქართულმა ეკლესიამ თანდათან შეცვალა დამოკიდებულება ფიზიკური კულტურისადმი. თუ წინათ ცხენთსარბიელზე მისულ ჩოგანბურთელს წაწყმედით ეშუქრებოდა, ახლა მღვდელი თვით ლოცავს მოთამაშებს, თვითონ ერევა და ორგანიზაციას უკეთებს ლელობურთის თამაშს, ზოგიერთი სპორტული მოედანი, განსაკუთრებით საჭიდაო არენა, ყაბახის სვეტი ეკლესიის ეზოში გადმოაქვს და ა. შ. და მოხდა ისე, რომ მრავალი ეკლესია და მათი ახლომდებარე ტერიტორია თავი-

სებურ სპორტულ ცენტრებად იქცნენ. საეკლესიო დღე, სასწაულების პროგრამა სულ უფრო ივსებოდა სპორტული ნაწილით; და ასე, წარმოუდგენელი გახდა მცხეთობის დღესასწაული ჭიდაობის გარეშე, ალავერდობა — ცხენოსნობის გარეშე, გიორგობა — ლელობურთის გარეშე და სხვ.

ასე დაუმეგობრდა ქართული ეკლესია სპორტს, და აქაც, ისე როგორც ფიზკულტურული მოძრაობის გაკითარების სხვა ნიუანსებში, ყველაფერი მაინც ქვეყნის პოლიტიკურმა ინტერესებმა განაპირობა.

მკითხველი ალბათ გაკვირვებით იკითხავს: მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ქართული სპორტის განვითარებაზეა ლაპარაკი, ჯერ ერთი სიტყვაც არ გვითქვას ქართველ ქალებზე, მათ ფიზიკურ აღზრდაზე. ნუთუ შესაუკუნეების ქართველი ქალის ფიზიკური აღზრდა არ იდგა სათანადო დონეზე? პირდაპირი პასუხიდან ჯერ ჯერობით თავს შევიკავებთ, ჩავიდეთ ბოლომდე და მკითხველი მიხვდება მიზეზს, თუ რატომ დავაგვიანე საუბარი ქალთა ფიზიკურ აღზრდაზე.

მაშ ასე, საჭირო იყო ქართველ ქალთა ფიზიკური აღზრდის სისტემის არსებობის ფაქტის დადგენა! ამის თვის, უპირველეს ყოვლისა, სათანადო საბუთების მოძებნა გახდა საჭირო. მოიძებნა ეს დოკუმენტებიც, მაგრამ, ვაი რომ, თითქმის ყველა მათგანი დუმს ქართველ ქალთა ფიზიკური აღზრდის შესახებ. როდესაც მამაკაცთა ფიზიკური აღზრდის სურათის დადგენის მიზნით ვსწავლობთ ისტორიულ დოკუმენტებს, ჩვენდა გულის გასარად, ყველა მათგანი უხვად გვთავაზობს მასალას; იმვიათია დოკუმენტი, სადაც ლაპარაკი იყოს რომელიმე

ისტორიულ პირზე, რომ იქვე არ იყოს მისი მაღალი ფინანსური თვისებების დახასიათება (თუნდაც ისეთი, როგორც თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობაა დავით სოსლანზე: „ესე დავით წელიწადისა მოქცევამდის ესრეთ წაემჯობინა ყველასა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა და მკვირცხლსა და მოასპარეზესა“...). მაგრამ იმავე დოკუმენტებში ამაოდ დაუწყებთ ძებნას მსგავს ცნობებს ქალთა შესახებ. ქალთა ფიზიკურ თვისებებზე, რაც სისტემატური ფიზიკური წრთობით შეიძლებოდა ყოფილი ყო მოპოვებული, არცერთი დოკუმენტი არ გვესაუბრება (მცირე და უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი). გადაშლით ასეთ ტიპიურ დოკუმენტს და კითხულობ ქართველი ქალის შესახებ: „დაუცხრომლად უამი ფსალმუნებითა მლოცველი, დედათა დიდება ბანოვანთა უმთავრესი, ყოველი სწავლა-ცოდნით აღზრდილი“.

ივანე გვარამაძე, ახასიათებს რა „მესხური თამაშების“ პროგრამას, მასში ქალთა გაქცევასაც ასახელებს; როგორც ჩანს, ძველ საქართველოში (გვ. 2500—3000 წლის წინათ) მართლაც ეწყობოდა ქალების შეჯიბრება რბენაში, მაგრამ შემდეგ ერთხელაც არავის წამოსცდენია იგივე ცნობა. შეიძლებოდა ხელი ჩაგვეჭიდა კიდევ ერთი ფაქტისათვის: ხომ იყვნენ საქართველოში (ძალზე იშვიათად, მაგრამ ხომ იყვნენ!) ისეთი ქალები, რომლებმაც თავი ისახელეს საბრძოლო მოქმედებაში? ხომ არის ცნობილი თეკლა ბიჭის, მაია წყნეთელის, ანა ვაშლოვნელის, თინა წავკისელის სახელები? განა ნაკლებ მაცდუნებელია თამარ მეფის მაგალითი? ზოგიერთი ცნობა გვეუბნება, რომ ქართველ დედოფალს უყვარდა

საქმენი სამამაცონი: მშვილდოსან-მახვილოსნობა, როგორ რობა, ჯირითობა და მხედრობა. შემთხვევითი ორა, რომ სწორედ XIII საუკუნის პირველ ღცეულს ეკუთვნის ევროპელი ეპისკოპოსის უკა დე ვიტრის „იერუსალიმის ისტორიაში“ ჩაქსოვილი ცნობა ქართველებზე: „ისინი, — წერს იგი, — არიან დიდად მედგარნი და მამაცნი ბრძოლაში, სხეულით მძლავრნი და მხედრობით ძლიერამოსილნი. მათ სასტიკად ჰყავთ დაშინებულნი სარენოზები, ხშირი თავდასხმებით ამარცხებენ მათ მრსაზღვრე სპარსელებს, მიდიელებს და ასირიელებს, თვითონ ურჯულო ხალხებით გარშემორტყმულნი... მათი კეთილშობილი (ხაზი ჩვენია, ა.. ც.) ქალები ამორ-დალთა მსგავსად შეიარაღებულნი იბრძვიან რაინდთა მხარდამხარ“. აქ შემთხვევით არ გავუსვით ხაზი სიტყვა „კეთილშობილს“. დიახ, თამარისა და თეკლა ბატონი-შვილის წრეში ქალთა გარკვეული სამხედრო-ფიზიკური მომზადება შეიძლება რეალურ ფაქტად მივიჩნიოთ, მაგრამ თითო-ოროლა მაგალითის განზოგადება და მათხე დაყრდნობით საქართველოში ქალთა ფიზიკური აღზრდის ერთიანი სისტემის არსებობის მტკიცება დიდი შეცდომა იქნებოდა. რაც შეეხება მაია წყნეთელსა და თინა წავკისელს, მათ იარაღი ხელთ ააღებინა გარკვეულმა სოციალურმა სიტუაციამ და არა კარგი ფიზიკური მზადყოფნის ბრძოლაში გამოცდის სურვილმა (ანა ვაშლოვნელის მაგალითი კი იმდენად საოცარი რეციდივია, რომ მისი განზოგადება ნამდვილად არასერიოზელ საქმეა).

ყველა ზემოხსენებულ საეჭვო ცნობას, და მათგან გამომდინარე, — საქართველოში ქალთა ფიზიკური

აღზრდის სისტემის არსებობის სურვილს ციკ-წყალს ასხამს უცხოეთში დაწინაურებული ქართველი დიდებულის ამაზაპის საფლავის ეპიტაფია; ქვაწე გეითხულობთ: „მეფის დიდებული შთამომავალი ამაზაპ, ძმა ხელმწიფისა მირდატისა, სამშობლო ჩემი — არაგვის ქართასა... მე — შუბოსანი, მშვილდოსანი, მახვილოსანი, მეომარი, მხედარი, — გარნა კრძალვით მსვავსი ქალწულთა“. როგორც ვხედავთ, აქ ფიზიკური აღზრდა ქალთათვის სრულიად უცხო მოვლენადაა მიჩნეული.

იქნებ კიდევ ერთმა ფაქტმა მოფინოს ნათელი საკითხს?! ცნობილია, რომ ჩვენი საუკუნის დასაწყისში თბილისში იმართებოდა მოჭიდავე ქალთა ჩემპიონატები. იქნებ ეს გამოგვადგეს იმისათვის, რომ დავამტკიცოთ მოჭიდავე ქალთა ძეველი ტრადიციის არსებობა? ავიღოთ 1911 წელს თბილისში ჩატარებული ტურნირის მონაწილეთა სია. აი, მონაწილეთა გვარები და საღაურიობა: ლამბერგი (გერმანია), რეიტერი (ინგლისი), შეეჩენჯ (უკრაინა), პედერსონი (შვეცია), კელტი (შოტლანდია), მოროზოვა (რუსეთი), როზინგი (ნორვეგია), იანკოვსკია (პოლონეთი), ოფენბახი (ავსტრია), გირალტი (ესპანეთი). ასევე სხვა ეროვნების წარმომადგენლების გვარებს წაიკითხავთ დანარჩენ პროგრამებშიც. მათში ვერ მოძებნით ვერც ერთ ქართულ გვარს.

ასევე გაიელვა ერთმა ცნობამ „დროების“ 1868 წლის 21 ივნისის ნომერში; გაზეთი გვამცნობს, რომ ხმა დავარდა — სოფელ კულაშში ქალთა დოლი გაიმართება. მაგრამ ეს ყველაფერი თურმე ჭორი აღმოჩნდა. „წარსულ დღეებში, — წერს ერთი კორესპონდენტი, — აქ ლაპარაკობდნენ, რომ სოფელ კულაშს, რომელიც

არის 35 ვერსზედ ქუთაისიდან, ამ მოკლე ხანში იქნებათ  
სხვა შექცევათა შორის ქალების დოლი (მარულა) ერთი  
აქაური თავადის მოთავეობით... მოკლე ხანი რომ გავი-  
და, გავიგე, რომ მართლა მომხდარიყო, მაგრამ ქალე-  
ბისა კი არა, კაცებისა. არ ვიცი რა ინტერესი ჰქონდა  
იმას, ვინც ღაპყარა ხმა, რომ ქალების დოლი იქნებათ.

რა ვქნათ, უნდა ვიწამოთ, რომ ისტორიული წყარო.  
ები გვერდს უვლიან ქართველ ქალთა ფიზიკური აღზრ-  
დის საკითხს, და აქედან, უნდა შევეგუოთ იმ აზრსაც,  
რომ საქართველოში ქალთა ფიზიკური აღზრდის რეკ-  
ლამენტირებული სისტემის არსებობა საეჭვოა. წინა-  
წარ მინდა დავამშვიდო მკითხველი და აღვნიშნო, რომ  
მიუხედავად ამისა, ქართველ ქალებს მაინც გააჩნდათ  
იმისთანა საუცხოო ფიზიკური მომზადება, რომ მისი  
შემხედვარე შურით აივსებოდა რომელიც გნებავთ ქვე-  
ნის ლამაზი სქესის წარმომადგენელი. ქართველ ქალებს  
საამისოდ თავიანთი საშუალებები გააჩნდათ, რაზედაც  
კოტა ქვემოთ მოგახსენებთ, ახლა კი გავარკვიოთ მიწე-  
ზები იმისა, თუ რატომ არ დაკანონდა შუასაუკუნეებს  
საქართველოში ქალთა ფიზიკური აღზრდის სისტემა.

პირველ მიზეზს სახელმწიფო ინტერესები ედო  
საფუძვლად: როგორც ვიცით, საქართველოს ყოველთვის  
აკლდა მებრძოლები, ყოველთვის საჭირო იყო მათი რი-  
გების შევსება, რაც სხვა საშუალებებთან ერთად. ქალთა  
ქალების გამოყენებითაც შეიძლებოდა. ბრძოლაში ქალე-  
ბის მასობრივი გაწვევა ყოველთვის იყო შესაძლებელი,  
შაგრამ; ბუნებრივია. იბადება ასეთი კითხვა: რა უფრო  
ხელსაყრელი იყო ქვეყნისათვის — ქალის გაყვანა ბრძო-  
ლის ველზე, სადაც იგი შეიწირავდა ერთ ან ორ მომხდების



და შემდეგ თავადაც დაიღუპებოდა, თუ ოჯანის ერთ-ერთ ბურჯად მისი დატოვება და 8-10 შეილის აღზრდა ქვეყნის დამცველებად? წარმოდგენილი გექნებათ, მრავალშეილიანი დედის ფრონტზე წასვლა და მისი დაღუპვა როგორ შეასუსტებდა ქვეყნის მომავალი ძლიერების საძირკველს. გასაგებია, რომ ქვეყნის გადარჩენის ინტერესები უფრო იქითკენ ხრიდა სასწორს, რომ ქალი სახლში დარჩენილიყო და ქვეყნის გადამრჩენი მებრძოლები აღზარდა. ქალის მოვალეობის ამგვარმა ლოკალიზებამ არა მათი ფიზიკური აღზრდის სისტემის საჭიროება დასვა დღის წესრიგში.

მეორე მიზეზი წმინდა მორალური და ეთიკური ხასიათისა იყო: ქართველი მამაკაცი მიღიოდა უთანასწორო ბრძოლაში; მან იცოდა, რომ ცხრა მტერს თუ მოკლავოდა. მეათეს ზედ დააკვდებოდა, იცოდა, რომ ქალიასავით შემოსეულ მტრის ჯართან ბრძოლაში მას სიკვდილი ელოდა. გრძნობდა იმასაც, რომ მისი სიკვდილის მიზეზი არის ქართველ მებრძოლთა სიმცირე, მაგრამ ქართველ მამაკაცს, მიუხედავად ყოველივე ამისა, არ უკადრებია ქალისათვის — წამოდი ბრძოლაში და შენც მჭრდი შეუშეირე მტრის მახვილსო. მან იცოდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ „კიდევაც დაიზრდებოდა“ მისი ათი ვაჟი, რომელიც არ შესჭამდა ჯავრსა მტრისასა.

მესამე მიზეზი რელიგიასთანაა დაკავშირებული: ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქრისტიანული რელიგია გააფთრებით უტევდა ფიზიკურ ვარჯიშობა-თამაშობებს, და მამაკაცებს რომ ვერაფერი მოუხერხა, ფიზიკური აღზრდის მოტრფიალე ქალებზე იყარა ჯავრი. იგი ანათემით ემუქრებოდა არა მარტო მოვარჯიშე ქალებს, არამედ იმათაც,



ვინც სპორტულ სანახაობაზე დასწრებას გაბეჭდავდა, როგორც ჩანს, საქართველოშიც განმეორდა იგივე, რამაც დასავლეთ ევროპის მაშინდელ საზოგადოებაში იჩინა თავი. მამაკაცებს, რომლებმაც ფიზიკური აღზრდის რაინდული სისტემა შექმნეს, ეკლესიამ ვერაფერი დააკლო, ქალთა საზოგადოებრივ უფლებებს, მათს აღზრდას კი დაეპატრონა და თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია.

...სოფელი ტკბილ ძილს მიეცა. ლოგინში გახვეულა თებროც, მაგრამ ძილი არ ეკარება. სამი დღეა, რაც ქმარი ერეკლეს რაზმში გაიწვიეს, ლეკთა თარეში გახშირდა და მათი ალაგმვა მხოლოდ მუდმივმოქმედი რაზმით შეიძლება. ასე იძულებით რამდენჯერ მიუტოვებია ოჯახი. ამ სამი თვის წინ აზატხანთან ბრძოლაში ახლდა დიდ ბატონს, უფრო ადრე ერთი ხუთჯერ მაინც მოუწია სახლკარის მიტოვება. მაგრამ ოჯახს უკაცობას ვერ დაამჩნევს; ქმარი იქ, ბრძოლის ველზე სისხლს ლვრის, და სირცხვილი არ იქნება ოჯახი ნაკლულად დაახვედროს ნაომარ მეუღლეს?!

შვილების საწოლს გადახედა. ყველა მათგანი — 5 ბიჭი და 3 გოგო — უდრტვინველად ფშვინავდნენ. ყველაზე უფროსი 12 წლისაა, უმცროსი კი ფეხზე ძლივ დადის.

ირიურავა თუ არა, თებრომ ტანთ ჩაიცვა და ეზოში გამოვიდა. ჯერ ქათმებს საკენკი დაუყარა, მერე ხულაში შევიდა და ლორებს სალაფავი მოუშზადა.

ამ საქმეს რომ მორჩა, ნაჯახს წამოავლო ხელი, გამოიტანა გრძელი მორი და რამოდენიმე დიდი ნაჟერი ჩამოაჩეხა, სამზარეულოში შეზიდა, ბუხარს შეუკეთა და

ცეცხლი გააჩალა. კოქიდან წყალი გადაიღო სპილენძის  
ქვაბში და ცეცხლზე შემოდგა.

ვიღრე წყალი აღულდება, ძროხას მოვწველიო, — გა-  
იფიქრა და ჩქარა კასრი თბილი რძით ავსო. მეტე ძროხა  
და ცხვრები ჭიშკარს იქით გადადენა, მწყემსი გამოივ-  
ლის და წაიყვანსო.

რძის ერთი ნაწილი ქვაბში გადაიღო, ცეცხლზე შე-  
მოდგა; დილით პატარებისათვის უნდა შეესვა; უფრო  
მოზრდილთათვის კი წინა დღეს ქოთანში დარჩენილი  
ლობიო გაათბო.

მზე ამოიწვერა. ბავშვებმა გაიღვიძეს და ჟრიამულით  
ავსეს ეზო.

თებრო სიამოვნების ღიმილს ვერ იყავებდა მათი შემ-  
ხედვარე. ჩქარა ეზოში, კაკლის ქვეშ გრძელი ტაბლა-  
სუფრა გაწყო და ბავშვებს დაუძახა.

როცა საუზმეს მორჩნენ, უფროს ბიჭს გასძახა თოხე-  
ბი გადმოიტანე, ბოსტანი გვაქვს გასათონენიო, უფროს  
გოგონას კი დაავალა — ვიღრე ჩვენ ბოსტანში ვიმუშა-  
ვებთ, ბავშვებს მიხედეო.

მხოლოდ შუადღით გამოვიდნენ ბოსტნიდან. თან კალ-  
თით ჭყინტი ლობიო გამოიტანა და გარჩევას შეუდგა,  
სადილისათვის სჭირდებოდა. ცეცხლი დაანთო, ზედ ქვა-  
ბი შემოდგა და ერთ საათში მთელი ოჯახი ისევ სუფრას  
შემოუსხდა.

— ახლა კი ყველანი ჭილოფზე, — ბრძანა დედამ, —  
თითო საათი წაძინება არ გვაწყენდა!

და ბავშვები ძილს მიეცნენ. თებრომ სულ პატარა  
ბიჭი მკლავზე გადაიწვინა და თითონაც თვალი მიღუ-  
ლა. საამო სანახავია, შრომისაგან დაღლილი ადამიანის



ჯანსაღი, ლრმა და ტკბილი ძილი, რომელიც შესანიშვნებულ  
აქარვებს დაღლას და ისევ ენერგიით აღავსებს მშრომელ  
კაცსა თუ ქალს.

თებრომ ყველაზე ადრე გაიღვიძა, უფროს ბიჭის  
ხელი შეახო, შეაღვიძა, მე წყალზე მივდივარ და როცა  
ბავშვები გაიღვიძებენ, უპატრონეო.

მზე გადახრილიყო. სოფლის გზაჯვარედინზე უკვე  
ერთმანეთს ელოდებოდნენ ქალები. თან უზარმაზარი  
კოკები წამოედოთ. თებროსაც მხარზე შეედგა კოკა და  
მეზობლებთან ერთად გასწია წყაროსაკენ, რომელიც  
სოფლიდან ერთ კილომეტრზე, ლრმა ხევში გადმოსჩუქ-  
ჩუხებდა. ერთ ქალს ქმრის თოფიც წამოედო, სხევებს  
ხანჯალი, ორკაპი და სხვა იარაღი გადაეკიდებინათ. ეს  
წესი უკვე ჩვევად ექცათ. ლეკებმა სწორედ წყაროსე  
იცოდნენ ჩასაფრება და უიარაღოდ ამ ხევში შესვლა სა-  
ხიფათო იყო. წყარომდე, როგორც ვთქვით, კილომეტრი  
მანძილი იყო, გზაში რაღაცით ხომ უნდა გართობილიყვ-  
ნენ, და აი, თებროს მეზობელმა, ლამაზმა თიკომ წამო-  
იწყო საყვარელი სიმღერა:

თებრონე მიღის წყალზედა,  
კოკა უდგია მხარზედა;  
თებრონემ კოკა ჩამოდგა,  
თეითონ წყლის პირას ჩამოჭდა,  
დაისცენა და წამოდგა,  
კოკის ავსებას შეუდგა,  
კოკა გაიდგა მხარზედა,  
წავიდა თავის გზაზედა.

უკან გამობრუნება უფრო ძნელი იყო; თითოეულის ქოქაში თორმეტამდე ლიტრი ჩადიოდა. სხვა რა გზა ქონდათ, მხარზე კოქაშედგმულები, დინჯი ნაბიჯითა და ხვევით შემოვიდნენ სოფელში. თებრომ კოქა სამზადში დადგა და კიბეზე ჩამოჭდა. ეზოს გადახედა. დილას სახლი კი დაალაგა, მაგრამ ეზო დასახვეტი იყო. ცოცხები გამოიტანა და ბავშვებთან ერთად ეზო მოაკრიალა. მერე ვახშმისათვის ისევ კერა გაახურა, წყალი შემოდგა, და ვიდრე აღუღდებოდა, მატყლის ჩეჩვას შეუდგა. ზამთრისათვის რვა ბავშვი იყო დასამოსი. ბავშვები აღრე ავახშმა, რადგან მზის ჩასვლამდე ქალებთან ერთად ტყეში უნდა წასულიყო და მოცვი დაეკრიფა, იქნებ სოკოც ეშოვა.

მზე უკვე ჩასულიყო, როცა სავსე კალათით ეზოში შემოვიდა. მოცვი ლანგარში გადაიღო და ზედ წყალი დაასხა, ბავშვები როცა დაიძინებენ, მოვადულებ ნაყენსო.

ამასობაში მწყემსმა ნახირი მორექა, თებრომ ჭიშკართან მიირბინა, ძროხა და ცხვარი ეზოში შემოუშვა და დააბინავა: შემდეგ გოგონები გვერდით მოისვა და აყურებინა, როგორ წველიდა ძროხას.

დაიღალა თებრო, ძლიერ დაიღალა, მაგრამ სხეულსა და სულს სწორედ მუდმივი მოძრაობა შველის. მის მწვანე და ფართო ეზოში სალამოხანს მეზობლის ქალები და ბავშვები იყრიდნენ თავს. იმართებოდა ცეკვა-თამაში, სიმღერები; ადამიანები ივიწყებდნენ დღის განმავლობაში გადატანილ ჭირ-ვარამს და მთელი ორსებით ეძლეოდნენ მოლხენა-თამაშობას. აი, ახლაც აიგსო ეზო, ვის

დაირა მოეტანა, ვის გარმონიკა, ვის ფანდური, და რა რა როს ეზოში ქალების ნარნარი ცეკვა და ამოღსაშენი სიმღერები გაიმართა. თებროც ზავდავიწყებით მიეცა ლხინს.

გვიან დაიშალნენ. თებრომ კიდევ ერთხელ გადაავლო მზრუნველი თვალი ეზო-გარემოს და შვილებთან ერთაუ ჯანსაღ ძილს მიეცა, რათა მეორე დღეს ისევ შედგომრდა მეტად მძიმე, მაგრამ ოჯახისა და ქვეყნისათვის საჭირო შრომას.

კარგი იყო, ვიდრე თებროს დღის რეჟიმს ვახასია. თებდით, დაგვეთვალა — გამოლვიძებიდან დაძინებამდე რამდენი მოძრაობა შეასრულა ამ ქართველმა დედამ, რამდენჯერ შეუდგა მძიმე შრომას, რომელმაც მისი კუნთური სისტემის საქმაოდ დიდი დაძაბვა მოითხოვა; ეს ხომ სხეულის ისეთი ფიზიკური ვარჯიშობა იყო, რაც აწრთობდა და ავითარებდა ადამიანის მთელ ფიზიკურ სამყაროს. დიახ, მძიმე ფიზიკური შრომა, ცეკვები, როგორსაც თან ახლდა გეგმაზომიერი დასკვნების პროცესი, ჯანსაღი ძილის სახით, ქართველ ქალს დაახლოებით აძლევდა იმ თვისებებს, რასაც მისცემდა სისტემატური ფიზიკური ვარჯიშობა. ფიზიკური შრომა იყო ქართველი ქალების წრთობისა და განვითარების უმთავრესი წყარო. ცამდე მართალი იყო სულმნათი საბა, რომელიც ბრძანებდა: „იშვიათ არიან მუშავნი შრომისა მოთმინენ სნეულ, არამედ; რომელნი უდებ და მჭამელ და უთმინო არიან, იგინი არიან სნეულ და მონა მკურნალთა და შენესელ და მევალალე და ვერცალა მოითმენენ სნეულებათა მათთა... უკეთუ უამსა ამას მცირესა სოფლისასა ვიდრელა ვალთ და არა მოვითმინოთ ჭირი, შრომა და იწრო-

ება, ვერც ჩვენ შეუკრიბოთ თავთა ჩვენთა იფქლი იგი და  
ცხოვრებისა და ვერც გამოვზარდნეთ თავნი ჩვენნი წე-  
ლიწადთა მათ სიგრძესა, რომელნი გვისხენან წინარე  
ჩვენსა საუკუნეთა დაუსრულებელთა“.

ქართველ ქალთა ყოფაცხოვრებაში საკმაოდ საგრძ-  
ნობ აღგილს იკავებს ე. წ. სამაგიდო თამაშობანი; არქან-  
ჯილო ლომბერტი წერს: „სამეგრელოში დროს გასატა-  
რებლად ბევრი სხვადასხვა თამაშობაა. მათ შორის ზოგი  
გავრცელებულია მთელს ქვეყნიერებაზე და ზოგი საკუ-  
თრივ სამეგრელოში და საქართველოშია გავრცელებული  
და სხვაგან არსად. პირველთაგანია: ჭადრაკი, ნარდი და  
ბანქო. ჭადრაკსა და ნარდს უფრო ქალები ეტანებიან,  
უდრე ქაცები და ისე მარდად და ხელოვნურად თამა-  
შობენ, რომ საუცხოო სანახავია. ბანქო იშვია-  
ცია და მხოლოდ უდიდებულესი თავაზები თამაშობენ  
ჰას“.

საგულისხმოა, რომ „ვეფხისტყაოსანშიც“ სამაგიდო  
თამაშობანი უმთავრესად ქალთა მონოპოლიას წარმოად-  
გენს. „ასმათ და ორი მონანი ჰყვიან, იმღერდის ნარდი-  
თაო“, — გვამცნობს რუსთველი. პოემაში საჭადრაკო  
ტერმინი „შამათი“ ნახშარია ერთხელ და ისიც ქალის, ინ-  
დოთ-დედოფლის მიერ:

„ერთსა ბრძანებს დედოფალი, მართ სიტყვასა  
ვითომ ათსა;  
ღმერთმან მოსრნა მტერნი ჩვენნი, ვერ დაგვცეშენ  
ყოლ შამათსა“.

სამაგიდო თამაშების სიძველეზე მიუთითებს ის ფაქ-  
ტიც, რომ შაშის მაგვარი თამაშის ფიგურები აღმოჩნდა

ანტიკური ვანის ნაქალაქარის გათხრების დროს. აღმართ ისიც გახსოვთ, რომ ჭადრაკი და მოჭადრაკე ჩემპიონი უკვე ნახსენებია XII საუკუნის ლიტერატურულ ტეკსტში მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“. სამაგიდო თა მაშების დიდ გავრცელებაზე შუა საუკუნეების საქართველოში მიუთითებს მათი ხშირი ფიგურირება ე. წ. ორორძინების პერიოდის ლიტერატურულ ნაწარმოებებში. განსაკუთრებით თვალში საცემია მოთამაშეთა აზარტი, რასაც ხახს უსვამენ ჩვენი მეფე-პოეტები. მათი ცნობის მიხედვით ყუმარსა და ნარდს ფულზეც თამაშობდნენ, „ყუმარბაზნი ხალისითა დაღალვას არ გაიგებენ, ორი სამი დღე მოების, ყუმარს აღარ აიღებენ“. მაგრამ სულ სხვაა ჭადრაკი, მას „ითამაშებენ ისე თეთრზედა ძვირადა“. მას უნდა კარგი ცოდნა, განმჭრიახობა, რაც „არავის სჭირს ხშირადა“. მაგრამ მოგების სიხარული და წაგებით გამოწვეული სინანული აქაც იჩენს ხოლმე თავს. „რომელსაც უზმენ შამათსა, მას მიაჩნია ჭირადა, აჯობებს, თუცა ძმა ძყოს, ეწყინოს გასაკვირადა“.

სამაგიდო თამაშობათა პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ მათი თამაშის წესები, ფიგურების სახელები და სხვა ნიუანსები პოეტების ლექსთა თემადაც კი იყო გადაქცეული. ნიმუშად მინდა მოვიტანო თეიმურაზ მეორის ლექსი, სადაც კარგად ჩანს ყოველივე ეს:

ხმა ნარნარ დიალ უხდების. ბულბულსა ჭიკვიობანი,  
თა ჭებითა ვერ უდრის, წითელს ვარდზედ აქვს ბჭობანი,  
სად უყეფს ნახეთ, მუღამად, ვისიც სჭირს მიჭნურობანი,  
ასე ევლება თავზედა, მისი არ უნდა გმობანი,

ჩარიგებული ყვავილი კარგია, ნაშიანია,  
 ფანჯი შევახო ხელისა, სად იყოს ეკლიანია,  
 მაშე შიგ ჩავყოფ მე ცხვირსა, უსუნებ ცრემლიანია,  
 რას მექამათე ლიზღობით, შეიქმან სევდიანია.

ნიჭად რაკირუკი მესმა კართა ზედა კენტის ცემით,  
 გეფერების თავი შენი, შემიბრალე ხმის გაცემით,  
 აქ სულა ზი, ერილები კაცთა, სტირი გარდაცემით,  
 უკუნითი მოგცე თავი, რომ გამხეოვო გინდა ცემით.

მომხედარის კაცის თვალმა შემიწყალა, დამრთო ნება,  
 ეტლი მქონდა მის დღეს კარგი, აღარ მჟირდა ცეცხლთა დება,  
 აპა იყივლებს აღარა, არ უარობს, არცა წყრება,  
 არ უხილავს თვალთა ჩემთა მასებრივი ბრწყინვალება.

ჭადრაკი და სხვა სამაგიდო თამაშობანი, მიუხედავად  
 მათი მოყვარულების აზარტში გადასული ინტერესისა,  
 მაინც მოთამაშეთა სულიერი თვისებების, მახვილვონიე-  
 რების, გამარჯვების რწმენისა და სხვათა განვითარებას  
 უწყობდა ხელს. მათთვის უცხო იყო ისეთი რეციდივები,  
 რაც ამ სამაგიდო თამაშობებს ახლდა ზოგიერთ ქვეყანა-  
 ში. არსებობს, მაგალითად, გასული საუკუნის ქართულ  
 პრესაში ცნობა იმის შესახებ, რომ მაროკოს სულთანი  
 ჭადრაკის დიდი მოყვარული ყოფილა. მაგრამ თავის  
 ინტერესს ამ გონიერი თამაშისადმი შემდეგნაირად გამო-  
 ხატავდა: სასახლის დიდ დარბაზში, იატაქჩე მოხატული  
 ჰქონდა ჭადრაკის დაფა, ზედ ფიგურების ნაცვლად ცო-  
 ცხალ ადამიანებს (მონებს) აყენებდა. ერთ მხარეს თითონ  
 დაჯდებოდა, მეორე მხარეს მისი რომელიმე ნაცნობი მო-  
 ჰადრაკე და იმართებოდა ე.წ. „ცოცხალი ჭადრაკი“,

მაგრამ ერთი „მცირე“ სხვაობით. სულთანის ბრძანებით  
ფიგურას (იგივე ცოცხალ მონას), რომელიც თამაშის გე-  
გმის მიხედვით მოიკვლებოდა, ნამდვილად კლავდინენ  
დამსწრეთა წინაშე.

...თავმდაბლობა, ერთგულება, წესმორჩილება, სამარ-  
თლიანობა, მოყვასის სიყვარული, სიმამაცე, სიმარჯვე,  
გამბედაობა, სამშობლოს სიყვარული და სხვა სულიერი  
თვისებები, რაც სისტემატური ფიზიკური ვარჯიშობისა  
თუ მძიმე შრომის პროცესშიც იზრდებოდა, — აყალი-  
ბებდა ადამიანს, რომლისთვისაც სამშობლო იყო ყველა-  
ზე და ყველაფერზე უფრო მთავარი, ღმერთისაგან მხო-  
ლოდ ერთხელ ბოძებულ სიცოცხლეზეც უფრო მეტი და  
ძვირფასი. სწორედ ეს თვისებები იყო, რომ ადამიანებს  
სიცოცხლეს აწირინებდა, თუმცა თავისუფლად შეეძლოთ  
მისი შენარჩუნება, — თუ სამშობლოს გადაუდგებოდნენ  
თუნდაც ფორმალურად; ამ თვისებებმა გააწირინეს  
გიორგი სააკაძეს საყვარელი შვილი, სიცოცხლე წართვეს  
დემუტრე თავდადებულს, სამშობლოს საკურთხეველზე  
სიცოცხლე მიატანინეს: ასიათასობით უსახელო უფლის-  
ციხელსა თუ ტაშისკარელს.

ახლა კი ჩავიხედოთ მესხურ ქრონიკებში და ერთი  
საინტერესო ცნობა დავუდვათ საფუძვლად ამ პატარა  
სიუჟეტს:

...ეს ამბავი ამ ოთხასი წლის წინათ მოხდა. საქართ-  
ველოს ასაკლებად სულთან მურად მესამის მიერ გამო-  
გზავნილმა ლალა ფაშამ სამცხე დაიმორჩილა და მისი  
ათაბაგები ძმები — მანუჩარ და ყვარყვარე თან წაიყ-

ვანა არზრუმს. 1578 წლის ნოემბერში სულთანს წერი-  
ლით აცნობა, ორივე ძმას სტამბულში გაახლებთ და და-  
ნარჩენი თქვენ იცითო. წერილის მიღებისთანავე გარ-  
კვეული მიზანი ჩამოუყალიბდა სულთანს: ქართველი ათა-  
ბაგების გამაპმადიანება, სამცხეში საფაშოების შექმნა  
და მათ მმართველებად რჯულწართმეული და ყურმოჭ-  
რილ მონებად ქცეული ათაბაგყოფილების გამოგზავნა.

ქართველები სტამბულში 1579 წლის ივნისში ჩაიყვა-  
ნეს. დიდი მოჩვენებითი ზეიმით შეხვდა მათ სულთნის  
სატახტო. ზღვა ხალხში ირეოდნენ ჭართველთა ნახვით  
დაინტერესებული ფრანგი, გერმანელი, ავსტრიელი, ბერ-  
ქენი, რაგუზელი, ვალახიელი, მოლდაველი და ტრანსილ-  
ვანიის ელჩები. ყვარყვარეს ხილვას განსაკუთრებით აღ-  
ტაცებაში მოუყვანია გერმანელი შვაიგერი, რომელიც  
თავის ჩანაწერებში მოუთხრობს გერმანელ მკითხველს,  
რომ 30 წლის ასაკში ასეთი თვალტანადი და ჭკვიანი  
ვაჟკაცი არსად მინახავსო, დიდად განსწავლულიცაა, ჩემი  
ნაჩუქარი წიგნი თურქეთშივე თარგმნა ქართულადო.  
შვაიგერს ყვარყვარეს პორტრეტიც ჩაუხატია.

ზარ-ზეიმი ჩემი ჩემი მინავლდა და სულთანმაც „მოიცა-  
ლა“ ძმებისათვის. ლაკონიური იყო მისი წინადადება:  
შებს რჯული უნდა გამოეცვალათ და სამცხის საფაშოს  
მმართველებად გამზადებულიყვნენ.

პირველად მანუჩარმა დაარღვია სიჩუმე:

— მბრძანებელო, — თქვა მან ყრუდ, — მე თანამა  
ვარ, გაეცით ბრძანება აღასრულონ ჩემი წინდაცვეთა!

სულთანს სახე გაებადრა და მანუჩარს მხარზე მოუ-



თათუნა ხელი, მერე ყვარყვარესაკენ შემობრუნდა და  
თვალებში ჩახედა, შენ რაღა გადაგიწყვეტია.

ყვარყვარე ჯერ ისევ მანუჩარის ამ გადაწყვეტილებით  
ცყო გაოგნებული. ცოტა ხანს შეუოვნდა, მერე კი მტკა-  
ცედ განაცხადა:

— მე ქრისტიანად ვრჩები, მზად ვარ თავი დავდო ჟა-  
ჭახის ქვეშ!


— იმედი მაქვს საქმე ნაჯახამდე არ მივა, — თქვა  
სულთანმა და თავისთვის გაიანგარიშა, — თვენახევრიანი  
მგზავრობა გვარიანად დაღლიდა ყვარყვარეს, სწორედ ეს  
კოზირი უნდა გამოვიყენო ახლა!

მეორე დღესვე, მანუჩარის წინდაცვეთასთან დაკავში-  
რებით, სასახლის მოედანზე (სადაც წინათ ბიზანტიური  
რპოდრომი იყო), სულთანმა ზეიმის გამართვა ბრძანა.  
ზეიმის პროგრამა ჭიდაობით უნდა დასრულებულიყო.

შუა ზეიმში სულთანმა ყვარყვარე იხმო, ჯერ ზეიმი-  
დან მიღებულ შთაბეჭდილებებზე ესაუბრა, შემდეგ კი  
თვალები მოჭუტა და თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო,  
ძლივს გასაგონად თქვა:

— შენზე ამბობენ, უძლიერესი მოჭიდავეაო. თუ ასეა,  
სანაძლეოს შემოგთავაზებ და, თუ ვაჟკაცი ხარ, მოიგე! —  
შემდეგ სულთანმა სერიოზული სახე მიიღო და განაგრ-  
ძო: დაეჭიდები ჩემს ფალავანს. თუ გაიმარჯვებ, ქართვე-  
ლობაც და ქრისტიანობაც შენთვის მიჩუქნია. მავრამ და-  
ნარცხების შემთხვევაში ორივეს უნდა დაემშვიდობო!

— ნამუსის სასწორზე მიგდებს ვაჟკაცობას, — გა-  
ფიქრა ყვარყვარემ, — ჩემს უარს ხვალვე გაახმაურებს  
და თავს მომჭრის, არა და, თუ დავმარცხდი...



— პო, რა გადაწყვიტე? — აღარ აცალა ფიქრი სულ-  
თანმა.

ყვარყვარე ერთხანს დუმდა. შემდეგ თავი გაიქნია,  
თითქოს უჟმურ ფიქრს იშორებსო, და მტკიცედ წარმო-  
თქვა:

— თანახმა ვარ!...

არენის ერთ მხარეს წელზემოთ შიშველი და ტანგა-  
ქონილი ფალავანი დადგა: მკერდს ძალუმად ბერავდა და  
კაყურებელს თავისი ჰერკულესისებური აღნაგობით  
ატკბობდა. მეორე მხარეს ყვარყვარე გამოიყვანეს. ტანზე  
ხალუხი მოერგო. მგზავრობისას ზღვის ავადმყოფობის  
გადატანის მიუხედავად მაინც შემოენახა სიმხნევე. სახე  
ოდნავ გაყვითლებოდა, მაგრამ ახალუხის ნაკვთების მი-  
ხედვით იგრძნობოდა მისი დაკუნთული სხეულის სი-  
ძლიერე.

მოწინააღმდეგემ ხელი ჩამოართვა თუ არა, ყვარყვა-  
რეს ოფლში არეული ქონის მჭახე სუნი ეცა. მან ხელი  
აღმართა, მიუბრუნდა სულთანს და შესძახა:

— მბრძანებელო, ტანზე ქონის წასმა ჩვენი წესი არ  
არის, უბრძანეთ ჩამოსწმინდონ ქონი!

ხონთქარმა ვეზირს დაუბრიალა თვალები:

— აუხსენი მაგ გიაურს, რომ ჭიდაობა იმართება აქ,  
ოურქეთის მიწაზე, ხონთქარის სასახლეში და კეთილინე-  
ბოს ჩვენს წესს დაემორჩილოს!

ჭიდაობა დაიწყო. ყვარყვარეს ბევრჯერ უჭიდავია თა-  
ვისი სასახლის წინ მოწყობილ არენაზე, უამრავი ფანდი  
ეხერხებოდა, ძალაც ეყოფოდა, მაგრამ ამ უშველებელი  
კაცის გადმოტანა შეუძლებელი იქნებოდა, ტანზე ხელებს  
ვერ ჩაჭიდებდა, საპონივით დაუსრიალდებოდა.



ამასობაში თურქმა ახალობში ჩავლო ხელი ყვარებულია, დასწია, დაპქაჩია და ნახევარი ახალობი ხელში შერჩა.

ხალხში სიცილი ატყდა. ხონთქარიც ტახტრევანის ურგს მიყრდნობოდა და გულიანად იცინოდა.

— გაატიტვლეთ ეგ გიაური! ჩვენი წესით იჭიდაოს! თუ არ უნდა, ჯალათის ნაჯახს ეზიაროს! — ისმოდა ირგვლივ, მაგრამ როცა ყვარყვარემ ახალუხის მეორე ნახევარიც შემოიხსნა და შიშველი ზეტანი გამოუჩნდა, ხალხი აონუსხულივით გაინაბა. კარგახანია არ ეხილათ ასეთი პრინჯაოს ქანდაკებასავით ჩამოსხმული ადამიანი.

განახლდა ჭიდაობა. გაგულადებული თურქი ფალვასი ეცა ყვარყვარეს ფეხებში, მის ცალ ფეხს ორივე შეკლავი შემოხვია და მეორე ფეხის სარმით მოცელვა გადაწყვიტა. ყვარყვარემ ისევ გაივლო გულში, ეს არა შეართული წესი, ასეთ ჭიდაობას ჩვენში ღორულს უწოდებენო, მაგრამ ვინ გაუგონებდა. საჭირო იყო დაცვაზე ფიქრი. თურქმა შეარჩია მომენტი და მარჯვენა ფეხი ყვარყვარეს მარცხენა ფეხს შემოჰკრა, მაგრამ ძვრა ვერ უყო მეტოქეს, მეორედაც იგივე გაიმეორა თურქმა, მაგრამ ყვარყვარე მუხასავით იდგა.

ეს სხვაგვარი კირკიტი ვინმე ჩანსო, გაიფიქრა თურქმა და ახლა სხვა ფანდებს მიმართა, მაგრამ არსებით წარატებას ვერ მიაღწია. ერთი პირობა ისევ ფეხებში შეკარდნა სცადა, მაგრამ ყვარყვარე ფიცხლად გაუხტა განზე.

მაყურებელი, რომელიც ზეიმის შემდეგ ისედაც კარგ გუნებაზე იყო, გუგუნებდა, ამხნევებდა თავის ფალვანს, ზოგი აუგადაც იხსენებდა ყვარყვარესა და მის ქვეყანას.



თურქი შეტევაზე იყო გადმოსული, და მის შედეგადაც ნად დამთავრებაზე ფიქრობდა. ხუმრობა ხომ არ იყო, იგი ხონთქრის დაკვეთით ჭიდაობს, მბრძანებელი ესწრება მის შერკინებას და თუ სწრაფად და ეფექტიანად არ დაამთავრა შეხვედრა, გაძალებული და ძლივს მოპოვებული გამარჯვება შეიძლება არც აპატიოს.

თურქი მიუხტა ყვარყვარეს, გამოჰკრა შუა სარმა, ხელებით მკერდზე უბიძგა და ჩააჩოქა. ჩააჩოქა კი, მაგრამ შეჩერდა და ფეხზე წამოდგომა დააცალა. ვაჟკაცი ყოფილა, გაიფიქრა ყვარყვარემ, სხვა დროს შეიძლება ჭიდაობა შემეწყვიტა და შეხვედრის ფრედ დამთავრება მეთხოვა ასეთ დიდებულ მოჭიდავესთან, მაგრამ ახლა იხოლოდ გამარჯვებითა და მისი ფალავნის ხალიჩაზე ჯაშოტვით გადავუხდი სამაგიეროს მტარვალ ხონთქარს.

თურქი ქონით იყო ტანდაზელილი, ამიტომ ბევრი ჯართული ფანდის გამოყენება შეუძლებელი იყო. მაგრამ ზოგიერთი მათგანი აქაც გამოადგებოდა. ყვარყვარემ შეარჩია მომენტი, და როცა თურქი ისევ ჭიქურ გამოენართა მისკენ, ყვარყვარემ ორი ნაბიჯი უკან გადადვა, შემდეგ უცებ შედგა, მასზე წამოსულ თურქს მარჯვენა შეკლავი კისერზე შემოახვია, შეტრიალდა, ამოჰკრა თეძო და ჰაერში ამოტრიალებული მეტოქე ძირს დაანარცხა.

მაყურებელი გაქვავდა. ბევრმა ხონთქრისაკენ გააპარა თვალი. ხონთქარი არაფერს იმჩნევდა. შემდეგ ვიღაცამ წამოიძახა „ფანდი სწორედ არ იყო ნახმარიო“ და სხვებიც აყვნენ. „დააჭიდეთ, ხელახლა დააჭიდეთ!“ — ისმონა აქეთ-იქიდან.

ვიდრე მსაჭი რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა, თურქმა ფალავანმა ხელი აღმართა, ასე აღმართული ხე-

ლით გაემართა ხონთქრისაკენ და სამარისებურ სიჩუმეში  
გაისმა მისი ხმა:

— დიდო მბრძანებელო! ამ ქართველმა დაშსახურე-  
ბულად მოიგო, არაა ჭიდაობის განახლება საჭირო, ნუ  
შემირცხვენთ ვაჟკაცობას!

სულთანს მოეწონა (თუ იძულებული იყო მოსწონე-  
ბოდა) თავისი ფალავნის რაინდული უესტი, მასთან  
მისულ ყვარყვარეს კი მხიარულად უთხრა: „ქრისტე  
და ქართველობაც მიჩუქნია შენთვისო“. ასე იხსნა  
ჭიდაობის ცოდნამ უცხოეთში ერთი ქართველი. არ  
ვიცით რა ბედი ეწია თურქ ფალავნს, ყვარყვა-  
რეს საქმე კი შემდეგნაირად დატრიალდა: მეორე  
დღეს იგი მოიხმო ხონთქარმა, როგორც ჩანს, ზოგიერთ  
შესაძლებელ პოლიტიკურ კომპრომისზე დაითანხმა და  
რჯულშეცვლილ მანუჩართან ერთად დიდად დასაჩუქრე-  
ბული სამშობლოში დაბრუნა. „პატრონი ყვარყვარე  
ღუთის წინაც შეურცხვენელი და კაცთანაცა, ფალავნი  
დასცა ხუანთქართანა და ქართველობით გამოეშუა, მისის  
საბატონოს წყალობა ექმნა“, — გვამცნობს მემატიანე.

ერთი რამაა კიდევ საინტერესო. არსებობს ერთი ხალ-  
ხური ლექსი, რომელიც სამხრეთ საქართველოს მკვიდ-  
რის სოლალას შესახებ მოვითხრობს. მოქმედება ხდება  
შე-16 საუკუნეში, ხონთქრის კარზე, მხოლოდ სოლალა კი  
არ ეჭიდავება ფალავნს, არამედ ჯირითში ეჯიბრება  
ხონთქრის დავალებით. დანარჩენი ამბები ზუსტად ემ-  
თხვევა ყვარყვარეს თავგადასავალს. ლექსის ერთ ვა-  
რიანტში, სოლალას კლავენ ხონთქრის მოჯირითის და-  
შარცხებით სირცხვილნაჭამი თურქები, მეორე — უფრო  
სრულყოფილ ვარიანტში კი ხონთქარი, პირიქით, აჯილ-

დოებს სოლალას და საქართველოში აბრუნებს. ზოგიერთ-  
თი მკლევარის აზრით, სოლალა იგივე ყვარყვარე ათაბა-  
გის ლიტერატურული პროტოტიპია.

ასეა თუ ისე, მთავარია, რომ მემატიანემაც და ხალხ-  
შაც დიდების შარავანდედით შემოსეს ადამიანი, რომელ-  
იც მტრის ტერიტორიაზე, მტრულად განწყობილი მა-  
ყურებლის წინაშე დაიცვა თავისი ქვეყნის პოლიტიკური  
და სპორტული ღირსება, მიუხედავად იმისა, რომ აი-  
და „თავხედობისათვის“ სიკვდილი ელოდა.

აი, რა შესაშური ფიზიკური და სულიერი თვისებები  
ჩაუნერგა ყვარყვარეს აღზრდისა და მასთან, ფიზიკური  
აღზრდის მკაცრმა სისტემამ.

გაშ, საბოლოოდ დავაჯამოთ ყველაფერი, რაც ზემოთ  
ითქვა და ვნახოთ, როგორი იყო ფიზიკური აღზრდის  
ქრონიკი სისტემის შინაარსი, მისი სტრუქტურა, რისი  
შემუშავებაც დაიწყო ჯერ კიდევ გვაროვნულ საზოგა-  
დოებაში და გაწაკუთრებულ განვითარებას მიაღწია  
შეა საუკუნეების საქართველოში.

აი, დაახლოებით როგორ წარმოგვიდგება მისი სტრუქ-  
ტურა:

მიზანი: ფიზიკურად და მორალურად მომზადებუ-  
ლი მებრძოლების აღზრდა.

ამოცანები: ფიზიკური თვისებების—ძალის, მო-  
წილობის, სიმარჯვის, ამტანობის, გამძლეობის, სისწრა-  
ფის განვითარება, მორალურ-ნებელობითი თვისებების—  
რაინდობის, სამშობლოს სიყვარულის, სიკვდილის არა-  
რად ჩაგდების, შეუპოვრობის, მტრის სიძულვილის, მო-  
კვარის სიყვარულის, ქვეყნის თავდადების გრძნობის აღ-  
ზრდა.

საშუალებები: ცხენოსნობა — მარულა, დოლი, ყაბახი, ჯირითობა, თარჩია, მოქნევა, ჩეხვა, ნადირობა, თევზაობა, ჩოგანბურთი, ლელობურთი, მშვილდოსნობა, ფარიკაობა, თოფის სროლა, შუბის ტყორცნა, რბენა, ხტომა, ცურვა, ნიჩბოსნობა, მუშაითობა, ციგებითა და თხილამურებით მთიდან დაშვება, სიმძიმეების აწევა, ჭიდაობა, მოძრავი თამაშობანი, — ლახტი და სხვანი, სამავიდო თამაშობანი — ჭადრაკი, ნარდი, შაში, ყუმარი, განჯაფა, ფიზიკური შრომა — ვენახში, ბაღში, ყანაში, ისრის, შუბების, ჩოგნის, ბურთის და სხვა საგნების დამზადება.

სწავლების ასაკი: 5-დან 15 წლამდე, შემდევ კი — არაოფიციალურად — სიბერემდე.

სავარჯიშო ბაზების ქსელი: გიმნაზიები, დარბაზები, სანატირო სახლები, სანადირო პოლიგონები, ცხენთსარბიელები, მოედნები, იპოდრომები, ასპარეზები, სათამაშო სახლები, საჭიდაო არენები;

სწავლების ძირითადი ფორმები: სასკოლო და საოჯახო ფიზიკური აღზრდა, წვრთნა სპორტულ ბაზებზე, მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრებებში.

აღმზრდელები: მეფე, დიდებულები, ყორჩიანები, მამამძუძეები, მშობლები, სპორტული მოძრაობის კეტერანები.

ლიტერატურა: „ქართლის ცხოვრების“ ყველა კარიანტი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მოსე ონეგლის „ამირანდარეგანიანი“, შავთელის „აბდულმესია“, სარგის თმოვველის „დილარიანი“, არჩილ მეფის, თეიმურაზ მეორის, დავით გურამიშვილის, სულხან-საბა რარბელიანის და სხვათა დამრიგებლური ხასიათის ნაწარ-

კოებები. „როსტომიანი“, „რუსუდანიანი“ და სხვა  
თარგმნილი თუ გაღმოქართულებული ნაწარმოებები,  
ნალხური ეპოსი, დიდი ხალხური ზეპირი გამოცდილება.  
სისტემის პრაქტიკულობა: ფიზიკურად  
გამოწრობილი ქართველი ხალხის სიტემატური მზად-  
ოფნა თავდაცვითი ბრძოლებისათვის.

სისტემის დანიშნულების გამართ-  
ლება: საქართველო, რომლის დამცველთა ფიზიკურ  
ნომზადებასაც ემსახურებოდა ეს სისტემა, გადარჩა; ეს  
კი ამ სისტემის ყველაზე სერიოზული ცხოვრებისეული  
გამოცდა.

## ჩრდილი სპორტულ არენაზე

(კაპიტალისტური საზოგადოება)

XIX საუკუნე, ისე როგორც მსოფლიოს მრავალი ხალხისათვის, ქართველი ერისთვისაც არსებითი ეროვნული თუ სოციალური ძვრებით იყო აღსავსე. საუკუნის დასაწყისშივე საქართველო ერთმორწმუნე რუსეთის კალთას შეეფარა. დამკვიდრდა მშვიდობა, რაც ერის ფიზიკური გადარჩენის მტკიცე გარანტია გახლდათ; უფრო ვეიან, სამოციანი წლების დასაწყისში, საგლეხო ჩეფოჩის გატარებამ არსებითად დააჩქარა ჩეენში კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრება და განვითარება; ყოველივე ამას მოყვა დიდი ძვრები ხალხის სულიერ ცხოვრებაში: ვითარდება მეცნიერება, იქმნება ახალი იდეა-ბით გამდიდრებული მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება, პრესა. საქართველოს რუსეთის მფარველობაში შევლამ ერის ფიზიკური გადარჩენის მიზნით შეცვალა წევნი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების გზები. ამ ახალმა პოლიტიკურმა გარდატეხამ არსებითი ზემოქმედება მოახდინა ქართულ სპორტზე.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, თუ იდრე, როდესაც ქვეყანა მხოლოდ ხალხის სამხედრო-ფიზიკური მომზადების იმედზე იყო და გარდუვალი ომების მოლოდინში ხალხის სისტემატური ვარჯიშობა სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა, ახლა უკვე ძირიფესვიანად შეიცვალა

ედგომარეობა. საქართველოს მტრებისათვის პასუხისმგებელი მთავარ ძალად რუსეთის ძლიერი არმია იქცა. ქართველი ერის სამხედრო ცხოვრების პრაქტიკიდან სრულიად ამოვარდა ისეთი მოვლენები, როგორიციც იყო ქუდზე კაცის დაძახება, საკუთარი ცხენითა და თოფ-იარალით ბრძოლის ველზე გასვლა და მისთანანი. სახალისაშქარი, როგორც ასეთი, ამოვარდა ქართველთა ყოველდღიურად სახმარი ლექსიკონიდან. ამის გამო თითქმის მთლიანად მოიხსნა სახელმწიფო აპარატის კონტროლი და დაინტერესება მოსახლეობის სამხედრო-ფიზიკური პომზადებისადმი. ქართველთა ფიზიკური აღზრდის პრაქტიკა, მოკლებული კონტროლსა და დახმარებას, თვითშინებას მიეცა, დაკარგა ერთიანი რეგლამენტირებული სახე და ცალკეული კუთხეებისა და სოფლების ლოკალურ ინტერესებს დაეჭვემდებარა. ამა თუ იმ მოელენისადმი „ზემოდან“ ხელმძღვანელობის მოხსნა და სტიქიური განვითარება კი, მოგეხსენებათ, მისი შემდგომი დასუსტების, ცხოვრებისეული ფესვების ხმობისა და განწირების. გზაზე დადგომის უპირველესი საბაბია. სწორებეს დაემართა ფიზიკური აღზრდის ქართულ სისტემასაც.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული პოლიტიკური სიტუაციების გამო ჩნდება ზოგიერთი სხვა მიზანი და ინტერესი, რამაც ასე თუ ისე წინა პლანზე წამოსწია უკანდახევის გზაზე დამდგარი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ზოგიერთი მხარე: ქართველი თავად-აზნაურობის ერთმა ნაწილმა, როგორც ცნობილია, რუსეთის არმიაში სამსახური ამჯობინა, ახალგაზრდობის სწრაფვა სამხედრო სამსახურისადმი სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა. სამხედრო სამსახური კი მომავალი

ოფიციალური საგან მოითხოვდა კარგ დახელოვნებას ცხენი.  
სწობაში, სროლაში და სხვა სამხედრო-ფიზიკური საშუალებებში. ეს გარემოება კი იძულებდა თავად-აზნაურთა  
გარეულ წრეებს არ მიეტოვებინათ ვარჯიშობა მამაკა-  
პათაგან დატოვებულ სპორტულ სახეობებში და ასე თუ  
რესე მომზადებულებს შეეღოთ სამხედრო სასწავლებლი-  
სა თუ გარნიზონის კარები. „ვიმედოვნებთ, — ვკითხუ-  
ლობთ გაზეთ „დროების“ 1874 წლის 434-ე ნომერში, —  
რომ ჩვენი ნაციონალური დღესასწაულები ხელ-ახლო  
ცვლიან თავის ბრწყინვალების და დარბაისლობის ნარის-  
ხზედ. ნამეტურ ახლა, როდესაც საყოველთაო ჯარში სამ-  
სახური შემოღებულია რუსეთში და საგულისხმოა, რომ  
ჩვენც გავალთ ჯარში, სასირცხო არ არის, რომ ქართველ-  
ია კაცმა განსხვავებული სამხედრო ნიჭი და გამოცდებუ-  
ბა არ გამოიჩინოს... განა ჩვენს ხალხს თოფისა და იარა-  
ღის მოხმარება სასწავლებლად უნდა გაუხდეს? მაშინ  
რაღა ფასი ექნება, რომ ჩვენ დიდებული და გმირი წინა-  
პრეტენზის შთამომავლობა ვართ? სრულიად არავითარი“.

მაგრამ ამ მოწოდების მასობტივი განხორციელება  
არც მდიდართა ფენებს არ შეეძლო. შემთხვევითი არ  
იყო, რომ უკვე 1875 წელს, გაზეთი „დროება“, ეთხოეუ-  
ბოდა რა ცნობილ მოჯირითესა და ათლეტს თავად დათა-  
რებულნავას (სხვათა შორის, იგი „თამარიანის“ ავტორის  
სიმონ გუგუნავას მამა გახლდათ), თვლიდა, რომ დათა-  
რებული მოვარჯიშენი აქა-იქ-ლა შემორჩენ და ისინი  
ქართული სპორტის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომად-  
გენლები არიან. ჩვენ მოგვყავს ნაწყვეტები ამ წერილი-  
დან (ავტორი ვლ. მიქელაძე), რადგან თავადთა ამ წარ-  
მომადგენლის ფიზიკურ თვისებებთან ერთად მკითხველ

ჟაში ამოიკითხავს იმ კრიზისსაც, რაც იმ პერიოდის  
 ქართულ სპორტულ მოძრაობას ბოჭავდა. „იტყვიან  
 ხოლმე, — ვკითხულობთ წერილში, — და მართლა რომ  
 გისმა სიმარდემ ზღაპრული ხასიათი მიიღო, საარაულდ  
 ვახდა. ერთად დაყენებულ რამოდენიმე ცხენზე ხელუხ-  
 ლებლად გადახტომა, ძველებური დარბაისლური ცხენთ-  
 ხობა, მარდად ჯირითის სროლა, იარაღის ხმარება —  
 რომ მის ხელთ იყო და არა მარტო სიყმაწვილეში, არამედ  
 შოხუცებულობის დროსაც ყმაწვილების იდეალს შეად-  
 გენდა ყოველს ამ გვარ ვარჯიშობაში... ეხლა, როცა ვის-  
 გეზე ლაპარაკობენ, თავდაპირველად იმას პკითხულო-  
 ბენ, თუ რა თანამდებობის კაცია, ან რამდენი ჯამავირი  
 აქვს: პატივი ნივთიერ შეძლებას მოსდევს. მართალია,  
 სიმდიდრეს მნიშვნელობა მუდამ ჰქონია, მაგრამ უწინ  
 ჰირადი ღირსებანი მაინც მაღლა იდგნენ: მამაცობა, ვაკ-  
 აცობა, რაინდული მოქმედება, თოფ-იარაღის ხმარება,  
 ჯირითი, მკვირცხლი ბურთაობა, კარგი სიმღერა — ვა-  
 ლობა, ხელ-ფეხის სიმარდე დაუფასებელ თვისებათ შეა-  
 დგენდნენ რაინდულს დროში. თვითეული ამ ღირსება-  
 თაგანი გამოსადეგი და სასარგებლო იყო. ქართველი კა-  
 ცის ლხინს მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონ-  
 და. ბევრთან ხანგრძლივის ბრძოლისა და ოჯახის მოშო-  
 რების შემდეგ, ქართველი მრთელის თვისის არსებით  
 ძიეცემოდა ლხინს, ამაში ჰპოებდა, სხვათა შორის, მოსერ-  
 ებას, შვებას, აქ მოიკრებდა ძალას, ლონეს, გააცხოვე-  
 ლებდა ბუნებას, გააღვიძებდა გრძნობათ, აღამაღლებდა  
 საუკეთესო თვისებებს; ჩვენი ძველებური ლხინი ნამდვი-  
 ლი პოეზია იყო: სიმღერა, გალობა, ზმის ტყორცნა, ლექ-  
 სი, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, მარილიანი ხუმრობა,

თარი, ჩონგური, დაირა — ლხინის აუცილებელ კუთხით  
ლებას შეადგენდნენ; ლხინს მოსდევდა სამხედრო ვარჯი-  
შობა: მიზანში სროლა, ყაბახი, ჭირითი, ბურთობა და  
ცხენების თამაში...

... აწინდელს ქართველს ლხინის სურვილი ჯერ კიდევ  
არ დაჰკარგვია, მაგრამ ის ჩვეულებანი კი დავიწყება,  
თომელნიც ლხინს ამშვენებდნენ, ამკობდნენ და აკეთილ-  
შობილებდნენ. არ ვიცი, რის გამო, მწუხარებისა თუ  
მხიარულებისა, მაგრამ ღვინოა ღლეს ლხინის ავანჩვანი  
და მთვრალობა მისი წესი: ღვინით იწყება ლხინი და  
ჩხუბით მთავრდება. უგრძნობლად დათრობა შეადგეს  
აწინდელის ლხინის ლირსებას...

...ყველა ამის შემხედვარეს უნებურად და მწუხარე-  
ბით აგონდება ისინი, ვინც ძველებურს, კეთილშობა-  
ლურს განცხრომას თვალწინ უსახავდნენ, ვინც ესოეტი-  
ურის სიამოვნებით ამშვენებდნენ ჩვენებურს სუფრას და  
რაინდულის ვარჯიშობით აკეთილშობილებდნენ ჩვენე-  
ბურს თამაშს. თავადი დათა გუგუნავა სწორედ ერთი  
რათაგანი იყო; იგი იყო ჩვენის ძველის ცხოვრების უკა-  
ნასკნელი წარმომადგენელი“.

თუ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებაა  
ასეთი გავლენა იქონია თავად-აზნაურთა სპორტულ მო-  
არაობაზე, გასაგები გახდება, რომ გლეხობას უარესი  
დღე დაადგებოდა, უფრო მძიმედ დააწვებოდა სოცია-  
ლური უთანასწორობის უღელი და სულ უფრო გამოკი-  
ცლებოდა სისტემატური ვარჯიშობის შესაძლებლობანი.  
„სახელმწიფო გარდასახადი, უსინდისო მოხელე მეზობ-  
ლის ჩაგვრა; მოსამართლის ქრთამი, ბატონის სამსახუ-  
რი, მღვდლის. სამლოცულო და მისთანები ათას სულ

ვლეხობის ზურგის ტვირთად არის გამხდარი; იმათ შემდეგის კას ვეღარც კი ასვლია და სათამაშო-სავარჯიშოდ სადღა სცალია“. ეს მრავლისმეტყველი პოლიტიკური მსჯავრი გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა 1882 წელს, ე. ი. იმ დროს, როდესაც კაპიტალიზმი ჩვენში საკმაოდ მომძლავრებული იყო და სოციალური ჩაგვრაც — გაორმაგ-გასამმაგებული.

მაგრამ ქართველ გლეხობას უფრო უარეს ძნელებეულის უამსაც არ დაუყრია ფარ-ხმალი. მიუხედავად უდუხშირესი ეკონომიკური პირობებისა და სახელმწიფო მართველი აპარატის სრული უყურადღებობისა, იგი მაინც ნახულობდა დროსა და ხალის იმისათვის, რომ კვირა-უქმე დღეებში მაინც გაევარჩიშებინა მძიმე შრომით მოღალული სხეული. ჭიდაობა, ლელობურო, მოძრავი თამაშობანი და ფიზიკური აღზრდის სხეა საშუალებები შეძლებისდაგვარად იყო გამოყენებული მის ცხოვრებაში. სხვაგვარად მე-19<sup>o</sup> საუკუნე ვერ წარმოშობოა სესანიშნავ მოჭიდავეებს, მოკრივეებსა და ხალხური სპორტის სხვა მრავალ წარმომადგენლებს.

საკმაოდ ბევრია ეს სახელოვანი ადამიანები. მათშე წერა სასიამოვნოცაა და საჭიროც, მაგრამ ამჭერად შევჩერდეთ სამ ფალავანზე, რომლებიც რევოლუციამდელი საქართველოს სპორტული მოძრაობის, კერძოდ, ჭიდაობის მეტად კოლორიტული წარმომადგენლები არიან. ერთი მათგანი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან აღზევია, მეორე — 80-იანი წლებიდან, მესამე კი 900-იან წლებში გაიცნო სპორტულმა სამყარომ.

დავით ხიზამბარელი (კოპიტაშვილი) ის ფალავანია, რომელიც 1873 წელს სრულიად ახალგაზრდა წავიდა ამ

ქვეყნიდან, მაგრამ როგორც მოჭიდავემ, კაცურმა კაცი  
და მეგობარმა — საკმაოდ გაითქვა სახელი...

... გრიგოლ ორბელიანის სამუშაო კაბინეტში გახარჯა  
ბული ადიუტანტი შემოვიდა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, ნოსტეში კაცის გაგზავნა  
ალარ დაგვჭირდა, დავით ხიზამბარელი თავად ჩამოვიდა  
ტივით თბილისში, სწორედ ახლა ვნახე სატიოსუბანში  
და თქვენი ბრძანება გადავეცი!

კმაყოფილმა გრიგოლმა ჭალარა ულვაშებზე ხელი გა-  
დაისვა და ადიუტანტი სათანადო დავალებით გაისტუმრა.  
გრიგოლს ჰქონდა დამშვიდუბის მიზეზი: ეს სამი დღეა  
თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულიყო ვილაც ირანელი  
მოჭიდავე; ან ვინმე დამჭიდეთ ან საჩუქრით გამისტუმ-  
რეთო, — ითხოვდა ქალაქის ხელმძღვანელებისაგან. ეს  
უკანასკნელნიც არ აჩქარებულან, თუ დაჭიდებაა, ბარემ  
ისეთ ვინმეს ვუხმოთ, რომელიც არ შეგვარცხულ ამ  
თავგასულ სტუმართან.

ჭიდაობა ფიქრისგორის არენაზე დაინიშნა. ვინც  
„კრუგში“ ვერ დაეტია, ხეებზე მოიკალათა. ხუმრობა  
ხომ არ იყო, სამი დღეა ტოლი ვერ მოუნახეს ამ თათარს,  
ახლა კი სწორუპოვარ ხიზამბარელს უნდა გაესწორებინა  
გისთვის ანგარიში.

არენის ერთ მხარეს მაგიდა იდგა, რომელზეც გამარ-  
ჯვებულის საჩუქარი — ძვირფასი თვლებით მოოჭვილი,  
ორი ვერცხლის აზარფეშა ელაგა.

ირანელი კარგ გუნებაზე იყო. რაც თავი ახსოვს, ასე  
არავის გამოუდვია თავი და ასეთი ძვირფასი საჩუქარი  
არ გამოუმეტებია გამარჯვებულისათვის. იგი პირველი  
ვამოვიდა არენაზე. თავზე ჩალმა დაეხვია, წვერი ოდნავ

მოეშვა და ტანგარუჭული ბრინჯაოს ქანდაკებას გაფლა-  
ზურნამ ტუში დასცხო და ახლა მეორე მხარეს ხიზამბა-  
რელი გამოვარდა. ხალხმა ტაშით დააჭილდოვა ნოსტელი  
ფალავანი. იგი საშუალო სიმაღლისა იყო, ოდნავ წელში  
ეოხრილი, მაგრამ „დათვურად ნაკვეთი. ტანზე, სადაც  
უნდა მოგევლოთ ხელი, იტყოდით თუ ხე არისო, ანუ  
ქვა და არა ხორციო“ („ივერია“).

ზურნამ საჭიდაო დააჭუხა თუ არა, ხალხმა აშეარად  
გაიგონა ირანელის მუქარანარევი ხშა: „ილოძე, გურჯო!“  
და მეტოქეს. ეკვეთა. ეს იყო და ეს. მაყურებელთაგან  
კარგად ვერც კი გაიგეს როდის აღმოჩნდა იგი ბეჭებზე.  
„მე სალამი არც კი მქონდა დამთავრებული, მოულოდ-  
ნელად მეძგერაო“, — იმეორებდა გაოგნებული ირანე-  
ლი ფალავანი. „ბატონებო, ერთი ჰკითხეთ, სალამი გაა-  
თვა თუ არაო“, — მიმართა ხიზამბარელმა დამსწრეთ  
და მეტოქისაკენ დაიძრა. მისვლა და კისერში ორივე ხე-  
ლის ჩავლება ერთი იყო. ხიზამბარელმა თავისი საყვარე-  
ლი ფანდის ჩატარება განიზრახა; ეს იყო ზეზეულა კის-  
რული. თანამედროვეებს არ ახსოვდათ მისი ამ ხერხისა-  
გან ვინმეს თავი დაეხსნას. ხიზამბარელმა ელვის სის-  
წრაფით მოხარა ტანი და ეს ამხელა გოლიათი ზურგზე  
შემოიგდო ბატყანივით. სწორედ ამ დროს მაყურებლები-  
დან გამოვარდა ირანელი ფალავნის მხლებელი ბიჭი და  
თავის პატრონს ფეხებზე დაეკიდა. იქნებ ჩემმა სიმძიმემ  
იხსნას დამარცხებისაგანო, მაგრამ გვიან იყო. ხიზამბა-  
რელმა ისეთი სიმძაფრით მოიქნია თავისი მსხვერპლი,  
რომ საშველად მისული მხლებელი შურდულიდან მოწყ-  
ვეტილ ქვასავით შეასკდა მაყურებელს, მეტოქეს კი ნა-  
ხერხზე მოადენინა ზღართანი.

ხიზამბარელმა წამოაყენა ირანელი ფალავანი, მცულებული ხელი ჩატყიდა და საჩუქრების მაგიდასთან მიიყვანა. აღლო ორივე აზერფეშა, ერთი თვითონ დატოვა, მეორე კი დამარცხებულს გადასცა...

გულმოწყალე და აზიზი სულის პატრონი ყოფილ ქსრთველი გოლიათი. დიდი წყენაც კი ჩქარა ავიწყდებოდა; ავს ავით არასოდეს იხდიდა. ერთხელ საკმარდ პრინციპულ შერკინებაზე უხმეს. ერთ ირანელს ჯერ ერევანში დაულაგებია ფალავნები, მერე კი თბილისს სწვევია.

— დავით, შენი იმედი გვაქვა! — უთხრეს და ქალაქის სპორტული ღირსების დაცვა მიანდეს. ისევ ფიქრის გორაზე შეიკრიბნენ ქალაქის სპორტის მოყვარულება.

ირანელმა იმით დაიწყო, რომ მიახლოებისთანავე ისეთი მუშტი უთვავაზა ხიზამბარელს, რომ ამ უკანასაკუნძულის გარდა ვინც არ უნდა ყოფილიყო, ალბათ გონება-დაკარგული დასკვდებოდა მიწას. დავითი კი გაუნდრეულად იდგა და ისეთი დინჭი ხმით მიმართა ხულიგან მოჰიდავეს, იფიქრებდით სუფრასთან. ესაუბრება ძვირფას მეინახესო.

— ბიჭო, კრივში ხომ არ გავსულვართ, რომ იცემები! — მშვიდად მიუგო, მერე ერთბაშად აენთო, ეცა, წარმოიკიდა და მოედნის ერთი კუთხისაკენ წაილო; იქ ქალორლი ეყარა და მასზე დანარცხება დაუპირა. ქართველი კოლიათის ხელებში მომწვდეულმა მეტოქემ წვეტიან ქვებს მოპკრა თვალი თუ არა, გული შეულონდა და თავი ბირს ჩამოკიდა. ხიზამბარელმა დახედა წამხდარ ფალავანს, ფრთხილად დააწვინა რბილ ნახერხზე და თავი შელებელ ბიჭს გასძახა:

— გიგიტო, ერთი ამ ვაჟკაცს წყალი დასხი, გრუნე!

სახელი იყო ხიზამბარელის ცხოვრების მიზანი. მის შეურაცხვოფას არავის აპატიებდა. ერთხელ თოლა გლდანელი (ცნობილი კულა გლდანელის ბიძა) დაჭიდა. მისმა მომხრე გედევანიშვილებმა არ აპატიეს მეტოქის დაჯაბნა და კეტებით სცემეს. გრიგოლ ორბელიანთან იჩივლა; „გალახეამ თქვენი ჭირი წაიღოს, იმას არ ვჩივი, მაგრამ უსამართლოდ სახელის გატეხა მიმძიმს, ათოლას დამჭიდეთ, რომ დავინახო ქვეყანას რა ფალევანიც არისო! ჭიდოობა ხელისხლა დაინიშნა მთაწმინდაზე და ხიზამბარელმა თვით გრიგოლ ორბელიანის წინ. წარმატებით დაიცვა თავისი ღირსება. პირველმა მაინც თოლა გლდანელმა მიულოცა. მაშინევ გაუქრა წყენა ხიზამბარელს და თვითონაც გადაეხვია მეტოქეს.

ეგოისტობისა არაფერი ეცხო. მისებრი ფალევნების გამრავლებას ნატრობდა, ახალგაზრდა მოჭიდავეებში ვაჟკაცური სულის ტანერგვას ცდილობდა. „ახალგაზრდა მოჭიდავეს თუ შეატყობდა ხეირს, განეგბ დადგხანს ათამაშებდა ხოლმე, თითქოს უნდა გაათამამოს და ასწავლოს ხერხებით. ერთი ახალგაზრდა კახელი ეჭიდებოდა ერთხელ, მაგრამ ტანივით გამოვარდნილი ხიზამბარელი რომ დაინახა, შეშინდა და დაწვა, აღარ გეჭიდებიო. „შე ლაჩარო, ვინ ქართველი და ვინ შიშიო... ძიაძახა, — ადე დამეჭიდე, თორემ მოგვლავო!“ წამოაყნა და შეიბნენ, დიღხენს იჭიდავეს. ახალგაზრდას გული მოეცა. ორჯერ მოუნდომა კისრული ხიზამბარელს, მაგრამ ვერ გადაიტანა. ბოლოს დაიძახა ხიზამბარელმა, გაგვაშველეთო, და გააშველეს. „კა / ბიჭი

ყოფილხარ, ცოდვაა „შენი გალაზვაო“, წასჩურჩულა ხოზამბარელმა და გადაპერცნა“ (გაზეთი „ივერია“).

გვიდა ოცი წელი და საჭიდაო არენაზე გამოჩნდა ივანე ყირმელაშვილი, რომელსაც სპორტის მოყვარულები კულა გლდანელად იცნობენ. „უანგარო ხალხი მოაწყდა გუშინწინ გოდორუას ცირკს, რაღაც ჩეენი გამოჩენილი მოჭიდავის გლდანელის ჭიდაობა იყო დანიშნული“ („დროება“)‡ ასეთი ცნობები უნდად იყო გაბნეული. გასული საუკუნის პრესაში. გლდანელი მართლაც ერთ-ერთ პოპულარულ მოჭიდავედ იქცა.

...1909 წლის მაისი იდგა ბაქოში. მილიონერების — ალიევის, დადაშევისა და თაგიევის თავგასულმა ვაჟოშვილებმა ახალი სანახაობის მოწყობა გადაწყვეტეს. ირანიდან იხმეს ცნობილი ფალავანი მურშუდი; სხვა ჰეტოქეებთან ერთად თბილისიდან მოიხმეს კულა გლდანელი. ბაქოში ჩასული გლდანელი გააკვირვა. იმ ზარზეიმმა, რაც მურშუდს მოუწყევეს. გემით მობრძნებულ ირანელს სასულე ორკესტრი და თაიგულებით დამშვენებული დალეგაციები შეასველდეს ნავსაღვურში. გასაგებია, როგორ მოაწყდებოდა ხალხი ცირკის შენობას.

კულამ შენიშნა, რომ სამი მილიონერის სამივე ვაჟიშვილი წინასწარ ზეიმობდნენ თავიანთი ფალავნის ჯამარჯვებას. სამივეს ზედ არენის წინ მოეწყოთ დაბალი ლოჟა და იქ მოერთხათ ფეხი. გლდანელმა შეხედა მათ და რატომღაც მოუნდა გაემეორებინა სამი წლის წინანდელი ამბავი; აი რა მოხდა მაშინ: 1906 წელს კულა ბაქოში ჩავიდა ნიკალა დაბლიშვილთან და გიორგი ოდიშვილთან ერთად. მილიონერ თაგიევის ვაჟ-

ეს ირანელი ფალავანი ხუშტურბეგი მოიწვია კულას-  
თან საჭიდაოდ. მილიონერის ვაჟი, მართალია, დარწმუ-  
ნებული იყო თავისი ფალავნის გამარჯვებაში, მაინც 50  
ოქტომბერი შესთავაზა კულას, ოღონდ კი არ გასძალიანე-  
ბოდა ხუშტურბეგს. კულამ სასტიკი უარი შეუთვალი-  
და მეორე დღეს მტკიცე გადაწყვეტილებით დადგა სა-  
ჭიდაო ხალიჩაზე. ეგ ხუშტურბეგი ისე უნდა გავლახო,  
სიკვდილამდე არ დაავიწყდესო, — უთქვამს მეგობრე--  
ბისათვის.

კულამ შენიშნა, რომ სხვა წარჩინებულ პირებთან  
ერთად ცირკში ბაქოს ქალაქის თვეი თავადი ნაკაშიძეც  
მოსულიყო.

დაიწყო შეხვედრა. ხუშტურბეგმა ხელები ჩასჭიდა  
კულას და ხტუნვა-დაიწყო. ხტუნვა ჭიდაობის დროს ჩვეუ-  
ლებად ჰქონდა ირანელს; კულამ ისარგებლა ამით და  
ხუშტურბეგი ხტუნვა-ხტუნვით ნაკაშიძის სავარძლისაკენ  
წაიყვანა. „რას აკეთებ, კულავ, ხომ არ შეშინდი, ხა-  
ლიჩიდან არ გაიქცე, საქართველო არ შეარცხვინო!“ —  
მოესმა ნაკაშიძის ხმა. „ნუ გეშინიან, კნიაზჯან, შენთან  
მომყავს, ფეხებთან უნდა დავახეთქოო“, — უპასუ-  
ხა კულამ, გააკეთა ჩოქელა კისრული და ხუშტურბეგი  
შართველი თავადის წინ გაშხლართა.

და აი ახლაც გადაწყვიტა ირანელი ფალავანი მურ-  
შუდი ბაქოელი მილიონერების გაქსუებული ვაჟების წინ  
გაეკრა ხალიჩაზე. კულამ აქაც განახორციელა ჩანაფიქ-  
რი, მურშუდი სწორედ მათი მფარველების წინ დაა-  
ლავაშა.

ივანე ყირმელაშვილს ბევრი ისეთი თვისება გააჩ-  
ნდა, რისთვისაც გულწრფელად შეიყვარა იგი ხალხმა;

მაგრამ ამ თვისებებს შორის „განსაკუთრებით აღსაწერა“  
ნავია მისი ქველმოქმედება, გაჭირვებულთაღმი „ზელის  
გაწოდება.“

გაზეთი „დროება“ შემდეგს წერდა 1883 წლის 9  
ივნისს: „საეჭვოდ გალახული ერთიღა დარჩა გლდანელს,  
კახელი გაიოზა და იმასაც გუშინ ააკვრევინა ბეჭები.  
გუშინდელი ჭიდაობაც საქველმოქმედო მიზნით იყო  
გამართული. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ გლდა-  
ნელი ამ ჭიდაობიდან კაპეიკს არ იღებს და მისგან გა-  
ლახულები კი თითო ზურგის დაკვრაში ათ-ათ თუმან  
იღებენ.“ „დროების“ იმავე ნომერში დაიბეჭდა მეორე  
წერილი გლდანელის გამოსვლების შესახებ. გაზეთი ამ-  
ცნობს მკათხველს, თუ შემოსული თანხა (900 მანეთი)  
რა დანიშნულებით განაწილდა. არენის პატრონს წაუ-  
ლია 220 მანეთი, პოლიციას — 64 მ, გლდანელის მეტ  
დამარცხებულ ათამალაშვილს — 100, ჩოხებზე დახატ-  
ულა 9 მანეთი, დანარჩენი თანხა 15 ლარიბ რჯახზე განა-  
წილებულა. თვით გლდანელს კი არაფერი წაულია.  
ქველმოქმედება, როგორც ჩანს, გლდანელის კაცური  
ცხოვრების კანონად იქცა. „მზათა ვარ, — წერდა იუ  
„დროებაში“ 1883 წელს, — ვიჟიდავო, ოლონდ ჩემი  
შნოებით და უნარით საწყლებს და გაჭირვებულებს  
რამე ერგოთ“.

როგორც ჩანს „დროების“ რედაქცია სავსებით ეთა-  
სმებოდა გლდანელს, რამდენადაც მის მიერ ნათქვამის  
დასამტკიცებლად ასეთი შენიშვნა გაუკეთა წერილს:  
„ჩვენ გვაქვს ნამდვილი ცნობები, რომ გლდანელის ჭი-  
დაობით საქველმოქმედო მიზნისათვის ხუთას თუმან-  
ზედ მეტი შეგროვილა ჭერ“. 1884 წელს თითქმის მოვ-

ლი შემოსული თანხა გლდანელს სკოლებისთვის გაიდა-  
უცია. და ბოლოს, რად ლირს თუნდაც ის ფაქტი, მართვა  
გასი შემოსავლის ნაწილი ეგზავნებოდა მოსკოვში სას-  
წავლებლად წასულ ვაჟა-ფშაველას.

გადის კიდევ ოციოდე წელი. მოჭიდავეთა პლეიადა  
სულ უფრო იზრდებოდა. მათს შორის იყო დღეს ცნო-  
ბილი ბევრი ფალავანი, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომ-  
ლებიც რატომლაც შედარებით უცნობნი დარჩნენ ისტო-  
რიისათვის; მათ კი იმდენი გააკეთეს ეროვნული სპორ-  
ტისათვის, რომ ჰეშმარიტად გახსენებისა და დაფასების  
ლირსნი არიან. ასეთ მოჭიდავეთა რიცხვს ეკუთვნის ლა-  
კოდებში გადასახლებული რაჭველი, 900-იანი წლე-  
ბის ფალავანი ალექსი ტაბუცაძე. ამ მოჭიდავის სახე-  
ლი ალბათ უკვალოდ გაქრებოდა, შემთხვევით ლაგო-  
დეხელ მოხუცს მაქსიმე რეხვიაშვილს და ავაკი ბარბაქა-  
ძეს რომ არ შევხვედროდი და არ მოეთხროთ ერთი სა-  
ინტერესო ამბავი ალექსი ტაბუცაძის სპორტული ბიოგ-  
რაფიიდან...

...საოპერაციოდან ფერმიხდილი, ბრგე ბერივაცი  
შემოიყვანეს პალატაში. ჭალარა თმა სიმწრის ოფლს  
დაესველებინა... მხოლოდ შუალამისას მოვიდა გონი.  
თავის სიყრმის მეგობარს მაქსიმე რეხვიაშვილს უხმო.  
დღეს დილით სწორედ მას ეხმარებოდა სახლის მშენებ-  
ლობაზე. სახლის სხვენზე იმხელა მუხის საძალაყინე  
აზიდა, ჩამოსკვლა ვეღარ მოასწრო, პირიდან სისხლმა  
ნაკადულივით იფეთქა. სასწრაფოდ გაუკეთეს ოპერა-  
ცია, მაგრამ ამქვეყნიური პირი აღარ უჩანდა. ძმაკაცი  
სწორედ ამიტომ იხმო.

— მაქსიმე, — დაიწყო ყრუ ხმით ლექსომ, — ვკვდე-

ბი, მაგრამ ჩემი პირველი სიკვდილი უფრო მაქსიმემ  
იყო!

— პირველი სიკვდილი? — გაიკვირვა მაქსიმემ.

— დიახ, პირველად მაშინ მოკვდი, როდესაც ერთ-  
მა, არ ვიტო როგორ გითხრა, ჭიდაობასთან დაკავშირე-  
ბულმა თავზარდამცემმა ამბავმა სამუდამოდ მიმატო-  
ვებინა ჩემთვის სათაყვანებელი სპორტი.

მაქსიმემ ოფლი მოწმინდა ალექსის და სასთუმალი  
შეუსწორა.

— ცნობილი გოლიათი კოსტა მაისურაძე ცოცხა-  
ლი რომ იყოს, — განაგრძო ალექსიმ, — ის უკეთ გა-  
ტყოდა ჩემი ფალავნობის ამბავს; ბევრჯერ გვისინჯია  
ერთმანეთი სარბიელზე, ბევრი ცნობილი მოჭიდავე დავ-  
აბნე. შენ კარგად იცი, უთქმელი კაცი ვიყავი და ჩემ-  
მა მეგობრებმა, მათ შორის შენც, არაფერი იცით ჩემი  
ფალავნობის შესახებ. დიახ, კოლეგებთან ერთად გა-  
ბოვდიოდი არენაზე, მაგრამ ჭიდაობა ჩვენს გაჭირ-  
ებას ვერ შველოდა. ლუკმა პურის ძიებამ პირველი  
მსოფლიო ომის წინ ამერიკაში მომახვედრა. ჩემთან ერ-  
თად ორმოციოდე ალაგირელი რაჭველიც იყო. სამი  
წელი ვიმუშავეთ რკინიგზის მშენებლობაზე, მაგრამ  
ვერც ამ სამოთხედ დახატულ ქვეყანაში ვპოვეთ ბედ-  
ნიერება. დროდადრო პროფესიონალ მოჭიდავეთა შო-  
რის გავერეოდი და ალებული თანხა მიმქონდა თანა-  
სოფლელებთან.

ბოლოს დამთავრდა რკინიგზის მშენებლობა და ერ-  
თხმად გადავწყვიტეთ სამშობლოში დაბრუნება. ჩვენმა  
თავის მოლარემ ინდიგო ლობჟანიძემ აიღო ბილე-

თები ოდესამდე მიმავალ გემზე. იგი ხასიათშამხდარი  
დაბრუნდა.

— ბილეთები ქვე ევილე, — მოუქცია რაჭულად ინ-  
დიგომ, — მაგრამ სამშობლოში ცოცხლად ჩაღწევა არ  
გინდა? გროშიც ალარ დაგვრჩენია, ერთი თვე უჭმელ-  
უსმელები როგორ გავძლებთ?

ტყუილად არ შეშფოთებულა ინდიგო; ფული რომ  
არ გვეშვია, ეს ბილეთები უნდა დაგვებრუნებინა და  
კიდევ კარგახანს დაგრჩენილიყავით ამ ქვეყანაში. სახ-  
ლში ყველას მოელოდა მშობლები, ცოლ-შვილი, საყვა-  
რელი ადამიანები...

გადავწყვიტე მეცადა ბედი. მეგობრებისაგან ფარუ-  
ლად პროფესიონალთა ცირკისაკენ გავეშურე. ზედიზედ  
სამი მოგების შემთხვევაში შემეძლო საკმაო თანხის მი-  
ღება; მაგრამ სწორედ აქ შემხვდა ის, ვინც ერთი წელია  
გულში ნათელ ხატად ჩამესახა და რომლის დანახვა ყო-  
ველდღიურ მოთხოვნილებად გადამექცა. იგი ჩემი ნა-  
ცნობი მოჭიდავის ჯორჯის და იყო. მას ძმასავით ახო-  
ვანი, მაგრამ საოცრად მოხდენილი ტანი ჰქონდა. გადა-  
წყვეტილი მქონდა მისთვის გულის ნადების გამუღავნე-  
ბა და საქართველოში წამოსვლის შეთავაზება.

— ჭიდაობას ხომ არ აპირებთ, ქართველო? — მკი-  
თხა მან.

— ვაპირებ!

— მაშ თქვენ ჯორჯთან მოგიწევთ შებმა!

არ მესიამოვნა ეს ახალი ამბავი.

— მისტერ ალექსი! — ისევ მომმართა მან; ნაზად  
ჩამავლო ხელი და კულისებში გამიყვანა, — მე ვიცი,

ფარულად ჩემს სიყვარულს. ატარებთ გულში, დამისცა  
ტკიცეთ ერთგულება!

მე გავინაბე შემოთავაზებული წინადადების მოლო-  
დინში.

— თქვენ უნდა დამარცხდეთ ჩემს ძმასთან!

ელდა მეცა. ჩემი მეგობრები დამიდგნენ თვალშინ.  
იმ ფულით ხომ ორმოცი გადმოხვეწილი უნდა დაბრუნ-  
დეს სამშობლოში?!

— იმ ფულით ჩემი ძმა დოგის ჭიშის ძალის ყიდ-  
ვას დაპირდა. თქვენი იმედი მაქვს, რაინდო!

საჭიდაო ფორმა ჩავიცვი და ჯორჯის პირისპირ და-  
ვდექი. ლოჟიდან ჩემი ანგელოზი შუაზე მაპობლა თვა-  
ლებით. „არა, / ვერ ვუდალატებ ორმოც ადამიანს,“ —  
ვთქვი და ჯორჯი ქართული მოგვერდით დაბლა გავავო-  
რე. გაგვაშველეს თუ არა, ლოჟისაკენ გავიხედე; ჯორ-  
ჯის და იქ აღარ იყო. დათქმული წესის თანახმად კი-  
დევ ორი ფალავანი უნდა დამემარცხებინა. მეორე ტა-  
ლავანს კისრულით მოვუგრიხე კისერი და მესამე მო-  
წინააღმდეგის მოლოდინში კუთხეში გავჩერდი.

მაყურებელი ტაშით მოაცილებდა შავნილბიან მო-  
ჭიდავეს, რომელსაც გრძელი, მოჭიდავისათვის უჩ-  
ვეულო ხალათი ეცვა. მე მშვიდად ვუცდიდი თუ როდის  
გაიხდიდა ხალათს, მაგრამ ამაოდ. არბიტრმაც ჭიდაო-  
ბის დაწყების ნიშანი მოგვცა. ერთმანეთს ხელი ჩამო-  
ვართვით. უმალ წელში შევუვარდი, პაერში ავიტაცი  
და ვიგრძენი, რომ მოჭიდავის დაკუნთული ტანის მა-  
გივრად ხელში ფაფუკი სხეული შემრჩა. ის იყო უნდა  
დამენარცხებინა, რომ მოწინააღმდეგის ბავერები აჩურ-  
ჩულდა ჩემს ყურთან:



— ჩემო ალექსი, ჩამიკარ, მაგრად ჩამიკარ, ძღვის  
ველირსე შენს ალერსს! —

თვალთ დამიბნელდა. მივხვდი, მცერდს მეტუტა ჭორ-  
ჭის და, რომლის შორიდან დანახვაც კი მაცახცახებდა  
ციებიანივით. არ ვიცოდი რა მექნა. დავიბენი, მაგრამ  
ამ მდგომარეობიდან ისევ ჭორჭის დამ. გამომიყვანა და  
გამომაფხიზლა.

იმ დროს, როდესაც უწერელი სიამოვნებისაგან  
ათრთოლებულმა თვალები მოვლულე, ჩემმა ნაზმა მე-  
ტოქემ უეცრად შეწყვიტა საალერსო ლაპარაკი, ჩემი  
მელავებისაგან თავი გაინთავისუფლა, სარმა გამომდო  
და მთელი ძალით მიბიძგა. უმაღ გონს მოვედი და თა-  
ვი შევიმაგრე. მწარე სინამდვილემ კინალამ მეორედ  
ამასხა თავბრუ. მივხვდი, განაწყენებულ ქალს გადა-  
წყვეტილი ჰქონდა შური ეძია ძმის დამარცხებისათვის  
და ერთდროულად ის სანუკვარი თანხაც ჩაეგდო ხელ-  
ში. მე უფრო იმის შეგნებამ გამანახევრა, რომ ჩემ-  
თვის სათაყვანებელი ქალი იმ დუნია ხალხში აპირებ-  
და ჩემს ცოცხლად დამარხვას, კაცობის შერცხვენასა  
და თავზე ლაფის დასხმას. როგორი საქმეა, თავმომწო-  
ნე მოჭიდავეს სუსტი არსება რომ გაგაკრავს ხალიჩაზე.  
მაგრამ ყველაზე მეტად მაინც იმან დამწყვიტა გული,  
რომ ჩემი დამარცხების მიზნით მან ჩემსავე გულში  
დანთებული წმინდა გრძნობის გამოყენება სცადა. ჭერ  
სხეულის შეხებით დავათრობ, საალერსო სიტყვებით  
ჭონებას დავუბნელებ, მოვაღუნებ, ოცნების ლურჯ  
ეთერში შევაცურებ და ასე გამოთიშული კაცის მო-  
ცელვისათვის ერთი სარმა და ხელების ბიძვი საკმარისი  
იქნება, — ფიქრობდა ალბათ ჩემი გულის რჩეული. ფურ!

ალექსი ცხვირსახოცის დასწელა, ტუჩებზე მომუშავების  
სისხლი მოიწმინდა და განაგრძო:

— გონის მოვედი თუ არა, ვწვდი მის ნიღაბს, შემოვახე  
და თვალებში ჩავხედე. ბოროტებითა და შურისძიების  
გრძნობით იყო ანთებული ერთ დროს ჩემთვის სათა-  
ყვანებელი ორი უძირო ტბა.

— ნუ თუ ძალლის შესაძენ ფულს ჩვენს სიყვარულ-  
ზე მაღლა აყენებ! — ამის თქმა-ლა მოვახერხე მხოლოდ.

ჩემი თეთრი ანგელოზი კი მსაჯისაკენ შეტრიალდა  
და მკაცრად შესძახა:


— უბრძანეთ იჭიდაოს!

მსაჯმა სასტკენს ჩაბერა. მეტოქემ მკლავში ჩამავლო  
ხელი და შეტევაზე გადმოსვლა გადაწყვიტა. გასაგები  
იყო მისი სითამამის მიზეზი. იგი სწორად ფიქრობდა,  
რომ მე არ ვრკადრებდი მასთან ჭიდაობას.

აღარ დავაყოვნე, მისი ხელი უხეშად მოვიცილე და  
სასწრაფოდ მივატოვე არენა. კულისების ფარდასთან  
შევდექი და არენისაკენ მოვიხედე: დამსწრეთა ტაშის  
გრძალში არბიტრმა ზევით აღმართა ქალის მარჯვენა,  
ხოლო ცირკის მსახურმა იქვე გადასცა დათქმული  
თანხა...

ლექსომ სული მოითქვა და ძლივს გასაგონად წაი-  
ურჩულა:

— განა გავძლებდი ასეთ ქვეყანაში? მეორე დღესვე  
შოუელაპარაკეთ გემის კაპიტანს, ათამდე ცეცხლფა-  
რეში და შავი მუშა სჭირდებოდა ჩვენი შრომის სა-  
ფასურად იგი დაგვპირდა დღეში ერთხელ ორმოციე  
ამხანაგის გამოკვებას. ჩამოვედი მშობლიურ ქვეყანაში



და რამდენჯერაც საჭიდაო არენაზე დავდექი, იმულენ-  
ჟერ ის საბედისწერო და წმინდა გრძნობის შემრყვნელი  
შეხვედრა დამიღვა თვალწინ. ეს იყო მიზეზი, რომ ჩქა-  
რა ჭიდაობას საერთოდ თავი დავანებე. ხომ გახსოვთ,  
გიკვირდათ ჩემს მეგობრებს „შენი ჯანის პატრონი კი-  
დევ ბევრ ფალავანს გალახავ, აფსუსია შენთვის ჭიდაო-  
ბის მიტოვებაო“, — მაგრამ მე ჩემი ვთქვი და შევას-  
რულე. აი, ჩემი სპორტული ბიოგრაფიის საიდუმლო  
დასასრული...

ასე დაამთავრა მაქსიმე რეხვიაშვილმა ამბავი ალექსი  
ტაბუცაძის შესახებ, ამბავი, რომელშიც ყველა ძირითადი  
ფაქტი აბსოლუტურ სიმართლეს შეიცავს. საიდუმლო  
დასასრულიო — ასე უთქვამს გულდაჩაგრულ ფალა-  
ვანს; მაგრამ ვინ მოთვლის მასთან ერთად, მანამდე და  
შის შემდეგაც, რამდენი ასეთი ფალავანი დარჩა ისტორი-  
ის მიღმა, რამდენი მათგანის სპორტული ბიოგრაფია  
დარჩა საიდუმლოდ.

XIX საუკუნის პრესაში თუ სხვა მასალებში გაბნე-  
ულია ლარიბი ცნობები ქართველ სპორტსმენებზე,  
რომლებიც თავის დროზე ქმნიდნენ ამინდს ქართული  
სპორტული მოძრაობის პრაქტიკაში, მაგრამ მემატია-  
ნებმა მხოლოდ ორი-სამი სიტყვა დახარჯეს მათზე.  
სამწუხაროდ, მაგალითად, ჩვენ არ ვიცით რა შედეგს  
აღწევდნენ გურული მსროლელები, რომლებიც ღამით  
50 საუკუნე თოფს ესროლნენ ხეზე მიმაგრებულ დანთე-  
ბულ სანთლებს და იშვიათად აცლენდნენ. ერთი გვარიც  
ი არ შემონახულა ამ შესანიშნავი მსროლელებისა. ვინ  
იყო მოჭიდავე ჩიტო, რომელიც 1882 წლის ცნობით  
„პაპების დროს ჭიდაობდა“ და ხიზამბარელზე აღწე-

გაითქვა სახელი? ვინ იყო და რა დონეს ოღწევდაში მოგვიანებული რო მახარესაშვილის ხელოვნება შურდულის ტყორცნაში. „დღემდის ახსოვს ხალხს შესანიშნავი მოშურდული მიტრო მახარესაშვილი, რომელიც სცხოვრობდა და 60—80 წლის წინ“ („დროების“ 1886 წლის ცნობა), ე. ი. 800—იანი წლების პირველ ოცეულში. როგორი ბიოგრაფია პქონდა „თიონელ მოჭიდავეს“, რომელიც „კახეთში, ალავერდობაზე განთქმულ მოჭიდავედ იოვლებოდა“? („დროება“, 1882, № 107), ვინ იყვნენ 1885 წლის 2 მაისს ჩატარებული დოლის გმირები? „თორმეტი წლის აფხაზმა და ცამეტი წლის მეგრელმა იღეს პირველი პრიზები. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა პქონდა: პკოცნილნენ და ხელიდან ხელში გადაჰყავდათ ეს პატარა ბუმბერაზები“, — გვამცნობს „დროება“ და გვარებს არ გვისახელებს. ასე დაუსრულებლად შეიძლება ცნობების მოტანა. იქნებ ზედმეტი თავმდაბლობისა ან პრესის გადატვირთულობის შედეგად ხდებოდა ეს? სხვა გვარად როგორ უნდა აიხსნას შემდეგი ფაქტი: იმ დროს, როდესაც ფრანგმა მოცურავემ მიშელმა პირველად გადასცურა ლა-მანშის სრუტე (32 კმ), საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, აშშ-ს და სხვა დიდი ქვეყნების პრესამ ყურისწამლები ხმაური ატენა საუკუნის ამ სენსაციაზე. 32 კილომეტრი მიშელმა 22 საათში გაცურა. იმავე პერიოდში კი ქართველმა მოცურავემ მემედ ბედიამ თითქმის იმავე დროში გადაცურა მანძილი ბათუმიდან ცოთამდე (53 კმ); ისიც არ დავივიწყოთ, რომ თუ მოშელს თან მისდევდა მაშველი კატერი, გზადაგზა ასმეენენ მსუყე სასმელებს, და ამდენად იგი ფიზიურად და ფსიქოლოგიურად მომზადებული იყო, მემედ ბედია მი-

ცურულდა მარტოდმარტო, დღეს მიშელს მსოფლიო  
იცნობს, ბედიას გვარი კა მაშინ ერთხელ ახსენა ბათუმისა,  
გაზეთმა და ამით დამთავრდა ყველაფერი.

ქართული სპორტის განვითარებაში მთელი ეპოქა  
შექმნეს რევოლუციამდელმა ფალავნებმა. ის ლარიბი  
ცნობებიც კი, რაც მათზე მოგვეპოვება, მათს გამოსვ-  
ლებთან დაკავშირებული პერიპეტიკები მთელ მოთხრო-  
ბად ლირს. განა მწერლის თემა არ არის გორელი ძმების  
იაკობ, ზაქარია, მიხაელ, იასე და კიკა ეგნატაშვილების  
სპორტული ბიოგრაფია? ხუთივე ძმა, შემდეგ მათი შვი-  
ლები ერთგულად ცემსახურებოდნენ ჩვენში ჭიდაობის  
ჩელოვნების განვითარებას. მათს ოჯახში ზაიკინისა და  
კახტუროვის ლირსეული მეტოქე აღიზარდა. ეს იყო ია-  
კობის ვაჟი ალექსანდრე; ქართველ მოჭიდავეთა ელიტას  
მთის მდინარესავით შეერთო დასავლეთ საქართველოს  
მკვიდრი ნესტორ ესებუა, რომელმაც ლირსეული მეტო-  
ქეობა გაუწია სახელოვან კულა გლდანელს. საჭიდაო  
არენა ბრძოლის ველს ემსგავსებოდა, როცა თედო დი-  
დლილოელი (ავალიშვილი) დაუტრიალდებოდა მეტო-  
ქეს; ძალის; გამბედაობის, პირდაპირობის, გაუტეხელო-  
ბის, სიკეთისა და კაცურყაცობის სიმბოლოდ დარჩა  
სწორუპოვარი გოლიათის სანდრო კანდელაკის ლეგენ-  
დარული სახელი; ქიზიყელი ივანე აბულაძე კამბეჩუას  
ფსევდონიმით მონათლა ხალხმა. იგი ხომ არაადამიანუ-  
რი ძალით გამოირჩეოდა. 12-ჯერ გახდა რუსეთის იმპე-  
რიის ჩემპიონიქვე მოიარა მსოფლიოს ორმოცდაათამდე  
დიდი ქვეყანა და მხოლოდ ამ ქვეყნების ჩემპიონებს იწ-  
ვევდა. იგი 50 გამარჯვებით-დაბრუნდა სამშობლოში;  
კოსტა მაისურაძის ზღაპრულ ძალაზე კი თვალნათლივ

მეტყველებს ონის მუზეუმში დაცული რეინის სქელი  
ძალაყინი, რომელიც მკლავზე დაუგრეხია ქართველ  
გოლიათს; ამ რეინის შემხედვარეთ იღარ გაუკვირდებათ,  
თუ რატომ ყრიდნენ ფარ-ხმალს მაისურაძის წინაშე ცნო-  
ბილი ფალავნებიც კი; შაშო ვერელის (კახნიაშვილის)  
მუხლი კლდესაც გაანგრევსო, ამბობდნენ მისი ჭიდაო-  
ბით გაოცებული მაყურებლები, მისი ძმა გიორგი (პატა-  
რა ვერელი) კი თავისი გულადობით ხიბლავდა მაყურებ-  
ლს. ერთხელ იგი გოლიათ კანდელაქსაც კი არ შეეპუა;  
ალბათ ჰერქულესი ასეთი იქნებოდაო, ამბობდა ხალხი  
ზესტაფონის მკვიდრის მიშიკო ციმაკურიძე-მაჩაბელის  
შიშველი ტანის დანახვაზე; გარეკახეთიდან ილიკო ქურ-  
ხული და იოსებ გეთიაშვილი შემოუერთდნენ თბილი-  
სელ გიგანტებს, რაჭიდან-ქვათაძე და ღოლაძე, ვინ მო-  
თვლის კიდევ რამდენ მოჭიდავეს შეჰქონდა თავისი  
მოყრძალებული წვლილი სახელმწიფოსაგან მიერწყე-  
ბული ქართული სპორტის განვითარებაში.

საჭიდაო არენები სოფლების ცენტრალური ნაწილის  
დამაშვენებელ ნაგებობად იქცა, ქალაქებშიც მათთვის  
შედარებით ხალხმრავალი ადგილები შეირჩეოდა ხოლ-  
მე. ჩვენს დედაქალაქსაც ბევრი არენა ამშვენებდა, რო-  
მელთაგანაც ხალხმრავლობით გამოირჩეოდა არენები  
ფიქრის გორაზე, მთაწმინდაზე, ვერის სასაფლაოზე (ახ-  
ლანდელი კიროვის სახ. პარკი) და სხვაგან. შემდეგ კერ-  
ძო ინიციატივის წყალობით ეს არენები გადახურეს, რამდენიმე ასეული კაცის დასაჯდომი ადგილიც მოაწყ-  
ეს და ცირკებად თუ „კრუგებად“ მონათლეს. ცნობილი  
იყო არენები „იტალიის ბაღში (ახლანდელ ტრამვაელე-  
ბის სახლთან), ელისაბედის (ახლანდელი კლარა ცეტ-

յინის) ქუჩაზე, დიდუბის ეკლესიასთან, ნაძალადევში, უდადოვის ტყესთან, მახათას კალთებზე, ეფიმოვის, ესიკოვსკის, ნიკიტინისა და ტრუცის ცირკები გოლოვინის პროსპექტსა და ელბაქიძის დარმართის ტერიტორიაზე. ქართველ ფალავანთა მაღალმა ოსტატობამ ჭიდაობა ნომერ პირველ სანახობად აქცია ჩვენში. იყო მომენტები, როცა ცირკში მოხვედრა მსურველთა დიდი ნაწილისათვის აუსრულებელ ოცნებად რჩებოდა. „გუშინ, — ვკითხულობთ, მაგალითად, „დროების“ ერთ კორესპონდენციაში, — კვირა საღამოს, დიდუბეში დანიშნული იყო ჭიდაობა. ორი მოჭიდავე გამოჩნდა, რომელთაც გლდანელთან შებმის სურვილი განაცხადდეს: ერთი ვიღაც ავლაბრელი სომეხი და მეორეც თათარი. მაგრამ იმდენი ხალხი მოაწყდა საჭიდაო ალაგს (ათიათასზე მეტი იქნებოდა) და ისეთი უწესრიგობა და უთარობა იყო, რომ წრის გაკეთება ვერ მოხერხდა, ყოველის მხრით აწვებოდნენ, იშლებოდნენ, ისე რომ მოიავენი იძულებული იყვნენ თავიანთი ფალავნები წაეყვანათ და ამნაირად ჭიდაობა ვერ მოხერხდა“.

ბურუუა და საქმოსანი, ცხალია, ასეთ სიტუაციას ხელიდან არ გაუშვებდა. და აი, გამოჩნდნენ თბილისში ჭიდაობით მოვაჭრენი, რომლებიც ტყავს აძრობდნენ საცოდავ სპორტის მოყვარულებს. „ჭიდაობის წინააღმდევ მე ენას ვერ დავძრავ, — აღშფოთებით წერს „დროების“ ერთი კორესპონდენტი, — რადგან ის ბევრნაირად სასარგებლოა ხალხისათვის, მაგრამ ყველა პატიოსანი კაცის მოვალეობაა ხმა აღიმაღლოს იმ გაქნილი პირების წინააღმდეგ, რომელთაც ეს ხალხის უმანქო დროს გატარება ხალხის საყვლეფ საგნად აქციეს. როდესაც ჭიდაობამ ისე

გიგინდა ხალხი, რომ მთელი ქალაქი აქ ცაშრებოდა და  
უაშლილ მინდორზედ ხალხის შემავრება ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა, მაშინ თქვენივე გაზეთის საკვირაო მეცნელებრივებამ წინადადება მისცა ერთს საღმე ცარიელ-ლაგზედ ფიცრული შემოევლოთ, ხალხიც შეტს სიამოენებას ჰნახავს და ზოგიერთს ჩვენს საზოგადო საქმეებსაც შემწეობას მისცემათ. ამას ყური მოპერა ერთმა გაიძეება სამჭრაქამ და მინამ ჩვენა ვფიქრობდით, იმან კიდეც აახუსულავა რაღაც ფიცრული „იტალიის“ ბალჩის ბოლოში. ეს ფიცრული სულ სამ თუმნადაც არ დაუჭდებოდა, მაგრამ ჭიდაობის წყალობით აქამდე სამას თუმნამდე ჯიბეში ჩაილაგა... ეს ღობემძვრალა სულიერი იქამდინ უნამუსოა, რომ მაშინაც, როდესაც ჭიდაობა საქველ-მოქმედო მიზნით იმართება, არამც თუ ამ შემორიბილ ადგილს მუქთად არ უთმობს, არამედ ისეთს უსინდისო ფასს ადებს, რომ ხანდისხან მთელი შემოსავალი იმას უნდება“.

მაგრამ იყო ხალხური სპორტის ერთი მეტად პოპულარული და მასობრივი სახეობა, რომელიც ვერცერთმა „ღობემძვრალა სამჭრაქამ“ ვერ დაუმორჩილა თავის ანგარებიან ინტერესებს. ეს იყო კრივი, ქართული მუშ-ტიკრივი. საოცარი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ნამდვილ ვაჟკაცთა ეს სახეობა. მისი სიძველის უტყუარი საბუთებიდან ერთი სწორედ ახლახან დანის ნაქალაქარის გათხრების დროს აღმოაჩინეს: აქ მიაკეთება ქართული კრივის ხელთათმანის ზუსტ მოდელს, რომელიც თაბაშირისაგან იყო დამზადებული. ქართულ კრივზე საკმაოდ მდიდარი მასალები არსებობს, მასზე მრავლადაა გაბნეული ცნობები გასული საუკუნის ქარ-

თულ პრესაში, ამჟამად კრივი ბევრ მემფისულ და მემფისულ  
წერტილი ლიტერატურაში ფიგურირებს; მდევნად, ამ  
ძეცნიერულ მასალებში ჩაღრმავებას ისა სჯობს გავითვა-  
ლისწინოთ მათში გამოყენებული ისტორიული ფაქტები  
და ჩვენი ფანტაზიას დახმარებით გავისეირნოთ ძევლი  
თბილისის ერთ-ერთ უბანში, გამოვისხვათ გასული საუ-  
კუნის მაყურებლის თვალი და ყურა და კრივში გამარ-  
თულ რომელიმე ცხარე შერკინების მოწმე გავხდეთ...

...ერთი კვირის წინ აღდგომა იდლესასწაული თბი-  
ლისმა. აღდგომის სწორის, კვირაცხოვლობის, ანუ ახალი  
კვირის დადგომის წინ დიდმა თავადმა ყაფლან ორბე-  
ლიანმა უხმო თბილისური კრივის მოთავეებს.

— ჩემი გახსენება აღმართ არ დაგჭირდებათ, — მი-  
მართა თავადმა დიდ დარბაზში მოქალათებულ ყარაჩო-  
ლელებს, — ხვალ ახალკვირაა და დიდი კრივის გამართ-  
ვას მოელის თქვენგან ხალხი. ქვემო უბანს არასოდეს  
შეურცხვენია თავი. აპარებთ თუ არა ზემოუბნელებთან  
შებმას. რას გვიტყვი, ცაცალ?

ცაცალამ, ძველ კრივებში სახელმოხვეჭილმა ვეტე-  
რანმა, თავი დაუკრა ბატონს და ჩვეული სიღინგით მოხ-  
სენა:

— კრივის სამზადასს კარგა ხანია შეცუდეჭით, ბა-  
ტონი!

— რომელი უბნები გამოვლენ? — იქითხა ყაფლანმა.

— ყველა, რომლებიც კი სიონ-ფეთხაინის აქეთ მდე-  
ბარეობენ, — უბასუხა ცაცალამ, — მაიდანი, სეიდაბადი,  
ხართუხი, ავლაბრის სამხრეთი კიდე, შევი სოფელი.

— იმათ რომელი უბნები გამოჰყავთ? — ისევ იქითხა  
ყაფლანმა.

— ზემო ავლაბარი, ჩუღურეთი, კუკია, გარეთ უშპანდა, ვერა და მთაწმინდა.

ვერელების სსენება არ ეჭამნიკა ყაფლანს. ამ უბნის მოქრივეები საოცარი მოქნილობით, სისწრაფითა და დარტყმის ძალით გამოირჩეოდნენ.

— ვერელი შიბაია თუ იქნება? — იყითხა ყაფლანმა დუმილის შემდეგ.

ცაცალა მიხვდა რაც აწუხებდა ქვემოუბნელ მოქრივეთა მეცენატს. შარშან მარტო ერთმა შიბაიამ ათამდე ქვემოუბნელი გალახა და ბრძოლით გაიტანა სვრელი მეტოქეთა რიგებში.

— ჩემმა ბიჭებმა გუშინ ამბავი მოიტანეს. ჯერ არავინ იცის ზემოუბნელები გამოიყვანენ თუ არა შიბაიას, ალბათ გამოვლენ ეშტრია კუკიელი, პანტაკუშაია, მთაწმინდელი შეჩექმე ცხრაფეხანთ სტეპუშა, იაგორა დურგალი, ქაჩალ სტეფანე, ლორ-კოლა, გამხდარი სიმონა გოცირიძე, არჩილ მუხრანბატონის ფალავანი ჭონი კვინიხა, ჩუღურეთელი თეთრახალუხა, მთაწმინდელი კომგუა, გეგმიხავა, ასასი ბუჟუშა, კუკიელი ვირიცოხნაშვილი, დანგრ სოლომონიშვილი...

— ჩვენ ვიღას ვუპირისპირებთ? — კითხვით შეაჩერა ყაფლანმა, — შარშანდელივით არ შეშარცხევინოთ.

— ჩვენც კარგი ბიჭები დაგვიმშეენებენ მხარს. იყრივებენ ლოხოშა ავლაბრელი, სირქია კოლა, ბატია, ვანო წავკისელი, ლეპენძაანთ ავეტიკა ლენჩიშვილი, წითელფუფაიკა კოლა, მეჩანგლე ლოპიანა — ჩვენი გრიგოლორბელიანის ფალავანი, თოქშაჩი გულზა, გიუჟა — ბებუთოვის ფალავანი, ბოშ-ოჭანეზა, განჯელი ალია, ფარქასტუ კოლა, ქარაფ-ქონდალა — კლდის მნგრეველი...

— გასაგებია! — ჩაილაპარაკა ყაფლანმა, — საერთო  
თოდ არ დაგავიწყდეთ, რომ ხალხი ქვემოუბნელ მოკრი-  
ვეებზე უკვე დამცინავ ლექსებს თხზავს. აი ინებეთ ერთი  
მათგანი:

„ავლაბრეცი — ტრაბახეცი,  
უმარხფეცი, ღიფვერქსეცი,  
ვერელეცი — ყოჩალეცი,  
ხარფუხეცი — მუშტიხფეცი.“

იცით, ეს ჩიქორთული სომხური ქართულად რას ნიშ-  
ნავს? „ავლაბრელი მოკრივეები ტრაბახა ხალხია, ვისაც  
კი დავარტყი, ყველა წავაქციე, ვერელები ყოჩალები  
არიან, ხარფუხელებნ კი მუშტი შემოვკარ და ძირს დავა-  
ბერტყე“.

მოკრივეთა თავკაცები თავადს დაემშვიდობნენ. ქა-  
რებთან მისულებს ორბელიანმა სიტყვა დაადევნა:

— უთხარით ლოპიანას, გრიგოლი კარგ ჩოხას ჰპირ-  
დება, თუ ხვალ გვასახელებს. მეც გადანახული მაქეს  
კარგი საჩუქარი ხვალინდელი ფალავნებისათვის.

ახალკვირა გათენდა თუ არა, ხალხმა არსენალის გო-  
რაზე, ჭირიანთხევის პირას იწყო თავმოყრა. ასობით  
თავადი თუ გლეხი, ვაჭარი თუ ხელოსანი, მოხუცი თუ  
ახალგაზრდა, კოპტიად გამოწყობილი მანდილოსნები,  
ბავშვები მახათას ფერდობზე მოკალათდნენ. მაყურე-  
ბელთა შორის თეთრ მუნდირებში გამოწყობილი, წელზე  
სმალგადაკიდებული პოლიციელები დაალაჯებდნენ. გა-  
საგები იყო მეფის მთავრობის წესრიგის დამცველთა  
სიმრავლე და სიფხიზლე. ასეთი ხალხმრავლობა პოლი-  
ტიკური თვალსაზრისით არ იყო მათთვის ხელსაყრელი.

არენაზე ჯერ ბავშვებმა დაიკავეს ადგილი. ორი გუნდი ერთმანეთისაკენ დაიძრა. პატაწა მუშტებმა გაიელვა ჰაერში. ნორჩი მოკრივები ერთმანეთში აირივნენ, კარგა ხანს ურტყეს ერთმანეთს გულმკერდსა და თავ-პირში, მერე უფროსები ჩაერივნენ და გააშველეს. ბავშვთა კრივმა უხითათოდ ჩაიარა; დიდ ემოციურ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მან მაინც შეასრულა თავისი დანიშნულება — გულები აუფორიაქა და ცეცხლი შეუწო საბრძოლველად გამზადებულ უფროსებს.

კრივის ტრადიციული წესის თანახმად, ბავშვების შემდეგ ჭაბუკები უნდა გამოსულიყვნენ. ისინი უნდა შეეცვალა უცოლო ახალგაზრდებს და ასე შემდეგ, მაგრამ კრივის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს დრო მოეგოთ და ბავშვების შემდეგ პირდაპირ უფროსები დადგნენ საბრძოლო პოლიგონზე.

მაყურებელი ესალმებოდა და ამხნევებდა თავის რჩეულებს.

- სირქი, აბა შენ იცი, დაგვინაყე ზემოუბნელები!
- ეშტრი, შენი მუშტის იმედი გვაქვს!
- აფსუს, საღა ხარ, შიბაია, გაგვიჭირდება უშენოდ!
- პანტაკუშაია ნაკლები არ არის, ეგეც გვასახელებს! — ისმოდა აქეთ-იქიდან.

დაიწყო კრივი, ამუშავდა ფუთიანი მუშტები, დარტყმის ეხო ქუხილივით ირეკლებოდა მახათას კალთებიდან. პირველ ხანებში თითომ თითო მოკრივე შეირჩია და მასთან გამოსცადა მკლავის ძალა. მართალია, თითო თითოს ებრძოდა, მაგრამ მომენტს მონახავდნენ თუ არა, გვერდზე მდგარ შეტოქესაც უთავაზებდნენ ხოლმე, საერთოდ კი ორივე გუნდი გაფაციცებით ადევნებდა თვალს.

მეტოქე გუნდის მოკრივეთა მოქმედებას, რათა რომელი მათგანი ბრძოლით არ გასულიყო ბრძოლის ველის ღოლოში. ეს გუნდის დამარცხების მომასწავებელი იქნებოდა.

აი, ქარაფქონდოლამ ყბაში შემოჰკრა მთაწმინდელ მოკრივეს და ძირს დასცა, მერე მეორეს ეცა, მართლაც თითქოს კლდეს ანგრევსო, ისე აძგერა მუშტი მკერდში, ვერც მესამეშ გაუძლო მის მუშტებს. შეშფოთდნენ ზემოუბნელები, კიდევ რამოდენიმე ათეული ნაბიჭიც და ქვეშოუბნელთა ფალავანი ბოლომდე გაიტანდა ლელოს. უცებ მის წინ მუხრანბატონის ფალავანი ჭონი კვინინა ალიმართა. ქარაფქონდოლა წამით შეკრთა და შეჩერდა, მაგრამ შემდეგ ჯიქურ დაიძრა კვინინასაცენ. ამ უკანასკნელმა ისარგებლა მეტოქის გაუფრთხილებლობით, ნაბიჭი უკან გადადგა, მერე მთელი სიმძიმე წინა ფეხზე გაუაიტანა, ულვის სისწრაფით მოიქნია უროსმაგვარი მკლავ-მუშტი და კლდისმტვრეველი მეტოქე ბრძოლიდან გამოთიშა.

თუ აქეთ ზემოუბნელმა მოკრივემ იმარჯვა, მეორე მხარეს მეჩანგლე ლოპიანა ბობოქრობდა. მას ხელში ჩაეგდო ერთი კუკიელი მოკრივე და ისე ათამაშებდა, როგორც კატა თაგვს. მოკიდებდა ჩოხის საკინძეში მარცხენა ხელს, თავისკენ მოზიდავდა და მარჯვენით ისეთ ალიურს აქმევდა, მეტოქე მოცელილივით გადაწვევბოდა მარცხენა მხარეს, ახლა მარცხენიდან შემოჰკრავდა მუშტს და ასე „შეასწორებდა“ ხოლმე.

მოკრივეთა გუნდების შუაგულში ერთი კაფანდარა, ცევიტი მოკრიცე ტრიალებდა ციბრუტივით. მიუახლოებოდა მოწინააღმდეგეს, შემოჰკრავდა, შედეგ სწრაფად

უკან დაიხევდა და ისეთ ტაშისცემას ასტეხდა, გეგმები  
ბოლათ ლეკურის მოცეკვავებს აგულიანებსო.

— რას სჩადის ეს ყძაწვილი? — იკითხა ერთმა მან-  
დილოსანმა.

— ეგ გორელი მოკრივე გახლავთ, ქალბატონო, —  
განმარტა იქვე მდგომმა ყარაჩოლელმა, — გორში წესად  
აქვთ კრივის დროს ტაშის დაკვრა.

ამასობაში ქვემოუბნელებმა თანდათან მოიკრიბეს ძა-  
ლა, გულდაგულ შეუტიეს ზემოუბნელებს, შეავიწროვეს  
ისინი და ჭირიანთხევის სახიფათო ქარაფებისაკენ უქნეს  
პირი.

— გამაგრდით, ზემოუბნელებო, მეც თქვენთანა ვარ! —  
მოისმა ვიღაცის ხმა. მახათის სერზე ვერელი შიბაია მოჰ-  
ქროდა. ბორჯომში ყოფილიყო ტივების დასაცურებლად  
და ამიტომ დაპგვიანებოდა. სასწრაფოდ მოვარდა. ყო-  
ველდღიურად სახმარი ჩოხა გაიხადა და აქლემის ყელის-  
ფერი, გაშძლე მატერიისაგან შეკერილი ჩოხა გადაიცვა,  
შარვალი ჩექმებში ჩაიტანა, ჩოხის კალთები და სახელო-  
ები აიკეცა და ბრძოლაში გადაეშვა. გრიგალის მოვარდ-  
ნას გავდა მისი მუშტების ტრიალი, მისი შემხედვარენი  
სხვებიც გამხნევდნენ; მიაწვნენ ქვემოუბნელებს და ქა-  
რაფისაკენ დასძრეს.

— გენაცვა, შიბაი, დასცხე მაგათ! გახსოვს რა გვიყ-  
ვეს შარშანწინ, თაგვებივით გადაგვყარეს კლდეზე! —  
შესძახა გათამაშებულმა პანტაკუშაიამ.

ახსოვს შიბაიას ორი წლის წინანდელი ამბავი. გახუ-  
რებულმა ავლაბრელმა მოკრივებმა ვერ შეაკავეს აფო-  
რიაქებული ნერვები, მიაწვნენ მცირერიცხოვან ვერე-  
ლებს, და მიუხედავად მათი ყვირილისა — „გნებდებით,

თქვენია გამარჯვება, „შევწყვიტოთ ბრძოლაო“, — კი მათგანს ჭირიანთხევის ქარაფზე გადაუძინეს. შიბაია მაშინ იქ არ იყო, მისი უმცროსი ძმა მონაწილეობდა და სასიკვდილოდ დაშავდა, ვერაფერი უშველეს თავგაჩე-ნილ ახალგაზრდას. სწორედ ამიტომ მოითხოვდა შიბაიას-აგან სამაგიეროს გადახდას მისი თანამებრძოლი.

შიბაიამ უფრო აამოქმედა მუშტები და სულ ჩქარა  
ლელოც გაიტანა. სხვა ზემოუბნელებიც მოაწვნენ მეტო-  
ქეს და ზედ ხევის პირს მირეკეს.

— გეყო, შიბაი, დღეს თქვენია გამარჯვება, —  
მოესმა ვერელ ფალავანს ლოპიანას ხმა.

— ნუთუ შურს არ იძიებ ძმის სიკვდილისათვის, —  
შესძახა პანტაკუშაიაშ, მაგრამ მუდამ ღარბაისელმა,  
შორსმჭვრეტელმა და რაინდული სულის პატრონმა ში-  
ბაიამ სხვა გადაწყვეტილება მიიღო; მან აღმართა ხელი  
და შესძახა თანამებრძოლებს:

— გეყოფათ, ბიჭებო, დაუშვით მუშტები! მომილო-  
ცია გამარჯვება!

მოკრივები გაშველდნენ. მივიღნენ ნაკადულთან და დალილავებული ადგილები დაიამეს. ლოპიანას, წარბი გახეთქოდა და ზედ დასველებულ ბალდადს იღებდა. იგი შიბაიას მიუახლოვდა და უთხრა:

— ჩვენ მაინც ძმები ვართ, შიბაი! დღეს მწუხრის ეამს ორთაჭალის ბალში გელოდებით, შენ და შენს ბიჭებს, დავლოცოთ ჩვენი ობილისი და საქართველო!

შიბაიაშ ხელი მოხვია სახელგანთქმულ მოკრივეს,  
მკერდში ჩაიკრა და გადაჰკოცნა.

ასე ჩატარდა კრივი ძველ თბილისში. ახალკავირიდან

მოყოლებული იგი იმართებოდა ყოველ კვირას გვიან შე-  
მოდგომამდე.

კრივი საქართველოს სხვა ქალაქების ხელოსანთა  
საყვარელი ვარჯიშობა იყო. გორში, მაგალითად, ასევე  
ზემო და ქვემოუბნელები ედგნენ კრიჭაში ერთმანეთს.  
აქაც ხშირი იყო უბედური შემთხვევები. 1886 წლის ოქ-  
ბერვალს ერთ-ერთი კრივის დროს ორი კაცი დაშავდა,  
„საეჭვო არის მათი მორჩენაო“, აუწყებდა „დროება“  
მკითხველს. თელავიც ორ უბნად იყოფოდა: რიყის გა-  
ლმა და გამოლმა მხარედ. აქ „ბრძოლა გრძელდება ორი  
ანუ სამი საათი და გათავდება მხოლოდ დაბნელების  
მიზეზით, ისიც მაშინ, როდესაც ერთი პარტია მოკრივე  
ველარ გაარჩევს თავის მოწინააღმდეგებს და იმის ნაცვლად  
თავის მომხრეს უთავაზებს მაგარ მუშტებსა“ („დროება“).

კრივი, როგორც ჩანს, უმთავრესად ქალაქის მცხოვ-  
რებლების, კერძოდ, ხელოსნების ვარჯიშობას წარმოად-  
გენდა. ქართველი გლეხი კაცი ვერა და ვერ შეეგუა მას.  
ეს გარემოება ნათლად გამოსჭვივის ქართული კარნავა-  
ლის — ჟენობის მაგალითითაც. ყენობა, როგორც  
წესი, თავის პროგრამაში რთავდა კრივსაც, მაგრამ როცა  
ყენობა სოფლად ტარდებოდა, კრივს ჭიდაობა ენაცვლე-  
ბოდა. დაგვჭირდება ცოტაოდენი მოთმინება და ზოგიერ-  
თი დამაჯერებელი ფაქტის გადათვალიერება იმის დასამ-  
ტკიცებლად, რომ გასულ საუკუნეში ქართველი გლეხი,  
რომელსაც შეერთებული ძალით უტევდა თავად-აზნაუ-  
რობა და ჩარჩ-ვაჭრობა, კრივისათვის ველარ იცლიდა.  
სწორედ ამაში გამოიხატებოდა სოციალური უკულმარ-  
თობის ზრდის მომაკვდინებელი გავლენა ქართველი  
ულეხის ყოფა-ცხოვრების ნირჩე. ჭერ ქალაქ ადგილებში

ჩატარებული ყევნობის ანგარიშების ნაწყვეტები ვნა-  
ხოა: „მოგროვილი ფულით ქეიფს შეუყვებიან. შებინ-  
ღებისას კრივს გამართავენ“ (გორი, ლიტ. მატიანე, 1940,  
№ 1-2, გვ. 32), „შეიქნა ჯერ შურდულებით ქვის სროლა,  
მერც კი ხელდახელ ჩაერივნენ კრივში. ზოგი მუშტით  
იბრძოდა, ზოგი ხის ხმლებით. ბევრს ცხვირი გაუტყდა,  
ბევრს თავი, ბოლოს მაინც ნარიყალელებმა დაიფრინეს  
ყევნის გუნდი“ (თბილისი. ჟურნ. „კვალი“, 1893, № 6,  
გვ. 8), „შემდეგ ეს გროვა (იგულისხმება ყევნობის მონა-  
წილები, ა. ც.) თავისი ალამით კრივში მიდის, რომელიც  
ამ დღეს დიდი სიფიცხით ტარდება, მასში მრავალი მოკ-  
რივე მონაწილეობს“ (თბილისი, „კავკაზი“, 1846, № 6),  
„სადილს უკან ყევნები თავიანთი ჯარით ერთმანეთს დაე-  
ტაკნენ, გაჩაღდა კრივი“ (თბილისი. „ივერია“, 1889,  
№ 50), „ყველიერში საშინელი კრივები იცის, მთელი  
გორი ფეხზე იდგა. აქ იყვნენ საცქერლად მთელი რედაქ-  
ციის წევრები, ილია, მეველე, გიგო, საშა და სხვა“  
("ლიტ. მატიანე" 1940 წ. 1-2).

ახლა ვნახოთ სოფელ ადგილებში ჩატარებული ყევ-  
ნობა შეიცავს თუ არა კრივს და ამ უკანასკნელს ცვლის  
თუ არა ჭიდაობა: „სადილობის დროს ორივე კაცის ყევ-  
ნები შეიყარნენ ერთად და გამართეს ერთს ველზე კარგი  
ჭიდაობა“ (კასპი. „დროება“, 1867, № 22), „ერთი კუთხის  
ხალხი მეორე კუთხის ხალხს ეჭიდავება“ (ს. კაკაბეთი,  
ს. ტერიანის ჩანაწერებიდან), „ორივე ყევნი შუა წყალ-  
ში თავის ფალავნებს შეგზავნიან. წამქცევი მხარის ყევ-  
ნი დამარცხებულად ითვლება და მას წყალში ჩააგდებენ“  
(რ. ერიცოვი, ჩანაწერები, 1855, გვ. 143), „ერთი მხარე  
ყევნისაკენ იყო, მეორე ახალგაზრდა მეამბოხისაკენ. დაი-

ჭიდებოდნენ ყევენი და მეამბოხე. ჭიდაობის დროს ხალხი  
 ში დიდი შეხლა-შემოხლა იყო... ბოლოს მაინც საქმე  
 ქეიფით დამთავრდა“ (ს. ჩალაური, თეატრ. მუზ. ხელნაშვ.,  
 № 38), „წინ და წინ ჩამოატარებენ ლვინოს და არაყს და  
 მერე ყევენები იჭიდავებდნენ“ (იქვე), „იქ ერთი ყევენი  
 თავის ხალხს აპკურებდა წყალს, მეორე — თავისას. მე-  
 რე ყევენები იჭიდავებდნენ“ (იქვე), „გაიმართებოდა ომი,  
 ერთი ყევენი დაეჭიდებოდა მეორეს. რომელიც წააქ-  
 ცევდა, ის მხარე გამარჯვებული იყო. თუ ვერც ერთი  
 ვერ წააქცევდა, მემრე მეალმეები იჭიდავებდნენ. რომელი  
 მეალმეც წააქცევდა, წაქცეულის ალამს ის წაიღებდა.  
 მეალმეების შემდეგ ხალხი ჭიდაობდა“ (80 წლის ალ. იმ-  
 ბარდანაშვილის ნაამბობიდან).

იმ კუთხეებში, სადაც ჭიდაობა არ იყო დანერგილი,  
 სპორტის სხვა სახეები იყო ჩართული ყევენობის პრო-  
 გრამაში. მაგალითად, „ივერიის“ 1898 წლის ცნობით  
 (№ 33) სტეფანწმინდაში კრივისა და ჭიდაობის ნაცვლად  
 იმართებოდა ყევენების ცეკვა-თამაში. ხევში ყევენობის  
 დროს არა თუ კრივი და ჩხეუბი, „უმძრახებსაც შეარი-  
 გებდნენ, ჩხეუბის თავიდან ასაცილებლად“ (ს. მაკალათია,  
 ხევი, 1934, გვ. 190), სამეგრელოში მალანურობის დღე-  
 სასწაულზე, რაც ყევენობის მეგრული ვარიანტია, კრივისა  
 და ჭიდაობის ნაცვლად იმართებოდა შეჯიბრება ჯოხის  
 გადაძლევაში.

საინტერესოა, რომ მუშტიკრივის მიმართ გასულ  
 საუკუნეში სხვადასხვა აზრი არსებობდა; ჩვენი მოღვა-  
 წეების ერთი ნაწილი უარყოფდა მას („განაცხვირ-პირის  
 ლეწვის გარეშე ჩვენს ხალხს სხვა გასართობი თამაშები  
 არა აქვს? როგორ არა, მაგრამ არ ვიცი ამ ცხვირ-პირის“)

ლეწვას უფრო რად მისდევენ“ („დროება“, 1881, № 42), მეორე ნაწილს შესაძლებლად მიაჩნდა კრივის გამოყენება მოსახლეობის, და მათს შორის მოზარდის თაობის ფიზიკური აღზრდის საშუალებად („კრივში რამდენი გვერდი გასწორდება, რამდენი ლოყა გასკდება, რამდენი ხელი დასისხლიანდება; მაგრამ რა ვქნათ, ვაკეზე სიარულშიაც ბევრჯერ კაცს ფეხი მოსტეხია და კისერიც. ლხინია, მკლავებს მუშაობა უნდა, ვარჯიში, გიმნასტიკა უნდა“ („დროება“, 1880, № 49). მოღვაწეთა დიდი ნაწილი ნეიტრალურ პოზიციას იკავებდა; მაგრამ, როგორც ჩანს, საბოლოო ჭამში კრივი მაინცდამაინც ვერ იმსახურებდა მოსახლეობის ფართო ფენების, განსაკუთრებით, სკოლების მესვეურების სიმპატიას. საქმარისაზ ითქვას, რომ როდესაც გასული საუკუნის ბოლოს ოფიციალურად აიკრძალა კრივი მთავრობის მიერ, ამ აქტს არცერთი პროგრესული ქართული გაზეთის, საზოგადო მოღვაწისა და, ასე გასინჯეთ, თვით მოკრივეთა არავითარი პროტესტი არ მოჰყოლია, ყოველ შემთხვევაში, ასეთი პროტესტი არსად არაა ფიქსირებული. და ეს იმ დროს, როდესაც ქართული პრესა და მთელი ქართული პროგრესული საზოგადოებრიობა დაურიდებლად ებრძოდა მეფის მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებს ჭიდაობის, ბურთაობისა და სხვა სახეობების დევნისათვის.

კაპიტალიზმის განვითარებასა და რუსეთთან კულტურული კავშირების განმტკიცებას მოყვა საქართველოში სპორტის კლასიკური სახეობების შემოტანა. სპორტის ისტორიკოსები თვლიან, რომ კლასიკური სახეობებიდან პირველად საქართველოში ფარიკაობა ჩაისახა (1887 წ.), შვიდი წლის შემდეგ კი იქმნება მოყვარულთა პირველი

წრე, რომელსაც გადამდგარი ოფიცერი პ. ე. სალტიკოვი  
ხელმძღვანელობდა. 1900 წელს გაიხსნა პირველი საფარი-  
კაო დარბაზი. ფარიკაობის განვითარებისათვის საქართვე-  
ლოში ბევრი გააკეთა ქუთაისში დაბადებულმა და გაზრ-  
დილმა ლევან გოლოვნიამ.

1888 წელს თბილისში არსდება ველოსპორტის მოყვა-  
რულთა საზოგადოება, ხოლო ტრეკი იხსნება 1892 წელს  
იმ ადგილზე, სადაც ახლა მარჯანიშვილის სახელობის  
თეატრის შენობა დგას.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენში ჩნდება  
ცურვის მოყვარულთა პირველი წრეები.

სპორტის მეფე — ფეხბურთი მხოლოდ გასული საუ-  
კუნის ბოლოს ესტუმრა საქართველოს. პირველი მატჩე-  
ბი ბათუმსა და ფოთში გაიმართა.

ძალოსნობამ საქართველოში XX საუკუნის დამდეგს  
დაიწყო განვითარება (მაშინ ამ ტერმინის ქვეშ იგულის-  
ხმებოდა როგორც სიმძიმეების აწევა, ისე ჭიდაობა და  
კრივი). ძალოსანთა წრე თბილისში დაარსდა 1912 წელს  
პეტრე მარლანიძის ხელმძღვანელობით. მასთან ერთად  
დალოსნური და მძლეოსნური სპორტის განვითარებისა-  
თვის საქართველოში ბევრი გააკეთა პირველმა ქართველ-  
მა რეკორდსმენმა (კიევი. 1916 წ.) „შტანგაში გიორგი  
ჩიკვაიძეში.

მძლეოსნობამ რევოლუციამდელ საქართველოში ვერ  
მოიკიდა ფეხი და იგი ეპიზოდურად იყო ჩართული სხვა  
სახეობათა წარმომადგენლების ვარჯიშების პროცესში.

1909 წლიდან საქართველოში ჩანს „სკეტინ-რინგი“,  
ზაფხულის გორგოლაჭებიანი ციგურები, რომელიც  
უფრო მეტად გასართობად იყო გამოყენებული.

ქართველმა ხალხმა განსაკუთრებით შეიყვარა ტანკიში  
გარჯიში. მართალია, ტანკარჯიში, როგორც სასკოლო  
ფიზიკური აღზრდის ოფიციალური ფორმა, ჭერ კიდევ  
1879 წელს დაინერგა თბილისის სათავადაზნაურო სკო-  
ლაში, მაგრამ როგორც სპორტის სახეობა, პირველად  
საქართველოს გასული საუკუნის ბოლოს მოევლინა. ტან-  
კარჯიშის მოყვარულთა წრე თბილისის პირველ გიმნაზი-  
ასთან, რომლის შექმნის ინიციატორი ჩეხი ტანმოვარჯიშე  
ანტონ ლუკეში იყო, გადაიქცა შემდგომში უფრო მძლავ-  
რი ტანკარჯიშული მოძრაობის საფუძვლად. მის ბაზაზე  
1900 წელს შეიქმნა ტანკარჯიშული საზოგადოება „სო-  
კოლი“. ჩეხი პედაგოგების ლუკეშის, ვახეკის, გრუმლი-  
კის, კოუბას და სხვათა ხელმძღვანელობით, აგრეთვე  
ქართველი მოღვაწეების გაბაშვილის, ჯავრიშვილის,  
ბერელაშვილის, ეგნატაშვილის, ნიკოლაძისა და სხვათა  
უშუალო მონაწილეობით ტანკარჯიში კიდევ მეტ განვი-  
თარებას აღწევს და 1918 წლის 25 აგვისტოს იქმნება  
ჩეხური „სოკოლის“ ანალოგიური ქართული საზოგა-  
დოება „შევარდენი“, რომელმაც თავისი დროისათვის  
უფრო განამტკიცა პრაქტიკული ტანკარჯიშის ტრადი-  
ციები.

ამ პერიოდში ყალიბდება ფიზიკური აღზრდის ქარ-  
თული თეორია, რომლის სტრუქტურა და შინაარსი  
შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ფიზიკური აღზრდის მიზანი და ამოცა-  
ნები: ფიზიკური აღზრდა უნდა ემსახურებოდეს საზო-  
გადოების აქტიური წევრის, ფიზიკურად ყოველმხრივ  
ჩამოყალიბებული ადამიანების აღზრდას, რომლებიც იქ-  
ნებიან „ყოველის ფრით სასარგებლო კაცი თავის ქვეყ-

ნისათვის“ და „შემძლებელნი თავიანთი დანიშნულების შესრულებისა“.

ფიზიკური აღზრდის კავშირი აღზრდის სხვა მხარეებთან: . ფიზიკური აღზრდა მჭიდრო კავშირში უნდა იყოს გონიერივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და შრომითს აღზრდასთან. აღზრდა მხოლოდ იმ შემთხვევაში წარიმართება სწორი კალაპოტით, როდესაც აღზრდის „ერთი მხარე არ დასძლევს შეორეს“ და „კაცს გონიერითი და სხეულებრივი ძალა თანაბრად ექმნებიან გავარჯიშებულნი და დახელოვნებულნი“.

ფიზიკური აღზრდის საშუალებები: სამყაროს გამაჯანსალებელი ძალები (ტანის დაზელა, გასეირნება, „ზამთარ-ზაფხულ მუდამ დღე ცივი წყლით ბანაობა“), ტანვარჯიში (ვარჯიშები იარაღებზე, „სახლის ტანვარჯიში“, „ტანის გაძვრა“ გაკვეთილებს შორის, სიარული, რბენა, სამწყობრო მომზადება, ქართული ცეკვები), სპორტი (კრივი, „დაჯიბრებით სირბილი“, ლელო, ნიშანში სროლა, ქართული ჭიდაობა, ჯირითი, ყაბახი, მარტინა, დოღი, ფარიკაობა, ნაღირობა), მოძრავი თამაშები („საქანელაზე მოძრაობა“, „ხუმრობით ომი“, „ტყუილი ჭოხებით ჭირითი“, „ხმლის სალდასტის თამაშობა“, ქართული საბავშვო მოძრავი გართობა-თამაშობანი), ჰიგიენური ფაქტორები („კარგი ჰაერი“, „ზომიერი საჭმელ-სასმელი“, „სუფთად ჩაცმა-დახურვა“, „ოთახის სისუფთავე“), ფიზიკური შრომა („ბალოსნობა“, ხელსაჭმეობა, ხელოსნობა).

სკოლისადამშობლის როლი ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაში: 1. აღსაზრდელში უნდა ვხედავდეთ სრულუფლებიან პიროვნებას და არა ამა თუ

იმ სოციალური ფენის წარმომადგენელს, 2. აღმზრდელები კარგად უნდა იცნობდნენ პედაგოგიკის და მის მონათესავე მეცნიერებებს, 3. უნდა უქმნიდნენ ბავშვებს ფიზიური აღზრდის პირობებს, რათა მათ „სირბილი და ხტომა შაეძლოთ“, 4. ერეოდნენ ბავშვთა თამაშებში, „რაც მათ სურთ, ის აქმნევინონ“, რათა სწორი მეთოდური მიმართულება მისცენ თამაშებს, 5. თვით მშობლები სისტემატურად იწრთობდნენ სხეულს, რათა მათ ფიზიკურად სრულყოფილი შთამომავლობა მისცენ ქვეყანას, 6. განდევნონ აღზრდის პრაქტიკიდან „ყმაშვილის გონების, ზნეობის და სიმრთელის“ მტერი — ფიზიკური დასჯა და, 7. სისტემატურად იმაღლებდნენ აღმზრდელის ხელოვნებას, რათა ისე წარმართონ ყმაშვილის აღზრდა, „როგორც ნამდვილი პედაგოგიკის დანიშნულება, მიზანი და მიმართულება მოითხოვს“.

გასული საუკუნის პროგრესულმა პრესამ სარკისებრ აირეკლა ერის სპორტული ცხოვრების სისხლხორცეული პრობლემები; მან მკითხველს შიაწოდა აქტიური დასვენების მეცნიერულად გააზრებული თეორია, მიუთითა მათ, რარიგ მოახერხონ „წესიერი ცვლა ფიზიკურ-გონებითის შრომისა“, რათა „დაღლილმა სახსრებმა დანჯაგი შემოიკიბონ და შესვენებულმა ნაწილებმა კი იმოქმედონ“ (უურნალი „მოგზაური“).

ჩვენი პრესის ავტორებმა არც სპორტის ესთეტიკისა და ეთიკის საკითხები დატოვეს უყურადღებოდ; „თამაში ხელსაყრელია ესთეტიკური აღზრდისათვის: უკვე ფიზიკურს სიმრთელეში და სიცქვიტეში არის ესთეტიკური რამ“, — სავსებით სწორად განმარტავდა უურნალი „განათლება“; უწინ მოჭიდავე „გამოდიოდა მოედანზე

და ხეირს არაფერს დაგიძებდათ, თუნდა დაცემულიყო  
და თუნდა დაეცა მოწინააღმდეგე, მხოლოდ სახელი  
ულირდა ძვირფასად, სახელი იყო იმის სასყიდველი,  
იმისი თავის მოსაწონებელი და სიქადული“, —  
შეახსენებდა გაზეთი „ივერია“ იმ მოჭიდავეებს, რომ-  
ლებიც ზოგჯერ ღალატობდნენ სპორტულ ეთიკას და  
ფალავნის სახელს ძვირფას საჩუქარზე ცვლიდნენ;  
სპორტულ ღონიძიებათა მაღაბახსნილ ორგანიზატო-  
რებსა და საქმოსნებს კი უკიცინებდა, რომ „ვაჟკა-  
ცობით ვაჭრობა ზნეობით ბინძურობაა“. პრესამ მწვავედ  
გაკენწლა პროფესიონალურ სპორტში გაბატონებული  
სიმახინჯენი, ისეთი სპორტული სანახაობანი, რომლებზეც  
„ჩვენებურ კინტოსაც კი შერცხვება ერთი საათით მოს-  
ცდეს“; მან მოუთხრო მკითხველს იმ განწირულ სპორტს-  
მენებზე, „რომლებსაც ძვირად უჭდებათ ლუკმა პურის  
მოპოვება“ („დროება“).

მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომლის  
გადაჭრისათვის ბრძოლა ჩვენს პროგრესულ პრესას  
არასოდეს შეუწყვეტია, ეს იყო პრობლემა ქართული  
ხალხური სპორტის აღდგენის, მისი ტრადიციების და-  
რუნებისა და ხალხის ყოფაში ხელახალი მასობრივი და-  
ნერგვის შესახებ. აი, როგორ ჩამოყალიბდა პრესის  
ფურცლებზე ამ პრობლემის გადაჭრის გზები:

1. ქართული სპორტის აღდგენისათვის ბრძოლა ეროვ-  
ნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფარგლებში  
უნდა მოექცეს. „როგორც კერძოდ ცალკე პირის, ისე  
საზოგადოდ მთელი ერის სითხიზლისა და სალიანობისა-  
თვის პირველი ადგილი უჭირავს სხეულის ვარჯიშობას,  
სხეულის მოძრაობას, მაშასადამე, გართობასა და თამა-

შობასაც. ამისათვის საჭიროა გავიცნოთ ძველებური გარება-  
თობა-ასპარეზობანი, რომ ზოგიერთი მათგანი კვალად  
აღდგენილ იქნან. ისე რომ, ძველებურ გართობათა გაც-  
ნობას ჩვენთვის ამ შემთხვევაში უფრო პრაქტიკული  
გნიშვნელობა ექნება, ვიდრე საზოგადო ისტორიული“  
(ურნ. „ივერია“).

2. ხელისუფლებამ აკრძალოს ხალხური სპორტის  
უსამართლო დევნა. „უმაღლესმა პოლიციურმა მთავრო-  
ბამ გამოუცხადოს წვრიმალ პოლიციის მოხელეებს, რომ  
არ აღუკრძალოს ხალხს ისეთი მშვიდობიანი და უვნებე-  
ლი დროს გატარება, როგორც, მაგალითად, ბურთაობა,  
ჯირითი, ზურნის დაკვრა, ყეენობა და სხვა ამ გვარები“  
(„დროება“).

3. ხალხურ სპორტს და სახალხო დღესასწაულებს  
გაუჩნდეთ გულისხმიერი პატრონი; შეიქმნას საზოგადოე-  
ბა, „რომელიც დაიდებდა მიზნად ნაციონალური თვისე-  
ბების და ჩვეულებების დაცვას“. კერძოდ, ჩამოყალი-  
ბდეს „ქართულ-სახალხო დროს გატარებათა საზო-  
გადოება“, ამ საზოგადოებასთან „შეიქმნას კორპორა-  
ციები თოფის მსროლელთა, ცხენოსანთა, მობურთავე-  
თა, მოჭიდავეთა და ა. შ.“

4. ჯერ კიდევ შემორჩენილი სპორტული ონისძიება-  
ნი ჩატარდეს მაღალორგანიზებულად, რათა იგი გადა-  
იქცეს შემდეგში ხალხის მოზიდვის საშუალებად („არც  
ერთი დღეობა არ გავა, რომ უბედურებაც თან არ მოჰ-  
ყვეს: აქ იმას გაჭილებენ ჯირითის დროს, იქ მოსტეხენ  
რასმე. ვინა? ლხინის მოთავენი“. „დროება“).

5. ყველა ონე უნდა იქნას ხმარებული იმისათვის,  
რომ შეჯიბრების ორგანიზაცია ხალხურ სპორტში ხელთ

არ იგდონ კერძო მესაკუთრეებმა, „რათა ეს ხალხური უმანქო დროს გატარება ხალხის საყვლეფ საგნად არ გახდეს“ („დროება“).

6. დიდი გასაქანი მიეცეს სახალხო დღესასწაულებისა და რელიგიური დღეობების სპორტულ პროგრამას. „ჩვენ მაინც საეკლესიო მოძღვრების თვალით ვერ გაეჭით ალდგომას, — ეს ჩვენი საქმე არ არის. ყველა დღესასწაულს საეროვნო მხარეც აქვს; აი ეს მხარეა ჩვენთვის საჭირო... ხატობებსა და დღეობებში თუ ნახავს კაცი ჩვენს საეროვნო ჩვეულებებს და ვარჯიშს, მაგ., ცეკვას, ბურთაობას, ჭირითს, ჭიდაობას და სხვ.“ (გაზეთი „ივერია“).

7. საჭიროა გავიდეთ ხალხში და შევისწავლოთ გადაშენების გზაზე დამდგარი ჩვენი ვარჯიშობა-თამაშობანი, თორემ „იქამდის მივიღა საქმე, რომ თამაშების წესებიც კი სრულიად აღარ ახსოვს ხალხსა. საჭიროა ვინც კარგად იცის რომელიმე თამაშობა, დაწვრილებით აღწეროს, რომ გავავრცელოთ“ (გაზ. „ივერია“).

8. ქართული ეროვნული სპორტის აღდგენისას დაცული უნდა იქნას პროგრესული პრინციპი: აღვადგინოთ ძირითადად სასარგებლო და თანამედროვე პირობებისათვის გამოსადევი ვარჯიშები და მოხდენილად გავამდიდროთ ერის სპორტული არსენალი ასევე სასარგებლო უცხო საშუალებებითაც. „დავუბრუნდეთ ჩვენს სიმღერებს, ჩვენს ტანისამოსს, ჩვენს კარგ ჩვეულებათ, ჩვენს ვარჯიშობას, ჩვენებურს დროს გატარებას! ნუ დავივიწყებთ ჩვენს ხასიათს და ვეცადნეთ იმათ შევათანხმოთ, დავუნათესავოთ ევროპული განათლება და ამ გვარი



ჩვენი მოქმედება, მეცადინეობა გააძლიერებს ჩვენს წინა  
მსვლელობას, ზნეობით აღგვამილებს, ეს იქნება ჩვენი<sup>1</sup>  
განათლება“ („დროება“).

\* \* \*

ასეთი იყო ქართული ფიზიკური აღზრდის თეორიის  
შინაარსი და სტრუქტურა, ჩვენი პროგრესული პრესის,  
მოწინავე მოაზროვნეთა შეხედულებანი ფიზიკურ აღზრ-  
დაზე, მაგრამ ამ მშვენიერ თეორიულ მიზანდასახულება-  
თა პრაქტიკული ხორციელება მართვის მიზეზთა გამო, მა-  
შინ შეუძლებელი იყო. ასეთი პროგრესული იდეალების  
განხორციელება მომდევნო დიდ ეპოქას ხედა წილად.

## STEADFAST IN SPORT AND BATTLE

### R e s u m e

This book presents a popular historic essay on formation and development of physical culture and sport in one of the interesting and picturesque places of our planet—Georgia.

Even in primitive communal system on the territory of Georgia many labour movements—racing, jumping, stones and javelin throwing, swimming, shooting from bow and others became means of system of physical education, which arose at that time. To that period belongs appearance of Georgian wrestling, equestrian sports and many outdoor games.

In slave and feudal societies Georgian system of physical education becomes more rich and perfect at that period, biathlon (equestrian hunting and polo—s. c. choganburti) was created, some kinds of sport became more complicated (e. g.—there were fifteen kinds of arrows), the age of pupils was more condensed (from 5 to 15 years) and so on. Physical education was taking definite place in educational institutions.

The appearance of a great number of sports bases-stadiums, hyppodromes, playing-houses, halls (Darbazi), grounds for equestrian competitions, wrestling,

etc. testify to the high sport culture in ancient and medieval Georgia.

It's remarkable that up to the middle of the Middle Ages Christian religion forbidded physical exercises, especially for women (by the way this fact definitely determined, that for the most of the women only physical labour and dances were the means of physical education). But the following period Christian religion diametrically changed the course, and many religious places became sport centres.

Such raising of sports, determined by political and economic aims of the state, promoted training of valuable physical and volitional qualities of defenders of motherland. „They were fearless people among those, with whom Hellenes dealed while their campaigns“ wrote Ksenofonte (431-354 y. y. B. C.) about Georgian tribes.

Many historic sources witness that long-ago, large competitions were held in Georgia. The most important were Allgeorgian games, held once every four years in Meskheti (Southern Georgia) and single athlets succesfully competed in Greece, Rome, Persia and other countries.

After joining Georgia with Russia (in 1801) and especially after progress of capitalism (middle of XIX c) the system of military-physical education lost its sense, only in single regions kept existence wrestling, equestrian sport, fencing, leloburti, fisticuffs, etc., though, in large centres arose some classic fields of

sports, appeared well-known wrestlers, gymnasts, heavy athletes. To this period belongs formation of the progressive Georgian theory of physical education, which is the part of Georgian pedagogical thought. But realisation of these advanced ideas and development of practice were not possible under the tsarist autocracy.

The book contains a great number of documentary stories of sports history, which organically enrich its common contents.

## «НЕПОКОЛЕБИМЫЕ В СПОРТЕ И БОЮ»

### Резюме

Книга представляет собой популярный исторический очерк о формировании и развитии физической культуры и спорта в одном из интересных и колоритных уголков нашей страны — в Грузии.

Еще в первобытно-общинном строе на территории Грузии многие трудовые движения — бег, прыжки, метания камней и дротиков, плавание, стрельба из лука и другие становятся средствами зародившейся в то время системы физического воспитания. К этому периоду относится возникновение грузинской борьбы, конных видов спорта и множества подвижных игр.

При рабовладельческом и феодальном строе грузинская система физического воспитания все больше обогащается и совершенствуется, создается двоеборье (охота и конное поло — т. н. чоган-бурти), усложняются некоторые виды спорта, физическое воспитание занимает определенное место в учебных заведениях. Формируются этапы обучения и тренировок подрастающего поколения (от 5 до 15 лет).

О высокой спортивной культуре древней и средневековой Грузии свидетельствует появление множества спортивных баз — стадионов, ипподромов, игорных домов, залов (дарбази), площадок для конных состязаний, борьбы и т. д.

Примечательно, что до середины средних веков христианская религия запрещала физические упражнения, особенно для женщин (кстати, этот факт определенно подействовал на то, что для основной массы женщин средствами физического воспитания служили лишь физический труд, танцы и т. д.). Однако в последующий период христианская религия диаметрально меняет курс, при церквях открываются спортивные базы, организуются соревнования, многие религиозные места превращаются в спортивные центры.

Такой подъем спортивной культуры, обуславливающийся политическими и экономическими задачами государства, способствовал воспитанию ценных физических и волевых качеств у народа. «Это были бесстрашные люди среди тех, с кем эллины имели дело во время своих проходов», — писал Ксенофонт (431—354 гг. до н. э.) о грузинских племенах.

По свидетельствам многих исторических источников в Грузии издревле проводились крупные соревнования, среди которых особо выделялись Всегрузинские игры, проводившиеся в четыре года раз в Месхети (южная Грузия), а отдельные атлеты с успехом выступали на аренах Греции, Римской империи, Ирана и других стран.

После воссоединения Грузии с Россией (1801 г.) и особенно после развития капитализма (середина XIX в.) система военно-физической подготовки перестает функционировать. Лишь в отдельных регионах продолжают существование борьба, конный спорт, фехтование, лелобурти, кулачный бой и др., однако в крупных центрах начинают развиваться некоторые классические виды спорта. По-

являются известные борцы, гимнасты, тяжелоатлеты. Этому периоду принадлежит также формирование прогрессивной грузинской теории физического воспитания, являющейся частью грузинской педагогической мысли. Однако осуществление этих передовых идей и бурный рост практики физического воспитания в условиях царского самодержавия были невозможными.

Книга содержит также множество документальных рассказов на темы из истории спорта, органически пополняющих ее общее содержание.

3 7300/15



ე ი ნ ა თ ქ მ ა

წინათქმა	.	.	.	.	.	.	.	3
თ ა ვ ი	I.	ქორბუდას დევნაში	.	.	.	.	.	5
თ ა ვ ი	II.	„ეს იყო უმამაცესი ხალხი!“	.	.	.	.	.	32
თ ა ვ ი	III.	„ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა!“	.	.	.	.	.	89
თ ა ვ ი	IV.	ჩრდილი სპორტულ არენაზე რეზიუმე	.	.	.	.	.	178
								225

Автандил Евстафьевич Цибадзе

НЕПОКОЛЕБИМЫЕ В СПОРТЕ И БОЮ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1980

რედაქტორი მ. გიორგობიანი, მხატვრული რედაქტორი ლ. ლეინა  
 ლია-ხომერიკი, ტექნიკური რედაქტორი ივ. ხუციშვილი, კორექტორი შ. ხუტაშვილი, გამოშვები დ. იამანიძე.

ს. ბ. 1649

გადაეცა წარმოებას 10/111-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდია  
 19/VI-80 წ. საბეჭდი ქაღალდი  $70 \times 1001/32$ ; პირობითი ნაბეჭდ  
 თაბახი 8,98; სააღრ.-საგამომც. თაბახი 7,8; უე 04044  
 ტირაჟი 5 000, შეკვ. № 371. ფასი 55 კაპ.

გამოშვემლობა „საბჭოთა საქართველო“  
 თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახურმის თბილისის № 4 სტამბა  
 380060, მედქალაქის II კორპ.

Тбилисская типография № 4 Госкомиздата  
 Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок, II корп.

K 65.723  
L



კურაგანის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 65.723/2